



რა თანხა ედო ჯიბეში სააკაშვილს მივლინებების დროს?

რაში დახარჯა ბიუჯეტიდან მილიონ-ნახევარი 10 თვეში ყოფილმა პრეზიდენტმა?

მაია მიხეილავილი სკანდალში გაეხვია რა პრეტენზიები აქვთ აბიტურიენტებს



მანანა ნიკოლაიშვილი: „მივმართავ პრემიერ-მინისტრს, შექმნას კომისია, ჩართოს დაინტერესებული პირები, სპეციალისტები და შეისწავლონ საგამოცდო ცენტრის ის ჯგუფი, ვინც ამ ტესტებზე მუშაობდა“

EXCLUSIVE

თავდაცვის სამინისტრომ შეინარაღებული ქალებისთვის რუსული ნარკოზის აღჭურვილობა შეიძინა

პეტრე ნურნუშია: „ჩნდება ეჭვი, რომ აქ ვილაცის ინტერესი დევს. სხვა შემთხვევაში, როგორ შეიძლება ხელშეკრულება გაუფორმო კომპანიას, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ დარეგისტრირდა ქვეყანაში და არანაირი ინფორმაცია მის შესახებ არ მოიძიება“

EXCLUSIVE

რა ხდება სკრინინგ ცენტრში - უკმაყოფილო პაციენტები და არასწორი დიაგნოზები



„სკრინინგ ცენტრში უთხრეს, რომ სიმსივნე აქვს, სხვა კლინიკაში გადავამოწმეთ და სიმსივნე არ დადასტურდა“

27 წლის რეინჯერის გაუჩინარება დათა ახალაიას, რომან შამათაიას, გიორგი ჩიქოვანისა და აჭარის კულ-ის ყოფილი უფროსის, თეიმურაზ პატარიძის გვარები იკვეთება

EXCLUSIVE



როგორ ამოვიღებდა „X ფაქტორს“ გამოთიშული გიორგი პარიკა შეყვარებულს?



„გიორგი გაბუნია მითხრა, ყველამ იცის ყველაზე ძლიერი კონკურსანტი რომ ხარ ყველაფრით, ვოკალით, ენერჯით და ვერ ვიტყვი, რატომ გაგიშვიო“

რას შეენირა აღმირალი ზურაბ ირემასძე

„პრაიმტიმის“ სკანდალური ინტერვიუ ძებნილ ვიქტორ ჭელიძესთან

შეზარადავნი ტრაგედია ვაკეში

14 წლის დედისართა გომონა მეცხრა წართულიდან გადმოსტა

EXCLUSIVE

რას ჰყვება ერთ-ერთი თვითმხილველი

„ბავშვი სახლში გვიან დაბრუნებულა, რის გამოც ბებია და დედა ეჩხუბა. ამის გამო გადმომხტარა აივნებიდან“

EXCLUSIVE

მედიკოსის ანაკროფისონალიზმი თუ გულბრილობა? - რა გავდა შვანის კლინიკაში 2 წლის ბავშვის ბარდაცვალების მიზეზი?

„მკითხეს, სასახლე გაქვს? არა-მეთქი, მაშინ ბავშვს „კარდონში“ ჩაგიდებო... ვიცი, რომ ცოდვია, მაგრამ იმისთვის, რომ სიმართლე გავიგო, მზად ვარ, ექსპერტიზაზე დავთანხმდები“

მარიამ ნადირაძე

ის იყო სააკაშვილის ხელისუფლები... ისდროინდელი პირველი მსხვერპლი... თუმცა მის დაღუპვას დიდხანს გულის გაჩერებად მიიჩნევენ. „მსხვერპლად“ აღმირალი ზურაბ ირემიძე მრავალი წლის შემდეგ იქცა, როცა ბელგიაში გაქცეულმა მისმა თანაშემწემ, ვიქტორ ქელიძემ სკანდალური განცხადება გააკეთა. ამ განცხადების მიხედვით, ირემიძე არ დაემორჩილა სააკაშვილის ბრძანებას, ჩაეძირა გემი, რომელზეც რუსი დეპუტატები იმყოფებოდნენ და ამისთვის დაისაჯა... ამ განცხადებას მოჰყვა სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადც, ირემიძე ხელს უშლიდა იარაღის ბიზნესს, რომელსაც სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია აწარმოებდა და მას გზას უღებდა უკეთავდა... მოგვიანებით გამოჩნდა საიდუმლო კასეტაც, რომელიც, აღმირალის მეუღლის თქმით, საზღვაო ძალების სარდალს გადასცემდა შპინდელს და სადაც მაშინდელი უმაღლესი ხელისუფალის წინააღმდეგ კომპრომატი უნდა ყოფილიყო...

ამ ვერსიების ორომტრიალში გარდაცვლილის ოჯახი სრულ გაურკვევლობაში ჩავარდა და, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, რომ მისი ექსპერტიზის შედეგად საბოლოოდ დადგინდებოდა სიმართლე. ექსპერტიზა 26 მაისს ჩატარდა. სიმართლის დადგენამდე კი, ალბათ, ცოტა ხნით მოცდა მოგვიწევს. თუმცა ქვემოთ შემოთავაზებული პუბლიკაციით მკითხველს გარკვეული პოზიცია უსათუოდ ჩამოუყალიბდება. ცხადია, ამ პოზიციების განხილვას ჩვენ არ შეუვადგებით. ჩვენ, უბრალოდ, გაჩვენებთ სურათს. დანარჩენი კი... დანარჩენი საბოლოო დასკვნის გამოჩენისთვის გადავდეთ.

მანამდე „პრაიმტიმის“ გარდაცვლილის მეუღლე, მანანა ირემიძე ესაუბრება:

– პროკურატურაში ექსპერტიზაზე მოთხოვნა როდის შეიტანეთ?

– ადრეც შეიტანა შეტანილი, მაგრამ ბოლოს დავიკითხე 18 აპრილს, გლდანინაძის პოლიციის სამმართველოს მეორე ქვეგანყოფილებაში. სამეგრელოზე მოსვლის პროკურატურის გამოძიებულმა დამკითხა.

– კითხვები ძირითადად რას შეეხებოდა?

– ძირითადად ორი მიმართულებით მიხედვით კითხვებს: რაკი ვიქტორ ქელიძე საჯაროდ აცხადებდა თავის ეჭვებს, რომ ზურა ირემიძე დარიშხანით მოხამლეს, მე მოვითხოვე, ექსპერტიზის გზით დადგინდეს, რამდენად შესაძლოა, ეს სინამდვილეს შეესაბამებოდეს. ამის გარდა, დამკითხა სამხედრო პოლიციამაც. ჩემს მერე დაიკითხა ზურას თანამშრომელი, ვეფხო მელქაძე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ მან, პრაქტიკულად, დაადასტურა ჩემი ჩვენება.

– კონკრეტულად რა?

– მე ვისაუბრე იმაზე, რომ ზურა მონამლეს და მისი გარდაცვალების შემდეგ დაიკარგა მისი კუთვნილი იარაღი. ეს იარაღი, რატომღაც ზურას ლოჯისტიკის მაშინდელ უფროსს, ოგანესიანს აღმოაჩნდა. რომ მოვითხოვე, მითხრა, რომ „სტეჩკინი“ ლვინოში ჩავარდა, დაჟანგდა, გაგაქუთუნებ და მოვიტანო. არც ეს იარაღი მო-



მიტანა და არც „მაკაროვი“. „მაკაროვი“ მითხრა, ეს იარაღი ჩემს ძმას ჩავატანე, იმეცხენად რომ მოვხვდებო, მასთან პირდაპირ უნდა ვიყო.

– ანუ თქვენს მეუღლეს ჩაატანა სა-

ფლაში?

– დიახ.

– როდესაც საფლავი გახსენით, იქ აღმოჩნდა ეს „მაკაროვი“?

– საქმეც ეს არის, რომ არავითარი იარაღი იქ არ იყო.

– რამდენადაც ვიცი, თქვენი მეუღლის ცხედარი ლოჯაში წასული დაგვხვდა...

– ლოჯაში კი არა, ჩონჩხი დაგვხვდა. მე ვიცი, რომ, როცა ის დაგვრძალეთ, ხარჯები თავდაცვის სამინისტრომ გაიღო. გაიწერა უზარმაზარი თანხები. როცა ჩონჩხი დაგვხვდა, გავოცდით...

– რატომ გაგიკვირდათ? ბოლოს და ბოლოს, 10 წელი გავიდა უკვე...

– საქმე წლებში არ არის. სასახლე „დეესპეტი“ დამზადებული აღმოჩნდა. ამან მოკმი ჩაგვაგდო. გამოძიებულს განცხადებით მივმართე, რომ ექსპერტიზა ჩატარდეს ამ სასახლეზეც და დადგინდეს, რა მასალით არის დამზადებული... ოფიციალური დასკვნა მჭირდება.

– ეჭვობთ, რომ სამინისტრომ ზურა ირემიძის დაკრძალვაში თანხები „მოტეხა“?

– არც ამას გამოვიცხავ, თუმცა მთავარი აქ ეს არ არის. „დეესპეს“ სასახლით სპეციალურად დაკრძალეს, რადგან ეს უფრო ადრე გაფუჭდებოდა და დროთა განმავლობაში, თუ ექსპერტიზის სურვილი გაგიჩნდებოდა, ჩვენ იქ ველარაფერს ვნახავდით. რა, ის გაუჭირდა სამინისტროს, რომ 350-ლარიანი სასახლე ყოფილიყო? არა, ჩემო კარგო, ეს წინასწარ ჩაფიქრებული და შორსგამიზნული გეგმები იყო... – სასახლის მასალის გამო გინდებოდა

ასეთი მძიმე ეჭვი? ეგებ, თქვენ 10 წლის შემდეგ კი არა, გაცილებით ადრე გადაგწყვიტათ ექსპერტიზა... ამას ხომ ვერ გათვლიდნენ?

– „დეესპე“ როგორც კი სველდება, გვამი მაშინვე ფუჭდება. ამის გარდა, ავიღეთ მინის ანალიზი. მაგრამ მაქვს გარანტია, რომ 10 წლის განმავლობაში ამ მინას წყალი არ ჩარეცხავდა? თუკი 10 წლის შემდეგ გვამს ველოდი და დამხვდა ჩონჩხი, რა გარანტია მაქვს, რომ მინა იმ მომენტამდე ნივთიერებას შეინახავდა?

– სპეციალისტები რას გეუბნებიან ამის შესახებ?

– ჩვენ სპეციალისტები არ გაგვკარებია. მხოლოდ კრიმინალისტები მუშაობდნენ და რამე რომც მეკითხა, მაინც არაფერს მეტყობდნენ დასკვნის გარეშე. ექსპერტიზის შემდეგ ზურა გადაასვენეს სახმარაულოში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ახლოს არ გავიკარეს. შიგნით არც ჩემი ინტერესების დამცველი შეუშვეს. ჩვენ ვისხედით შენობის ფიციში. დაახლოებით ორმოც წუთში გამოვიდა გამოძიებული და გვითხრა, რომ დაგვიკავშირდებიან და მოხდება გადასვენება. გამო-



მანანა ირემიძე

მკვლელობა თუ გარდაცვლილი აღმირალის ოჯახის წინააღმდეგ დაგეგმილი ავანტიურა

მძიებელი ოთხშაბათს დამიკვეშირდა და საბურთალოს პანთეონში დაგვიბარა. გამოვიჩინე ზაენეს მიცვალებულის სუღარა და ტანსაცმელი. სასახლეში კი იდო ჩონჩხი.

– ეჭვი გქონდათ, რომ ამ საქმეში თქვენი მეუღლის თანამშრომლები სუფთა არ უნდა ყოფილიყვნენ...

– ამის მიზეზი შენდა კიდევ. ვეფხო მელქაძე, რომელიც ახლა თურმე ადასტურებს ჩემს ჩვენებას, თავის დროზე, როცა ჩემი მეუღლე გარდაიცვალა და ცხვირ-პირიდან სითხე სდიოდა, ვეფხო მელქაძე ინახავდა და აძლევდა ვიღაცას. ეს ვიღაცა კი იყო ჰოსპიტალის მაშინდელი ხელმძღვანელი, ზაზა შალამბერიძე. მოგვიანებით კი შევიტყვე, რომ მელქაძე სამსახურშიც არის, დაინიშნურეს კიდევ და ბინაც მისცეს. საინტერესოა, რა დასასხურებისთვის? არის კიდევ ასეთი პიროვნება, ვეფხო ბიბილეიშვილი, რომელმაც მიაბო, ზურას გარდაცვალების წინა დღეს, როგორც ნახა ის სასტუმროს ნომერში გამწვანებული. ზურას უთქვა ამს, ცუდად ვარ, მგონი, საკვებმა მომწამლაო. ბიბილეიშვილმა მითხრა, ფორმა მივუტანეო. ბუნებრივად გამიჩნდა ეჭვი, თუ სასტუმროს ნომერში იყო, ფორმა იქ არ უნდა ჰქონოდა? სხვას რატომ უნდა მიეჭანა? ან კიდევ, თუ აღმირალი ასეთ მდგომარეობაში ნახა, ექიმს რატომ არ

დაუძახა?

– ვეფხო ბიბილეიშვილი დაკითხული არ არის?

– მე როგორც ვიცი, მას საზღვარი აქვს გადაკვეთილი და საქართველოში არ იმყოფება. თუმცა, თუ მოინდომეს, რთული არ იქნება მისი ადგილსამყოფლის დადგენა. ფაქტია, რომ ზურას გარდაცვალების შემდეგ ძალიან აქტიურობდნენ ვიქტორ ქელიძე, ზაზა შალამბერიძე და ვეფხო მელქაძე... თუმცა რაკი გამოძიება დაიწყო, იმედი მაქვს, საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ ექსპერტიზა სწორ დასკვნას მომცემს?

– ამ ეჭვის საფუძველს რა გაძლევთ?

– ექსპერტიზაზე ჩემი ინტერესების დამცველი რომ არ დაუშვეს. ეს იგივეა, თვალზე ხელი აგაფარონ და ხნელში გატარონ. შეიძლება ეჭვი ჩემი შიშით არის გამოწვეული.

– ზაზა შალამბერიძე გამოძიებაში თურმე უარყოფს ვიქტორ ქელიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან გარდაცვლილ აღმირალს სისხლის ანალიზი ჩაუტარა და იქ დარიშხანის კვალ აღმოაჩინა.

– ზაზა შალამბერიძე იმასაც ამბობს, ზურას მეუღლე მისი გარდაცვალების შემდეგ საერთოდ არ მინახავსო. არადა, ის რამდენიმე წლის წინათ შემხვდა თავდაცვის სამინისტროსთან. მაშინ მე მას პასუხი მოვითხოვე, რატომ გვასმევდი გაურკვეველ ნამბულს, როცა ზურა გარდაიცვალა-მეთქი?

– რა ნამბულს?

– არ ვიცი. ფაქტია, რომ მთელ ოჯახს ვეთიშავდა. ალბათ, იმის გამო, რომ არ გაგვეგო, რას ვიღებდით, ნამლის ყუთები თან მიჰქონდა. პირველად გადამიწერა და მითხრა, ამას იმიტომ ვაკეთებდი, შენ რომ გადაემორჩინა. ამის გარდა, 3-4 წლის წინათ მისი საჩივრის საფუძველზე ზუგდიდში სასამართლო პროცესი გვეკონდა. ზურამ ადრე ძველი მანქანა იყიდა მისგან. ჩემი მეუღლის გარდაცვალებიდან 6-7 წლის შემდეგ იჩივლა, მანქანა ზურას ძმისშვილმა მომპარაო. უნამუსოდ იტყუა... ახლა კი როგორც იმას იტყუება, ირემიძის მეუღლეს არ შეგხვედრებარო, ზუსტად ისე ცრუობს, არაფერი

რას შეეწირა აღმირალი ზურაბ ირემიძე, ძალიან მალე გაირკვევა



ვის ინტერსში იყო სარდლის სიკვდილი EXCLUSIVE

ვიცი დარიშხანით მონამვლავს.

– რომ არ დადასტურდეს ეს მონამვლა, მერე რას გეგმათ?

– ნინასწარ ვერაფერს ვიტყვი. თუმცა ამ შემთხვევაში არ გამოვიცხადებ, რომ ექსპერტიზის დასკვნა გაყალბდეს. მაშინ რაში დასჭირდა ვიქტორ ჭელიძეს ამ განცხადების გაკეთება? ან მე რატომ გამოთქმეს? იქნებ სწორედ იმიტომ, რომ საღ გონებაზე ექსპერტიზა არ მომეთხოვა? რაში დასჭირდათ ჩემს ოჯახში აგენტის შემოღება? სახლის დანვა? რატომ მომიკლეს ზურას გარდაცვალებიდან 21 დღის შემდეგ სასაღამაოთი ახალგაზრდა სიძე? ამ ხერხებით გვიჩუქებდნენ, რომ საქართველო დაგვეტოვებინა და ამ საქმეს არასდროს მივბრუნებოდით. 9 წელი ჯოჯოხეთში ვიცხოვრე და ამ ჯოჯოხეთის შედეგად დღეს მარტო იმას არ ვაკეთებ, რომ ბუნერში არ ვიქექები, თორემ სხვა მხრივ, მინასთან გაგვასწორებს. შემონიშნულობებით ვცხოვრობთ.

რა თქმა უნდა, „პრაიმტიმის“ ბელჯი იაში მყოფ ვიქტორ ჭელიძესაც დაუკავშირდა:

– თქვენ სულ ეჭვობდით, რომ ზურა ირემაცი დარიშხანით მონამვლეს. მეტიც, ამბობდით, რომ ჩუმად ანალიზიც გააკეთებინეთ ზაზა შალამბერიძეს და დადგინდა, რომ მას სისხლში დარიშხანი იყო... რა შედეგს ელოდებით ამ ექსპერტიზიდან?

– ეს ეჭვი ყოველთვის მქონდა, მართალია. ექსპერტიზის მერე, ცხონებული ზურა საიქიოში დაისვენებს, მისი ოჯახი და მე კი – სააქაოში.

– ფიქრობთ, რომ მონამვლის ფაქტი დადგინდება?

– ჩემი აზრით, იყო იმის ნინაპირობა, რომ ის მოეკლათ. შალამბერიძეს კი არაერთი ინტერესი არ უნდა ჰქონოდა, რომ ჩემთვის ტყუილი ეთქვა. დაველოდით. ჩემთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ეს ყველაფერი. ოჯახი ხომ 7 წლის

განმავლობაში მე მთელიდა ზურას მკვლელებად, პოლიციის ოგანესიანის ცილისმნამებლური ინფორმაციის საფუძველზე. სხვათა შორის, 20 წელი ოგანესიანის ჩვენებით მაქვს მისჯილი. ამას თქვენ ერთმანეთს არ უკავშირებთ?

– შალამბერიძე დღეს უარყოფს, რომ რაიმე ანალიზი ჩაატარა გარდაცვლილი ირემაციის სისხლზე...

– ეს მისი პრობლემაა. თუ აღმოჩნდა, რომ მონამვლა, მერე ადვილად დასადგენი იქნება, ვინ და რისთვის გააკეთა ეს ყველაფერი. თუ არადა, უფრო მალე გაირკვევა, რომ მე მკვლელები ვარ და ყველა დიდ შეცდომაშია შეყვანილი, ვინც ასე ფიქრობდა. მთავარი გამოსაძიებელია მიზეზი, რომ გამოცემა შეიძლება ზურა მოეკლათ.

– თუ არ დამტკიცდება, რომ ზურა ირემაცი მონამვლეს, ოჯახს თქვენ მიმართ ეჭვები უფრო მეტად არ გაუმაფრდება?

– ოჯახს არანაირი ეჭვის საფუძველი არ აქვს. დარიშხანზე, რასაკვირველია, პირველად მე ვთქვი და არა მარტო ეს. მე ზურას ლიკვიდაციის შესახებ მიზეზებიც ბევრჯერ დავასახელე. ჩემგან დასახელებული ყველა ფაქტი სიმართლეა. იცით, რამდენი ხანია ზურა ირემაციის სიკვდილის გამოძიებას ვითხოვ? მას შემდეგ, რაც არც მას და არც მის სიძეს, დათუნას ექსპერტიზა არ ჩაუტარეს. ამდენი რომ არ მეტრობოლა ამ საქმის გამოძიებისთვის, ეს ამბავი ისევე ძველებურად დარჩებოდა გაუხმაურებელი.

– ანუ, მაინც იმედი გაქვთ, რომ ექსპერტიზი სიკვდილის მიზეზად მონამვლას დადებენ?

– მე არაფრის იმედი არ მაქვს. მე, უბრალოდ, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ შესაძლებელია, ზურა მოეკლათ. 2006 წელს ირემაციის ოჯახში მივიდა პოლიციის ოგანესიანი და თქვა, თითქოს ზურა მე მოეკალი და ამაში ფული ავიღე. იმის მერე ეს ოჯახი თავის უზედურებას მე მატრობდა, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მე ვითხოვდი ამ საქმის გამოძიებას. დღეს უკვე მიხვდნენ, რომ შეცდომაში შეიყვანეს, მაგრამ დარჩა უამრავი ადამიანი, ვინც არ იცის, რომ მე არაფერ შუაში ვარ.

რა შედეგს დადებს 10 წლის წინათ გარდაცვლილი სარდლის ექსპერტიზა?

– ვერ გავიგე, თუ ექსპერტიზის შემდეგ მონამვლის ფაქტი არ დადასტურდება, ეს თქვენს „რეაბილიტაციას“ როგორ მოახდენს?

– არ ვიცი, ამ ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ჩემი დახმარებით პროკურატურა უფრო მეტს გაიგებდა, მაგრამ არაფრის არაფერი აინტერესებს უკვე ამდენი წელია...

– ახლა მაინც დაგვიკავშირდით ვინმე, ან დაგვიტოვებს „საკაპის“ საშუალებებით?

– არა. მოუხედავად იმისა, რომ ძებნილი ვარ, რვა წელია, ვეხვეწები თავდაცვის სამინისტროს, კონტრდაზვერვას, რომ მიიღოს ჩემგან ინფორმაცია, მაგრამ არაფრის აინტერესებს. ახლა რომ დაიჭირეს, ის ვირთხა, ლევან ტაბიძე, მაგასაც მივხერხე, სამხედრო პოლიციისაც. მაგრამ უშედეგოდ.

– კითხვა დაგისვით და არ მიპასუხეთ: თუ ექსპერტიზის შემდეგ მონამვლის ფაქტი არ დადასტურდება, ეს თქვენს „რეაბილიტაციას“ როგორ მოახდენს?

– როგორ და... ყველა გაიგებს, რომ ზურა არაფრის მოუკლავს. ე.ი. არც მე.

– გასაგებია...

– მიხვდი, დაიკო, ჩემს პრობლემას?


– ხომ შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ მთელი თქვენი ეს ნამონებება დარიშხანთან დაკავშირებით, სწორედ ამ თქვენს პირად მიზანს ემსახურებოდა – დადგინდეს, რომ ზურა ირემაცი

არაფრის მოუკლავს და მათ შორის არც თქვენ...

– თუ ვინმეს მაგ ქვეყანაში დაინტერესებს, რატომ შეიძლება მოეკლათ ზურა ირემაცი, ეს ისევე ქვეყანას ნაადგება. მაგრამ ამას მე არაფრის მეკითხება. ჩემგან რა ინფორმაცია არსებობს ირემაციის ირგვლივ, აბსოლუტური სიმართლეა. არაფრის მოგონება არ დამჭირვებია. მე მარტოდ ვწყვეტ პრობლემას. სიმართლე მაგარი რამეა!

– გამოდის, რომ თქვენ ექსპერტიზის ორივე შედეგი განყოფილება – თუ დადგინდება დარიშხანის კვალი, ცხადია, თქვენი ვერსიები დადასტურდება. თუ არ დადგინდება, მაშინ გამოვა, რომ „არაფრის მოუკლავს და მათ შორის არც თქვენ“...

– კი, რასაკვირველია, ექსპერტიზის ორივე შედეგი მანყოფს. მართალი ვარ ცამდე, დაიკო, და კიდევ სხვა, მესამე ვარიანტიც რომ არსებობდეს, ისიც ჩემს სასიკეთოდ იქნება. ჩემთვის ცუდი ისაა, რომ მეგობარი დავკარგე და მისი ოჯახიც დაიბნა. მე მინდოდა, რომ გამოძიებას უკეთ დაეხმარებოდი, მაგრამ არ მოისურვეს. ახლა კი მე აღარ მეკნება ამის საშუალება. ორშაბათიდან ვთითავ კავშირს ყველასთან და დაველოდები, ერთი, როდის დამიჭერენ იმ აბსურდული ბრალდებით, რითაც სამარცხვინოდ არარსებულ თანამდებობაზე უფლებამოსილების გადაძებებისთვის ოცი წელი მაქვს მისჯილი. კარგად იყავით.



„ორშაბათიდან ვთითავ კავშირს ყველასთან და დაველოდები, ერთი, როდის დამიჭერენ“

ვიჩიტორ ჭელიძე

ეს სკანდალური საქმე ამ დღეე



my View
მირიან ბოქლიაშვილი

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საზოგადოებაში იყო მოლოდინი, რომ ნათელი მოეფინებოდა წინა წლებში ბუნდოვან ვითარებაში გაუჩინარებული ადამიანების საქმეებს, თუმცა მოლოდინი მოლოდინად დარჩა... საგამოძიებო ორგანოები რაიმე სიახლის გამჟღავნებას არ ჩქარობენ. რამდენიმე კვირის წინ „პრაიმტიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, რომ გაუჩინარების კონკრეტულ საქმეებზე უკვე არსებობს ხელჩასაჭიდი შედეგები, თუმცა სხვა დეტალების გამჟღავნება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მინისტრმა არ ისურვა.

„გამოძიება მიმდინარეობს და დიდი იმედი მაქვს, უახლოეს ხანში გაიხსნება ეს დანაშაულები, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ამას აქვს თავისი საიდუმლო მხარეები. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ არის გარკვეული შედეგები“, – განაცხადა ჭიკაიძემ.

„პრაიმტიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ, საკმაოდ სკანდალური გაუჩინარების საქმეზე გამოძიება უკვე დასკვნით ეტაპზეა და საგამოძიებო ორგანო საგანგებო ბრიფინგზე საქმის დეტალებს ამ დღეებში გააცნობს საზოგადოებას.

გასულ კვირას სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს 2008 წლის 16 აგვისტოს გაუჩინარებული რეინჯერის, დავით ცინდელიანის დედა სტუმრობდა. მოდულის შენობაში თამარ არღვლიანი გამოძიებლის თხოვნით მივიდა. საგამოძიებო სამსახურში განუმარტეს, რომ საქმის გამოძიება დასრულებულია და ამ დღეებში ყველა დეტალი საგანგებო ბრიფინგზე გახმაურდება. ამის შესახებ „პრაიმტიმს“ თავად თამარ არღვლიანმა უამბო, თუმცა გვითხრა, რომ მისთვისაც არ დაუკონკრეტებიათ, ვის კვალზე გავიდა და რა დასკვნამდე მივიდა გამოძიება. მოდულის შენობაში ცინდელიანის დედა იმ მი-



დადგენილია იმ პირთა წრე, რომელთაც გამოძიება ამ საქმეზე ბრალს დაუყენებს:

- დათა ახალაია, რომელიც საპერძნეთის სასამართლომ ბირაოს ქვეშ გაათავისუფლა**
- რომან შამათავა, რომელიც სასჯელს ხურჩის ტერაქტის საქმეზე იხდის**
- გიორგი ჩიქოვანი, მეტსახელად „მაიმუნა“**
- აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი თეიმურაზ პატარია**



იძებნება
დავით ცინდელიანი

შინაგან საქმეთა სამინისტრო აწევს ჯილდოს **10 000 ლარი** ოდენობით, რომელიც გადაეცემა იმ პიროვნებას ვინც პოლიციას შინაგან საქმეთა მინისტრის დავით ცინდელიანის გაუჩინარების შესახებ

ზნით დაიბარეს, რომ საქმის გახსნის შესახებ ინფორმაცია ოჯახს ტელევიზიით არ შეეცყო. ამიტომ ის წინასწარ ჩააყენეს საქმის კურსში.

„გამომძიებელმა დაგვიბარა მოდულის შენობაში. გვითხრეს, საქმე უკვე დასრულებულია და უახლოეს დღეებში შეიტყობთ ყველაფერს. ჩვენ საქმის კურსში ჩაგვყენეს, რომ ბრიფინგით არ გავგეგოთ ეს ამბავი. გვითხრეს, რომ პროკურატურას გადასცემენ საქმეს და ამ დღეებში ჩატარდება ბრიფინგი, სადაც ყველაფერი გახდება ცნობილი. ჩვენ დაგვიბარეს იმ მიზნით, რომ ტელევიზორით არ შეგვეცყო ეს ყველაფერი. სახელმწიფო უშიშროების სააგენტოში ვიყავით მისულები. გვაიმედებენ, რომ ყველაფერი გაკეთდა და საქმე გაიხსნა. ვნახოთ ახლა შედეგი. მქონდა მოლოდინი, რომ, ადრე თუ გვიან, ყველაფერს ფარდა აეხდებოდა“, – ამბობს „პრაიმტიმთან“ საუბრისას თამარ არღვლიანი.

გამოძიებას ჯერ არ დაუკონკრეტებია, თუმცა ჩვენ შევეცადეთ, გაგვეჩვენებინა, სად მიდის დავით ცინდელიანის გაუჩინარების კვალი? ამ მიზნით თვალი გადავაავეთ იმ ვერსიებს და სავარაუდო ეჭვმიტანილთა წრეს. არსებული ინფორმაციების

შესახებ გავესაუბრეთ ცინდელიანის ოჯახსაც და აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა სამი ძირითადი ვერსია. სავარაუდოდ, ამ ვერსიებიდან ერთ-ერთს პროკურატურა უახლოეს დღეებში საგანგებო ბრიფინგზე დაადასტურებს.

„არ ვიცი, როგორ გაიბეჭდეს წესიერი და ჭკვიანი ახალგაზრდა“

იკარგა, მას შემდეგ კი გამოძიებამ მ პროკურორი შეიცვალა, თუმცა არც დამნაშავეები დასჯილან და არც დავით ცინდელიანი გამოჩენილა. როგორც ცინდელიანის დედა აცხადებს, მისი შვილის დევენა მას შემდეგ დაიწყო, რაც კუდ-ის თანამშრომლებს ზემო კოდორის დაკარგვის გამო უსაყვედურა და უთხრა, რომ ისინი ამ ბრძოლიდან თოფის გაუსროლელად, მოსახლეობაზე ადრე გამოიქცნენ. ოჯახის წევრების თქმით, ამ შელაპარაკების შემდეგ ცინდელიანი ქუთაისში სატყეო დეპარტამენტში თათბირზე დაიბარეს, თუმცა გზაში ცინდელიანსა და მის მამას სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები შეხვდნენ და ცინდელიანი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

„ძალიან გაკვირვებული და გაოგნებული ვარ დღემდე. არ ვიცი, როგორ გაიმეტეს წესიერი და ჭკვიანი ახალგაზრდა. ერთი ვერსია არის ის, რომ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებთან მოუხდა შელაპარაკება. იყო საუბარი, რომ თითქოს კუდ-ის თანამშრომლებთან ჰქონდა შეხლა-შემოხლა. დათო ეუბნებოდათ თურმე, თქვენ კუდამოძულებული გამოხვედით და მოსახლეობა იქ მიატოვეთო, ახლაც არ უქმნით არავითარ

მანამდე კი ჩვენს მკითხველს შევახსენებ, რომ 27 წლის დავით ცინდელიანი 2008 წლის 16 აგვისტოს და-

რა გახდა დავით ცინდელიანის გკვლელობის მიზეზი – პოლიტიკური შეხედულებები, პირადი კონფლიქტი კუდ-ის ოფიცრებთან თუ შპიონაჟი?

გუმი ბაქსნილად გაეოცხადდება

რა დასკვნამდე მივიღა და ვის კვალზე გადის გაეოქიება?

EXCLUSIVE

პირობებს დევნილ მოსახლეობას. ამ ამბიდან ერთ კვირაში გაუჩინარდა კიდეც. რა ვიფიქრო, აბა, სხვა. ქუთაისში წაართვეს მამას ხელიდან. ეს ყველაფერი გამოიხიება გარკვეული აქვს. ქუთაისში რომ აიყვანეს, შემოვლითი გზებით მიჰყავდათ თბილისისკენ, მაგრამ გეგმები შეეცვალათ, თბილისიდან დაურეკეს, აქ არ ჩამოიყვანოთ, აფხაზეთის კუდ-ს გადააბარეთო”, – ყვება „პრაიმტიმისთან“ საუბრისას თამარ არღვლიანი.

ესაა დავით ცინდელიანზე ანგარიშსწორების ერთი ვერსია, თუმცა არსებობს სხვა ვერსიებიც. მაგალითად, იგივე თამარ არღვლიანი ყვება, რომ მისი შვილი რაიონში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ემინოდათ, იმდროინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხი არ აემხედრებინა.

„დიახ, მეორე ვერსია ის არის, რომ იმ წელს არჩევნები ტარდებოდა. დათო ხელშეშლელი არ იყო, მაგრამ ხალხში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა და ემინოდათ, ხალხი არ გადაებრუნებინა. ნაციონალებს არ უჭერდა მხარს, მაგრამ ხალხსაც არ ამბობებდა მათ წინააღმდეგ. თავისთვის იყო და არაფერში არ ერეოდა. მაინც ეჭვი ჰქონდათ, რომ რამეს აპირებდა. ემინოდათ, დათოს მათ წინააღმდეგ არ შემოეტრიალებინა ხალხი. ვისი მომხრეც თვითონ იქნებოდა, ბევრი მხარს აუბამდა, რადგან პატივს სცემდნენ მის აზრს. დანარჩენი არაფერი ვიცი, ვერაფრით ვხსნი „რატომ გაგვანადგურეს მთელი ოჯახი“, – ამბობს დაკარგული დავით ცინდელიანის დედა.

და კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ცინდელიანისა და რუსი გოგონას სატელეფონო საუბარს უკავშირდება. ამბობენ, რომ აგვისტოს ომის დროს კუდ-მა ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის გაშიფვრის დროს დავით ცინდელიანის სიტყვები ამოიღო, სადაც ცინდელიანი ერთ რუს გოგონასთან საუბრისას ბოროტების სიბოროტად უწოდებდა ტანკების თაობაზე საუბრობს.

კუდ-მა ამ სატელეფონო საუბარს შიონაჟის კვალიფიკაცია მისცა. დავით ცინდელიანი გარემოს დაცვის ინსპექციაში მუშაობდა და პრინციპში, შეტყვევებისგან ჰქონდა ეს ინფორმაცია. ასე რომ, ამის გამო სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნება დაპირდა. თბილისიდან ქუთაისში დავით ცინდელიანის დასაკავებლად კუდ-ის სპეცრაზმი გაიგზავნა. ცინდელიანი სამსახურში თათბირზე დაიბარა თავისმა უფროსმა და როდესაც მანქანა გააჩერა, კუდ-ის თანამშრომლებმა მანქანიდან გადმოართიეს და თბილისის მიმართულეებით წაიყვანეს. ამ დროს ცენტრალური გზატკეცილი (სენაკი-თბილისი) ოკუპირებული იყო და ამიტომ სპეცრაზმი დაკავებული თბილისი-ბოგდანოვკა-ნალკის შემოვლითი თბილისისკენ გაემგზავრა. პირველი დაკითხვა გზაზე განხორციელდა, სადაც დავით ცინდელიანმა აღიარა, რომ ეს რუსი გოგო რამდენიმე წლის წინათ გაიცილა და რომ ეს ინფორმაცია საუბრისას წამოსცდა, მაგრამ არა შპიონაჟის მიზნით. მოკლედ, შიონაჟი არ აღიარა. კუდ-ის სპეცრაზმი გზაში იყო, როდესაც ბრძანება მოუვიდათ, ბათუმისკენ შეტრიალებულიყვნენ და დაკავებული დავით ცინდელიანი ბათუმში ჩაეყვანათ. სპეცრაზმში ამ ბრძანებამ გაკვირვებაც კი გამოიწვია, მაგრამ ბრძანება შეასრულეს. ბათუმში ჩასვლის შემდეგ დაკავებული გადასცეს ბათუმის კუდ-ის სპეცრაზმს, მეტსახელად „მაიმუნას“ მეთაურობით. ბათუმის კუდ-ის თანამშრომლებმა დავით ცინდელიანი კატერზე დასვეს, ზღვაში გაიყვანეს და თავში ერთი გასროლით მოკლეს. შემდგომ სიმძიმე მიაბეს და გვამი ზღვაში გადააგდეს.

ეს ვერსია პირველად ჩეხეთში მყოფმა ქართველმა ემიგრანტმა, გიორგი ლანჩიამ გაახმაურა, თუმცა მას ინფორმაციის წყარო არ დაუკონკრეტებია. ვის ნაუყენებენ ბრალს დავით ცინდელიანის გაუჩინარებასა და მკვლელობაში? როგორც ცინდელიანის ბიძა ოთარ ვიზლიანი ამბობს, „ის თბილისისკენ მიჰყავდათ, თუმცა კუდ-ის მაშინდელი უფროსის, დათა ახალაიას ბრძანებით თბილისში აღარ ჩაიყვანეს, ბათუმში წაიყვანეს

და რომან შამათავას გადასცეს, რის შემდეგაც რეინჯერის კვალი იკარგება“.

შეითხვეს კარგად მოეხსენება, რომ დათა ახალაიას სახელი არაერთ სკანდალურ და გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. ის რამდენიმე კვირის წინ საბერძნეთის პოლიციამ შეცვლილი სახელითა და გვარით დააკავა, თუმცა გასულ კვირას იქაურმა სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

რაც შეეხება რომან შამათავას, ის მაშინ კუდ-ის აფხაზეთის სამმართველოს ხელმძღვანელობდა და დათა ახალაიას ახლო მეგობრად მოიხსენებოდა. შამათავა ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. მას ხურჩის ე.წ. ტერაქტის ორგანიზებას ედავებოდა, თუმცა არ არის გამორიცხული, მას ბრალი დავით ცინდელიანის გატაცებისა და მკვლელობისთვისაც დაუძმომდეს. ცინდელიანის საქმესთან დაკავშირებით მან თავის დროზე მცირე კომენტარი „გურია ნიუსს“ მისცა და აღნიშნა, რომ ხაიში-ჭუბერის სატყეო მეურნეობის 27 წლის რეინჯერის, დავით ცინდელიანი გაუჩინარებასთან საერთო არაფერი აქვს.

„ეს არის ისეთივე აბსურდი, ხვალ ჩვენ რომ გავიგოთ, ამერიკის მი-

ერ დაგეგმილ სპეცოპერაციაში ბინ ლადენის წინააღმდეგ მე ვიყავი წამყვანი ფიგურა. შეგიძლიათ, ეს სიტყვასიტყვით დანეროთ“, – აღნიშნა შამათავამ.

ცინდელიანის საქმეში ფიგურირებს კუდ-ის ცნობილი ოფიცერი გიორგი ჩიქოვანი, იგივე „მაიმუნა“. მისმა სახელმა გაიფურა ანალოგიური შინაარსის კიდევ ერთ საქმესთან კონტექსტში. ეს მაშინ, როდესაც 2008 წლის აგვისტოში ბათუმში მოკლეს როინ შავაძე. არაოფიციალურად ცნობილია, რომ კუდ-ის როინ შავაძესაც შიონაჟში სდებდა ბრალს.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მედიამ გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ „მაიმუნა“ ქვეყნიდან გაიქცა და თავშესაფარს დიდ ბრიტანეთს სთხოვდა. მანამდე ჩიქოვანი განყოფილების უფროსი გამოძიებელი იყო, ის ითვლებოდა აჭარის კუდ-ის უფროსის, თეიმურაზ პატარიძის მარჯვენა ხელად.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ი) სწრაფი რეაგირების განყოფილების ოპერატიული თანამშრომლის, გამომძიებელ გიორგი ჩიქოვანის შესახებ სკანდალური ცნობა პირველად პრესაში 2007 წელს გავრცელდა. მაშინ მას სასამართლოში ქალმა უჩივლა. სასამართლო მასალებში წერია, რომ ჩიქოვანმა „2007 წლის 28 აგვისტოს განსაკუთრებული სისასტიკით



ოთარ ვიზლიანი: „ის თბილისისკენ მიჰყავდათ, თუმცა კუდ-ის მხრიდან უფროსის, დათა ახალაიას ბრძანებით თბილისში აღარ ჩაიყვანეს, ბათუმში წაიყვანეს და რომან შამათავას გადასცეს, რის შემდეგაც რეინჯერის კვალი იკარგება“



თამარ არღვლიანი: „გამოეოქიებულა დაგვიბარა მოდულის შენობაში. გვითხრეს, საქმე უკვე დასრულებულია და უახლოეს დღეებში შეიტყობთ ყველაფერსო. ჩვენ საქმის კურსში ჩაგვყავნენ, რომ ბრიფინგით არ გაგვიგონო ეს ამბავი“

გააუპატიურა“ ერთ-ერთი ნაცნობი გოგონა. მაშინ ჩიქოვანი მე-4 სართულზე კედლიდან აცოცდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება დავით ცინდელიანის გაუჩინარების საქმეზე დასრულდა, ცხედარი ამ დრომდე არ არის ნაპოვნი, რაც კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ მისი ცხედარი ზღვაში გადააგდეს. მაღალი ალბათობით დადგენილია იმ პირთა წრე, რომელთაც გამოძიება ამ საქმეზე ბრალს წაუყენებს: დათა ახალაია, რომელიც ცნობილია საბერძნეთის სასამართლომ გირაოს ქვეშ გაათავისუფლა; რომან შამათავა, რომელიც სასჯელს ხურჩის ტერაქტის საქმეზე იხდის; შემოსხენებული გიორგი ჩიქოვანი, მეტსახელად „მაიმუნა“ და აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი თეიმურაზ პატარიძე, რომელსაც ერთი ბრალდება (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) უკვე წარდგენილი აქვს. გამოძიება პატარიძეს აჭარაში არჩევნების ფალსიფიცირების მიზნით ყალბი პირადობის მონაწილეობის დამაზადებასაც ედავება.

მოკლედ, ცინდელიანის გაუჩინარების საქმის დეტალები საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი. არ არის გამორიცხული, საგამომძიებლო ორგანომ კუდ-ის რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის აღიარებები ჩვენებაც გაავრცელოს.

რა თანხა ედო ჯიბეში სააკა

მარიამ ნადირაძე

მისი ფრენების ინტენსივობა თვალშისაცემი მაშინვე გახდა, როგორც კი პრეზიდენტი დაერქვა. მოგვიანებით კი ხალხს ამაღლიდნენ, – ამ ფრენების შედეგი იყო ყველაფერი, რაც საქართველოსთვის გაკეთდაო...

რა თქმა უნდა, რა გაკეთდა საქართველოსთვის, ამ თემას ამჯერად არ შეეხებოდა, ვინაიდან მსჯელობის საგანი 11 წლის შემდეგაც ისევ სააკაშვილის ფრენებია...

მართალია, ცალკე თვითმფრინავის ხარჯები არ დაუთვლიათ, მაგრამ ძალიან საინტერესო კვლევა შემოგვთავაზა ორგანიზაცია IDFI-მ.

მაშ ასე, გამოსაკვლევი პერიოდი – 2013 წელი... კვლევის საგანი – პრეზიდენტის საზღვარგარეთული მივლინებები... აქცენტები – ძვირადღირებული სასტუმროები და კოლოსალური, გაუთვალისწინებელი ხარჯები... და შედეგი: „სულ, ოფიციალურ ვიზიტებზე გასული წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 857 452 ლარი დაიხარჯა. ამ თანხის 82% – 1 533 222 ლარი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ვიზიტებზე მოდის“, – წერს IDFI.

მკითხველს, რომლის ცნობისმოყვარეობა მხოლოდ ამ მოკლე ფაბულით არ კმაყოფილდება, შეუძლია გამოგვეყვას და დანერგოთ შეიტყოს, სად და როგორ ხარჯავდა პრეზიდენტი მისგან ბიუჯეტში გადახდილ ფულს თავისი პრეზიდენტობის ბოლო წელს. დაიწყოთ იმით, რომ, როგორც ირკვევა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას „სადღელამისო ნორმის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №14/09/10 განკარგულების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის სადღელამისო ნორმის დანამატი განსაზღვრა 900 აშშ დოლარის ეკვივალენტი შესაბამისი ვალუტით. ეს იმას ნიშნავს, რომ საზღვარგარეთული მივლინებების დროს სააკაშვილმა საკუთარ თავს ჯიბის ფულად დღეში 900 დოლარი დაუნესა. თუმცა, ეს ერთადერთი თანხა არ იყო, რომელიც პრეზიდენტისთვის დღიურად იხარჯებოდა.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გასული წლის 10 თვის განმავლობაში (სწორედ ამ დროით მოუწია პრეზიდენტობა 2013 წელს. – მ.ნ.) მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ 41 ვიზიტით იმყოფებოდა. მთლიანობაში ეს სულ 112 კალენდარულ დღეს შეადგენდა, საიდანაც დღიური ნორმა 106 დღისთვის აქვს აღებული, რაც, სულ, დაახლოებით 87 500 დოლარს შეადგენს. აღნიშნული თანხიდან მხოლოდ 5300 დოლარი შეადგენს განსაზღვრულ ნორმას.



რაში დახარჯა ბიუჯეტიდან მილიონ-ნახევარი 10 თვეში ყოფილმა პრეზიდენტმა?

კონკრეტული ქვეყნის შესაბამისად, ხოლო დანარჩენი, დაახლოებით 82 200 დოლარი ყოფილმა პრეზიდენტმა სადღელამისო ნორმის დანამატის სახით აიღო (ამ დანამატის შესახებ კი ზემოთ უკვე მოგახსენეთ. – მ.ნ.). როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, მივლინებების განმავლობაში სადღელამისო ნორმის დანამატი არცთუ ისე მცირე თანხას შეადგენს. მიუხედავად ამისა, სადღელამისო ხარჯი არ იბეგრება და ასევე, არ აისახება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მივლინებების დროს გამოყოფილი სადღელამისო ხარჯი დარიცხვის ნაცვლად ხელზე გაიცემა. ყოველივე აღნიშნული კითხვებს აჩენს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტიანი და მიზანმიმართული განვითარების, ხოლო, მეორე მხრივ, თანამდებობის პირების შემოსავლების გამჭვირვალობის კუთხით, – ნათქ-

ვამია IDFI-ს კვლევაში. ამ თემას უფრო კონკრეტულად მოგვიანებით, ამ ორგანიზაციის დირექტორთან ინტერვიუში შეეხებოთ. მანამდე კი კვლავაც განვავრცოთ „მოგზაურობა პრეზიდენტთან ერთად“.

ახლა კი, რაც შეეხება იმ სასტუმროებში გადახდილ თანხებს, სადაც სააკაშვილი სტუმრობდა.

მკვლევარები სასტუმროების ძვირადღირებული ნომრების გარდა, ყურადღებას პრეზიდენტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ოდენობაზეც ამახვილებენ.

აღმოჩნდა, რომ 2013 წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტების ფარგლებში სასტუმროსთვის გადახდილმა თანხებმა, ჯამში, დაახლოებით 362 000 დოლარი შეადგინა. მათ შორის ყველაზე დიდი ოდენობის თანხა, დაახლოებით 43 300 დოლარი, სახელმწიფო ბიუჯეტს პრეზიდენტის ცხრაღლიანი ვიზიტი დაუჯდა აშშ-ში. ყველაზე ძვი-

რადღირებული ნომერი, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გაჩერდა, იყო სასტუმრო Peninsula New York-ში, სადაც მიხეილ სააკაშვილმა ერთ ღამეში 3500 დოლარი გადაიხადა. სულ 2013 წლის 28 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით სასტუმროში გადახდილია 10 500 დოლარი. აღნიშნულ თანხაში შედის ორი ღამის საფასური, ანუ 7000 დოლარი და პლუს 3500 დოლარი ნომრიდან დაგვიანებით გამოსვლის საფასური.

ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ყოფილი პრეზიდენტი ამ სასტუმროს სტუმრობდა. იქვე გაატარა მან დღე-ღამე 2-დან 3 მაისამდე და ამჯერად ნომერში 950 დოლარი გადაიხადა, თუმცა სასტუმროში ყოფნისას მას, რაღა თქმა უნდა, გაუთვალისწინებელი ხარჯებიც ჰქონდა, რაც 2521 დოლარს შეადგენდა. საბოლოოდ კი, მთლიანად პრეზიდენტის 4 დღე, გატარებული Peninsula New York-ში ქართველ გადასახადების გადამხდელს 15 721 დოლარი დაუჯდა. მთლიანობაში, აშშ-ში 9-დღიანი ვიზიტის განმავლობაში პრეზიდენტის მიერ მხოლოდ სასტუმროს ნომრებში გადახდილი თანხა 950 დოლარიდან 3500 დოლარამდე მერყეობს, ხოლო საშუალო თანხა დაახლოებით 2400 დოლარია. შესაბამისად, 10 დღისთვის სასტუმროს ხარჯები მაქსიმუმ 23 500 დოლარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ნომრიდან გვიან გასვლის საფასურისა და სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების დიდი რაოდენობის გამო, მთლიანობაში გადახდილია 43 804 დოლარი – თითქმის ორჯერ მეტი.

კვლევაში საკმაოდ დანერგულია არის აღწერილი ყოფილი პრეზიდენტის არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ყოფნის გადახდა.

სასტუმროსთვის გადახდილმა თანხებმა, ჯამში, დაახლოებით 362 000 დოლარი შეადგინა.

„ბიორბი მარბველავილის ვიზიტებზე ამ ორ თვეში 49 ათასი ლარი დაიხარჯა. ამ ტენდენციით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის წელიწადში ხარჯავს დაახლოებით 300 ათას ლარს“

ბიორბი კლდიაშვილი

სასტუმროსთვის გადახდილმა თანხებმა, ჯამში, დაახლოებით 362 000 დოლარი შეადგინა

შვილს მივლინებების დროს?

სულ ოფიციალურ ვიზიტებზე გასული წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 857 452 ლარი დაიხარჯა. ამ თანხის 82% – 1 533 222 ლარი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ვიზიტებზე მოდის.

ცხადია, „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რა მასალაზე დაყრდნობით ჩატარდა კვლევა და შეიძლება გახდეს თუ არა ეს ინფორმაცია სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის დევნის საფუძველი. ამისთვის IDFI-ს დირექტორს, გიორგი კლდიაშვილს ვესაუბრეთ:

– ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც გამოვიტოვებთ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და შემდეგ გავაკეთებთ ანალიზს.

– მოთხოვნით როდის მიმართეთ, გასულ წელს?

– სამწუხაროდ, გასულ წელს პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ წარმოადგინა გამჭვირვალე უწყებას. ამის გამო ადმინისტრაციაზე არაერთი საჩივარი გვექონდა შეტანილი. ჩვენი ერთ-ერთი ბოლო კვლევა სწორედ ცენტრალურ საჯარო დანახვებზე იყო. ინფორმაციის გამჭვირვალობას შეეხო და აღმოჩნდა, რომ ამ კუთხით ყველაზე მაღალი გაუმჭობრება – 20% აქვს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

– როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თქვენი კვლევის საგანი სამართალდამცველების დაინტერესების სფეროში მოხდეს?

– პრეზიდენტი შეზღუდული არ იყო იმ ხარჯების განხორციელებაში, რაც ჩვენს კვლევაში მოყვანილი, თუმცა, აქ საუბარია იმაზე, რომ მისი საქმიანობისთვის განხორციელებული ხარჯები არის ბიუჯეტიდან განხორციელებულიც მოქალაქეთა გადასახადებიდან ივსება. შესაბამისად, ის უფრო მეტ ეკონომიას უნდა ეწეოდეს – არ უნდა დახარჯოს ფული ფუფუნების საგნებში. ის სასტუმროს ნომრები, რომლებიც ჩვენ კვლევაში ვაჩვენებთ, ნამდვილად ძალიან ძვირადღირებულია. ეს კი ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით არაკონომიურად ხდებოდა ხარჯვა. შესაბამისად, რამდენად რაციონალურად და მიზნობრივად იყო ეს თანხები დახარჯული, ეს სულ სხვა საკითხია. თუმცა, არა მგონია, ეს სამართალდამცველების ინტერესი გახდეს, რადგან სახეზე დანაშაული არ იკვეთება. ეს თანხები გადაიხადეს ფუფუნებისთვის, რაც ნამდვილად არ მგონია, რომ სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავდეს. სულ სხვა საქმეა, თუ საქართველოში არსებულ სოციალურ ფონს გაითვალისწინებთ. ამ შემთხვევაში სასტუმროს ნომერში ერთ დღე-ღამეში გადახდილი ათასობით დოლარი ნამდვილად თვალშისაცემი ხდება. როგორც ნახეთ, მივლინებებში პრეზიდენტმა მილიონ-ნახევარზე მეტი ლარი გახარჯა...

– ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ამავე დროულად, იმავე პერიოდში დანარჩენ ყველა ვიზიტში ერთბაშად აღებული, სულ 300 ათასი ლარია დახარჯული, როცა ერთი ადამიანი მილიონ-ნახევარს ხარჯავს...

– კვლევის მასალა იყო მთელი 2013 წლის ინფორმაცია მივლინებების შესახებ. აქ იგულისხმება პრეზიდენტ მარგველაშვილის ვიზიტებიც. თუმცა თავად ნახეთ, რომ თითოეულ თანამდებობის პირზე, ვისზეც ეს თანხები განხორციელდა, უფრო ნაკლები მოდის, ვიდრე ეს არის მილიონ-ნახევარი, რაც სააკაშვილმა დახარჯა. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი არანაირად არ იყო შეზღუდული ბიუჯეტის სახსრების გამოყენებაში, არ უფრთხილდებოდა მოქალაქეების ჯიბეს.

– მარგველაშვილი თავისი უფლებამოსილების შესრულებას 17 ნომერის შემდეგ შეუდგა. ერთ თვეში მან მოასწრო მივლინებებისთვის ბიუჯეტის ფულის ხარჯვა?

– იყო ნამდვილად. გიორგი მარგველაშვილის ვიზიტებზე ამ ორ თვეში 49 ათასი ლარი დაიხარჯა. ამ ტენდენციით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის წელიწადში ხარჯავს დაახლოებით 300 ათას ლარს, რაც მილიონ-ნახევარს მესხუთედაა.

– და ამ ყველაფრის მერე მიგაჩნიათ, რომ სახეზეა სააკაშვილის მი-



Peninsula New York



One and Only Royal Mirage Jumeira Beach



Marina Bay Sands Singapore



Mandarin Oriental Singapore

ერ ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვა?

– ფაქტია, რომ მას არ აქვს შეზღუდვა სასტუმროს ნომრის ღირებულებაზე. მას შეეძლო, გაჩერებულიყო როგორც ძალიან ძვირადღირებული, ასევე უფრო იაფში. როგორც ჩანს, სააკაშვილმა მეტი ფუფუნება არჩია.

– თუმცა საქმე მარტო სასტუმროს ნომრებში არ არის... თქვენს

კვლევაში აშკარად ჩანს, რომ ბიუჯეტმა დაახლოებით 7000 დოლარი მარტო იმითომ გადაიხადა, რომ პრეზიდენტმა სასტუმროს ნომრებში განიხილა ორჯერ დააგვიანა...

– მეტიც, თქვენ ნახავდით, რომ ბევრად მეტია ე.წ. გაუთვალისწინებელი ხარჯები. ეს შეიძლება იყოს სასტუმროს რესტორანი, მინიბარი, ან სხვა მომსახურებები, რაც ასეთ სა-

„სულ, ოფიციალურ ვიზიტებზე გასული წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 857 452 ლარი დაიხარჯა. ამ თანხის 82% – 1 533 222 ლარი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ვიზიტებზე მოდის“

სტუმროს აქვს. ეს ყველაფერი მოსახლეობამ უნდა განსაჯოს, რამდენად ადეკვატურია პრეზიდენტისგან ასეთი ხარჯვა იმ რეალობის ფონზე, რაც ქვეყანაში არსებობს. ჩემი აზრით კი, არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რომ ის რამდენიმეათასიან ნომერში გაჩერებულიყო.

– გამოდის, თავისი პრეზიდენტობის ბოლო წელს სააკაშვილმა ბოლომდე მიაჭირა ფეხი პედალს და სრულად შეიერგა პრეზიდენტობის ყველა სიკეთე?

– შეიძლება ასეც ვიფიქროთ არა მარტო ამ მონაცემებით, არამედ სხვა ინფორმაციების ანალიზითაც, თუნდაც იმით, რომ პრეზიდენტობის დატოვებამდე მან სხვა თანამდებობის პირებსაც გაუზარდა დანახვები. ასეთი ფაქტები უხვად ჩანდა მისი პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში.

– გქონდათ საშუალება, ეს მონაცემები წინა წლების ხარჯებთან შეგვედარებინათ?

– სამწუხაროდ, არ გვაქვს წინა მონაცემები, იმ მიზეზის გამო, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ. თუმცა, არა მგონია, წინა წლებში დიდი ეკონომია გაეწია ასეთ ხარჯებში, თუმცა 2013 წლის მონაცემებით რაც ირკვევა, ეს საკმარისზე ბევრია... შესაძლებელია, რომელიმე სხვა ქვეყნის პრეზიდენტისთვის ეს სულაც არ არის კოლოსალური ხარჯი, მაგრამ საუბარი გვაქვს საქართველოზე, სადაც უამრავი სოციალურად შეჭირვებული ადამიანი და

იძულებით გადაადგილებული პირია. ამ ქვეყნის პრეზიდენტი თავს ასეთი ფუფუნების უფლებას არ უნდა აძლევდეს. არა მგონია, თუნდაც სკანდინავიის ქვეყნების პრეზიდენტები ასეთ ფუფუნებას ეძლეოდნენ. საჯარო სამსახური ხალხის სამსახურია და პრეზიდენტიც, პარლამენტის თავმჯდომარეც, პრემიერ-მინისტრიც და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირებიც ადეკვატურები უნდა იყვნენ არსებული რეალობის.

– 2011 წელს სააკაშვილმა საკუთარ თავს მივლინების დროს სადღეღამისო ნორმის დანახვად 900 დოლარი განუხაზღვრა... რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა?

– ამის გარდა, პრეზიდენტს სხვა დამატებითი თანხებიც ეძლევა მივლინების დროს. მას ჰქონდა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რომელიც ნამდვილად არ იყო ცოტა ამ პერიოდში. მას თავისუფლად შეეძლო ამ თანხების განკარგვა. ის 900 დოლარი იყო მისი პირადი ფული, სურვილისამებრ გამოყენებისთვის.

– ერთგვარი ჯიბის ფული?

– დიახ, ჯიბის ფული.

– ეს დანახვატი 2011 წლამდე არ არსებობდა?

– მანამდე არ ფიგურირებს. განსაზღვრული იყო დანახვატი მაღალი თანამდებობის პირებისთვის, თუმცა, ამ განკარგულებით დააზუსტა დანახვატი პრეზიდენტისთვის.

„ყველაზე ძვირადღირებული ნომერი, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გაჩერდა, იყო სასტუმრო Peninsula New York-ში, სადაც მიხეილ სააკაშვილმა ერთ ღამეში 3500 დოლარი გადაიხადა“

თავდაცვის სამინისტრომ ურუსული წარმოებების ა

my View
მირიან გომეზიძე

როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამბობენ, ეს დაახლოებით იგივეა, პენტაგონმა ამერიკის შეიარაღებული ძალებისთვის მესამე ქვეყნის გავლით ირანული წარმოების ტექნიკა რომ იყიდოს, ოღონდ ეს მესამე ქვეყანა ირანის ერთ-ერთი მჭიდრო მოკავშირე უნდა იყოს. ცხადია, ეს ამერიკაში არ მოხდება, რადგან იქ კარგად ესმით, რას ნიშნავს ქვეყნის უსაფრთხოება. ამერიკელები, ალბათ, ვერაფრით გაიგებენ, რატომ უნდა შეიძინონ მტრული ქვეყნის მიერ წარმოებული ტექნიკა ამერიკული არმიისთვის, თუმცა ის, რაც რიგითი ამერიკელისთვისაც კი წარმოუდგენელია, სრულიად წარმოსადგენია ქართული რეალობისთვის.

ამ სტატიის მიზანი სრულყოფილად არ გახლავთ საზოგადოებაში რუსოფობიის გაღვივება, მით უმეტეს, შეთქმულების თეორიების აგება ალასანიას უწყების ირგვლივ. ჩვენი ინტერესი გამოიხატება ფაქტებში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სატენდერო კომისიის მიმართ გარკვეულ შეკითხვებს ბადებს – მაშინ, როდესაც ქვეყანა ხატოსკენ მიისწრაფვის, რამდენად მიზანშეწონილია რუსული ტექნიკური აღჭურვილობის შექცევა ქართული არმიისთვის?

მოკლედ, „პრაიმტიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი სომხური კომპანია „ARPANIV“ გახდა, რომელიც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უწყებას აკუმულატორებითა და საბურავებით ამარაგებს. ჩვენ მიერ მოძიებული დოკუმენტაციით, ირკვევა, რომ ეს კომპანია არ გახლავთ უშუალო მწარმოებელი და ის საქართველოში რეექსპორტს რუსეთიდან ახორციელებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო სატენდერო ავტომატიზაციის საბურავების შესყიდვაზე ტენდერი 2014 წლის 24 თებერვლს გამოაცხადა, აკუმულატორების შესყიდვაზე კი – 4 მარტს. ამ დროისთვის „არპანივი“ საქართველოს ბაზარზე საერთოდ არ ოპერირებდა. მეტიც, საძიებო სისტემაში ამ კომპანიის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ იძებნება. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ „სტენოური“ საწარმოს ფილიალი „არპანივი“ საქართველოში მხოლოდ 2014 წლის 14

თავდაცვის სამინისტროს სატენდერო კომისიამ უპირატესობა მიანიჭა სულ რამდენიმე დღის წინ დარეგისტრირებულ სომხურ კომპანიას, რომელიც რეექსპორტს რუსეთიდან ახორციელებს



თავდაცვის სამინისტრო: „კომპანია „არპანივი“ რეგისტრირებულია სომხეთში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება“



მარტს დარეგისტრირდა. კომპანიის იურიდიული მისამართი პეტრე იბერის ქუჩაზეა. დირექტორის პოზიციაზე კი სოს შაკობანიას მითითებული.

საქართველოში დარეგისტრირებისთანავე „არპანივი“ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში განაცხადი წარადგინა. სამრავლიან ფაქტობაზე ის კონკურენციას ცნობილ ბრენდს „თეგეტა მოტორსს“ უწევდა, თუმცა თავდაცვის სამინისტროს სატენდერო კომისიამ, მთელ რიგ შემთხვევებში, უპირატესობა მიანიჭა სულ რამდენიმე დღის წინ დარეგისტრირებულ სომხურ კომპანიას, რომელიც, როგორც მოგახსენებთ, რეექსპორტს რუსეთიდან ახორციელებს. სატენდერო კომისია ტენდერში „არპანივის“ გამარჯვებას შემთავაზებული დაბალი ფასით ხსნის, თუმცა „თეგეტა მოტორსისა“ და სომხური კომპანიის მიერ შეთავაზებულ ფასებს შორის სხვაობა იმდენად მიზიარებულია, ვერ ვიტყვით, რომ ტენდერში „თეგეტას“ გამარჯვებით თავდაცვის სამინისტრო მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს განიცდიდა. მაგალითად, სატენდერო ავტომატიზაციის საბურავებზე გამოცხადებულ ერთ-ერთ ტენდერში „თეგეტა მოტორსის“ მიერ წარდგენილი საბოლოო ფასი 197 ათას 914 ლარია, „არპანივის“ მიერ წარდგენილი ფასი კი – 197 ათას 913 ლარი. ახუ ალასანიას უწყებამ რუსული წარმოების საბურავებს უპირატესობა მხოლოდ ერთლარიანი სხვაობის გამო მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ტენდერში

გამარჯვება „თეგეტა მოტორსმა“ მოიპოვა, „არპანივთან“ დადებული ხელშეკრულება, ამ საქმეში ჩახედულ ადამიანებში სერიოზულ კითხვებს ბადებს.

რეალურად, რატომ შეაჩერა არჩევანი თავდაცვის სამინისტრომ ტენდერის გამოცხადების შემდეგ დარეგისტრირებულ კომპანიაზე? ამის გასარკვევად, ჩვენ „არპანივის“ თბილისის წარმომადგენლობას მითითებულ კოორდინატზე დაუკავშირდით, თუმცა პიროვნებამ, რომელიც ჯერ კომპანიის წარმომადგენლად გაგვეცნო, შემდეგ კი – ბინის შეპატრონედ, კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

„მე არ ვარ უფლებამოსილი პირი. მე, უბრალოდ, ბინა მივაქირავე ამ კომპანიას. მათთან ვერ დავაკავშირებთ. ჯერ შევეცმიანები და მერე თავად დაგიკავშირდებიან“, – გვითხრეს მითითებულ ნომერზე, თუმცა კომპანიიდან არავინ შეგვხშიანებია.

რა თქმა უნდა, მეზობელ სომხეთთან სავაჭრო ურთიერთობების წინააღმდეგი არავინაა, თუმცა როდესაც საქმე ეხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, სპეციალისტები შესაბამის უწყებებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებენ. მოგეხსენებათ, სომხეთი რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა. მით უმეტეს, ეს ქვეყანა ODKB კავშირის წევრია და იქ განლაგებულია რუსეთის სამხედრო ძალები. საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი სწორედ ODKB კავშირის მთავარ ძალას, რუსეთს აქვს ოკუპირებული.



დირექტორი შაკობანი: „სომხეთი არის რუსეთთან სამხედრო ალიანსში და იმ ფუნქციონირებს რუსეთის ბაზა. აქედან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სამხედრო, ან ორმაგი დანიშნულების პროდუქცია შექმნილი იყოს სომხური კომპანიიდან. კომპანიიდან, რომელსაც, როგორც ჩანს, საკმაოდ გუნდოვანი წარსული აქვს“

ეიარაღები უფრო ძალზე უფროსი დჭურვილი ღობა უფროსი

EXCLUSIVE

რა საფრთხეს უქმნის საქართველოს უსაფრთხოებას რუსეთში წარმოებული ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა? ამის გასარკვევად „არაიმპატივი“ თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დიმიტრი შაშკინი დაუკავშირდა. შაშკინი ამბობს, რომ საქართველოს 1990-იან წლებში ერთხელ უკვე შეიძინა ასეთი არცთუ ისე წარმატებული გამოცდილება, როდესაც რუსეთში წარმოებული იარაღი შეიყვინძურდა და აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს ქართველ ჯარისკაცებს იარაღის ფეხით გადატანა უწევდათ.

დიმიტრი შაშკინი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:

— სომხეთი არის ჩვენი მეზობელი ქვეყანა და მასთან კარგი სავაჭრო ურთიერთობა ჩვენს ინტერესებშიცაა, მაგრამ არსებობს ქვეყნის უსაფრთხოების ცნება, რომელიც არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. მინდა თქვენს მკითხველს შევახსენო, რომ სომხეთი არის რუსეთთან სამხედრო ალიანსში და იქ ფუნქციონირებს რუსეთის ბაზა. აქედან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სამხედრო დანიშნულების, ან ორმაგი დანიშნულების პროდუქტის შექმნილი იყოს სომხური კომპანიიდან. კომპანიიდან, რომელსაც, როგორც ჩანს, საკმაოდ ბუნდოვანი წარსული აქვს. მეც ახლა გადავადრინე და ამ კომპანიის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება, გარდა იმისა, რომ რეგისტრირებულია ერევანში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ტენდერის გამოცხადებიდან ორ კვირაში ოფისი გახსნა თბილისში. მინდა შეგახსენოთ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში შევარდნაძის ხელისუფლებამ შეისყიდა რუსეთიდან „კალაშნიკოვის“ ტიპის იარაღი, რომელიც აფხაზეთის ომის დროს გახდა სერიოზული მსხვერპლის მიზეზი ჩვენი მხრიდან. ეს ავტომატები აღმოჩნდა შეზღუდული და ეგრევე დაუახვდა. ვინც აფხაზეთის ომის დროს ომობდა, კარგად ემახსოვრებათ, რომ პრაქტიკულად ფეხით უხდებოდათ იარაღის გადატანა ჩვენს ჯარისკაცებს.

— იარაღი გასაგებია, მაგრამ საბურავების შესყიდვა რამდენად სარმოადგენს საფრთხეს?

— ჯარის მობილობა ნებისმიერ მომენტში უმნიშვნელოვანესია. როდესაც მტრული ქვეყნის მიერ წარმოებულ პროდუქტს იძენ, უნდა გეცოდეს, რომ ეს მთელ რიგ რისკებთანაა დაკავშირებული. ამ დოკუმენტებით ჩანს, რომ ეს არის საბურავები, რომელიც სატვირთო ავტომობილებს უყენებდა, რითაც ქართული ჯარი გადაადგილდება. აკუმულატორები დგება ჯავშანტექნიკაშიც, სატვირთო ავტომობილებშიც და ა.შ. სხვა ალტერნატივა რომ არ არსებობდეს, კიდევ გავიგებდი ამას, მაგრამ ეს ხომ არის პროდუქტია, რომელსაც რუსეთი ექსპორტორად არ ანარმოვანებს ხომ? რატომ მოხდა მანცვლადიანც ამ კომპანიის არჩევანის გაკეთება, ეს სერიოზულ შეკვებებს ბადებს. მე არ ვარ საგამომიებო ორგანო და არ მინდა სპეკულაციები დაეწყო იმ თემაზე, რომელიც ენება ქართულ ჯარს, მაგრამ ნამდვილად მიჩნდება კითხვები.

— ამ შესყიდვას არ ადევს გრიფი „საიდუმლო“... როგორ ფიქრობთ, რატომ?

— საერთოდ, დიდ სისულელედ მიმაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს შესყიდვები ღია იყოს, რადგან ეს არის სპეციფიკური უწყება და პირდაპირა დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოებასთან. თუ ალასანია ვინმე არ ენდობა გუნდის შიგნით და ეუბნება, ღია ტენდერები ჩაატარო, ესეც სერიოზული პრობლემაა.

„ანტიკორუფციული მედიაცი-ენტის“ ხელმძღვანელი პეტრე ნურნუშია:

— რა თქმა უნდა, ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ტენდერის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში ფუნქციონირებს „უცხოური ნაწარმის ფილიალი“, მონაწილეობს თავდაცვის სამინისტროს ტენდერში და იმარჯვებს უპრობლემოდ. რატომ შეიქმნა ფორსმაჟორულ ვითარებაში ამ კომპანიის ფილიალი? ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება. ვფიქრობ, თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ეს უფრო მეტი დაფიქრების საგანი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ტენდერში გამარჯვებულ ქვეყნის კომპანიამ, სადაც რუსეთის სამხედრო ბაზაა განთავსებული. საინტერესოა, ეს კომპანია ანდის თუ არა იგივე პროდუქტს იქ განთავსებულ რუსულ არმიასაც? ეს უნდა იყოს სერიოზული მსჯელობის საგანი, რადგან

ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ კვიციანიას სახით და მეორე მხრივ, შპს „არაიმპი“, წარმოდგენილი ნუგზარ სამხარაძის სახით, მხარეთა შორის 2014 წლის 22 აპრილს დადებული №269 ხელშეკრულების საფუძველზე ედებო შეთანხმებას მასზე, რომ:

1. შეიცვალოს, 2014 წლის 22 აპრილის №269 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული, მისაწოდებელი საქონლის მწარმოებლის დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მწარმოებელი სს „არაიმპი“, რუსეთი“.




პეტრე ნურნუშია: „ჩნდება ეჭვი, რომ აქ ვილაცის ინტერესი დევს. სხვა შემთხვევაში, როგორ შეიძლება ხელშეკრულება გაუფორმოდ კომპანიას, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ დარეგისტრირდა ქვეყანაში და არანაირი ინფორმაცია მის შესახებ არ მოიპოვება“



ან მხარე გამოცდილება გვაქვს ამ მიმართულებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენ, როგორც ერთ-ერთი სამართალმემკვიდრეს, გვერცო სამხედრო ტექნიკის რაღაც ნაწილი, რომელიც პრაქტიკულად გამოუსადეგარი გახლდათ. მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა კვლავ რუსულ შეკვეთებზე იყოს დამოკიდებული.

— რა ინტერესი შეიძლება იყოს აქ?

— რა თქმა უნდა ჩნდება ეჭვი, რომ



პეტრე ნურნუშია

ლირეული ნორმებით აკრძალულია. ტენდერის გამოცხადების შემდეგ ფილიალის დარეგისტრირება არავითარ დარღვევას არ წარმოადგენს. ზემოაღნიშნულმა კომპანიამ სრულად დააკმაყოფილა სატენდერო მოთხოვნები და პირობები. შესაბამისად, ყველა არსებული კანონისა და ნორმის დაცვით 3 ტენდერში გამარჯვება შპს „არაიმპი“-ს, განვიმარტეს თავდაცვის სამინისტროში.

უწყების ინფორმაციით, საბურავების შესყიდვის მიზნით, სულ, 7 ტენდერი ჩატარდა, აქედან ოთხ ტენდერში გამარჯვდა „თეგეტა მოტორსმა“, სამი კი — „არაიმპი“. თავდაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ, საერთო ჯამში, ვაჭრობის შედეგად 456 ათას 511 ლარის დაზოგვა მოხდა.

პეტრე ნურნუშია: „ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, სადაც განთავსებულია რუსეთის სამხედრო ბაზა. საინტერესოა, ეს კომპანია ანდის თუ არა იგივე პროდუქტს იქ განთავსებულ რუსულ არმიასაც? ეს უნდა იყოს სერიოზული მსჯელობის საგანი, რადგან მხარე გამოცდილება გვაქვს ამ მიმართულებით“

ექიმების არაპროფესიონალიზმი თუ გულბრილობა? -

სალომე გოგონია

გასულ კვირას 2 წლის და 4 თვის ნიკოლოზ კეთილადის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გავიდა. ექიმების დიაგნოზის მიხედვით, ბავშვის გარდაცვალების მიზეზი სეფსისი, პნევმონია და სუნთქვის უკმარისობა გახდა. გარდაცვლილის ოჯახი გვიყვანის სახელობის ბავშვთა პედიატრიული კლინიკის ექიმებს არაპროფესიონალიზმსა და პაციენტის მიმართ გულგრილობაში დებს ბრალს.

მომხდართან დაკავშირებით ვანდაცვის სამინისტრო მოკვლევას ატარებს. საბოლოო დასკვნის შემდეგ ცნობილი გახდება პატარას მკურნალობა სწორად ჩაუტარეს თუ არა, ხოლო მკურნალ ექიმს საქმიანობას შეუწერებენ თუ არა.

პატარა ნიკოლოზის გარდაცვალების შესახებ საზოგადოებამ „ფეისბუქის“ მეშვეობით შეიტყო. ბავშვის მამამ, გიორგი კეთილადემ სოციალური ქსელით სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ყვანის სახელობის კლინიკას „სასაკლავოს“ უწოდებს, ხოლო იქაურ ექიმებს მისი შვილის გარდაცვალებამ ადანაშაულებს.

„თუ თქვენი პატარის ბედი გალევებთ, მოერიდეთ გვიყვანის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, რეანიმაციის განყოფილებაში მოთავსებას, სადაც პატარების ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო მძიმდება და შესაძლოა, ყველაფერი ფატალურად დამთავრდეს... მივმართავ ყვანის კლინიკის დირექციას: საავადმყოფოზე გითავსებთ აბრა, სადაც წერია „გ.ყვანის სახელობის საუნივერსიტეტო პედიატრიის აკადემიური კლინიკა“, ჩამოსხნან და მის მაგივრად დაკიდონ აბრა, სადაც დანერგო იქნება - „ბავშვების სასაკლავო“- ამონარიდი გიორგი კეთილადის წერილიდან.

ჯანდაცვის სამინისტრო მომხდართ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ბავშვის მშობლებმა მკურნალი ექიმის დღიური გველესიანის მიმართ საჩივარი დაწერეს. ამ დროისთვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო საქმის შესწავლას განაგრძობს.

„საქმე ძალიან დიდი მოცულობისაა. ამიტომ, ვერაფერს მიმდინარეობს შესწავლა. ზუსტი თარიღი, დასკვნა მზად როდის იქნება, ამის თქმა ვერ არ შეგიძლია,“ - გვითხრა რეგულირების სააგენტოს პრესამსახურის წარმომადგენელმა მარიამ ყვანამ.

რა მოხდა ყვანის სახელობის კლინიკაში, რატომ გართულდა კლინიკაში მიყვანილი 2 წლის ნიკოლოზის მდგომარეობა და რაში ადანაშაულებს ოჯახი კლინიკის მედ-პერსონალს, ამის გასაგებად „პრაიმტაიმი“ კეთილშინაობის ოჯახში იმყოფებოდა.

პატარა ნიკოლოზის მშობლებთან საუბარს უტრემლოდ არ ჩაუვლია. ითახში, სადაც ვისხდით, კედლებზე, ყველგან ნიკოლოზის ფოტოებია გაკრული, საიდანაც მომობირა ბავშვის თვლები შემოგვცქერის. ძნელია დაიჯერო, რომ ამ პატარა ანგელოზზე წარსულში საუბრობს, რომლის სიცილი რამდენიმე დღის წინ ამ სახლს ავსებდა, ირგვლივ მისი სათამაშოები ეფინა...

როგორც ოჯახმა გვიამბო, ნიკოლოზს დაუნის სინდრომი ჰქონდა. პატარას ბოტასის სარქველი ღია ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გულთან მდებარე სადინარი ღიაა. ოპერაცია შარშან, მაისში გაუკეთდა, რის შემდეგ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესებულა.

„ბოტასის სარქველი ღია იყო, ამიტომ სისხლი, რომელიც გულში

ექიმთა ადნიშნა კიდევ, დედამისის დანახვაზე როგორ გაიღიმა და გაჩერდა, პალატაში ხომ არ გადაგვეყვანა დედასთან ერთად. მე ხომ თავიდანვე გითხარით, რომ ჩემ გარეშე ძალიან გაუჭირდება-მეთქი“

უნდა გადასულიყო, ფილტვში ხვდებოდა, რაც 99%-ში ფილტვების ანთებას იწვევდა. ორჯერ ზედიზედ ფილტვების ანთება მძიმე ფორმით ჰქონდა, მაგრამ თმქის ბავშვთა მესამე საავადმყოფოს ექიმებმა ბავშვი მდგომარეობიდან გამოიყვანეს. ორივე ფილტვის ტოტალური დანრდილება ჰქონდა, ამის მიუხედავად, მკურნალმა ექიმმა, პაატა ნემსაძემ სუნთქვის აპარატზე მაინც არ გადაიყვანა, ამ დროს იმუნიტეტი უფრო ქვეითდებაო. ასეთი სიმძიმის მიუხედავად ბავშვი მდგომარეობიდან გამოიყვანეს. შარშან მაისში ვო უნის კლინიკაში გაუკეთეს ვასკულარული და ბოტასის სარქველი დაუხურეს. ამის შემდეგ ძალიან კარგად იყო, რეანიმაციის ცენტრშიც დაგვეყვანა ვარჯიშებზე. ბავშვი კონტაქტური იყო, ოჯახის წევრებს გვეცნობდა, გვეთამაშებოდა. 9 აპრილს, როცა ვარჯიშიდან მოვიყვანე, საღამოს სიცხე მისცა - 38,5. ეფერაღვანის საბავშვო გაუკეთეთ. ღამით სიცხე ისევ მისცა, 38-მდე, მფითავდა. მეორე დღით მის მკურნალ ექიმთან დარეკვა გადავწყვიტე, მაგრამ ვერ ძალიან ადრე იყო, ამიტომ მომერიდა. პოლიკლინიკის ექიმებიც დღის 10 საათიდან მოდიან. ამიტომ სასწრაფო გამოვიძახე. ექიმმა გასინჯა და საავადმყოფოში გადაყვანა შემომთავაზა. მეც დავეთანხმე. თავისუფალი ადგილი ყვანის კლინიკაში აღმოჩნდა. მივიყვანეთ. ბავშვი გასინჯეს და სუთქვა არ მოგვონს, რენტგენი უნდა გადავუღოთ.

ეგრევე გამომტაცეს ხელიდან და მიდა ლიფტით გააქანეს, თქვენ ფეხით ამოდიეთ. ზოგადად, ბავშვებს უცხო გარემოში ადაპტირება უჭირთ, მით უმეტეს დაუნის სინდრომის ბავშვს, ჩემზე მოკვლევადი იყო. ტიროდა, არ ჩერდებოდა. ცოტა ხანში ექიმი დღიურ გველესიანი გამოვიდა და გვითხრა, პასუხი სამ საათში იქნებაო. გვითხრა, მარჯვენა ფილტვის ანთება აქვსო. ანალიზები გაუკეთეს და ლეიკოციტები მომატებულია. ფუთხარი, შარშან ორივე ფილტვის ანთება ჰქონდა მძიმე ფორმით, ერთი ანტიბიოტიკი არ უშველის, კომბინირებული უნდა-მეთქი. კარგი, კარგი. მესამე დღეს დაუნის იმ ანტიბიოტიკის გაკეთება, რომელზეც მე ვუ-

თხარი. იმ დღეს ნიკოლოზს არ შეგვიშვეს. ვთხოვეთ, ძალიან მგრძობიარე ბავშვია და უდევოდ ყოფნა გაუჭირდება-მეთქი, მაგრამ არ შეიძლებაო. სწორად მაინც შემიშვი-თ-მეთქი, კიო, მაგრამ ნათქვამი დაპირებად დარჩა. რეანიმაციულ განყოფილებაში ნახვის დროდ მითითებულია: დღის პირველიდან 2 საათამდე და საღამოს 7-დან 8 საათამდე. ისიც რამდენიმე წამით გაჩვენებენ ბავშვს. მეორე დღეს, როცა შევედი, ნიკოლოზი ტიროდა. მთელი ღამე ტიროდა, არ ჩერდებოდა, საბანს ვაფრებოდა და იხდისო, უკმაყოფილოდ მითხრა ექიმმა. თავი მარცხნივ ჰქონდა მიბრუნებული, ვერ მხედვდა. მარჯვნიდან მიუახლოვდი და ვუთხარი, ნიკოლოზ, დედა, მოვედი, აქ ვარ-მეთქი, თავისი საყვარელი სიმღერა ვუძღურე - „გაზე მირბის კურდღელი“... გადმოხვედა და ეგრევე გამოცანა. დამშვიდდა და ტირილი შეწყვიტა. ეს მისი ბოლო გაცინება იყო“, - ამ სიტყვებზე ნიკოლოზს დედას ხატის ცრემლები მოერია...

„ექიმანა აღნიშნა კიდევ, დედამისის დანახვაზე როგორ გაიღიმა და გაჩერდა, პალატაში ხომ არ გადაგვეყვანა დედასთან ერთად. მე ხომ თავიდანვე გითხარით, რომ ჩემ გარეშე ძალიან გაუჭირდება-მეთქი“, - გვიამბობს პატარას დედა.

დედის თქმით, მისი შვილი ექიმებს სანოლზე დაბმული ჰყავდათ. „მესმის, რომ ხელზე კათეტერი ჰქონდა, წრიალებდა და რომ არ მოეხსნა ამ მიზნით შეიძლება ერთი ხელი დაუკავო, მაგრამ ხელ-ფეხის დაბმა რა უბედურებაა?! ბავშვი წრიალებდა, თავს იქით-აქით აქნევდა. მეორე დღეს დღიურ გველესიანმა მითხრა, რომ სუნთქვის აპარატზე უნდა გადავიყვანოთ, რაზეც შევნიშნა დედა. ორივე ფილტვის ტოტალური დანრდილება როცა ჰქონდა, ექიმმა მაშინ არ გადაიყვანა სუნთქვის აპარატზე და მდგომარეობიდან მაინც გამოიყვანა-მეთქი. ირონიულად მითხრა, მაჩვენე ის რენტგენი და მკურნალი ექიმი, რომელმაც განკურნაო. სუნთქვის აპარატზე გადაყვანის დროს ბავშვს ფსიქოტროპული ნაწილებით თოშვენ და აძინებენ. როგორც ჩანს, მისი ტირილით ნუხნდებოდნენ. ასეთ დროს ექიმზე ხარ დამოკიდებული და მის ნინაღმდეგ ვერ მიდიხარ. ცუდად რომ დალაპარაკო, შეიძლება უარესი გაუკეთოს ბავშვს. ამიტომ, მონივნით ველაპარაკებოდი. თურმე, პირიქით უნდა მოეცე და მკაცრად უნდა ელაპარაკო“, - ამბობს ნიკოლოზის დედა.

დედის თქმითვე, მესამე დღეს ბავშვის მდგომარეობა დამძიმდა. რეანიმაციაში შესულმა ბავშვს კისერზე ნაწილები უნახა, „ორ დღეში ბავშვს ნაწილი როგორ გაუჩნდა-მეთქი? რა ვიცი, გაუჩნდაო აგდებულად მიპასუხეს“.

ნიკოლოზის მამა, გიორგი: „ვთხოვე, ბავშვს ხანდახან ადგილი შეუცვალეთ, იმ



„მესმის, რომ ხელზე კათეტერი ჰქონდა, წრიალებდა და რომ არ მოეხსნა ამ მიზნით შეიძლება ერთი ხელი დაუკავო, მაგრამ ხელ-ფეხის დაბმა რა უბედურებაა?!“

ადგილებზე ხელი გადაუსვით და ნაწილი არ გაუჩნდება-მეთქი. მაგის დროს სად გავქვს, რომ ყველას მასაჟები ვუკეთოთ, ასეთი პასუხი მივიღე“.

მომდევნო დღეებში ნიკოლოზს შემუშება დაეწყო. ვერ ვისერი შეუსივდა, შემდეგ სხეულის დანარჩენი ნაწილები.

„კვირა დღეს შევედი და რას ვხედავ, 13-კილოანი ბავშვი 30 კილო გამხდარა. ხელები, თითები, მუცელი, ყველაფერი შემუშებული აქვს. ვეკითხები, რატომ მუსივდა, რა სჭირს-მეთქი. მორიგე ექიმმა, ნინომ, გვარი არ ვიცი, მე რა ვიცი, ასეთი გადმოაბარესო, გადმოგაბარეს რა, ნიეთა?! ექიმი არ უნდა დაინტერესდეს ავადმყოფის მდგომარეობით? მუშუბნობდნენ ეს მეთოხე ხარისხიანი შესივება, ეგ არაფერია, თქვენ იმაზე იფიქრეთ, რომ ფილტვების ანთება ალავდესო. შესივების გამოწვევს მიზეზს არ ამბობდნენ, ბავშვს ანალიზებს ყოველდღე უკეთებდნენ და ის ვერ გაიგეს, რომ ორგანიზმში სეფსისი მიმდინარეობდა?“ - ამბობს ხატია კეთილადე.

მშობლები ექიმს გულგრილობაშიც ადანაშაულებენ. „მკურნალ ექიმს, დღიურ გველესიანს ტელეფონის ნომერი ვთხოვეთ, უარი გვითხრა, უფლება არ მაქვს მოგვცეთო. აბა, როგორ გავიგოთ ბავშვის მდგომარეობის შესახებ, ტელეფონს არ გვაძლევთ. შიგნით არ გვიშვებთ, სახლში ვერ ვჩერდებით-მეთქი. ჩვენ თვითონ დავაკავშირდებითო, ასეთი პასუხი გავგვცა“.

ბავშვის გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, კლინიკის ექიმმა მშობლებს თრომბოპლანზას მოტანა დაავალა, რადგან სისხლში თრომბოციტების მარცხენი დავარდა.

„გავიქეცი, მოვიტანეთ, მაგრამ ანალიზებს ყოველდღე უკეთებდნენ და რაღას უყურებდნენ? უკიდურეს შემთხვევამდე საქმე რატომ მიიყვანეს? შემდეგ მითხრეს, ბავშვის ტემპერატურა დაეცა, 35 აქვსო. ბავშვის ხელი რომ მოვკიდე, გაყინული იყო. სათბურები დაადეთ ან რატომ არ აუცილებთ. ტანსაცმელი არ მოგიტანიათო... როგორ არა, პირველივე დღეს მოვიტანე-მეთქი. გველესიანმა ექიმს უთხრა, უფრო გამთლიანე, ნახე თუ არისო, უფროში მართლაც იყო ბავშვის ტანსაცმელი. კი, ყოფილა, გადააცვიტ

და თქვენ გაბრძანდით. დარწმუნებული ვარ, არ ჩააცვს, რადგან 16 აპრილს, დღით, სანამ გარდაიცვლებოდა, ბავშვი ისევ ტიტველი იყო“ - ამბობს ხატია.

ოჯახის თქმით, ბავშვის მდგომარეობასთან დაკავშირებით დღიურ გველესიანს მუდამ ერთი და იმავე პასუხი ჰქონდა, რომ მდგომარეობა სტაბილურია. თუმცა, გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, როგორც ბავშვის მამა გვიამბობს, მას ერთი მორიგე ექიმი ესაუბრა, რომელმაც უთხრა, რომ მისი შვილის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო.

„თითქოს მამაზედებოდა, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა. თქვენ, ალბათ, იცით, რომ ბავშვის მდგომარეობა ძალიან მძიმეაო. როგორ, გველესიანი მუშუბნება სტაბილურია-მეთქი. მაშინვე გადავურეკე გველესიანს და ცოტა ხანში მუშუბნება, დაურეკეთ, დღიურ გველესიანმა მითხრა, რომ ბავშვის ანალიზების შემდეგ მშობლები არ მინახავსო. ტელეფონის ნომერს არ გვაძლევდა, ნახვის უფლებას არ გვაძლევდნენ და რანაირად? როცა ანალიზის პასუხი მიიღო ხომ უნდა დაგვეკავშირებოდა, როგორც დავგვირდა? 16 აპრილს დღით, გასაყოფილები გამგემ, ანა იაკობაშვილმა დაგვირეკა, სასწრაფოდ მოდიეთ“, - იხსენებს გიორგი კეთილადე.

„ბავშვს უკვე გუგუბი გადიდებული ჰქონდა. ჩვენს ექიმს დავურეკე, ვუთხარი რა სიტუაციაც იყო. სასწრაფოდ ყველა ანალიზის პასუხი მომიტანეთო, ჩემი მუშუბნე ავიდა ზემოთ და რა ანალიზის პასუხი, ბავშვს გული გაუჩერდა, ორი ადრენალინი



მკურნალი ექიმი დიდა გველესიანი



დედა

რა გახდა 2 წლის ბავშვის გარდაცვალების მიზეზი?



გავუკეთეთო. თითქოს ჩვენ მისვლას ელოდა, 15 წუთში ბავშვი გარდაიცვალა... მერე რა მოხდა არ მახსოვს, მასულიერებდნენ". - გვიამბო ნიკუშას დედა.

ნიკუშას მამა: „მკითხეს, სასახლე გაქვსო? რატომ უნდა მქონოდა სასახლე? ბავშვის გარდაცვალებას ხომ არ ველოდით? არა, არ მაქვს-მეთქი, მაშინ „კარდონში“ ჩავიდებო და ისე წაიღეთო. არ მინდა, მე თვითონ წავიღებ-მეთქი. ზენარში შეახვიეს და მომცეს. მკითხეს, გვამის გაკვეთა გასურთო? არა-მეთქი, მაშინ ხელი მოაწერე, რომ უარს ამბობო. არც ნამკითხავს ისე მოვანერე ხელი. მოგვინებით წავიკითხე და ენერა, რომ უარს ვაცხადებ გვამის გაკვეთაზე და პრეტენზია არ მაქვს მედ-პერსონალის მიმართ“.

ოჯახი მედ-პერსონალს გულგრილობასა და პაციენტის მიმართ ზერულ დამოკიდებულებას ადანაშაულებს.

„ექიმი მონოდებით უნდა იყო. მხოლოდ განათლება საკმარისი არ არის. ჟვანას კლინიკაში მონოდებით ექიმები ვერ ვნახე. თუ პაციენტზე გული არ შეგტკივა... მე ვიცი ექიმები, რომლებიც სასახურის მერეც ინტერესდებიან პაციენტების მდგომარეობით“, - ამბობს ნიკუშას მამა.

„ბავშვზე ამბობდნენ დაუნის დაავადება სჭირსო, ექიმმა არ უნდა იცოდეს დაუნის სინდრომი თუ დაავადება? მეორეც, მე მივიყვანე ფილტვების ანთებით და რა შენი საქმეა ჩემს შვილს აუტისმი სჭირს, დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა თუ სხვა? შენი ვალია იმ ანთებას უმკურნალო. შარშან რა, დაუნის სინდრომი არ ჰქონდა? მეუბნებოდნენ, ბავშვს დაბალი იმუნიტეტი აქვსო. არადა, პაატა ნემსაძე (თემქის მესამე საავადმყოფოს ექიმი) გვეუბნებოდა, რასაც ამან გაუძლო, ჯანმრთელი ბავშვი ვერ გაუძლებდაო. ყველაზე მეტად ნიკოლოზს უჩემოდ ყოფნა გაუჭირდა. ეტყობა, არ სურთ ჩაგახედონ რა ხდება რეანიმაციულ განყოფილებაში და ამიტომ არ გვიმკვდნენ“, - ამბობს ბავშვის დედა.

ნიკოლოზის გარდაცვალების მიზეზად სეფსისი, პნევმონია და სუნთქვის უკმარისობა ცხადდება. თუმცა, ბავშვი კლინიკაში მხოლოდ პნევმონიის დიაგნოზით შეიყვანეს. რამ გამოიწვია სეფსისი, ამაზე პასუხი არ აქვთ.

„სეფსისის ინვესი სტაფილოკოკი. მოვიძიეთ ინფორმაცია სტაფილოკოკის შესახებ. რაც არ უნდა საოცარი იყოს, ის

„მკითხეს სასახლე გაქვსო? არა-მეთქი, მაშინ „კარდონში“ ჩავიდებო“

EXCLUSIVE

უმეტესად ჩნდება საავადმყოფოებში. სანიტარული ნორმების დარღვევის, აპარატის ჩადგმის დროს. ვეჭვობთ, რომ სუნთქვის აპარატურა სათანადოდ დამუშავებული არ იყო“, - ამბობს ბავშვის მამა.

ჯერჯერობით ოჯახს პროკურატურისთვის არ მოუმართავს. მიზეზი ერთია, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა გვამის ექსპერტიზა მოითხოვონ, რასაც ხატია კეთილაძე ეწინააღმდეგება. თუმცა, მამა თანახმაა ეს ნაბიჯი გადადგას, რომ გაიგოს სიმართლე, რა გახდა მისი შვილის გარდაცვალების მი-

მდვილი მიზეზი. „ვიცი, რომ ცოდვაა, მაგრამ იმისთვის, რომ სიმართლე გავიგო, მზად ვარ ექსპერტიზაზე დაეთანხმდე, მაგრამ ჩემი მეუღლე თავს იკავებს“, - ამბობს გიორგი კეთილაძე.

„ექსპერტთან გასაუბრებას ვაპირებთ, გვინტერესებს რა გვეტყვის, შესაძლებელია თუ არა რაიმე დადგინდეს ექსპერტიზის შედეგად. სწორედ გამოვეთქვით, ჟვანას კლინიკის მეპატრონეს იმხელა გავლენა აქვს, მეშინია, ის ექსპერტი, რომელიც ექსპერტიზას ჩაატარებს, არ მოისყიდოს და

„ვთხოვე, ბავშვს ხანდახან ადგილი შეუცვალეთ, იმ ადგილებზე ხელი გადაუსვით და ნაწოლები არ გაუჩნდება-მეთქი. მაგის დრო სად გვაქვს, რომ ყველას მასაჟები ვუკეთოთ, ასეთი პასუხი მივიღე“

სხვა მიზეზი არ ჩანს დასკვნაში. ამ ყველაფერს ვითვალისწინებ და გაკვეთისგან თავს ვიკავებ, არ მინდა ბავშვი გავანვალო, ეს ჩემთვის მერეც ტკივილი იქნება“. - ამბობს ნიკუშას დედა.

მომხდართან დაკავშირებით ჟვანას სახელობის კლინიკაში საუბარი არ სურთ. ჩვენი ინფორმაციით, ნიკუშას მკურნალი ექიმი დოღო გველესიანი ამ სიტუაციას გაარიდეს და დროებით შევუბრუნებოთ გაუშვეს. თუმცა, „პრაიმტიმის“ კლინიკის დირექტორმა ლია ძიძიგურმა ეს ინფორმაცია არ დაუდასტურა. მისი თქმით, გველესიანი კლინიკაში მუშაობას განაგრძობს.

„პროფესიული განვითარების საბჭოს დასკვნა სანამ არ იქნება, მანამდე კომენტარისგან თავს შევიკავებ. ოჯახი ისედაც ძალიან ტრავმირებულია და არ მინდა უზუსტობა იყოს. ჯანდაცვის სამინისტრომ ბავშვის ისტორია წაიღო. მკურნალობა სწორად იყო ჩატარებული თუ არა, ამას პროფესიული განვითარების საბჭო დაადგენს“, - განაცხადა ლია ძიძიგურმა.

კლინიკის რეანიმაციული განყოფილების გამგის ანა იაკობაშვილის თქმით, ბავშვი ხშირად ავადობდა, ამიტომ იმუნოდეფიციენტი ჰქონდა.

„პნევმონიით შემოვიდა. ანალიზით და კლინიკური მონაცემებით იყო სეფსისი. მოვადე ბავშვი იყო, იმუდეფიციტადან გამომდინარე სტაფილოკოკი აღმოჩნდა, რის შედეგად სეფსისი განვითარდა. ხშირად ავადობის დროს ინფიცირება ხდებოდა. ერთ დღეში სტაფილოკოკი არ აღმოცენდება. ბოლოს და ბოლოს დაიდება დასკვნა და მერე ვილაპარაკოთ“, - განაცხადა იაკობაშვილმა.

ნიკოლოზს, კეთილაძის მშობლების თქმით, მათი შვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში რეანიმაციულ განყოფ-

ილებაში მისი თეკლა ბრონქოსპაზმის დიაგნოზით გარდაიცვალა.

„ჩვენ მოვიძიეთ ეს ოჯახი და ბოლოსში ჩავაკითხეთ. ოჯახმა გვითხრა, რომ იმ კვირაში კიდევ ორი პატარა გარდაიცვალაო. მათ არ უნდათ ამ საქმის გახმაურება, რადგან გვითხრეს, ამით ბავშვს არაფერი ეშველება და ხელახლა ნერვები უნდა მოვიშალათო. ჩემს შვილსაც არაფერი ეშველება, მაგრამ სხვის შვილებს ხომ ეშველება? ნიკოლოზის წყალობით ჟვანას კლინიკაში ერთი ბავშვი გადარჩა. ჩვენი ამბის შემდეგ დედამისი ექიმებს დაუბრუნებია და უუბნებოდა, ტანკებით გადაგივლით ჩემს შვილს რამე რომ დაემართოსო. იმ ბავშვს ორივე ფილტვის უმძიმესი ანთება ჰქონდა, დრენაჟი ჩაუდგეს. სანამ პარამენტარებს არ დავარკინე არ მიხედვით, გვიყვებოდა დედამისი. როგორც გვითხრეს, ჩვენი ამბის შემდეგ ექიმების დამოკიდებულება პაციენტების მიმართ მკვეთრად გაუმჯობესდა. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ რალაც პერიოდის შემდეგ, ძველებური სიტუაცია არ აღდგება“, - გვითხრა ხატია კეთილაძემ.

„პრაიმტიმი“ მისი თეკლას ოჯახს დაუკავშირდა. ბუბიამ, ქალბატონმა ნანამ დაგვიდასტურა შვილიშვილის გარდაცვალების ფაქტი და იქვე დასძინა, რომ არავის მიმართ პრეტენზია არ აქვთ.

ბოლო თვე-ნახევრის მანძილზე ბავშვების გარდაცვალების სამი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც მედიით გახდა ცნობილი. ორ შემთხვევაში საქმის მოკვლევას ჯანდაცვის სამინისტრო აწარმოებს. თუმცა, ამ დრომდე არც ერთზე საბოლოო დასკვნა ჯერ მზად არ არის. შემდგომი მოვლენების განვითარების შესახებ „პრაიმტიმი“ თავის მკითხველს მომავალშიც მიაწვდის ინფორმაციას.



„ბავშვს გული გაუჩერდა, ორი ადრენალინი გავუკეთეთო. თითქოს ჩვენ მისვლას ელოდა, 15 წუთში ბავშვი გარდაიცვალა... მერე რა მოხდა არ მახსოვს“

რა დადებითი თვისებები აღმოაჩინა ბია ვოლსკიმ თენგიზ კიტოვანში?

my View
ბირიან ბოქოლიძე

საზოგადოების აქტიური განსჯის საგანი გახდა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის შეფასება თენგიზ კიტოვანის პერსონისა. სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ავტორის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის გეგმებზე კომენტარი გია ვოლსკიმ გააკეთა და აღნიშნა, რომ კიტოვანსაც ჰქონდა ბევრი დადებითი, თუმცა ის ფორმა, რაც მან აირჩია, არასწორია.

„თენგიზ კიტოვანსაც ჰქონდა ბევრი დადებითი, უნდა, რომ იყოს ჩართული, მაგრამ ასეთი ფორმით ჩართვა არასწორია“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა დადებითი თვისებები აღმოაჩინა დეპუტატმა სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ავტორში. ჩვენთან ინტერვიუში გია ვოლსკი აცხადებს, რომ მისი ეს კომენტარი კონტექსტიდან იქნა ამოგლეჯილი, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ აფხაზეთის ომის დროს კიტოვანს ჩვენი ქვეყნისთვის რაღაც დადებითი მაინც აქვს გაკეთებული.

– ბატონო გია, თენგიზ კიტოვანზე მინდა გკითხოთ... საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თქვენმა კომენტარმა იმის შესახებ, რომ თურმე თენგიზ კიტოვანს კარგი საქმეები ჰქონია გაკეთებული...

– ჩემი ეს კომენტარი კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი. უფრო სწორად შევითხვა დამისვა ასეთი სახით: თენგიზ კიტოვანი ამბობს, რომ მისი ბიჭები მის გარშემო არიან შეკრებილები და აპირებენ რაღაც აქტივობებს. მე ვთქვი, რომ თენგიზ კიტოვანის გარშემო მყოფი ბევრი ახალგაზრდა თავის დროზე საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა. ბევრი გადარჩა, რომელთა შორის მართლაც არიან პატრიოტი ადამიანები. იქვე დავამატე, რაღაც დადებითი თენგიზ კიტოვანსაც ახასიათებს-მეთქი.

– აი, კონკრეტულად რას გამოყოფდით კიტოვანის დადებით თვისებებს შორის?

– კონკრეტულად ის, რომ ეს ადამიანიც იბრძოდა. შეიძლება პოლიტიკური მსოფლმხედველობა არ უფარგა, მაგრამ ის, რომ აფხაზეთის ომის პერიოდში საქართველოსთვის რაღაც აქვს გაკეთებული, ესეც არ უნდა დავუკარგოთ. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ მისი პოზიცია კატეგორიულად არასწორია.

– ლევან ვასაძემ ანტიდისკრიმინაციული კანონის პარლამენტში გატანა „რესპუბლიკურ პარტიას“ დაუკავშირა... სხვა პარტიებს კოალიციაში განსხვავებული მოსაზრება გქონდათ?

– ეს არ არის სიმართლე და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ის ამ კანონის შინა-



„
ბევრი
ახალგაზრდა
თავის დროზე
საქართველოს
ერთიანობისთვის
ბრძოლაში
დაიღუპა. ბევრი
გადარჩა, რომელთა
შორის მართლაც
არიან პატრიოტი
ადამიანები...
“

არსს საერთოდ არ იცნობს. თუმცა ვერ წავართმევთ, რომ ლევანს ბევრი რამ აქვს გაკეთებული ქვეყნისთვის. მის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ფიქრობ, ის კონტექსტში არ იხილავს საკითხს. რესპუბლიკელები აქ არაფერ შუაში არიან. „რესპუბლიკური პარტია“ პირველი იყო, ვინც მხარი დაუჭირა პრემიერის ინიციატივას კონსტიტუციაში ოჯახის განმარტების განწერასთან დაკავშირებით.

– ამბობენ, რომ წინასწარჩვენო მორატორიუმის დასრულების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წარმომადგენელს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ... თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ? გაგრძელება თუ არა დაჭერები არჩევნების შემდეგ?

– სახელმწიფო პოლიტიკასთან დაჭერების დაკავშირება სწორი არ არის, თუმცა ადამიანი, რომელმაც აც დაამაჯა და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, აუცილებლად მიეცემა პასუხისგებაში. მხედველობაში არ მყავს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. სამწუხაროა, რომ ადამიანების გარკვეული ჯგუფი,

რომელიც დანაშაულს სჩადიოდა, ამ პოლიტიკურ ძალასთან იყო დაკავშირებული.

– როგორ წარმოგიდგენიათ უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან სამომავლო თანამშრომლობა იმ ფონზე, როდესაც იგივე თქვენი წინამორბედები რეფორმების გატარების მიზნით მიიწვიეს მრჩეველებად? მხედველობაში მყავს თუნდაც კახა ბენდუქიძე... ეს რაიმე უხერხულობას ხომ არ შექმნის ორი ქვეყნის ურთიერთობაში?

– კახა ბენდუქიძეს გარკვეული ეკონომიკური კონცეფცია გააჩნია. თუ ის ეკონომიკურ საკითხებზე რჩევებს მისცემს, ეს უკრაინის შიდა საკითხია. საქართველოს ხელისუფლება იმოქმედებს მისი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. უკრაინა პარტიოროი ქვეყანაა, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით და ამ ურთიერთობებს ვერ შეცვლის ის, რომ ბენდუქიძე იქნება უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი. კონცეფცია, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ ეკონომიკს

აშენებდა, მნიშვნელოვანწილად არ ემთხვევა იმ ეკონომიკურ სტრატეგიას, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას აქვს, თუმცა ეს არ ცვლის ქართულ-უკრაინული ურთიერთობების დღის წესრიგს და ის ისეთივე მეგობრული იქნება, როგორც აქამდე იყო.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად აისახება თავისუფალ საარჩევნო გარემოზე „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი მხარდამჭერების

აშვილთან მიმართებაში...

– ჭიბურაშვილზე თავდასხმა არანაირად არ არის დაკავშირებული წინასწარჩვენო ან საერთოდ, რაიმე პოლიტიკურ თემასთან. სხვა შემთხვევებს რაც შეეხება, არსებობს სასამართლო, რომელიც ხშირად ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც საზოგადოების ნაწილს მოსწონს, ნაწილს კი – არა. ამ შემთხვევაში პროკურატურამ რაც არ უნდა ქნას, სასამართლოს ნაცვლად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფაქტებს საარჩევნო გარემოსთან კავშირი არ აქვს. წლების განმავლობაში ფიზიკური ძალადობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰყავდა აყვანილი „ნაციონალურ მოძრაობას“, რომლის აქტიური წევრები და წარმომადგენლები იყვნენ ნიკოლაური და თუნდაც ჭიბურაშვილი. არ არის გამორიცხული, საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ აგრესიული რეაქცია მათ მიმართ, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო და მინდა ყველამ იცოდეს, რომ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ასეთი გზით შეიძლება სამართლიანობის აღდგენა, ძალიან ცდებიან და აშავენ. რეალურად ისინი სერიოზულ ზიანს აყენებენ ქვეყნის იმიჯს, რადგან პოლიტიკური სპეკულაციის სამუალებას აძლევენ იმ ხალხს, რომლებსაც, კიდევ ვიმეორებ, ძალადობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰყავდათ აყვანილი. ასეთი ფორმით ანგარიშსწორება არათუ არასწორია, არამედ მავნებელია ჩვენი ქვეყნისთვის.

„უკრაინა პარტიოროი ქვეყანაა, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით და ამ ურთიერთობებს ვერ შეცვლის ის, რომ ბენდუქიძე იქნება უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი“

მიმართ ბოლო პერიოდში განხორციელებული თავდასხმები... მხედველობაში მაქვს თუნდაც ბოლო შემთხვევა ზურაბ ჭიბურა-



„ჩემი ეს კომენტარი კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი... მაგრამ ის, რომ აფხაზეთის ომის პერიოდში საქართველოსთვის რაღაც აქვს გაკეთებული, ესეც არ უნდა დავუკარგოთ“



ჩვენ ვითვლით ულაშიანების ნებას

www.cesko.ge



ცესკო
საპარტეზო სააგენტო
კლიმის სერვისი



შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 30 მაისს პოლიციელის პროფესიული დღე ბათუმში აღნიშნა. ოფიციალურ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, რომელმაც სამართალდამცველებს სიტყვით მიმართა და პროფესიული დღე მიულოცა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიაბიძემ კი პირადად დააჯილდოვა მოქმედი პოლიციელები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანები.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ოფიციალური დელეგაციები პარტნიორი ქვეყნებიდან: ბელორუსიდან, ლატვიიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა სტუმრებთან ერთად დაათვალიერეს საგამოფენო სივრცე, სადაც შს-ს დანაყოფებმა თავიანთი ავტოპარკი, ტექნიკა, იარაღი და აღჭურვილობა წარმოადგინეს.

გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრმა „112“-მა წარმოადგინა „GPS ტრეკერები“, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ტურისტებს, სატელიტური სისტემის საშუალებით, ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრით უზრუნველყოფს. შს-ს არქივმა წარმოადგინა სამუხეუმო ექსპონატები - პოლიციელის ოთხი ისტორიული ფორმა; ასევე, არქივის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმები, გამოცემული ჟურნალები და ნიგეხები.

გარდა ამისა, პოლიციელის დღესთან დაკავშირებით, ბათუმის ბულვარში გაიმართა სანახაობრივი წარმოდგენები: ვირტუალური ტირი, საპატრულო პოლიციის მოტოციკლებისა და ავტომანქანა „მინიკუპერის“ ტექნიკური შესაძლებლობების პრეზენტაცია, მართვის მონაწილის თეორიული და პრაქტიკული გამოცდების ჩვენება, სამაშველო, გასაბერი, საევაკუაციო ბალიშის გამოყენების დემონსტრირება. საღამო ბენდ „ნიუტონის“ კონცერტით დასრულდა.

„პრაიმტიმის“ გთავაზობთ ფოტოკოლაჟს ბათუმში გამართული ღონისძიებიდან.



ირაკლი ლარიბაშვილი:
„დღეს ჩვენ გვაყავს პოლიცია, რომელიც მოქმედებს დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით. და მიუხედავად ამისა, ჩვენი მთავარი პრიორიტეტია, კიდევ უფრო გაიზარდოს და გაღრმავდეს ნდობა პოლიციასა და საზოგადოებას შორის, რადგან ჩვენ ყველას საერთო მიზანი გვაერთიანებს - სახელმწიფოებრივი წესრიგისა და მოქალაქეების დაცვა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პოლიცია არავის არ მისცემს იმის უფლებას, რომ დაარღვიოს ჩვენი ხალხის სიმშვიდე“



რა მოხდა უკრაინა-

სალომე გოგონია

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების გასაშუქებლად ქართული მედია საშუალებების ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ. პროფესიული საქმიანობის შესრულების შემდეგ, ქართველი ჟურნალისტები სამშობლოში 29 მაისს, გამთენიისას დაბრუნდნენ. ამ ისტორიაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა თუ არა ის ფაქტი, რაც თვითმფრინავში მოხდა.

მოულოდნელად, თვითმფრინავში „რუსთავი 2“-ის ოპერატორი ცუდად გახდა. თვითმფრინავი როსტოვში დაჯდა, მგზავრები უფიზოდ, თანაც რუსეთის ტერიტორიაზე, დამატებით რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. თანაც, აეროპორტში განუცხადეს, რომ საავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში, პაციენტს ვერავინ გააყვებოდა. ერთ-ერთმა უკრაინელმა მგზავრმა გული-სხმიერება გამოიჩინა და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფს თან გააყვებოდა.

თვითმფრინავში მოხმდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაცია ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტმა გურამ როგავამ სოციალურ ქსელში გაავრცელა.

„წუხელ ქართველი ჟურნალისტები სამშობლოში კვივა-თბილისის რეისით ვბრუნდებოდით, როცა ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა შეუძლოდ გახდა, გონება დაკარგა და რომ არა დათო კაკულისას სწრაფი რეაქცია, ყველაფერი ტრაგედია იქნებოდა. ჩვენი თხოვნით პილოტმა საგანგებო დაშვება როსტოვში განახორციელა. ყველაფრის მიუხედავად, არ ველოდით ასეთ ირონიას რუსი მესაზღვრეებისგან და განსაკუთრებით ექიმებისგან (პიოკრატეს ფიცის იმედ-ად ვიყავით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამათ პუტინის ფიცი აქვთ დადებული)... მაგრამ აი, ქართველების „გმირობამ“ კი მართლა გამოაცა და დამთრგუნა. თავიდან გვეგონა, რომ პაციენტს საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, მე და დათო უნდა გავყოლოდით, ასე გადაწყვიტეთ. რეისის უცხოელი მგზავრები ფულს გვთავაზობდნენ, რუსეთში მცხოვრები მათი ახლობლების ნომრებს გვანერჩებდნენ, დაურკვეთ და მოგხედავენო. ბორტზე ორი მგზავრი ექიმი აღმოჩნდა, რომლებმაც ჩვენს მეგობარს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე მესვლის ნებართვას ავადმყოფის გარდა არავის აძლევდნენ, ერთ-ერთმა უკრაინელმა მგზავრმა გვითხრა, მე გავყვები. დროზე გადაწყვიტეთ, გვეჩქარებო, ყვიროდნენ ჩვენი ქართველი „ძმები“. ადამიანი სიკვდილისპირას იყო და ამათ ბორტზე აჯახებდა მოსწყვეს, სივარცხით მოგვანეხებო. ჩვენი რეისით „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებიც მგზავრობდნენ და ერთმა „ვაჟკაცმა“ გინება დაიწყო, თქვენ გამო 9 წელი საქართვე-



„სამარცხვინოა, როცა ადამიანი ასე იქცევა. როცა შენ გვერდით მჯდომი საქართველოს მოქალაქე უგონოდაა, დახმარება სჭირდება, რუსს მესაზღვრეებს ვეხვეწებოდით, რომ დაგვხმარებოდნენ. რუსეთის აეროპორტმა ექიმების ნაცვლად სანიტრები გამოგზავნა. ამასობაში ეს ადამიანი არაადეკვატურად იქცეოდა“



ლოში ჩამოსვლის უფლება არ მქონდა, დღეს პირველად მივდივარ თბილისში, მაისური გაიხადა და ტატუებით მარია-აუბო რომ დამთავრა, საჩუბრად მოემზადა. ბავშვებს წმარის შეეშინდათ და ტირილი დაიწყეს. ჩვენიანაც ჰქონდა პრეტენზიები, „მე თქვენ გიცნობთ, თქვენ პოპულარულები ხართ, მე გლენიო“, მაგრამ მე იმის ძმა ვარო (სავარაუდოდ ვილაც კრიმინალური ავტორიტეტის სახელს გვეუბნებოდა). - ეს არის ამონარიდი უკრაინის ტერიტორიის ნერილიდან.

საბედნიეროდ, ჩვენი კოლეგა გადაარჩა და ამჟამად, თავს კარგად გრძნობს.

„პრაიმტიმის“ საუბარში „რუსთავი 2“-ის ოპერატორმა ზვიკო ივრიაძემ განაცხადა, რომ თავს უკეთ გრძნობს.

„ცუდად ვიყავი. თვითმფრინავში გავხდი ცუდად. თვითმფრინავი როსტოვში დაჯდა. იქაურ საავადმყოფოში არ გადავუყვანივართ. ადგილზე აღმოჩინეს დახმარება. მე ისე ცუდად ვიყავი, რომ თითქმის არ მახსოვს რა ხდებოდა ამ დროს თვითმფრინავში“. - გვითხრა ივრიაძემ.

რა მოხდა თვითმფრინავში და ვისთან მოუხდათ ქართველ ჟურნალისტებს შეკამათება, ამის გარკვევას „პრაიმტიმი“ შეეცადა. მომხდარიდან დაკავშირებით უკრაინის ტერიტორიაზე გურამ როგავა კომენტარს არ აკეთებს, ამბობს, რომ იმაზე მეტი სათქმელი არ აქვს, რაც სოციალურ ქსელში დაწერა.

საუბარი არ ისურვა „რუსთავი 2“-ის უკრაინის ტერიტორიაზე დავით კაკულიამ. მიზე-

ზად შეუძლოდ ყოფნა დაგვისახელა. თვითმფრინავში იმყოფებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ქეთი ბოჯგუა.

„პრაიმტიმის“ საუბარში ამბობს, თვითმფრინავის აფრენიდან მოკლე ხანში მათმა კოლეგამ თავი შეუძლოდ იგრძნო. პრობლემებიც სწორედ მას შემდეგ დაიწყო.

ქეთი ბოჯგუა: - ერთადერთი მდგომარეობის გამო მოგვიხდა როსტოვში დაშვება. ჩვენმა კოლეგამ თავი შეუძლოდ იგრძნო. თავდაპირველად საუბარი იყო იმაზე, რომ პაციენტსაც საზღვარზე არ გადაუშვებდნენ. როცა მიხედნენ, რომ სიტუაცია ძალიან რთული იყო, გვითხრეს, რომ მხოლოდ პაციენტს გადაიყვანდნენ საზღვარზე და მას არავინ არ გააყვებოდა, ანუ უფიზო პირი ვერ გააყვებოდა. ეს იყო მათი პირობა. ამაზე შექმნა გარკვეული პრობლემები. უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, როცა ადამიანს ჯანსაღად უნდა პრობლემები აქვს, მისი მართლ გაშვება არ გვინდოდა. ამაზე სიტუაცია ძალიან გააჯახა. როცა თვითმფრინავი როსტოვში დაეშვა, მოვიდნენ აეროპორტის ექიმები. შემდეგ მოვიდა სასწრაფო.

- სასწრაფოს ექიმები დროულად მოვიდნენ?

- ექიმები დროულად არ მოვიდნენ. ჯერ აეროპორტის ექიმები მოვიდნენ, შემდეგ გამოიძახეს სასწრაფო. თითქმის ერთი საათის დაგვიანებით მოვიდნენ.

ლიციალის დღე გათუგები აღნიშვნა



ირაკლი ლარიბაშვილი:
 „დღეს მოქალაქისთვის სახელმწიფო და პოლიცია გახდა იმედი და მისი უსაფრთხოების დაცვის გარანტი. მაგრამ ამავე დროს, მინდა ყველამ იცოდეს, - ვინც კანონს დაარღვევს და დანაშაულს ჩაიდენს, - ყველა დაისჯება უმკაცრესად! აი, სწორედ აქ უნდა ჩანდეს პოლიციელების პროფესიონალიზმი - ისე უნდა აღკვეთო დანაშაული და ებრძოლო დამნაშავეებს, რომ არ დათრგუნო ხალხი, არ შეუღალსო ღირსება შენს მოქალაქეებს. ჩვენი მიზანია მხოლოდ კანონიერი გზით ვებრძოლოთ დანაშაულს, როგორც ცივილიზებულ ქვეყანას ეკადრება, და ასე დავამყაროთ წესრიგი.“



თბილისის რეისზე?



გაგაოცა და დაბრუნა“

- როგორი იყო რუსი ექიმების დამოკიდებულება?
 - რუსი ექიმების დამოკიდებულება მკაცრი იყო. გვეუბნებოდნენ ხელს ნუ გვიძლით პაციენტის მკურნალობაში. შეკითხვებზე დიდი ხალხით არ გვაბუსებდნენ. რბილად, რომ ვთქვათ, ცივი და მკაცრი ექიმები იყვნენ.
- როგორც შევეიცვით, თვითმფრინავში საკმაოდ არასახარბიელო სიტუაცია შექმნილა.
 - თვითმფრინავში ნამდვილად უსიამოვნო სიტუაცია იყო. საუბარი არ არის ყველა ქართველ მგზავრზე. რამდენიმე მამაკაცი იყო, რომლებიც რის გამო არ

ვიცი, ცოტა ძაბვდნენ სიტუაციას. გურამს რაც უნერია გადაჭარბებული არ არის.
- გურამი იმასაც წერს, რომ ქართველების გულცივი დამოკიდებულების პარალელურად, სრულიად უცხო მგზავრებმა გამოიჩინეს ავადმყოფის მიმართ ყურადღება.
 - კი, ეს მართალია, თუმცა, მერე აღარ იყო საჭირო, რადგან როსტოვში მცხოვრები ქართველი მოფეხბენი, რომელიც აეროპორტში მოვიდა. მისთვის პაციენტი აბსოლუტურად უცნობი იყო, მაგრამ მზად იყო დახმარებოდა. თუმცა, შემდეგ მისი დახმარება საჭირო არ გახდა.

- ანუ დაბრუნება დიდი იყო?
 - დაბრუნება ძალიან დიდი იყო. ჩვენ ვიყავით რუსეთში, ვიზები არ გვქონდა. ეს იყო უკრაინიდან მომავალი თვითმფრინავი. სასაზღვრო პოლიცია შორიასლოს იყო და იქ დამატებით შეიძლება ცუდი სიტუაცია შექმნილიყო.
 თვითმფრინავში იმყოფებოდა საპარამედრო უმცირესობის ხევრი გიორგი ვაშაძეც. ინტერნეტში გავრცელდა კიდევ ინციდენტის ამსახველი კადრები, სადაც ჩანს, როგორც ცდილობს გიორგი ვაშაძე წელს ზემოთ მიშველი მამაკაცის დამშვიდებას და სიტუაციის განვითარებას.
„პრაიმტიმი“ გიორგი ვაშაძეს ესაუბრა.
 „ის ადამიანი ძალიან ნასვამი იყო. ჩემთან უშუალოდ კამათი არ ჰქონია. ვცდილობდი დამეშვიდებინა, რადგან ისედაც რთულ სიტუაციაში ვიმყოფებოდი. რუსეთის ტერიტორიაზე იყო თვითმფრინავი და წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი, რომელიც წელს ზემოთ ტიტყვულია, გარბის და ხან ერთს ეჩხუბება და ხან მეორეს. ამკარად ეტყობოდა, რომ დახალღებული იყო კრიმინალთან, მენტალობით ეტყობოდა. არა ერთ მგზავრთან ჰქონდა ჩხუბი და უთანხმოება. სამარცხვინოა, როცა ადამიანი ასე იქცევა. როცა შენ გვერდით მჯდომი საქართველოს მოქალაქე უგონოდაა, დახმარება სჭირდება, რუს მესაზღვრეებს ვეხვეწებოდი, რომ დაგვხმარებოდნენ.“

რუსეთის აეროპორტმა ექიმების ნაცვლად სანიტრები გამოგზავნა. ამასობაში ეს ადამიანი არაადეკვატურად იქცეოდა“,- განაცხადა ვაშაძემ.
 უკრაინა-თბილისის რეისზე მომხდარ ინციდენტის თვითმხილველმა ერთ-ერთმა მგზავრმა **ლენა მარტინენკომ**, რომელმაც საკუთარი შთაბეჭდილება მოგვიანებით სოციალურ ქსელში თვითმფრინავში გადაღებული ფოტოებითურთ განათავსა. „მინდა გაგიზიაროთ ის ემოციები, რომელიც განვიცადე. ადამიანმა გონება დაკარგა... რეალურად, სიკვდილის პირას იმყოფებოდა... იძულებითი დაშვება როსტოვში... და აი, რუსი მესაზღვრე თავზედური გამომეტყველებით და სიძულვილით სავსე თვალებით ამბობს, რომ მას ვერ დაეხმარებია, რადგან არ აქვს ვიზა, ხოლო აეროპორტის ექიმებს არ აქვთ პრეპარატები, რომელიც მას დაეხმარება, რომ თბილისამდე ჩააღწიოს. მგზავრები, რომლებისთვისაც ყველაფერი სულერთი არ არის, ინყებენ ნაცნობების მოძიებას როსტოვში, რომ რაიმეით მაინც დაეხმარონ... მაშ როგორ? თუ შენ ქართველი ხარ, უვიზოდ რუსეთში სული გაგქვრება. ჯამში: აეროპორტში ორი საათი, თვითმფრინავიდან გამოუსვლელად, სანამ არ იჩივლეს და არ გამოგზავნეს სასწრაფო... ნამდვილად გაჭყიპეს და გაუშვეს. ასე შეიცვალა ბევრი რამ ერთ ფრეზაში“, - ვკითხულობთ თვითმხილველის წერილში.



„წუხელ, ქართველი ჟურნალისტები სამშობლოში კიევი-თბილისის რეისით ვბრუნდებით, როცა ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა შეუძლოდ გახდა, გონება დაკარგა და რომ არა დათო კაკულიას სწრაფი რეაქცია, ყველაფერი ტრაგედიით დასრულდებოდა“



მაია მიმინოშვილი: „ეს თემა ანგაჟირებულია და ამის უკან სხვა რაღაცეებიც დგას“

იესო სკოლის მოსწავლეების წერილებით, შენიშვნებითა და კომენტარებით. როგორც ირკვევა, მოსწავლეებმა წერილები პარლამენტშიც გაგზავნეს.

ერთ-ერთი წერილის შინაარსი ასეთია:

„პირველ რიგში, დავინწყით პრეტესტი. პრეტესტი ჩატარდა მხოლოდ 3 საგანში – ისტორიაში, მათემატიკასა და ქართულში. ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, პრეტესტი არ იყო ინგლისური და თან ზემოაღნიშნული ყველა საგნის პრეტესტი ჩატარდა ერთად, რის შესახებაც არ ვიყავით ინფორმირებულნი. ასევე, არ ვიყავით ინფორმირებულნი პრეტესტის შეფასების დონესთან დაკავშირებით. როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, 10-ის ნაცვლად, უმაღლესი ქულა გახლდათ 8.7, რაც ასევე პანიკის საფუძველი გახდა მოსწავლეებისთვის. რაც შეეხება თავად საატესტატო გამოცდებს, პირველ რიგში, ძალიან არეულად მიმდინარეობს მოსწავლეების დაშვება გამოცდებზე, ძალიან ხშირად ხდება ისე, რომ მოსწავლის საგამოცდო ბარათში მითითებული დროის მიუხედავად, მოსწავლე თავისუფლად ახერხებს გამოცდაზე ადრე შესვლას, რაც ქმნის არეულობას. ეს ყოველივე მიუთითებს დამკვირვებლების არაპროფესიონალიზმსა და საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე. ასევე, დამკვირვებელი ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობს გამოცდების შესახებ, რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელი და არასერიოზულია. ასევე, ვფიქრობთ, რომ ოთხი გამოცდის ზედიზედ ჩატარება ახდენს ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსწავლეზე და იწვევს მისი ნერვული სისტემის დარღვევას. რაც შეეხება მთავარს, პროგრამულ ხარვეზებს. ძალიან ბევრ სკოლაში გამოცდების დროს მიდიოდა ელექტროენერგია, ინტერნეტი, ჭედავდა პროგრამა, ტესტებში გაპარული იყო

ქეთი ხატიაშვილი

მაია მიმინოშვილი ყოველთვის იყო განათლების ყველა მინისტრის თავისუფალი. ბევრი აღნიშნავდა, რომ მიმინოშვილთან ურთიერთობა რთულია. ის კახა ლომაიას ფაფორიტად ითვლებოდა, თუმცა სამინისტროდან მისი წასვლის შემდეგ ყველაფერი აირია.

დimitრი შაშკინთან უთანხმოების სერია დაიწყო. განათლების მინისტრმა მიმინოშვილი კონფლიქტი ასე ახსნა:

– დღეს, როდესაც საგამოცდო სისტემაში კორუფციის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი, შეგვიძლია, უფრო ლიბერალური პოლიტიკა განვახორციელოთ. ამ ლიბერალიზაციის წინააღმდეგი გახლდათ მაია. საუბარია გამოცდების მ+1 სისტემაზე, რომელიც წარმატებით მუშაობს აშშ-ში. მიმინოშვილისგან ჩვენ ძირითადად ვისმენდით – „მე ამას არ ვაჯობებ“. ის ითხოვდა, რომ წყალბურთი ცივე წყალში და ძველი ბურთი გვეთამაშა.


როგორც ჩანს, ძველ ბურთს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტ-

ორი მაია მიმინოშვილი ახლაც ჯიუტად ააჩივებდა.

ის, რაც წელს სკოლის გამოცდებზე მოხდა, სერიოზული სკანდალია. თუმცა, თავად მიმინოშვილი უხერხულობასაც არ იმჩნევს. საქმე ის გახლავთ, რომ საგამოცდო საკითხებში, თითქმის ყველა საგანში, სერიოზული ხარვეზები და შეცდომები იყო დაშვებული. თუ წინა წლებში სამინისტროს პოლიტიკა იყო, მაქსიმალური კომფორტი შეექმნათ აბიტურიენტებისთვის, მიმინოშვილმა ეს მთლიანად დაანგრია.

რა ბრალდებებს უყენებდნენ აბიტურიენტები გამოცდების ეროვნულ ცენტრს: გამოცდის დროს კომპიუტერული სისტემა ჭედავდა და ტესტები ცენტრიდან დროულად არ მოდიოდა, რის გამოც მოსაფიქრებელი დრო დაგვაკლდა; ტესტურ კითხვას ოთხი პასუხი აქვს, საიდანაც ერთი სწორია, სამი კი – მცდარი. ჩვენს შემთხვევაში მეოთხე გრაფა ცარიელი იყო, სწორი პასუხი ვერ ვიპოვეთ და აღმოვაჩინეთ არაპროგრამული მასალა. პრეტესტი იოლი და მარტივი იყო, საგამოცდო ტესტები კი გაცილებით რთული და ხარვეზებით სავსე.

სოციალური ქსელები მაშინვე გა-



რა პრეტენზიები

შეცდომები. მაგალითად: ზოგ კითხვას ჰქონდა 3 სავარაუდო პასუხი, 4-ის ნაცვლად. იყო ასევე იდენტური სავარაუდო პასუხები, რაც, რა თქმა უნდა, არანაირად არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. ასევე მივიჩნევთ, რომ ტესტების სირთულე არ შეესაბამება განათლების დონეს ჩვენს სკოლებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვთ, რომ: 1) ოფიციალურად გახდეს ჩვენთვის ცნობილი შეფასების სისტემა; 2) გასწორდეს ხარვეზები ტესტებში; 3) აღმოიფხვრას ელექტროენერჯის პრობლემა; 4) შეიქმნას კომისია და დადგინდეს ტესტების ხარისხი და სისწორე; 5) გამოცდაზე დაშვებულ იქნას პროფესიონალი და მაქსიმალურად ინფორმირებული დამკვირვებლები. გვინდა, მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არ აქვს, ვინ გადავლახეთ ბარიერი და ვინ ჩავიჭირეთ. ჩვენ ყველა გავერთიანდით ერთი მიზნისთვის. ჩვენთვის მთავარია, გამოცდების პროცესში მიმდინარეობდეს გამჭვირვალე, მინიმალური ხარე-

ვებითა და სამართლიანად! კარგად გვესმის, რომ ეს პრობლემები და მოთხოვნები ორი დღის ვადაში ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ გვსურს, რომ იგივე პრობლემა ავარიდლოთ მომავალ აბიტურიენტებს!

მაია მიმინოშვილი ამ გამოცდების გამო ექსპერტებმა ცააკრიტიკეს.

მანანა ნიკოლაიშვილი, ექსპერტი განათლების საკითხებში:

– 20 მაისს ჩატარდა პრეტესტი ოთხ საგანში: ქართულში, ისტორიაში, მათემატიკაში და უნდა ყოფილიყო უცხო ენაშიც, მაგრამ ისე, რომ არავინ გაუფრთხილებიათ, უცხო ენაში არ ჩატარებულა. ასევე, არავინ გაუფრთხილებიათ იმის შესახებ, რომ „კატის“ ტესტებში თურმე უმაღლესი შეფასება რვა ქულა იყო. კითხვას ვსვამ: რის მომცემია ამდენი საგნის ერთდროული პრეტესტი? ამით დაადგინეს რამე? რაც შეეხება „კატის“ გამოცდებს: მიმინოშვილი გამოვიდა და ტელევიზიით განაცხადა, გაუმართაობა უამინდობის გამო ხდებოდაო და რა უამინდობა იყო?

„სურათის ქანაზი პრეტენზია, თუ გამოცდების შედეგები ობიექტურ სურათს ასახავს“



სკანდალური გაქვია



დიმიტრი შაშკინი: „ის ითხოვდა, რომ წყალბურთი ცივ წყალში და კველი ბურთით გვეთავაშა“

ურ სურათს ასახავს. გამოცდებმა ის შედეგები აჩვენა, რაც რეალურადაა საქართველოში. ჩვენ შეგვიძლია ყველა მოსწავლეს დავეუწყოთ მაღალი შეფასება, მაგრამ ეს არის მთავარი? ამით ეშვება რამეს? მოსწავლის შედეგები გამოსწორდება, თუ, პირიქით, დათვური სამსახური გაენევა ჩვენს მომავალ თაობას?..

მაია მიმინოშვილია სკოლის მოსწავლეები ბრალდებებს თითქმის მთლიანად უპასუხა და რაიმე სახის დისკომფორტი, რომელიც შეიძლება თავად ეროვნული საგანმრწამლო ცენტრის მხრიდან ყოფილიყო დაშვებული, უარყო:

– როცა ელექტრონერგია მაშინ წყდება, როცა მოსწავლე მუშაობს, მას შედეგი ავტომატურად ენახება. ელექტრონერგის აღდგენის შემდეგ, ის სწორედ იმ ადგილიდან აგრძელებს მუშაობას, სადაც შეჩერდა. ინტერნეტის სიჩქარეს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში შესაძლოა, მას მხოლოდ რამდენიმე წამით მეტი დეკარგოს და მეტი არაფერი... რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, არანაირ პრობლემას არ ვხედავ, იმიტომ რომ როგორც ოთხ-, ხუთპასუხიანი დავალებები არის, ასევე შეიძლება იყოს სამპასუხიანიც... რაც შეეხება იდენტიფიკაციას, რა თქმა უნდა, არც ერთი არ იყო სწორი. ბუნებრივია, მოსწავლეს ამ კუთხითაც არანაირი პრობლემა არ შექმნიდა... ასე რომ, თუ ჩვენ კონკრეტულ საკითხზე გვინდა

კამათი ვინმესთან, გოგა ხაჩიძე იქნება ეს თუ სხვა, ჩვენ შეგვიძლია შინაარსობრივ ნაწილში ვაჩვენოთ ერთ-ერთი დავალება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელსაც სამი სავარაუდო პასუხი ჰქონდა და ინგლისურ ენაში ის დავალება, რომელსაც ორი იდენტური პასუხი ჰქონდა.

მე პირდაპირ გეტყვით, რატომ შეიქმნა ეს პრობლემა, თუმცა ძალიან კარგად მესმის, რომ ეს თემა ანგაჟირებულია და ამის უკან სხვა რაღაცეებიც დგას. ერთ-ერთმა... ოპონენტი თუ ჰქვია, არ ვიცი, გამოიჭირდება ქალბატონ მანანა ნიკოლაიშვილს ოპონენტი დავარქვა, მაგრამ მაინც ვთქვით ასე... ქალბატონმა მანანამ განაცხადა, რომ დაბალი შეფასებები დაინერა. მე მას ასეთ შეფასებებში ვერაფრით დავთანხმდები, იმიტომ, რომ ეს არის სასერტიფიკაციო გამოცდა, აქ არის საუბარი იმაზე, გადალახა მოსწავლემ ბარიერი თუ ვერ გადალახა. თუ გადალახა ბარიერი, ის ატესტატის ღირსია, შედეგი არ მოქმედებს არც მედალზე, არც სასკოლო შეფასებაზე.

ქალბატონ მანანას ვერნაირად ვერ ექნებოდა სტატისტიკური მონაცემები, მან შეიძლება ჰქონთ რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც სკოლაში ათონსები იყვნენ და აქ მივიღებ 9 ან რვა ქულა და უკმაყოფილონი არიან, თუმცა ეს რეალურად ძალიან მაღალი შეფასებაა და ნიშნავს, რომ მოსწავლე მართლაც ძალიან კარგია. ძირითადი შედეგები განთავსებულია ნ-დან მ-მდე, მაგრამ ეს არის არსებული რეალობა, რაზეც ის კვლევებიც მიუთითებს, რასაც ჩვენი ორგანიზაცია აწარმოებს. საქართველო ბევრ საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობს, სადაც ძალიან არასახარბიელო შედეგი გვაქვს განათლების ხარისხის და დონის მიხედვით. ალბათ, უცნაური იქნებოდა, კვლევები ადასტურებდეს, რომ დაბალი ხარისხი განათლების, მეორე მხრივ კი, ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოცდებში მაღალი შედეგები აჩვენონ მოსწავლეებმა. ასე რომ, ეს არის არსებული რეალობა... ასეთი თემებით სპეკულირება მიუღებელია. გოგა ხაჩიძეს მივმართავ, თუ ვინმეს შინაარსობრივად აინტერესებს, ნახოს, რაზეა საუბარი, რატომ იყო სამი სავარაუდო პასუხი, შეექმნა თუ არა მოსწავლეს პრობლემა იმის გამო, რომ ორი იდენტური პასუხი იყო უცხო ენაში, ამ დავალებებს, თუ ჩვენთან მოვლენ, დიდი სიამოვნებით ვაჩვენებთ.

მაია მიმინოშვილი ყოველთვის სკანდალური პერსონა იყო. მედიის ყურადღების ქვეშ ხან მისი ჩაცმულობა ხდებოდა, ხან მისი შესტრუქტურა, ხან მისი დაპირისპირებები მინისტრთან, თუმცა, პირველად მოხვდა სერიოზული ხარვეზები სკოლის საატესტაციო გამოცდებზე. ეს კი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს – განათლების ახალი მინისტრი საკმაოდ სუსტია იმისთვის, რომ ნინამორბედების მსგავსად, მაია მიმინოშვილი აიძულოს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკითხს. მისი პასუხები, რომელთა დიდი ნაწილიც სოციალური ქსელით გავრცელდა, სირაქლემას პოზას უფრო ჰგავს. მას, უბრალოდ, არ უნდა, დაინახოს და გაიგონოს. საინტერესოა, მოჰყვება თუ არა ამ სკანდალს შესაბამისი რეაგირება იმისთვის, რომ მომავალ წელს მოსწავლეები ასეთივე ვითარებაში არ აღმოჩნდნენ. თუმცა, ნინ დიდი ეროვნული გამოცდებია.

აქვით აბიტურიენტებს



სისტემა ზოგ შემთხვევაში გაუმართავად მუშაობდა და ხშირი იყო გათიშვები. გარდა ამისა, ტესტი ოთხ სავარაუდო პასუხიანი იყო და სამიანიც. მაგრამ სამპასუხიანი მიუთხებ პასუხიც ჩანდა, რაც ბავშვებს აბნევედა. ამ ინფორმაციას ბავშვებისგან ვიგებდით, რომლებიც გამოცდიდან ტირილით გამოდიოდნენ: უმეტესობა უკმაყოფილო იყო შედეგით. ბავშვებსა და მშობლებს გასაჩივრება უნდოდათ, მაგრამ რა უჭირავთ ბავშვებს ხელში? რა უნდა გასაჩივრონ? ამიტომ, მივმართავ პრემიერ-მინისტრს, შექმნას კომისია, ჩართოს დაინტერესებული პირები, სპეციალისტები და შეისწავლონ საგანმრწამლო ცენტრის ის ჯგუფი, ვინც ამ ტესტებზე

მუშაობდა. რაც შეეხება ეროვნულ ცენტრს, რაც არ უნდა ილაპარაკონ და ბავშვებს აბრალონ, რომ შედეგები არის დაბალი, როგორ? ერთეულებზეც კი ვერ მიიღეს მაღალი შეფასებები? რატომ არ დაინერა მაღალი ქულები? რა, ყველა უცოდინარი იყო? ესაა სიტუაცია ამიტომ უნდა მოხდეს მასალების ამ-

მანანა ნიკოლაიშვილი: „მივმართავ პრემიერ-მინისტრს, შექმნას კომისია, ჩართოს დაინტერესებული პირები, სპეციალისტები და შეისწავლონ საგანმრწამლო ცენტრის ის ჯგუფი, ვინც ამ ტესტებზე მუშაობდა“

ოლება, შერჩევით შემოწმდეს ყველაზე ძლიერი მოსწავლეების ნამუშევარი და საერთოდ შემოწმდეს იმ ტესტების ხარისხი, რომელიც ამჟამად ხარვეზიანი იყო! პროგრამაში ის ტესტები არ უნდა ყოფილიყო, რაც ეროვნული გა-

მოცდების პროგრამაშია, რადგანაც ეს სხვადასხვა პროგრამებია და ესეც მაგათ სინდისზე იყოს. გამახსენდა დიმიტრი შაშკინის გამოსვლა, როცა მაია მიმინოშვილს დაეჯახა. ერთ-ერთი საკითხი, რასაც მაშინ შაშკინი აყენებდა, ესაა შეფასების სქემები და კრიტერიუმი. 22 მაისს გამოცდა ისტორიაშიაო? ამ დროს, ბრძანებით, გამოცდა უცხო ენაში იყო და შეეშალა თურმე! ამ დროს ყველა დაბნეული და გაგვიჟებული იყო, გამოცდა რა საგანში ტარდებოდა, არავინ იცოდა! სრული შოკი ჰქონდათ ბავშვებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და ყველას! მაგათი შედეგნილი ტესტები და ჩატარებული გამოცდები რომ შეფასდეს, სტატისტიკა უნდა დაიდოს და უნდა ენახოთ, ვინ არის მართალი. უამრავი ბავშვია ჩაჭრილი და ამიტომ ეს სასწრაფოა და გასაკეთებელი. რა გააკეთეს და რა დაამტკიცეს ამით? კახა ჯამბურია არის ჯგუფის ხელმძღვანელი და მას პირადად ვიცნობ, პატიოსანი კაცია და რა აერიათ? როგორ შეიძლება, რომ უძლიერესი ბავშვები გამოვიდნენ უმცირესი შეფასებით?

თავად მაია მიმინოშვილს ასეთი შეფასებები და სოციალურ ქსელებში ატეხილი პანიკა არარეალურად მიაჩნია. მისი განცხადებით:

– ნურავის ექნება პრეტენზია, თუ გამოცდების შედეგები ობიექტ-



აიჩიეთ საოცნებო მოგზაურობა

მ>ში

10 ლაჩიანი "მეტი" – 2 ბილეთი
 25 ლაჩიანი "მეტი" – 5 ბილეთი
 50 ლაჩიანი "მეტი" – 10 ბილეთი

ახსენებთ ყოფილ დაწახიეთ ახეთი მომგებთანი



„ეს თეატრი, ამ ყველაფერი იქნება, მათ შორის ინტრიგებიც“

my View
მირიან გომილიძე

დეპუტატისა და მსახიობის, ზაზა პაპუაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, საზოგადოების ნაწილმა უკვე მონათლა, როგორც განხეთქილება თეატრალურ სამყაროში. ჩვენს მკითხველს შევახსენებ, რომ პაპუაშვილის საკანონმდებლო ინიციატივით, თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების არჩევის პროცესში აქტიურად უნდა იყოს შემოქმედებითი დასი ჩართული. როგორც იცით, მედიაში გავრცელდა პაპუაშვილის წერილი პრემიერ-მინისტრისადმი, სადაც ის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს (რობერტ სტურუას) აკრიტიკებს. პაპუაშვილის ინიციატივას კრიტიკა მოჰყვა თავად სახელოვნებო წრეებში. მაგალითად, სოციალური ქსელის მეშვეობით მწვავე პოლემიკა გაიმართა რეჟისორ ქეთი დოლიძესა და ზაზა პაპუაშვილს შორის.

ამ კანონპროექტზე კომენტარი არ გაუკეთებია თავად რობერტ სტურუას, თუმცა „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რას ფიქრობს რეჟისორის ერთ-ერთი ფავორიტი მსახიობი და ახლო მეგობარი, ბესო ზანგური.

გთავაზობთ ინტერვიუს მსახიობ ბესო ზანგურთან:

– მე ვიზიარებ ზაზა პაპუაშვილის მოსაზრებებს, გარდა ამ კანონისა. ვფიქრობ, თეატრში ყველაფერს სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა წვევდეს. მსახიობმა რატომ უნდა აირჩიოს სამხატვრო ხელმძღვანელი, ჩემთვის გაუგებარია. მე არ მინახავს სამხატვრო საბჭოს მიერ აშენებული თეატრი. ამან ისტორიის არც ერთ ეტაპზე არ გაამართლა. რუსთაველის თეატრში ხომ იყო სამხატვრო საბჭო, როდესაც ბატონი რობიკო სააკაშვილის რეჟიმის დროს წასული იყო თეატრიდან. მე ვერ ვნახე, რომ დიდი გარღვევა მომხდარიყო მაშინ. ასე რომ, ყველაფერში ვეთანხმები ზაზა პაპუაშვილს, გარდა ამ საკითხისა.

– ამჟამად რამდენად აქტიურია თეატრი? ზაზა პაპუაშვილი თეატრში ძალაუფლების უზურპაციას ხაზს უსვამდა...

– არა, ზაზას არ უთქვამს. ეს არის ჭორები.

– წერილში, რომელიც მან პრემიერ-მინისტრს მისწერა, სწორედ ამაზეა საუბარი...

– თქვენ ნაიკითხეთ ეგ წერილი?

– დიახ, წავიკითხე და იქ საუბარია იმაზე, რომ თეატრში პრაქტიკულად არ იდგმება სპექტაკლები და სამხატვრო ხელმძღვანელი ძირითადად საქართველოში არ იმყოფება...

– უკაცრავად, სამხატვრო ხელმძღვანელი გაგდებული ჰყავდათ თეატრიდან და ახლა როგორ უნდა... რა გააკეთოს რობერტ სტურუამ – აქეთ მადლობები უხადოთ? როცა სამხატვრო ხელმძღვანელი გაგდეს, ის წავიდა და უცხოურ თეატრებთან დადო კონტრაქტები. ეს კონტრაქტები, ასე ხელის ადებით, ვერ დაირღვევა, ახლა დაბრუნდა და აპირებს „ვეფხისტყაოსნის“ დადგმას, ასევე, „სამი ასულის“ დადგმას, ამასობაში მუშაობა მიიღის სამ სპექტაკლზე. ვერ ვხვდები, რას ჰქვია თეატრის გაჩერება. მაგალითად, მე თუ სპექტაკლებს არ ვთამაშობ, არ ნიშნავს, რომ თეატრი გაჩერებულია. არ არსებობს ფაქტი, რომ რომელიმე თეატრში სამხატვრო საბჭოს გაემართლებინოს.

– აბა, ერთი ადამიანი უნდა წვევდეს ყველაფერს?

– ერთი ადამიანი რატომ? ის ერთი ადამიანი არის სამხატვრო ხელმძღვანელი, დასს აქვს უფლება, არ დაეთანხმოს მის გადაწყვეტილებას. აბა, შვიდი მსახიობი უნდა წვევდეს თეატრის ბედს?

– შვიდი რატომ?.. აქ იგულისხმება მთლიანად შემოქმედებ-

ბესო ზანგური: „ქალიან დიდი ბროლა გამოვიარეთ იმისთვის, რომ სტურუა თეატრში დაგვბრუნებინა. მაშინ რატომ დაგვბრუნეთ? რატომ ვიბრძოლეთ, თუ ეს კაცი ისევ რამდენიმე ადამიანის ასარჩევი გახდებოდა?“

ითი დასი...

– არ მესმის, რატომ უნდა აირჩიონ მსახიობებმა სამხატვრო ხელმძღვანელი. მაგალითად, რა სჭირს რობიკო სტურუას ბესო ზანგურის ასარჩევი? კაცის, რომელიც მსოფლიო ოთხეულშია შესული, რა სჭირს საიმისო, რომ ბესო ზანგურმა ან სხვამ აუნიოს ხელი, დადგას თუ არა სპექტაკლი? მე ეს დიდ უხეშობად მიმაჩნია. მე მგონი, სასაცილოა, რომ რობერტ სტურუა სპექტაკლებს დგამდეს რომელიმე მსახიობის ხელის აწევით. რუსთაველის თეატრი ჩემთვის არ არის კედლები და მხოლოდ ადგილი. რუსთაველის თეატრი ჩემთვის რობერტ სტურუაა. ის რასაც გადამწყვეტს და იტყვის, მე იმას ვერ გავცდები. როგორც გინდათ, ისე ჩამითვალეთ, მაგრამ, თუ რობერტ სტურუა არ იქნება, ჩემთვის რუსთაველის თეატრში ყოფნა-არყოფნაც სულერთია. თქვენ კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება რობიკოს მიმართ. ის არის არა მხოლოდ უნიჭიერესი რეჟისორი, არამედ ჩემი უფროსი მეგობარიც. ძალიან დიდი ბროლა გამოვიარეთ იმისთვის, რომ სტურუა თეატრში დაგვბრუნებინა. მაშინ რატომ დაგვბრუნეთ? რატომ ვიბრძოლეთ, თუ ეს კაცი ისევ რამდენიმე

ადამიანის ასარჩევი გახდებოდა?

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ კანონის მიღების შემთხვევაში შესაძლოა, რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრში ყოფნის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს?

– არავითარ შემთხვევაში. მე ზაზას ვიცნობ და ვიცი, რომ მას რობერტ სტურუასთან პერსონალური პრობლემა არა აქვს.

– თუმცა მას აქვს პრეტენზია, რომ თეატრის ცხოვრება ჩაკვდა...

– თეატრის ცხოვრებით შეიძლება არ იყოს კმაყოფილი მსახიობი. მეც არ ვიყავი კმაყოფილი, როცა რობიკო წასული იყო. 5 წელი როლი არ მითამაშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რობიკოს წინააღმდეგ წავიდე.

– როგორ ფიქრობთ, რატომ დაგდა დღის წესრიგში ამ კანონის მიღება?

– ალბათ, ზაზა არ დააკმაყოფილა... ნუ, აქ პრობლემა იცით რა არის? საზოგადოებას ჰგონია, რომ აქ მხოლოდ რუსთაველის თეატრზეა საუბარი, რაც არასწორია. ხალხი აღიქვამს, როგორც სტურუასთან დატაკებულ ზაზას, მაგრამ ასე არ არის. იმ კაცს აქვს თავისი პოზიცია, პარლამენტის წევრია და მისი საქმეა კანონების შექმნა. მას აქვს ეს იდეა, ან დაეთანხმებიან ან არა.

– საზოგადოების ნაწილი ვარაუდობს, რომ პაპუაშვილის ეს ინიციატივა თეატრალურ სამყაროში განხეთქილებას გამოიწვევს...


– მე ვერანაირ განხეთქილებას ვერ ვხედავ ზაზა პაპუაშვილისა და რობერტ სტურუას შორის.

– თუმცა მხოლოდ რობერტ სტურუაზე არაა აქ საუბარი... ასევე, მწვავე პოლემიკა ჰქონდა ზაზა პაპუაშვილს ქეთი დოლიძესთან...

– ყველაფერს თავისი გამოხატვის ფორმები აქვს. რასან ზაზა პოლიტიკაშია წასული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მკვებე პასუხს პასუხითვე არ უნდა უპასუხო. ალბათ, ქეთის მიერ იყო რამე ნათქვამი ისეთი, რომ ზაზამ რეაქცია მისცა. იცით, რა? შეიძლება ადამიანი გააკრიტიკო, მაგრამ კრიტიკის ფორმასაც გააჩნია. ზაზა არ არის ის კაცი, რომ ადამიანს, მით უმეტეს ქალს, უზრდელურად უპასუხოს. თუ მკვებედ ეტყვიან, მკვებედვე უპასუხებს. ყველას აქვს წერვები. მოსწყდეს საქმეს, რომელსაც ჰქვია ხელოვნება და ნახვიდე იმ ბაკანალიაში, რასაც პარლამენტი ჰქვია, ამას ძალიან დიდი წერვები სჭირდება.

– და ვინ აიძულა „ბაკანალიაში“ წასვლა? სწორედ აქედან გამომდინარე მინდა გკითხოთ, ზოგადად, რამდენად სწორად მიგაჩნიათ, ხელოვნების ამ დოზით ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში?

– საქართველოში იყო ისეთი დრო, როცა ყველას უნდა ამოელო ხმა, იქნებოდა ეს ექიმი, მსახიობი, რეჟისორი თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი. ეს მოიტანა „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანმა რეჟიმმა. იხელება ბოროტების ძალას, მხოლოდ ერთი სფეროს წარმომადგენლები ვერ მოეროდნენ. ამ ბროლის შემდეგ, ვილატების იქ დარჩენა გახდა საჭირო. სწორედ ამიტომ შემორჩნენ პოლიტიკაში მსახიობები, რეჟისორები, ან სხვა აპოლიტიკური სფეროს წარმომადგენლები. მსახიობები უტოლინდები



„არ მესმის, რატომ უნდა აირჩიონ მსახიობებმა სამხატვრო ხელმძღვანელი. მაგალითად, რა სჭირს რობიკო სტურუას ბესო ზანგურის ასარჩევი“

არიან, თუ გაუნათლებლები, რატომ არ შეიძლება ისინი იყვნენ პარლამენტში? აი, ის კანონმდებლობითი ხალხი რომ ეჯდათ მხოლოდ და მამაკაცებს აუპატიურებდნენ, მაგათ მიხედონ ჯერ და მერე დაიწყონ მსახიობების გადაჩვენება.

– თუმცა იგივე მსახიობები და ინტელიგენციის წარმომადგენლები ჩვენ გვახსოვს „ნაციონალური მოძრაობისა“ და ჟვანია-საკაშვილის გვერდითაც, როდესაც ქვეყანაში გვარდების რევილუცია“ მნიშვნელოვანია...

– დიახ, რადგან ეს იყო ახალი ძალა, მაგრამ ეს ძალა აღმოჩნდა ბოროტების ძალა და ნელ-ნელა მოშორდა ეს ხალხიც.

– მანამდე იყო შევარდნაძეც...

– კი და ისიც შეიცვალა. ასე რომ მოვეყვით ყველაფერს, შეგვიძლია გავაგრძელოთ – იყო 90-იანი წლები და ა.შ.

– დიახ, და იმ 90-იან წლებშიც გვახსოვს ინტელიგენციის ეს სახეები ჯაბა იოსელიანისა და კიტოვანის გვერდით...

– ჯაბა იოსელიანზე მე ცუდს ვერაფერს გეტყვით. ქალბატონი ლილი და, ზოგადად, ეს ოჯახი ჩემთვის ძალიან ახლობელია.

– ცუდის თქმა არც მითხოვია... უბრალოდ, თქვენი აზრი მაინტე-

რესებდა, ზოგადად, რამდენად სწორად მიგაჩნიათ, როდესაც ინტელიგენცია ჯერ ჯაბა იოსელიანს უჭერდა მხარს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, შემდეგ – შევარდნაძეს, შემდეგ – სააკაშვილს და ახლა – „ქართულ ოცნებას“...

– მითხარით ერთი მსახიობი, რომელიც ჯაბა იოსელიანს უჭერდა მხარს, აბა. მე არ ვიცი ასეთი.

– მაგალითად, რეჟისორი ნუკრი ქანთარია...

– მე არ მსმენია ასეთი ინფორმაცია. „მხედრიონის“ დროს მე პატარა ვიყავი და შეიძლება არ მახსოვს. ზოგადად, ჩემი ნება რომ იყოს და ხელმეწიფებოდეს, რა თქმა უნდა, ვარჩევდი, მსახიობებს, ხელოვნების თავიანთი საქმე ეკეთებინათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მხოლოდ ასე არ გამოდის. რაც შეეხება დაპირისპირებას თეატრალურ სამყაროში, მოდით, ინტერვიუს ასე დავასრულებ: ეს არის თეატრი, ყველაფერს უნდა შევხედოთ ლაღად, რატომ გინდათ, რომ კანონებში მკაცრად მოქცეული სტრუქტურა გახდეს თეატრი? ეს თეატრია, აქ ყველაფერი იქნება, მათ შორის ინტრიგებიც. ყველაფრის ბოლო მაინც კარგად მთავრდება, თეატრი ხომ მაინც აბსურდია.

უკრაინის ახალი პირველი ლედი



POLIT BAZ

უკრაინელი ახალ პირველი ლედის ეგზეგია. უკრაინული მადია წარს, რომ შესაბამაილიც არაფარია, რადგან ყოფილი პირველი ლედი საკუთარ მოვალეობებს არ ასრულებდა.

ახალ პრეზიდენტს, 48 წლის პეტრე პოროშენკოს მასზე ოთხი წლით უფროსი მეუღლე ჰყავს. მარინა პოროშენკო 52 წლის არის და აცხადებს, რომ საკუთარი მეუღლის გვერდით თავს ყველაზე დაცულად გრძნობს.

წყვილმა ერთმანეთი დისკოთეკაზე გაიცნო. მამინ მომავალი პრეზიდენტი მხოლოდ 17 წლის იყო. როგორც თავად მარინა ამტკიცებს, ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. კონტაქტურმა, მამაკაცურმა და სპორტით გატაცებულმა პოროშენკომ მომავალი მეუღლე მარტივად მოხიბლა. თუმცა შეხვედრები გაცნობიდან ნახევარი წლის შემდეგ დაიწყეს.

მარინა პოროშენკო, უკრაინის პირველი ლედი: „ოფიციალური მონვევა არ ყოფილა. უბრალოდ, ერთმანეთის გამუდმებით ნახვის გადაუღახავმა სურვილმა ჩვენი სამომავლო ურთიერთობა განსაზღვრა. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, პიკნიკი მოვანყვეთ, მოგვიანებით კი პეტრიამ სახლამდე მიმაცილა. ასე დავიწყეთ ერთმანეთთან შეხვედრა. პირველი პაემანი – ეს ისეთი რომანტიკული იყო, მე მკაცრი რეჟიმი მქონდა, 22:00-ზე სახლში უნდა ვყოფილიყავი. ამ დროისთვის ჩვენ სახლთან მოვდიოდით, დედას დავენახებოდი ხოლმე და შემდეგ აივნის ქვევით ვიდექით ლამის პირველ საათამდე – ერთმანეთთან განშორება ძალიან გვიჭირდა“.

სწორედ დაშორებამ დააჩქარა მათი დაქორწინება. შეყვარებულობის პერიოდში პეტრე პოროშენკო სამხედრო კომისარატმა გამოიძახა. შეყვარებულები ფიქრობდნენ, რომ ორწლიან განშორებას ვერ გადაიტანდნენ. ამიტომ მათ მალევე იქორწინეს. ჯარისკაცი პეტრე პოროშენკო სამხედრო ნაწილიდან 10 დღით გამოუშვეს საკუთარ ქორწილში.

პოროშენკოების წყვილს 4 შვილი ჰყავს: 29 წლის ალექსეი, 14 წლის ტყუპი გოგონები – ევგენია და ალექსანდრე და უმცროსი მიხეილი – 13 წლის. ოჯახს საკუთარი წესები აქვს, მაგალითად, სახლში არასოდეს საუბრობენ პოლიტიკაზე. თუმცა ეს აქამდე იყო, ახლა, როდესაც ოჯახის უფროსი ქვეყნის პირველი პირი გახდა, შესაძლოა, წესები ნაწილობრივ შეიცვალოს...

პირველი ლედის მამა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. რევოლუციის შედეგად გაპრეზიდენტებული პოროშენკო კიდევ უკრაინაში უდიდეს საკონდიტრო კომპანიის „Roshen“-ისა და ყველაზე პოპულარული საინფორმაციო არხის „5 Kanal TV“-ს მფლობელია.



POLIT BAZ

ნაციონალური იულებიან



არჩევნების შემდეგ ცვლილება-
ბს „ნაციონალურ მოქმედებაში“
ელოდება. პარტია აუცილებლად
ორად გაიზარდა და ამ ინფორმაც-
იას არაოფიციალურად ნაციონ-
ალური ოფისშიც ადასტურებენ.
თუმცა, დეტალები არ ხმაურდება.
ჯერ არ ამბობენ, ვინ საით გალა-
ნდნობა, ვინ დარჩება მიხეილ
საკაშვილის პარტიაში. თუმცა,
ოპოზიციური აცხადებენ რომ ეს
დაშლა კი არა, გაშლა და გაფართ-
ობა იქნება.



პირველად ეს ფორმულა ლევან ბე-
რძენიშვილმა გამოიყენა, მაშინ რო-
ცა თავად ოპოზიციამ იყო, ალიანსის
ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და ადგი-
ლობრივი არჩევნების შემდეგ დაიშალ-
ნენ. თუმცა, ამ განცხადებას ცოტათი
ვინმე დაუჯერა. მაინც ყველამ ჩათვ-
ალა, რომ ოპოზიციამ განხეთქილება
და დაიშლებიან.



ნაციონალური განხეთქილება არ იმ-
ჩნევენ და ამბობენ, რომ ეს ტაქტიკური
სვლა უფროა, ვიდრე განხეთქილება.

ვარაუდობენ, რომ ცალკე გავლენ
ეგრეთონდებული ფუნა-მერაბიშვილ-
ის „სასტავი“, გიგი უგულავა და სააკაშ-
ვილი კი ცალკე დარჩებიან. თუმცა, ეს
მხოლოდ ვარაუდებია და ძირითადად იმ
სტრუქტურებს ასხავს, სადაც ლიდერე-
ბს შორის გამყოფი ხაზები გადის.

პარტია, სადაც ნაციონალური მასო-
ბრივად გადაინაცვლებენ, შოთა მალა-
შვიას პარტიაა. მისმა პარტია „ქრისტი-
ან-კონსერვატორებმა“ ერთხელ უკვე
იხსნა ზურაბ ფუნია, როცა ის შევარდ-
ნაძის დროს უპარტიო დარჩა. მაშინ
პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარ-
ემ სნორედ შოთა მალაშვიას პარტიით

იყარა კენჭი. ბევრს არ სჯერა, თუმცა,
როგორც ოფიციალურად ირწმუნებიან,
მალაშვიამ თავად შესთავაზა დახმარ-
ება და პარტია ზურაბ ფუნია.

დეტალები არ ხმაურდება, მალაშ-
ვიას პარტია მალე სიმბოლური აღარ იქ-
ნება და ის სერიოზულად შეივსება. თუ-
მცა ვინ გახდება პარტიის თავმჯდომ-
არე, რთული სათქმელია. ამბობენ, რომ
შეიძლება ეს მართლაც ტაქტიკური
სვლა იყოს და ნაციონალურმა გაყოფით
ორმაგად ისარგებლონ იმ სარგებლით,
რასაც პარტიებს კვალიფიციურის სტ-
ატუსი აძლევს.

POLIT BAZ



მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა...

POLIT BAZ

ლამის სნორედ ამ ქართ-
ული მულტიფილმის შესაბამი-
სი იმიჯი აუნყო სოციალურმა
ქსელებმა ფინანსთა მინისტრს.
სხვებს თუ პრემიებს უთვლიან,
ნოდარ ხადურს მუდმივად მენი-
უს ურჩევენ. საქმე იმდენად გა-
რთულდა, რომ მინისტრმა ისიც
კი გამოაცხადა, დიეტაზე ვზივ-
არ, უკვე 15 კილო დავიკელი.

თუმცა, სოცსელებში ეს თე-
მა მაინც არ დაიხურა. მენიუების
განხილვა და მინისტრისთვის უფ-
ასო რჩევების მიცემა გრძელდება.
ნოდარ ხადურმა ამ თემაზე
„ვერსისთან“ ვრცელი კომენტ-
არი გააკეთა:
– შესაძლოა, მენიუზე ბევრი
ვიკამათოთ, როგორი უნდა იყოს,
ჯერ ბრალი დაგვდეს ბევრი, იო,
მერე გვისაყვედურეს, ცოტააო,

ისიც კი თქვენს, სალათი „ოლივიე“
რატომ შეიტანეთ მენიუში, რუსუ-
ლიაო. შემოიძლია გიჩვენოთ ჩემი
ვიზიტის პროგრამა სამიტის გა-
ნმავლობაში. სამი მიღებაა, პრემ-
იერ-მინისტრის, ფინანსთა მინი-
სტრისა და ცენტრალური ბანკის
მმართველის სახელით, ეს არის
პროტოკოლი, სხვანაირად არ შე-
იძლება“, – აცხადებს ნოდარ ხა-
დური. მისივე თქმით, მას ის პერი-

ოდიც ახსოვს, როდესაც ფინანს-
თა მინისტრი და მისი მეგობრები
სტუმრებს „შენწერილი“ ფულით
მასპინძლობდნენ. ხადურის განც-
ხადებით, მას საკუთარი მეგობრ-
ები რესტორანში არ წაუყვანია.
„ვერ გეტყვით, რომ არ ვსად-
ილობ, მაგრამ, როდესაც მეგობრ-
ებთან ერთად ყოფნა მინდა, სახლ-
ში ვმლი სუფრას. რადგან რესტ-
ორნებში საერთოდ არ დავდივარ.

არც „მასაჟისტკა“ ჩამომიყვანია
სახელმწიფოს ხარჯით, არც მაიმ-
უნის ტვინის დელიკატესები მი-
მიტანია სუფრაზე და არც კლუბ
„დივაში“ წამიყვანია არც ერთი
დელიკატესი. კახეთში წავიყვანეთ
ექსკურსიაზე და ტრადიციული
ქართული კერძებით გავუმასპინ-
ძლდით. მათი განწყობაც ვიცო,
მოსწონთ კარგი გემრიელი ქართ-
ული სამზარეულო და ღვინო“.

დათა ახალაია ციხეს დღეს დატოვებს



საბერძნეთის საპატიმროს
დათა ახალაია 2 ივნისს დატო-
ვებს. კუდ-ის ყოფილი უფროსის
ადვოკატის განცხადებით, პრ-
ობლემა გირაოს თანხის გადა-
რიცხვისას შეიქმნა.
სასამართლომ რამდენიმე დღ-
ის წინ დათა ახალაიას 100 ათასი
ევროს ოდენობის გირაოს გადა-

ხდა დააკისრა, სნორედ ამის შე-
მდეგ გაათავისუფლებდნენ მას
ციხიდან. თუმცა, როგორც აღ-
ნიშნავენ, ამ თანხის მოპოვება
ოჯახმა ვერ შეძლო.
„ოჯახმა 100 ათასის შემოტანა
ვერ მოახერხა. საბერძნეთში ერთ
დღეში თანხის შემოტანას ხელი
ბუროკრატია შეუშალა. დათა

ახალაიას ციხიდან ორშაბათს ად-
გილობრივი დროით, 12:00 საათ-
ზე გამოუშვებენ“, – განაცხადა
ალექსანდროს პაპასტროპოლი-
უსმა.
რაც შეეხება ახალაიას ექსტ-
რადირებას, საბერძნეთის სასამ-
ართლო აღნიშნულ საკითხზე ორ
თვეში იმსჯელებს.





„მთავრობამ ბრძანება უნდა გაემოსცეს, რომ ოკუპანტი სახელმწიფოს დროშების ფრიალი აიკრძალოს... იმ დროშის, რომელიც ცხინვალში ფრიალებს ოკუპანტის ტანკზე“

ქეთი ხატიაშვილი

რატომ ხვდება საქართველოს ოპოზიცია ერთი და იგივე ხასიათის მესიჯებს რადიკალურად განსხვავებული შეფასებებით. რატომ შეუძლია უკრაინის პრეზიდენტს თქვას, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია და რატომ იწვევს იგივე შინაარსის განცხადება აგრესიას უკვე მაშინ, როცა მას საქართველოს პრემიერი ამბობს.

რატომ უკრავენ ტაშს პოროშენკოს მაშინ, როცა ის ფრთხილია რუსეთთან მიმართებაში და იგივე სიფრთხილე, ოღონდ უკვე საქართველოს ხელისუფლებაში, რატომ იწვევს მამარ კრიტიკას? ამ თემაზე კომენტარი ექსპერტ კახა გომოლაშვილს ვთხოვეთ:

– რუსეთთან და დასავლეთთან დაკავშირებით, ჩვენ და უკრაინას დაახლოებით ერთი და იგივე მიზნები გვაქვს.

ჩვენ გვინდა, რომ რუსეთისგან საფრთხე შევამციროთ და საუბარი დავინწყეთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. უკრაინასაც იგივე მიზნები აქვს, თუმცა ამ ეტაპზე ვითარება იქ დაახლოებით ისეა განვითარებული, როგორც ჩვენთან აგვისტოს ომის დროს იყო... უკრაინაში რუსული ინტერვენცია ჯერ არ დასრულებულა, ყირიმში დასრულდა, მაგრამ პირდაპირი სამხედრო ჩარევა არ განხორციელებულა დონეცკსა და ლუგანსკში. როგორც კი დარეგულირდება, დარჩება ანექსირებული ყირიმის და გარკვეული, მოუგვარებელი პრობლემები იგივე ლუგანსკსა და დონეცკში.

სტრატეგია როგორც უკრაინისთვის, ისე საქართველოსთვის დაახლოებით ერთნაირია – საფრთხის თავიდან არიდება. ევროკავშირის და ამერიკის, როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში, გვთხოვენ მაქსიმალურად შევეცადოთ, არ გავამწვავოთ ურთიერთობები რუსეთთან. აქ იკვეთება რუსეთთან დამოკიდებულებებს შორის მსგავსება.

– პოროშენკო აცხადებს, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია, საქართველოს ოპოზიციას ეს მოსწონს, თუმცა იგივე განცხადებები უკვე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აღიზიანებს...

– უკრაინა ომის ზღვარზეა და ანტიტერორისტულ ოპერაციას გარკვეული წარმატებით ახორციელებს. უკრაინა დგას რეალური საფრთხის წინაშე და იქ არავის აწყობს ფართომასშტაბიანი ომი, ამიტომაც პოროშენკოს განცხადებები ფრთხილი და ნინდახედულია. იქ ძალიან გაიზარდა მოსახლეობის თვითშეგნება და პოლიტიკური კულტურაც. და ამ ვითარებაში მათ კარგად ესმით, რომ ეს არის მესიჯი იმისთვის, რომ რუსეთს არ მიეცეს ომის დაწყების მიზეზი. უკრაინას სჭირდება დროის მოგება.

რაც შეეხება საქართველოს, საქართველოში ომი დასრულდა, ჩვენი ტერიტორიები ანექსირებულია და რუსეთი საქართველოში დამატებით შემოჭრას კი არ ცდილობს, არამედ ჩვენგან სტატუს კვოს აღიარებს.

ამიტომაც საქართველოში ოპოზიცია მთავრობის მხიდან ფრთხილ დამოკიდებულებასა და რუსეთის კრიტიკისთვის თავის არიდებას აღიქვამს, როგორც რუსეთის ამ მოთხოვნაზე დათანხმებასა და დაყოლიებას.

ამ თვალსაზრისით რეაქცია და დამოკიდებულება ჩვენი მთავრობისა და პოროშენკოს მოქმედებებს შორის განსხვავებულია.

ზოგადად, მიდგომა, ალბათ, სწორია, მაგრამ შესაძლოა, ტაქტიკურად მოგვდის შეცდომა. ზოგჯერ რეაგირებას ვაგვიანებთ, ზოგჯერ ღუმილს ვარჩევთ. ასე რომ, შეიძლება გავაკრიტიკოთ ტაქტიკურ ელემენტებში. პოლიტიკა სტრატეგიაში სწორია

– რუსეთი არ უნდა აიძულო, პროვოცირება არ უნდა მოახდინო, რომ მას ჰქონდეს პოზა: არ ველაპარაკები საქართველოსო. ამ ფონზე კი თავისი მიზნები ისე განახორციელოს, როგორც მას გაუხარდება.

მეორე მხრივ, არავის არ უნდა დარჩეს იმის განცდა, რომ ჩვენ რუსეთს შევურიგდით, სტატუს კვო ვალიარეთ და ახლა ისინი ჩვენი ძმები არიან და ერთადერთი, რაც დაგვრჩა, რუსი ტურისტების შემოყვანა საქართველოში და სხვა პრობლემა აღარ არსებობს.

ჩვენი მთავრობის მდგომარეობა რთულია. ფაქტია, რომ მიდგომა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს იყო, უნდა შეცვლილიყო. იმან შედეგი ვერ გამოიღო. მაგრამ რამდენად სწორად ხორციელდება ახალი დამოკიდებულება და პოლიტიკა? ხანდახან ზედმეტად ვიკავებთ რუსეთის კრიტიკისგან თავს, ზოგჯერ ზედმეტად ვჭუმუღებთ, რაც ხშირ შემთხვევაში თანამეგობრობისთვისაც ცუდია და ქვეყნის შიგნით მოსახლეობისთვისაც – პრორუსული ძალები აქტიურობენ.

ხაზი მინდა გავუსვა მედიასივრცეს, აქაც რუსული პროპაგანდა გააქტიურდა. რადიომი მოისმენთ პირდაპირ პროკრემლისტურ პროპაგანდას. ხომ არსებობს მედიამონიტორინგი და უნდა მოსთხოვოთ, რომ მტერი ქვეყნის პროპაგანდა არ მოხდეს. ამ კონკრეტულ რადიოში, რომელზეც მე ველაპარაკებ, ფაქტებსაც კი დამახინჯებულად გადმოსცემენ. ეს სიტყვის თავისუფლება კი არ არის, მტრულად განწყობილი ქვეყნის პროპაგანდაა.

მთავრობამ ბრძანება უნდა გამოაცხადოს, რომ ოკუპანტი სახელმწიფოს დროშების ფრიალი აიკრძალოს აქციების ან აზრის გამოხატვის დროს. მაგალითად, რუსული დროშების დემონსტრირება არ შეიძლება ქუჩაში. იმ დროშის, რომელიც ცხინვალში ფრიალებს ოკუპანტის ტანკზე.



ქეთი ხატიაშვილი

კოსოვოს ჯიბრზე აღიარებული აფხაზეთი და ცხინვალი; ევროკავშირის გაფართოების ჯიბრზე შექმნილი ევრაზიული კავშირი.

პუტინი ყველა თავის საგარეო მარცხს საქართველოში „იქარებს“. უკრაინაში უკან დახევის შემდეგ პუტინი ისევ საქართველოს ესხმის თავს. თითქოს ეს ერთადერთი სივრცეა, სადაც მას შელახული იმიჯის „აღდგენა“ შეუძლია.

კრემლმა სოხუმში ოპოზიცია გაააქტიურა. რაულ ხაჯიმბა, რომელიც ახლა აღექვანდრე ანქვაბის წინააღმდეგ გამოდის, პირველად არ ესხმის თავს ევროეთოდებულ პროაფხაზეთურ ძალებს.

ანქვაბი უკვე დიდი ხანია, რუსეთის ნერვებზე თამაშობს. ჯერ კიდევ არძინბას ხელისუფლებიდან მოკვლეული, ის ცდილობდა ხელში ჩაეგდო მმართველობა და რუსეთის გავლენები შეესუსტებინა. ამიტომაც არძინბას საეჭვო გარდაცვალების შემდეგ ანქვაბმა საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის პოსტზე. მისი გავლენები იმდენად სერიოზული იყო, რომ აფხაზეთში კანონი შეცვალეს და ანქვაბს საარჩევნო რინგზე ასვლის უფლება ჩამოართვეს. ამიტომაც, მის მაგივრად კენჭი სერგეი ბალაფშმა იყარა. ბალაფშს დამპირისპირება სწორედ ხაჯიმბასთან მოუწია და წააგო.

მაშინ ყველამ თქვა, რომ სერგეი ბალაფშს გაულის ქართველი მოსახლეობის ხმები დაეხმარა. გა-

ლმა გადანყვიტა არჩევნების ბედი, ასევე, საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი უკვე სერგეი ბალაფშის შემდეგაც. აღექვანდრე ანქვაბმა სწორედ მაშინ გაიმარჯვა და უკვე თავად განაგრძო აფხაზეთის დამოუკიდებლობის კურსის გატარება. აფხაზეთის ევრეთოდებული პრეზიდენტები რუსეთს არც მინების პრივატიზების უფლებას აძლევდნენ და არც საბადოებზე კონტროლის დაწესების საშუალებას. ანქვაბი რკინიგზის გახსნის წინააღმდეგ ცემოვითა, რაც რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემაა. საუბარია რკინიგზაზე, რომელმაც სომხეთი და რუსეთი უნდა დააკავშიროს.

ამ მიმართულებით თბილისის პოზიციაც დადებითი იყო. პაატა ზაქარაიშვილმა მოსკოვის ეს ინიციატივა სრულიად გაიზიარა:

– ჩვენ უნდა შევწყვიტოთ საკითხის პოლიტიკურად მოტივირება და პრობლემა ეკონომიკურ ასპექტში განვიხილოთ. სარკინიგზო ხაზის აღდგენა ხელს შეუწყობს დევნილების დაბრუნებას და პრობლემების მოგვარებას. სარკინიგზო ხაზის მაინც მუშაობს: შემადგენლობა მაინც მოძრაობს რუსეთის, მაგრამ არა საქართველოს მიმართულებით, რადგან ძველმა ხელისუფლებამ ასე გადანყვიტა. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ აფხაზეთი ეკონომიკურად მხოლოდ რუსეთზე იყოს მიმართული, თუ ჩვენ რკინიგზას ჩვენს მხარესაც გაგხსნივთ, აფხაზეთის ალტერნატივა გაუჩნდება. მინისტრის შეხვედრის შემდეგ ამ ფორმას აქ მოსახლეობა არ აპ-

სერგეი პაპანაძე: „მთხოვნები მრავალფეროვანი იყო, მათ შორის, გალუბის გამოყრა, მათთვის აფხაზეთი პასპორტების ჩამორთმევა, არჩევნებში ხმის უფლების წართმევა“



„რუსეთთან და დასავლეთთან დაკავშირებით, ჩვენ და უკრაინას დაახლოებით ერთი და იგივე მიზნები გვაქვს“

პაატა გომოლაშვილი



ნაქვამსა და საჯიშხას შორის?

რა საფრთხის ქვეშ დგას გალის მონახლეობა და ვისზე იყრის ჯავრის პუტინი



პაატა დავითია: „ანქვამსა, როგორც გასსოვთ, აკრძალა მიწეზის პრივატიზაცია და რუსეთს არც შავი მარმარილოს საბაღო არ დაუთმო. ამ თემათა თავის დროზე მოსკოვი საკმაოდ გააღიზიანა“

ყვა და იქ ალექსანდრე ანქვამი. თბილისის პოლიცია მაშინ მკაცრად გააკრიტიკა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა. გრიგოლ ვაშაძის განმარტებით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, პირველ რიგში, რუსეთსა და სომხეთს სჭირდება და არა საქართველოს. ყოფილი მინისტრის შეფასებით, ამ გზით რუსეთი აფხაზეთისა და საქართველოს ტრანზიტით საკუთარ სამხედრო ბაზას მოამარაგებდა გიუმრით.

ასე რომ, რკინიგზის თემა რუსეთისთვის გადაწყვეტი იყო და ანქვამის „გაგულავენას“ კრემლი დიდხანს არ მოითმენდა. მით უფრო ახლა, უკრაინაში წარუმატებლობის ფონზე. და არც გალის მოსახლეობის ატანას აპირებს, რომელიც მუდმივად ბლოკავს არჩევნების გზით კრემლისთვის მისაღებ ფიგურებს. ხაჯიშხა უკვე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გალში ქართველი ეროვნების მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეექმნება:

– ალექსანდრე ანქვამმა ვერ შეასრულა ვერც ერთი დაპირება, რაც მოგვცა – აფხაზეთი ნეპოტიზმითა და კლანური ბიზნესით იმართება, რასაც კატასტროფული შედეგი მოჰყვა, ამხელა პოტენციალის მქონე ქვეყანა არ ვითარდება. პრეზიდენტს არც ერთ სფეროში რეფორმა არ გაუტარებია. ქვეყანა კორუფციაში იძირება... მხოლოდ მინისტრთა კაბინეტისა და გენერალური პროკურორის განთავისუფლება ვერაფერს შეცვლის, მთავრობა უნდა გადადგეს... რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, იმ ქართველების გასახლებას, ვისაც აფხაზური პასპორტები კანონდარღვევით აქვთ მიღებული, ეს აფხაზი

ხალხის დაკვეთა, ჩვენს ქვეყანაში კი ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც ხალხი ითხოვს... ნურავის ექნება იმედი, რომ აფხაზეთში არსებულ სიტუაციას სათავისოდ გამოიყენებს: ჩვენ სიტუაციას ვაკონტროლებთ და სამოქმედო გეგმასაც იმის მიხედვით დავსაზავთ, როგორც აფხაზი ხალხის ნება-სურვილი გვიკარნახებს, – ეს განმარტება მან „კვირის პალიტრასთან“ საუბარში გააკეთა.

პუტინმა კი, თავის მხრივ, სასწრაფოდ შეკრიბა საკუთარი „კარი“ და ევრაზიული კავშირით უკვე გააფორმა. შეხვედრა ასტანაში შედგა. რუსეთის, ყაზახეთისა და ბელორუსის პრეზიდენტებმა უკვე გააფორმეს შესა-

ბამისი დოკუმენტი, რომელიც 2015 წლიდან შევა ძალაში.

აფხაზეთი კი რუსეთთან მიერთებას ითხოვს. ანუ სოხუმს ახლა უკვე დამოუკიდებლობაც არ უნდა. ჰოდა, ამ გზაზე ისევე გაიდა რომ არ გაებლანდოს ფეხებში კრემლს, ეთნიკურად ქართული მოსახლეობა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

ამ დროს კი რას აცხადებენ თბილისში?

სრულიად არაადეკვატური და გაუგებარი კომენტარი გააკეთა შერიგებისა და სამოქალაქო თანხრობის საკითხთა სახელმწიფო მინისტრმა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე. ამიტომაც, თუ პაატა ზა-

ქარიშვილის მინისტრი ჰქვია, მაშინ მე დღეიდან იმპერატორიცა ვიქნები.

ისე კი, ზაქარეიშვილი უფრო ჰგავს აქ დე ფაქტო მინისტრს, ვიდრე ფაქტო მინისტრს განმარტება, რომელიც სოხუმში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ჯერ სამი დღე დუმდა (მისი პრესსამსახური აცხადებდა, მინისტრს ხმა არა აქვს), შემდეგ კი განაცხადა:

– პირველად შიდა აფხაზურ კონფლიქტში, აფხაზები ვერ იყენებენ საქართველოს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. ისე მოვახერხებ ჩვენი პოლიტიკის სარმაართვა, რომ აფხაზებს საშუალებას არ ვაძლევთ, საქართველოს თემით ისპეკულირონ. ჩვენ არც ერთ მხარეს არ ვიჭერთ, არც ერთი პოლიტიკური ძალის, რომელიც იქ დღეს დაპირისპირებულია. ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანის უკან ვდგავართ.

არ ვიცი, ეს საერთოდ რას ნიშნავს და რის თქმა უნდა ზაქარეიშვილს. თუმცა, ალბათ, ბატონი მინისტრი მის ამ კომენტარსაც დააპრემიებს.

მოვლენები კი სოხუმში სწრაფად განვითარდა და როგორც ჩანს, აქ მოულოდნელიც არაფერი იყო.

„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითია ანქვამის წინააღმდეგ ოპოზიციის გააქტიურებას, რა თქმა უნდა, რუსეთსა და რუსულ ინტერესებს უკავშირებს ამ რეგიონში.

– ანქვამმა, როგორც გასსოვთ, აკრძალა მიწების პრივატიზაცია და რუსეთს არც შავი მარმარილოს საბაღო დაუთმო. ამ თემათა თავის დროზე მოსკოვი საკმაოდ გააღიზიანა. შემდე-

გე კი რკინიგზის თემა. რკინიგზამ რუსეთი და სომხეთი უნდა დააკავშიროს. თავის დროზე ივანიშვილის მთავრობამაც თანხმობა განაცხადა ამ პროექტზე, თუმცა ანქვამი წინააღმდეგი იყო. ეს თემა კი კრემლმა უკვე აღარ დათმო და ანქვამი გადააყენეს.

ექსპერტი სერგი კაპანაძე ამ მოვლენებში გალის ფაქტორს ხედავს და მომხდარს რუსეთის პოლიტიკას უკავშირებს აფხაზეთის შეერთებასთან დაკავშირებით:

– აფხაზეთში ანქვამმა რეალურად მოახდინა ხელისუფლების თავის ხელში კონცენტრაცია და, როგორც ჩანს, ბევრი თანამოაზრე იმის გამო ჩამოსცილდა, რომ ისინი ხელისუფლებას არ მიაკარა, ანუ „თბილადგილებს“. მან ასევე ბევრი ფული ჩადო ისეთ პროექტებში, საიდანაც ფული კარგად იპარებოდა, მაგრამ ეკონომიკური სარგებელი დიდი არ ჰქონდა (სტადიონები, ინფრასტრუქტურა, რემონტები და ა.შ.). ამან მას ყველაზე ახლო მეგობრებიც კი ჩამოაშორა, რადგან, კარგად გვესმის, რომ სოხუმში საბიუჯეტო ფული „ტკბილია“ და ყველას სურს თავისი წილი.

მეორე თემა, რის გამოც მოხდა დიდი დაპირისპირება, იყო გალის მოსახლეობა. გალელები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან, რადგან, სადაც ცხოვრობენ, იქ მათ ცუდად ეპყრობიან და ცუდი პირობები აქვთ, აქვთ კი ინტეგრაციას ვერ ახდენენ, რადგან სახლები და ოჯახები იქით აქვთ. ანქვამმა რამდენიმე წლის წინათ გაბედა და გალის მოსახლეობას აფხაზური პასპორტები დაურიგა. ეს, ერთი მხრივ, ცუდი იყო, რადგან იძულებით პასპორტიზაციას ნიშნავდა, მაგრამ, მეორე მხრივ, სუფთა ადამიანურად თუ შეხედავ, გალელებისთვის ცუდი არ იყო, რადგან უფრო მეტი შესაძლებლობა გაუჩნდათ აფხაზეთში.

ეს პასპორტიზაცია ხელზე დაიხვია ოპოზიციამ და მოითხოვა, რომ გალელებისთვის პასპორტები ჩამოერთმიათ. მოთხოვნები მრავალფეროვანი იყო, მათ შორის, გალელებს გამოყრა, მათთვის აფხაზური პასპორტების ჩამორთმევა, არჩევნებში ხმის უფლების წართმევა, მათი იძულება, რომ საქართველოდან მიეტანათ ცნობა, რომ საქართველოს მოქალაქეები არ არიან და ა.შ.

საბოლოო ყვამში, ისე გამოვიდა, რომ ანქვამს ყველა წინ აღუდგა, მათ შორის, ტრადიციული, „კგმ“-სთან შეკრული ე.წ. აფხაზური ოპოზიცია, თავისი ყოფილი თანამოაზრეები და ეთნიკური საკითხით შეიარაღებული სხვა ჯგუფები. როგორც ჩანს, ეს ოპოზიცია ახლა იმარჯვებს.

სოხუმის პარალელურად მოვლენების ასეთივე განვითარებას არც ცხინვალში გამოიციხავენ. კომუნიტური პარტის ერთ-ერთმა ლიდერმა და ეგრეთწოდებული პარლამენტის ეგრეთწოდებულმა საიკერმა სტანისლავ კოჩიევმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში ახალი სახეები უნდა მოვიდნენ და ცხინვალის რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანონ.

მაგრამ რა გინდა ქნა? პაატა ზაქარეიშვილს ხმა არ აქვს და ვინ ამოიღებს ხმას? ვინ დაიცავს გალის მოსახლეობას?



რატომ იმატა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტივები - გენდერული პრობლემა თუ საზოგადოების გულბრილობა

სალომე გოგობია

სახელმწიფოს ვალია იზრუნოს ოჯახური ძალადობის აღმოფხვრაზე. ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარი ძალეებით ამ მხრივ სიტუაციის გაუმჯობესებას ცდილობენ. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია. მთავარი ბერკეტი მაინც სახელმწიფოს ხელშია. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ოჯახში გამეფებული კონფლიქტი ფატალურად სრულდება.

მიმდინარე წლის იანვრიდან მისის თვის ჩათვლით, მედიის საშუალებით ცნობილი გახდა 15-მდე ოჯახური მკვლელობა. მათ შორის, უმეტესობა ქმრების მიერ მოკლული ცოლები არიან, ასევე, არის შემთხვევა, როცა მამამ შეილი მოკლა, ან შეიღმა დედამ.

თავისთავად, მკვლელობის ფაქტი შემადრწუნებელია, თუმცა, არანაკლებ საფიქრებელია ის დამოკიდებულება, რაც საზოგადოების მხრიდან ვლინდება. კერძოდ, მოძალადის მიმართ ხშირად საზოგადოება უფრო მეტ შემწყნარებლობს იჩენს, ვიდრე ფაქტის ან მსხვერპლის მიმართ.

ორი კვირის წინ საზოგადოება შეძრა ქობულეთში მომხდარმა მკვლელობამ. ეჭვიანობის ნიადაგზე ქმარმა ფემძიმე ცოლი, 8 შვილის დედა მოკლა, შემდეგ თავი მოკლა, თანასოფლელების მხრიდან დამნაშავეის მიმართ უფრო მეტი შემწყნარებლობა იყო, ვიდრე მოკლულის მიმართ. მის ნაბიჯს იმით ამართლებდნენ, რომ ცოლი ლალატობდა, ჰპატობდა, ითმენდა, ბოლოს კი ამ ზღვრამდე მიიყვანაო. თუმცა, იმაზე არავინ ამხეილებდა ყურადღებას, რომ ცოლს განქორწინების მცდელობა რამდენჯერმე ჰქონდა, მაგრამ ქმარი უარს ამბობდა.


მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური მკვლელობის სტატისტიკის მატებას მედია აქტიურად გამოეხმაურება, ასევე, ამ ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ, სახელმწიფო დუმს.

ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით განცხადება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა. „ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმთავრეს ამოცანას. სამინისტროში მიმდინარე ყველა რეფორმა ემსახურება შსს-ს მუშაობის ეფექტურობის ზრდას. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უკავია შსს-ს განვითარების სტრატეგიაში. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მრავალმხრივი მუშაობა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, სამართალდამცველებს პერმანენტულად უზარდობს კვალიფიკაციის ასამართლებელი სწავლებები. სამინისტროს წარმომადგენლები ჩართულნი არიან საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაში. უწყებათშორისი საბჭოს ფარგლებში იმართება სამუშაო შეხვედრები, ხოლო შსს-ს ინიციატივით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რეგიონალური მასშტაბით ტარდება ღია დისკუსიები იმ უწყებების ჩართულობით, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ოჯახში ძალადობაზე რეაგირება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ძირითად პრიორიტეტად აცხადებს სახელმწიფო უწყებების ძალისხმევა უმეტესად მსხვერპლის მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას ქალთა უფლებების დაცვით და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას ქალთა უფლებების დაცვით და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით.

გეროს ქალთა ფონდის მრჩეველი გენდერულ საკითხებში თამარ საბედაშვილი საზოგადოების ასეთ დამოკიდებულებას გენდერულ უთანასწორობას უკავშირებს.

„საზოგადოება ცდილობს გაამართლოს ძალადობა და არ არის მგრძობიარე ძალადობის მიმართ. ძალადობის ფაქტის დაგმობაზე მეტად აინტერესებს მოტივაცია, რომ ამას გამართლება მოუძებნოს. ცხადია, ეს იმაზე მიაჩნია, რომ ქალის სიცოცხლეს ფასი არ აქვს, ღირებული არ არის. ქალი ძალადობისგან რომ იყოს დაცული, მაშინ აქცენტი ძალადობაზე გაკეთდებოდა. ოჯახში ძალადობა არის ციკლური და სისტემური ხასიათის. როდესაც ერთი მხარე მუდმივად ძალადობს მეორეზე, ხშირად მსხვერპლი ცოლია, ამას აქვს გამოკვეთილი და სისტემური ხასიათი. ეს



დამოკიდებულება, რაც საზოგადოების მხრიდან ვლინდება. კერძოდ, მოძალადის მიმართ ხშირად საზოგადოება უფრო მეტ შემწყნარებლობს იჩენს, ვიდრე ფაქტის ან მსხვერპლის მიმართ

ბს ძალადობასთან ბრძოლას, მათ შორის, ოჯახში ძალადობასთან და მზადაა არსებული რესურსითა და საზოგადოების მხარდაჭერით პრინციპულად გააგრძელოს მუშაობა მის წინააღმდეგ. აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის თითოეული ფაქტზე მონიტორინგის წარმოება და რეაგირების ადეკვატურობის ანალიზი. არსებული ხარვეზების გამოკვეთის და მათზე კოორდინირებული რეაგირების მიზნით, იგეგმება საგანგებო შეხვედრის ორგანიზება ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ სახელმწიფო უწყებების ძალისხმევა უმეტესად მსხვერპლის მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას ქალთა უფლებების დაცვით და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით.

რით არის საზოგადოების შემწყნარებელი დამოკიდებულება განპირობებული დამნაშავეების მიმართ, ამის გარკვევას „პრაიმტიმის“ შეეცადა.

გეროს ქალთა ფონდის მრჩეველი გენდერულ საკითხებში თამარ საბედაშვილი საზოგადოების ასეთ დამოკიდებულებას გენდერულ უთანასწორობას უკავშირებს. „საზოგადოება ცდილობს გაამართლოს ძალადობა და არ არის მგრძობიარე ძალადობის მიმართ. ძალადობის ფაქტის დაგმობაზე მეტად აინტერესებს მოტივაცია, რომ ამას გამართლება მოუძებნოს. ცხადია, ეს იმაზე მიაჩნია, რომ ქალის სიცოცხლეს ფასი არ აქვს, ღირებული არ არის. ქალი ძალადობისგან რომ იყოს დაცული, მაშინ აქცენტი ძალადობაზე გაკეთდებოდა. ოჯახში ძალადობა არის ციკლური და სისტემური ხასიათის. როდესაც ერთი მხარე მუდმივად ძალადობს მეორეზე, ხშირად მსხვერპლი ცოლია, ამას აქვს გამოკვეთილი და სისტემური ხასიათი. ეს

არ არის ერთგვარი შემთხვევა, რომელიც მკვლელობით სრულდება“, - ამბობს საბედაშვილი.

მისი თქმით, საზოგადოება ვალდებულია ძალადობის პრევენცია მოახდინოს. „სანამ საქმე მკვლელობამდე მივა, სამართალდამცველები უნდა ჩაერიონ. მოტივი ნაკლებ მნიშვნელოვანია. საზოგადოებას ევალება ყველას უფლებები დაიცავს. საზოგადოებას ევალება ძალადობის პრევენცია და მისი აღკვეთა, სანამ საქმე ფატალურ დასასრულამდე მივა. საქართველოს კანონი ოჯახური ძალადობის 5 ფორმას ცნობს - ფსიქოლოგიურს, ფიზიკურს, სექსუალურს, ეკონომიკურს და იძულებას. მალე დაემატება უგულვეტელიყოფა ბავშვების მიმართ“, - აღნიშნა საბედაშვილი.

თურისტი თამარ გურჩიანი აცხადებს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანა არ არის, სადაც ქალის მიმართ ძალადობას აქვს ადგილი.

„ქალთა მიმართ ძალადობას აქვს საფუძვლები. პირველ რიგში ეს არის ქალთა უმართულობა. ქალის მიმართ გავრცელებული ნეგატიური ცრურწმენები, სტერეოტიპები. ის რომ, ქალი მეორეხარისხოვანია, სადაც მისგან მოჩივლებას, მას უფროსებს მოვლიან. მის მიმართ დისკრიმინაციას ძალადობად არ აღიქვამენ. უკიდურესი დისკრიმინაციის გამოვლენაა ქალის სიცოცხლის და ჯანმრთელობ-



ის რისკის ქვეშ დაყენება. მკვლელობების კატასტროფული რიცხვი ძალიან საშინაოა. ამას სერიოზულად უნდა მიუდგეს სახელმწიფო, რადგან მის გარდა ვერავინ ვერ ჩაერევა, მას ბევრი ვალდებულება აქვს. მათ შორის, ისეთი სტერეოტიპის აღმოფხვრა, რაც ქალს მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს“, - აცხადებს გურჩიანი.

ფსიქოლოგი სოფი ხარატი: „საყურადღებოა, რატომ ეცოდება საზოგადოებას მკვლეული უფრო მეტად, ვიდრე მსხვერ-

„საზოგადოება ცდილობს გაამართლოს ძალადობა და არ არის მგრძობიარე ძალადობის მიმართ. ძალადობის ფაქტის დაგმობაზე მეტად აინტერესებს მოტივაცია, რომ ამას გამართლება მოუძებნოს. ცხადია, ეს იმაზე მიაჩნია, რომ ქალის სიცოცხლეს ფასი არ აქვს, ღირებული არ არის. ქალი ძალადობისგან რომ იყოს დაცული, მაშინ აქცენტი ძალადობაზე გაკეთდებოდა“

პლი. დამნაშავე ყოველთვის ის არ არის, ვინც საჭესთან ზის, არამედ ის ვინც გზაზე უყურადღებოდ გადადის. ეს მაგალითი ბევრ შემთხვევაში შეიძლება როგორც პროტოტიპი გამოიყენებოდეს, რომ დავდეთ ერთგვარი დასკვნა. თუ მოწმეები ამტკიცებენ, რომ დამნაშავე, ანუ საქციელის გამომწვევი მსხვერპლი იყო, გამოდის, რომ აუცილებლად იქნება რაღაც ინფორმაცია რაც მათ ამ მოსაზრებას დაამტკიცებდა, ყველა ჭორს აქვს თავისი საფუძვლიანი... თუ საქმე კრიმინალურ დანაშაულთან გვაქვს, აქ პატარა ნიუანსებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს... როცა ქმარი კლავს ცოლს, რომელთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა აკავშირებს, და როცა იგი საკუთარი შეილებს დედას, მას რაიმე განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს, ამის გარდა აფექტისა, მაგრამ აფექტსაც აქვს მისი მიზეზი და ეს საყურადღებოა. რაც შეეხება საზოგადოების მხრიდან მკვლეულის შეცოდებას, ეს რეალურია, თუ მათ იციან და ნანახი აქვთ, რომ დანაშაულის გამომწვევი შეიძლება ცოლი ყოფილიყო. მკვლელობა ყველა შემთხვევაში ყველაზე ცუდი გამოსავალია და გამართლება არა აქვს, მაგრამ არსებობენ სხვადასხვა ტიპის ადამიანები, რომელთაც განსხვავებული ნებისყოფა აქვთ. განსხვავებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მათ ვერ მოვთხოვთ იმას, რასაც სხვა, უფრო განონანსწორებულ ადამიანს. თუ მკვლეული საკუთარ თავს აგრეთვე სიკვდილით სჯის, გამოდის, რომ მას აქვს ძალიან დიდი სინანულის შეგრძნება და სირცხვილი, რასაც აფექტის მდგომარეობაში ვერ გრძობდა. მოგესხენებათ აფექტი არ გრძელდება დიდი ხანი და მისგან გამოსვლის დროს რეალობა, როგორც ცივი წყლის გადასხმა, ისე ხდება ადამიანის გონებას და გულს. სისუსტე, უნებისყოფობა და მისი საქციელის გამომწვევი ძლიერი ფაქტორი განსაზღვრავს იმ ქმედების ჩადენას, რისიც თვითონ ადამიანს ძალიან ეშინია“.

გეროს მოსახლეობის ფონდის გამოკვლევის თანახმად, საქართველოში ყოველი მე-11 ქალი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობის დაცვის ეროვნული

ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევით კი, ყოველ მესამე ქალს ერთხელ მაინც განუცდია სხვადასხვა ფორმის ძალადობა. ამ ქალების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს მოძალადესთან თავის დაღწევას. ამაში მათ ხელს უშობს ის კულტურული გარემო, რომელიც ცხოვრობენ, ხშირად - საკუთარი ნათესავები და ოჯახის წევრები, ეკონომიკური დამოკიდებულება ქმარზე, გაურკვეველი მომავლის შიში და ხალხის აზრიც.

ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზის მონაცემებით, 2012 წელს 644 ადამიანს გაენია კონსულტაცია. ყველაზე ხშირი - 128 შემთხვევა - იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. 92 იყო ფსიქოლოგიური ძალადობის, 88 ფიზიკური ძალადობის ფაქტი. დაფიქსირდა ეკონომიკური ძალადობის 4 შემთხვევა.

2013 წელს ცხელ ხაზზე შევიდა 997 ხარი. აქედან 163 - ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, 178 - ფსიქოლოგიურ-ფიზიკური ძალადობის, 116 კი - მხოლოდ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე.

ცნობილია, რომ ყოველი მესამე ქალი მსოფლიოში ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი. ამასთან, 603 მილიონზე მეტი ქალი ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც ოჯახში ძალადობა დანაშაულად არ ითვლება.



EXCLUSIVE

სალომე გოგონია

ეს საზარელი შემთხვევა კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში მოხდა. მამა საკუთარი ქალიშვილის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებითა დაკავებული. გოგონა 15 წლისაა. ამჟამად, ის თბილისში, დედასთან იმყოფება. როგორც სოფელში აცხადებენ, სამართალდამცველებმა მამაკაცი ყოფილი ცოლის და გოგონას მიერ დაწერილი საჩივრის საფუძველზე დააკავეს.

თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მამაკაცის დაკავების საფუძველს არ აკონკრეტებენ.

სოფელში არაფერი იმალება, თუმცა, ამ შემთხვევაში თანასოფლელებს რაიმეს მტკიცება უჭირთ. დაზუსტებით არავინ არაფერი იცის.

ცხადია, საქმის დელიკატურობიდან გამომდინარე, ამ ისტორიის გმირების ვინაობას არ დავაკონკრეტებთ.

როგორც „პრაიმტიმის“ გარკვევა, დაკავებულს პირველი ქორწინებიდან ორი შვილი, ქალ-ვაჟი ჰყავს. 15 წლის გოგონა და 18 წლის ბიჭი. ამჟამად, ბიჭი სავალდებულო სამსახურშია. ბავშვების მამამ განქორწინების შემდეგ მეორე ოჯახი შექმნა. ამ ქორწინებიდან 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

„ცოლი თბილისში თუ რუსთაველი ცხოვრობს. მეორე ოჯახი არ შეუქმნია, თუმცა, ბავშვები საცხოვრებლად რატომღაც მამასთან გამოუშვა. დედინაცვალი ძალიან კარგად ეპყრობოდა, ის ზრდიდა ორივე ბავშვს. პატრონობდა. ბავშვებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ამ კაცისთვის არასდროს არაფერი შეგვიმჩნევია. ეს ბავშვი არაფერს ამბობდა და რა გითხრათ?!“ - საუბრობს „პრაიმტიმისთან“ ხორნაბუჯის მკვიდრი.

გოგონა მეორე კლასის მოსწავლეა. „პრაიმტიმისთან“ საუბარში კლასის დამრიგებელი

„ამდენი წელი რომ ცხოვრობდა ამ კაცთან, ნუთუ ვერაფერი შეატყო?“ **EXCLUSIVE**

„ცოლი თბილისში თუ რუსთაველი ცხოვრობს. მეორე ოჯახი არ შეუქმნია, თუმცა, ბავშვები საცხოვრებლად რატომღაც მამასთან გამოუშვა. დედინაცვალი ძალიან კარგად ეპყრობოდა, ის ზრდიდა ორივე ბავშვს. პატრონობდა. ბავშვებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ამ კაცისთვის არასდროს არაფერი არ შეგვიმჩნევია. ეს ბავშვი არაფერს ამბობდა და რა გითხრათ?!“

„ისე კი, დედის ფოტოებს მაჩვენებდა, ერთხელ ჩემთან ფოტოც გადაიღო, დედას უნდა ვაჩვენოო. მოვიდოდა, ჩამეხუტებოდა. მეც ვეფერებოდი, რადგან მშობლები გაცილებულეები იყვნენ, ვფიქრობდი, რომ სითბო აკლდა და ყურადღებას ვაქცევდი“

ამბობს, გოგონა ასაკთან შედარებით სერიოზული და გულჩათხრობილი იყო. კარგად სწავლობდა.

„ეს ბავშვი ჩვენს სკოლაში პირველიდან მე-4 კლასის ჩათვლით სწავლობდა, შემდეგ, როცა ოჯახი დაენგრათ, დე-

დამ თან წაიყვანა. რაღაც დროის შემდეგ მამას ჩამოუყვანა და ამის შემდეგ მამის ოჯახში იზრდებოდა. დედინაცვალი აკითხავდა სკოლაში, მშობელთა კრებებსაც ის ესწრებოდა. დედა არც ერთხელ არ მოსულა. ისე კი, დედის ფოტოებს მაჩვენებდა, ერთხელ ჩემთან ფოტოც გადაიღო, დედას უნდა ვაჩვენოო. მოვიდოდა, ჩამეხუტებოდა. მეც ვეფერებოდი, რადგან

ხრობილი იყო“, - გვიამბობს კლასის დამრიგებელი.

დამრიგებელმა ბავშვი ბოლოს სკოლაში 23 მაისს, პარასკევს წახა. შემდეგ დედინაცვლისგან შეიტყო, რომ გოგონა დედამ წაიყვანა თბილისში.

„დედინაცვალმა მითხრა, ჩვენ თვითონ გავაცვილეთო. ორშაბათს კი ასეთი ამბავი მოხდა, მამამისი დააკავეს. რა მოხდა არ ვიცი“, - ამბობს გოგონას მასწავლებელი.

„პრაიმტიმი“ გოგონას დედინაცვალს დაუკავშირდა და ესაუბრა.

„გეხვეწებით რა, მაგის თავი ნამდვილად არ მაქვს. თქვენ აქ რომ ცხოვრობდეთ, მაშინ ჩემი ქმრის სახელი გეცოდინებოდათ. ისე ვერაფერს გეტყვით. ამ თემაზე საუბრისას ცუდად ვხდები, გაფიქრებაც არ მინდა. ეს ბავშვი ჩემი გაზრდილია. ჩვენ ვპატრონობდით. ამ ხალხის მიკვირს, რატომ არ ინტერესდება, ან თქვენ ან სხვა უურნალებისთვის მისი დედი? ამ ბავშვს აქამდე დედა სად ჰყავდა? რატომ არ ცხოვრობდა ბავშვი დედასთან? წლების განმავლობაში რატომ ზრდიდა დედინაცვალი, როცა ჰყავს დედა, რომელსაც უმუშავეს ხელფები. მეორე ოჯ-

„ამ ბავშვს აქამდე დედა სად ჰყავდა? რატომ არ ცხოვრობდა ბავშვი დედასთან? წლების განმავლობაში რატომ ზრდიდა დედინაცვალი“

ახი არ ჰყავს, გდია მარტოკა. რატომ აქამდე არ მიაკითხა შვილებს? ერთი კანფეტის და ცხვირსახოცის მიტანა დედობა არ არის. ბავშვს ათასი რამე სჭირდება. ერთხელ მაინც სკოლაში მისულა და უკითხავს მისი შვილი რომელ კლასშია ან რომელ მერხზე ზის? ყველაფერი ჩვენ ვიყავით, ჩვენ ვპატრონობდით. დედის მხრიდან არავინ კითხულობდა. ამდენი წელი, რომ ცხოვრობდა ამ კაცთან, ნუთუ ვერაფერი შეატყო? თუ ასეთი იყო, მაშინ ბავშვები როგორ ანდო და მიუყარა მამას შვილები? მამამ მიიყვანა სკოლაში და დააყენა გზაზე, ცივ წიავს არ აკარებდა. მაშინ არ იყო ასეთი? რატომ აა ყველგან უსამართლობა?“ - აცხადებს დედა.

და მასწავლებლები ვერ ახერხებენ. „მას შემდეგ, ტელეფონი სულ გამოთული აქვს. კლასელებიც ურეკავდნენ, მაგრამ გამორთულიაო. სოციალურ ქსელში ერთხელ ყოფილა შემოსული, ისიც გვიან ღამით. დედა სად ცხოვრობს არ ვიცი“, - გვითხრა მასწავლებელმა.

დაკავებულის ოჯახი სასამართლოს მოლოდინშია. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

„პრაიმტიმი“ შეეცადა გოგონას დედასთან დაკავშირებას, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ერთ-ერთ სოციალურ ქსელში გოგონას დედის და ძმის ფოტოები აქვს განთავსებული. თუმცა, მომხდარის შემდეგ, როგორც ჩანს, ნაცნობებთან კონტაქტს ერიდება.

რა მოხდა სინამდვილეში, ადგილი ჰქონდა თუ არა მამის მხრიდან საკუთარი ქალიშვილის მიმართ გარყვნილ ქმედებას, ამას გამოძიება დაადგენს.

„მამამ მიიყვანა სკოლაში და დააყენა გზაზე, ცივ წიავს არ აკარებდა. მაშინ არ იყო ასეთი?“



რეპორტაჟი შეშის

მაგდა კლდიაშვილი

ვაკეში, შროშის ქუჩაზე 14 წლის გოგონა - ლ.ლ. მეცხრე სართულიდან გადმოხტა და ადგილზევე გარდაიცვალა. შვილის თვითმკვლელობას დედა შეესწრო, რომელმაც მომენტალურად იგივე გადაწყვეტილება მიიღო და იმავე აივნისგან გადახტა. ეკა იორაშვილი გადარჩა, ის ქვედა სართულის აივანზე დაეცა და მსუბუქი დაზიანებები მიიღო. რა მოხდა ოჯახში და რატომ გადაწყვიტა გოგონამ თვითმკვლელობა? ამ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს.

შსს-მ ძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ამ დრომდე მიზეზებზე არაფერია საუბრობს. გარდაცვლილის კორპუსთან, გარდა მეზობლებისა, კლასელები, გარდაცვლილის მეგობრები და ძალადგან უწყების წარმომადგენლებიც არიან.

ყველა გაფრთხილებულია, რომ მომხდარის დეტალები არ გაახმაურონ. ადგილზე მისულებს ფოტოების გადაღების საშუალება არ მოგვცეს. იმ ადგილას, სადაც გოგონა დაეცა, ყველა კვალი წაშლილია და ავტომობილები დგას.

თვითმკვლელობიდან მეორე დღეს პროზექტურიდან ცხედარი შინ დააბრუნეს. სახლშია დედაც.

„პრაიმტიაიმი“ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და შეეცადა, მეზობლებისა და გარდაცვლილის კლასელებისგან ინფორმაცია მოეპოვებინა

როგორც კორპუსის დარაჯი ყვება, შემთხვევა 31 მაისს, ღამის ორ საათზე მოხდა. მეზობლებმა გარდაცვლილის დედის, ეკა იორაშვილის ხმა გაიგეს, რომელიც შვილის სახელს კიოდა.

გოგონა ადგილზევე გარდაიცვალა. მისი კლასელები „პრაიმტი-აიმთან“ საუბარში ყვებიან, რომ ლ.ლ. კომუნიკაბელური და უკონფლიქტო იყო.

„ლ.ლ. ძალიან კარგი მოსწავლე იყო, დავალებებსაც დროულად ასრულებდა. კონტაქტში შემოდოდა ყველასთან, გვეკითხებოდა, რამე ხომ არ გვეჭირდებოდა. არც გაგვიგია, რომ დედასთან რაიმე სახის კონფლიქტი ჰქონოდა“, - ამბობენ გარდაცვლილის კლასელები.

როგორც შროშის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი მალაზიის გამყიდველი ყვება, ლ.ლ. სახლში გვიან დაბრუნდა, რის გამოც ბებიამ და დედამ ის დატუქსეს. სწორედ ამ კონფლიქტის შემდეგ გოგონა აივნისგან გადმოხტა.

„ბავშვი სახლში გვიან დაბრუნებულა, რის გამოც ბებია და დედა ეჩხუბა. ამის გამო გადმოხტარა აივნისგან“, - ამბობს მალაზიის გამყიდველი.

იმას, რომ ლ.ლ. სახლში გვიან დაბრუნდა, კლასელები უარყოფენ და ამბობენ, რომ ის შინ დროულად მივიდა.

„ლ.ლ. გვიან არ დაბრუნებულა, ჩვეულებრივ დროს მივიდა, ისეთი არაფერი მომხდარა, მეტს ვერაფერს გეტყვით“.

გარდაცვლილის მშობლები გაშორებული არიან. ის ოჯახის ერთადერთი შვილი იყო და ბებია და დედა ზრდიდნენ.

კლასელების თქმით, ისინი „ამერიკულ აკადემიაში“, მეცხრე კლასში სწავლობდნენ.

მიზეზებზე საუბარი, თუ რა მოხდა, არც მეზობლებს სურთ და არც გარდაცვლილის კლასელებსა და მეგობრებს.

მომხდარის დეტალებზე, შროშის ქუჩაზე მცხოვრები, ერთ-ერთი ქალბატონი დანვრილებით წერს სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე.

„წუხელ, კომპარი ღამე მქონდა... დაახლოებით 2 საათისთვის ისეთი საშინელი ხმა მომესმა, რომლის მსგავსი არასოდეს გამეგო... ვიფიქრე, ნუთუ, აქვე ახლოს რა-

„შოკში ჩავარდნილი ქალი, აღრიალებული, მეზობლებმა პატრულის დახმარებით სახლში აიყვანეს. ცოტა ხანში, ისევ იბივენაირი ხმა... ზედა სართულიდან კივილი... და ჰოი, ღმერთო ჩემო, ახლა დედა გადახტა მეცხრე სართულის უკანა აივნისგან... გადახტა, გადახტაო, იქანდა ხალხი...“

შეშისარაკვი ტრაგედია ვაკეში

14 წლის დედისერთა გოგონა მეცხრე სართულიდან გადაიხტა



ფოტო არ ასახავს რეალურ კადრს

დედამ თვითმკვლელობა სცადა, თუმცა გადარჩა

ლაც აფეთქდა-მეთქი... გავიხედე ღია ფანჯრიდან, მაგრამ ვერაფერი დავინახე... სულ რამდენიმე წამში ქალის განწირული ხმით კივილი შემომესმა... შევლას ითხოვე... გავვარდი უცებ გარეთ და ვხედავ, ახალგაზრდა ქალს შუა ქუჩაში დავარდნილი გოგონა გულში ჰყავს ჩახუტებული და უაზროდ და არაა-დამიანური ხმით კივის. მივედი ახლოს და მთხოვეს, სასწრაფო გამოიძახებო... გული წაუვიდა-მეთქი? - ვეკითხები დაბნეული... არაო, მიპასუხა... გადმოვარდაო... საიდან-მეთქი, მეცხრე სართულიდანო... (ჩემი სახლის გვერდით 9-სართულიანი შენობიდან), გადავირიე... ვერ აღვწერ იმ მდგომარეობას, რა დღეში ჩავვარდი, თვითონ გავხდი მოსაბრუნებელი... ამასობაში, ჩემი რძალიც გამოვარდა სახლიდან... დარეკე სასწრაფოში-მეთქი, - უკვე დავრეკეო, მიპასუხა. გოგონას კი სიცოცხლის არანაირი ნიშანი აღარ აღენიშნებოდა... გული მომიკვდა... თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა, როგორ გაიმეტა თავი ასეთი სისასტიკით ხელეყო ღმერთისგან ბოძებული ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე! ამ დროს, ნეტავ, ტვინი როგორ არის მომართული, ასეთ ნაბიჯს რომ დგამს... ნუთუ, იმ წუთას ეშმაკმა აცდუნა... სად და რატომ ჩაუსაფრდა? ეს აზრები წამში ტრიალებდა ჩემს თავში და პასუხს ვერ ვპოულობდი... უკვე თითქმის მთელი სახლის მაცხოვრებლები გამოვიდნენ, სასწრაფო არ ჩანდა, პატრული კი უცებ მოვიდა... თან უამრავი, ვერც დათვლიდი... სასწრაფოც, როგორც იქნა, გამოჩნდა...

ვევის ადგილიდან



რას ჰყვება ერთ-ერთი თვითმხილველი

Lata Vra
13 საათის წინ, Tbilisi-სთან ახლოს · რედაქტირებული

წუხელ, კომპარი დამე მქონდა... დაახლოებით 2- საათისთვის ისეთი საშინელი ხმა მომესმა, რომლის მსგავსი არასოდეს გამეგო... ვიფიქრე, ნუთუ, აქვე ახლოს რაღაც აფეთქდა მეთქი... გავიხედე ღია ფანჯრიდან, მაგრამ ვერაფერი დავინახე... სულ რამოდენიმე წამში ქალის განწირული ხმით კივილი შემომესმა... შევლას ითხოვე... გავვარდი უცებ გარეთ და ვხედავ, ახალგაზრდა ქალს შუა ქუჩაში დავარდნილი გოგონა გულში ყავს ჩახუტებული და უაზროდ და არაადამიანური ხმით კივის. მივედი ახლოს და მთხოვე სასწრაფო გამოიძახეთო... გული წაუვიდა მეთქი? - ვკითხე დაბნეული... არაო, მიპასუხა... გადმოვარდაო... საიდან მეთქი, მეცნრე სართულიდანო... (ჩემი სახლის გვერდით 9-სართულიანი შენობიდან), გადავირე... ვერ აღვწერ იმ მდგომარეობას, რა დღეში ჩავვარდი, თვითონ გავხდი მოსაბრუნებელი... ამასობაში, ჩემი რძალიც გამოვარდა სახლიდან... დარეკე სასწრაფოში მეთქი, - უკვე დავრეკეო.

„გოგონას კი სიცოცხლის არანაირი ნიშანი აღარ აღენიშნებოდა... გული მომიკვდა... თავში მსოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა, როგორ განმეცხადო თავი ასეთი სისასტიკით ხელაყო ღმერთისგან პოქეხული ყველაზე ძვირფასი – სიცოცხლე!“

„გავვარდი უცებ გარეთ და ვხედავ, ახალგაზრდა ქალს შუა ქუჩაში დავარდნილი გოგონა გულში ჰყავს ჩახუტებული და უაზროდ და არაადამიანური ხმით კივის. მივედი ახლოს და მთხოვე, სასწრაფო გამოიძახეთო... გული ნაუვიდა-მეთქი? – ვეკითხები დაბნეული... არაო, მიპასუხა... გადმოვარდაო“



„გავვარი სახლში გვიან დაბრუნებულა, რის გამოც გეგია და დედა ეჩხუბა. ამის გამო გადმომხტარა აივნებიდან“

შემდეგ, მეზობლებისგან გავიგე, გოგონა, რომელიც გადმოხტა, 15-წლისა ყოფილა, დედის ერთადერთი შვილი, რომელიც უშვამოდ გაუზრდია ამ ახალგაზრდა ქალს. უცებ დავინახე, მეორე ქალი, რომელიც ასევე განწირული ხმით კიოდა და მოთქვამდა, ეს რა ქენიო, შვილოო... ბებია ყოფილა გაჭირვებული. მეზობლებმა ცოტა ხნის შემდეგ ბებია სახლში აიყვანეს. გოგონა კი საკაცზე დაასვენეს და როცა დედა მიხვდა, საავადმყოფოში აღარ მიჰყავდათ სასწრაფოს ექიმებს, მიხვდა, რომ შვილი გარდაცვლილი იყო... გასაცოდავებული, შოკში ჩავარდნილი ქალი, აღრიალებული, მეზობლებმა პატრულის დახმარებით სახლში აიყვანეს. ცოტა ხანში, ისევ იგივენაირი ხმა... ხედა სართ-

ულიდან კივილი... და ჰოი, ღმერთო ჩემო, ახლა დედა გადახტა მეცხრე სართულის უკანა აივნებიდან... გადახტა, გადახტაო, იძახდა ხალხი... პატრული და ნაწილი მოსახლეობისა სასწრაფოდ გავარდნენ სახლის უკანა მხარეს ჩაბნელებულ ეზოში, მაგრამ ქალი ვერ იპოვეს... შემდეგ ვილაცამ დაინახა, რომ რომელიღაცა სართულის აივანზე, რომელიც უფრო განიერი იყო და კარგად წინ წამოწეული, ქალი ამ აივნის სახურავზე ეგდო... მესმის მისი მდგომარეობა... წამებში დავმხო თავზე მთელი ცხოვრება, წამებში დაკარგა აზრი მისმა ამ ქვეყნად ყოფნამ, მაგრამ სიკვდილი თუ არ გინერია, თურმე არაფრით არ მოკვდები... გადარჩა...“, - წერს თვითმხილველი.

სოსო მანჯავიძე: „ჩემი ცოლის დაქალები“ მინიმ



my View

სათუნა
მბალოზლიშვილი

„რუსთავი 2“-ის დაუყოვნებლივ დახურვის მოთხოვნა მირიან ბარათონის გმირზე საუბარს მოჰყვა. ტელეკომპანიის დახურვას ვასაძის მეგობარი ითხოვს. პოლიტიკაში მოსულ სოსო მანჯავიძეს მიაჩნია, რომ „ჩემი ცოლის დაქალები“ უნიჭოდ გაკეთებული შარჟია და ის ვასაძის პროვოცირებას ჩრდილს ვერ მიაყენებს. ანუ მანჯავიძისთვის მირიან ბარათონი იგივე ლევან ვასაძეა. სერიალის პროდიუსერის განცხადებით, არის თუ არა ბიზნესმენი ვასაძე მირიან ბარათონის პერსონაჟის პროტოტიპი, ამაზე ბევრი კითხვის დასმა შეიძლება... თუმცა ფაქტია, საკითხი იმდენად აქტუალური გახდა ბარათონის გამოჩენის პირველივე დღიდან, რომ თავად სერიალის ავტორსა და პროდიუსერებსაც უკვე დიდი ხანია „თავის მართლება“ მოსწყინდათ.

სწორედ ამიტომ ისინი მირიან ბარათონის „განდევნილობაში შესვლას“ ძალიან ზოგადი შეფასებებით შეხვდნენ.

ირაკლი სალინაძე, „ჩემი ცოლის დაქალების“ პროდიუსერი:

– ეს იმ ადამიანების გადასაწყვეტია, ვინც მსგავს დასკვნებს აკეთებს. ჩვენ ვთავაზობთ პროდუქტს და ვტოვებთ სივრცეს მსჯელობისთვის. ვერ ერთი, ვასაძე არის თუ არა ამ პერსონაჟის პროტოტიპი, ამაზე ძალიან ბევრი კითხვა არსებობს, მე ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში. ჩვენ გვაქვს სიუჟეტური ხაზი, რომელიც ამ ადამიანის გამოჩენა გეჭირდება. ვისაც როგორ უნდა, ისე გამოაბას კუდი, ჩვენი პროდუქტი ამ თავისუფლებას იძლევა. სხვა საკითხზეც შეუძლიათ მსჯელობა, თუ რატომ ხდება ისე, როგორც ხდება, განხილვით ვინმეს ნათქვამი. არის თუ არა სერიალში ნათქვამი სიტყვები მინიმუმ, რომელიმე რეალური პიროვნების გამონათქვამზე ან საქციელზე. ეს ხომ ადამიანების გადასაწყვეტია და თავად გააკეთონ დასკვნები. ჩვენ ჩვენი ჩანაფიქრი გვაქვს, რომ შევქმნათ რეზონანსი და ამ ადამიანებმა ისაუბრონ. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი პროდუქტის რეიტინგსა და მხატვრულ ღირებულებას და დანარჩენი დასკვნები თავად გააკეთეთ. იარსებოს ქვეყანაში კრიტიკამ, რომელიც კვალიფიციურ დასკვნებს გამოითქვას, არგუმენტებს დადებს, იტყვის კარგს ან ცუდს და გააანალიზებს ამ ყველაფერს. მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. უკვე ჩემი პროდუქტი ლაპარაკობს თავის თავზე, ამიტომ არ არის საჭირო, რომ დამატებით დავაზუსტო. თუ რამის დაზუსტება მინდოდა სცენარშივე და კადრშივე გამოჩნდებოდა ეს დეტალები. ანუ იქ ზუსტად იმდენი იყო მონოდებული, რამდენი თქმაც ჩვენ ამ საკითხზე გვინდოდა.

მათი რეაქცია ადეკვატურია. სერიალის ყურების მიზანი გართობაა, „ჩემი ცოლის დაქალები“ კი ამ მიზანს ათიანზე ასრულებს. სერიალის ავტორის, პროდიუსერებისა და ზოგადად, მასზე მომუშავე გუნდის მიზანი პოპულარიზების მიღწევა და რეიტინგის დადგობა, რასაც ისინი, ასევე, წარმატებით აღწევნენ. თუმცა არის კითხვები, რომელიც მათ არ სიახლოვებთ. მაგალითად, იგივე ბარათონთან დაკავშირებით. ბუნებრივია, არაფერ ელოდება მათგან დადასტურებას, რომ ბარათონის როლით ბიზნესმენს აშარჟებენ, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ ასე ფიქრობს. მაყურებელი პარალელურად ავლენს და პრინციპში, დასკვნის გამოტანას ძალიან ადვილად: მირიან ბარათონი მონარქის ალდგენის მომხრეა, ლევან ვასაძის დამოკიდებულება მეფის ინსტიტუტის აღ-



ირაკლი სალინაძე: „იქ იყო ზუსტად იმდენი მონოდებული, რამდენის თქმაც ჩვენ ამ საკითხზე გვინდოდა“



„ვისაც როგორ უნდა, ისე გამოაბას კუდი, ჩვენი პროდუქტი ამ თავისუფლებას იძლევა“

სერიალით უკმაყოფილოა მისი მეგობარი, სოსო მანჯავიძე, თუმცა მიაჩნია, რომ ვასაძეს ბარათონთან ასოცირებით არაფერი დააკლდება.

სოსო მანჯავიძე:
– დრო არ მაქვს, რომ სერიალს ვუყურო, მაგრამ შეფასებები ცნობილია ჩემთვის, რადგან ძალიან რეზონანსული გახდა. ლევან ვასაძე ჩემი მეგობარია, ახლოს ვართ ძალიან, ის ძალიან განათლებული, თავის სამშობლოზე შეყვარებული ადამიანია, რომელიც, ასევე, წარმატებულია თავის ბიზნესში. ვასაძეს განსხვავებული შეხედულებები აქვს. სხვათა შორის, ასეთივე შეხედულებები აქვს ევროპაში ბევრ ადამიანს, იგივე იმ ევროკავშირშიც. გასაგებია, რომ მას აქვს გარკვეული ეზრატურული იმიჯი. გარკვეული წრეები კი მის მონარქისტულ იდეალებს, თავისებურ ეზრატურს, ეროვნული ღირებულებების მიმართ დამოკიდებულებას გამაღიზიანებლად აღიქვამენ. „ჩემი ცოლის დაქალებში“ ვითომ მინიმუმბა გააკეთეს, ლევანის მარჯის გაკეთება სცადეს. მინდა ვთქვა, რომ ლევანის რელიგიურ შეხედულებებს იზიარებს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. გარდა ამისა, თუ ლევანი მონარქისტულ იდეებს პროპაგანდას უწევს, იგივე ეროვნულ ტანსაცმელს, ამაში არაფერი გასაღიზიანებელი არ არის. პირიქით, მე ვიტყვი, რომ ის ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. რატომღაც მაინცდამაინც რაინდობის თემას, სამეფო ოჯახს უსვამენ ხაზს და ამას ამარჯუებენ.

– უკავშირებთ სერიალის ფრაგმენტებს ვასაძის პოლიტიკურ გააქტიურებას?

– მან არაერთხელ განაცხადა, რომ პოლიტიკაში არ მოვა. არ ვეთანხმები ლევანს შეხედულებაში, რომ შესაძლებელია პოლიტიკაში მოსვლის გარეშე შევვალო რამე. ამ კაცს უკუიხიბნენ იმას, რაც მას არ უნდა. თუ ამის საჭიროება იქნება, თავად იტყვის. რაც შეეხება სერიალს, ის უარყოფითად ვერ იმოქმედებს ლევან ვასაძის პიროვნებაზე იქიდან გამომდინარე, რომ ეს სერიალი ძალიან ზედაპირული და გასართობია, ვერ ვიტყვი, რომ მალაზარისხანია, ვერც იმას ვიტყვი, რომ სერიალი მაღალი გემოვნებით ხასიათდება. ის ადამიანები, ვისზეც ეს სერიალი ზე-

დგენასთან დაკავშირებით ყველამ ვიცით; მირიან ბარათონი ქვეყნისთვის უფლისწულის „ჩუქებას“ გეგმავდა და ამისთვის დიდხანს არჩევდა სასურველ კანდიდატს, ლევან ვასაძემ სულ ცოტა ხნის წინ სვეტიცხოველში უფლისწული გიორგი ბაგრატიონი მონათლა, ანუ მისი გათვლებით მომავალი მეფის სულიერი მამა გახდა. უფლისწულის ნათლობის პარალელურად „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტის, ქეთი დევდარიანის „FACEBOOK“-ის პირად გვერდზე კითხვები ჩნდებოდა: „ნათლობის ტექსტები შენი დაწერილია?“. მირიან ბარათონი დაუნდობლად ებრძვის თანამედროვე, თინეიჯერულ გატაცებებს, სექსუალურ უმცირესობებს, საყურთან ბიჭებს... ლევან ვასაძემ სულ

ორიოდე კვირის წინ ულტიმატუმით მიმართა საკანონმდებლო ორგანოს ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმების მოთხოვნით – ეს ბარათონი-ვასაძის პროვოცირების დამახასიათებელი თვისებების დამთხვევების მხოლოდ მცირედი ნაწილია. ბუნებრივია, მათი სერიოზულად განხილვა თავისთავად არასერიოზულია, თუმცა გასულმა სერიებმა პოლიტიკური ფორი კიდევ უფრო აქტიური გახადა. რაც პოლიტიკურად გააქტიურებულ ვასაძეს ლოგიკურად უკავშირდება...
სხვათა შორის, ინტერნეტსივრცეში ერთმა ასეთმა მოსაზრებამაც კი გაიჟღერა, რომ ბარათონის როლმა ვასაძეს პოლიტიკაში მოსვლის შანსები შეუმცირა... აზრი განსაკუთრებით მაშინ

გამყარდა, როდესაც განდევნილობაში შესულმა მირიან ბარათონმა განმარტოებისას საკუთარ სექსუალურ ლტოლვას ახადა ფარდა.
თავად ბიზნესმენს ერთადერთხელ აქვს გაკეთებული კომენტარი სერიალთან დაკავშირებით. „პირველ რაიონთან“ ინტერვიუს დროს ვასაძემ განაცხადა, რომ „ჩემი ცოლის დაქალებს“ საერთოდ არ უყურებს: „წარმოდგენა არ მაქვს, მე ამ სერიალს არ ვუყურებ, ნავიკითხე ინტერვიუ მისი რეჟისორისა, რომელიც მე მლანძღავს, არსებას მეძახის და ამბობს, რომ ეს ჩემი პროტოტიპია და ესეც მეტყველებს ჩვენი ლიბერალისტების ფსევდოპაციფიზმზე და სინამდვილეში უდიდესი აგრესიულია“.

„რაც შეეხება სერიალს, ის უარყოფითად ვერ იმოქმედებს ლევან ვასაძის პიროვნებაზე იქიდან გამომდინარე, რომ ეს სერიალი ძალიან ზედაპირული და გასართობია“

ნება გააკეთეს, ლევანის შარჟის გაკეთება სცადეს



„არც არის გამორიცხული, შეიძლება ლევანმა მოისურვოს ჩემი გაცნობა. ეს იქნება ბარათეონისა და ვასაძის შეხვედრა“

მოქმედებას მოახდენს ისედაც არ არიან იმ იდეალების გამზარებლები, რომლის დამკვიდრებასაც ჩვენ ლევანთან ერთად ვცდილობთ. აქედან გამომდინარე, ეს ზე-თი და წყალია, რომელიც ერთმანეთს არ ეხება. სერიალში საკმაოდ უნიჭოდ გაკეთებული შარჟები ვერანაირად ვერ შეეხება იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

– ხომ არ იცით, როგორი დამოკიდებულება აქვს სერიალთან მას, ხომ არ უყურებს?

– სერიალებს არ უყურებს, „ჩემი ცოლის დაქალებზე“ გაუგია ისევე, როგორც მე. მე ამ სერიალით მაშინ დაინტერესდი, როდესაც სოციალურ ქსელში დაინყეს ამაზე საუბარი, საყურებლად არც დრო მაქვს და არც სურვილი. ისიც არ ვიცი, სად გადის სერიალი, „რუსთავი 2“-ზე?

– დიახ.
– „რუსთავი 2“, საერთოდ, დაუყოვნებლივ დასახურია. ჯერ მარტო იმიტომ, რომ ის არის ტელევიზია, რომელიც 10 წლის განმავლობაში უთვალავ ტყუილს

„არ უყურებს სერიალებს, ჩემი ცოლის დაქალებზე“ გაუგია ისევე, როგორც მე“



ეუბნებოდა მოსახლეობას, გუნდრუქს უკმევდა სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის გამტარებელ ხელისუფლებას. გარდა ამისა, ამ ტელევიზიას იმხელა დავალიანება აქვს საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რომლის ჩამოწმების უფლებაც არავის არ ჰქონდა.

– დავალიანება ახალი ხელისუფლების პირობებში ჩამოიწმინდა...

– ვინც ეს დავალიანება ჩამოწმებდა, აუცილებლად წარდგება ახალი ქართული სასამართლოს წინაშე. ახალი ხელისუფლება ძალიან მალე შეიცვლება და მას ჩვენ შევცვლით, „პატრიოტთა ალიანსი“.

– ვასაძის დახმარებით?

– ლევან ვასაძე რა შუაშია, ლევან ვასაძეც ამ აზრზეა, მან ხელისუფლების მისამართით პირდაპირი მიმართვა გაავრცელა, სადაც ულტიმატუმი წაუყენა

ხელისუფლებას, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი გაუქმებინა. მე დიდად მოხარული ვიქნებოდი, რომ ქართულ პოლიტიკაში მოსულიყო და ხელი შეეწყო ჩვენთვის.

ცალკე თემაა მირიან ბარათეონის როლის შემსრულებელი. დათო და-

რჩიას გული სწყდება, რომ მისი პერსონაჟის ყურებისას ყველა ვასაძეზე საუბრობს და არა იმაზე, რა კარგად ასრულებს ის მონარქის აღდგენის მომხრე თავადის როლს. თუმცა არ გამოირიცხავს, რომ ერთ დღეს ბიზნესმენი ბარათეონის როლის შემსრულებლით

დაინტერესდება და პირადად გაიცნობს მსახიობს...

დათო დარჩია, მირიან ბარათეონის როლის შემსრულებელი:

– მირიან ბარათეონზე იმიტომ მიდის ამდენი ლაპარაკი, რომ კონკრეტულ პიროვნებასთან მის შედარებასა და გაიგივებას ახდენენ. ამიტომ აფეთქდა, ამიტომ ატყდა ხმაური. პოლიტიკულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და მირიანის გარშემო ეს ხმაურიც ამის ბრალია. თორემ როლი როლია – ხან მილიონერს ითამაშებ, ხან მათხოვარს, ხან მეფეს და ხან ბანდიტს. აქამდე არც ერთი ჩემი როლი არ მახსენდება, რომელსაც ასეთი განხილვა მოჰყოლოდეს. ეტყობა, სერიალის ჯგუფს „ანყოზა“ ასეთი მომენტი. მე, როგორც ჯარისკ-

აცი, ვასრულებ დავალებას. მსახიობს ის სიამოვნებს, მის განსახიერებულ გმირთან დაკავშირებით რომ საუბრობენ და არა პროტოტიპებზე. მოდი, ის თქვით, დათო დარჩია კარგია თუ ცუდი და არა ლევან ვასაძეს როგორ ჰგავს... ჩემს გმირს პოლიტიკასთან აკავშირებენ. რატომ? ეს ხომ ხელოვნებაა? ტელევიზიას ეს ძალია აქვს, უცებ გამოჩნდები, პოპულარული ხდები, ან მინაში ჩაგდებენ, ან ზეცაში აგიყვანენ და მერე ავიწყდები... შეიძლება გავიცნო. არც არის გამორიცხული, შეიძლება ლევანმა მოისურვოს ჩემი გაცნობა. ეს იქნება ბარათეონისა და ვასაძის შეხვედრა. ვხუმრობ. დარჩიასა და ვასაძის შეხვედრა იქნება. არც ის ვიცი, სერიალი ნახა აქვს თუ არა, ხმა არ მომსვლია.



სოსო განჯავიძე: „უარყოფითად ვერ იმოქმედაც ლევან ვასაძის პიროვნებაზე, იქიდან გამომდინარე, რომ ეს სერიალი არის კალიან ზედაპირული, გასართობი, ვერ ვიტყვოდი, რომ მაღალხარისხიანია“

„Slim Factor“ – „ლოტუსის“ უპრეცედენტო პროექტი სხეულის ფორმაში მოსაყვანად

ზაფხული მოახლოვდა და ქალბატონების მთავარი საზრუნავიც ახლა სხეულის ფორმაში მოყვანაა. მზეს და ზღვას ხომ დაკლებული კილოგრამებითა და გამკვერივებული სხეულით უნდა შევხვდეთ. შესაბამისად, დიეტების სეზონიც უკვე დაწყებულია, თუმცა შიმშილი და კვების რაციონიდან სხვადასხვა პროდუქტების ამოღება, კარგი სხეულის სრული გარანტია სულაც არ არის. სასურველი შედეგის მიღწევა ახლა მტანჯველი დიეტების გარეშეც თავისუფლად არის შესაძლებელი: სწორი კვება, თვენახევრიანი პროცედურები და შედეგად არ დააყოვნებს. ამ ყველაფრის დასამტკიცებლად ესთეტიკური მედიცინის ცენტრმა „ლოტუსმა“, საქართველოში პირველად, უპრეცედენტო პროექტი წამოიწყო. კონკურსის წესით ორი გოგო შეარჩიეს, რომლებსაც თვე-ნახევრის განმავლობაში „ლოტუსში“ არსებული სხვადასხვა პროცედურები სრულიად უფასოდ უტარდებოდათ. ორივე მათგანი სხვადასხვა შედეგის მიღწევას ცდილობდა: 22 წლის ნინიკო დიდუბაშვილს წონის პრობლემა აწუხებდა, 26 წლის თიკო კარდენს კი სხეულის კორექცია ესაჭიროებოდა. ორივე გოგონას თვე-ნახევრის განმავლობაში სხვადასხვა აპარატურული პროცედურები და ხელით მასაჟები უტარდებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ პროგრამის მონაწილეები ენდოკრინოლოგის მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. 10 დღეში ერთხელ ეცვლებოდათ დიეტა, რომელიც ჯანსაღ, დღეში ოთხჯერად კვებას გულისხმობდა. როგორც ესთეტიკური მედიცინის ცენტრის მენეჯერი ქეთი მაჭავარიანი ამბობს, ამ პროგრამის მთავარი მიზანი იყო, ქართველი ქალბატონებისთვის დაენახებინათ, როგორ შეიძლება უმოკლეს ვადებში, დიეტისა და აკრძალვების გარეშე, ჩადგე ფორმაში. პროგრამის შედეგი მართლაც გასაოცარი აღმოჩნდა. გოგონამ, რომელსაც წონის პრობლემები აწუხებდა, 18 კილო დაიკლო და, შესაბამისად, პროგრამის გამარჯვებულადც ის დასახელდა.



Before



ლოტუსი

ესთეტიკური მედიცინის ცენტრი



After

სასურველი შედეგის მიღწევა ახლა მტანჯველი დიეტების გარეშეც თავისუფლად არის შესაძლებელი: სწორი კვება, თვენახევრიანი პროცედურები და შედეგად არ დააყოვნებს

„ეს თვენახევრიანი პროცედურები და დიეტა საერთოდ არ გამჭირვებია, პირიქით, უფრო მეტი მოტივაცია და დიდი სტიმული მქონდა. მიხაროდა ყოველდღე იქ მისვლა“



Before





After

გოგონამ, რომელსაც წონის პრობლემები აწუხებდა 18 კილო დაიკლო და შესაბამისად პროგრამის გამარჯვებულადც ის დასახელდა

„რომ არა „ლოტუსი“ არ ვიცი რა მეშველებოდა. 18 კილოს დაკლება ჩემთვის მართლა ძალიან დიდი მიღწევაა. ჩემი მეგობრები მხვდებიან და ვერ მცნობენ“

ოგრამის გამარჯვებულადც ის დასახელდა. არანაკლები შედეგები აჩვენა მეორე გოგონამაც, რომელსაც სხეულის გარემოწერილობა მკვეთრად შეუმცირდა, ფორმები კი უფრო დაეხვეწა და გაუმკვრივდა.

ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „ლოტუსი“ საქართველოში უკვე წლებია ფუნქციონირებს და, უმაღლესი ხარისხის პროფესიონალების დახმარებით, მომხმარებელს მუდმივ სიახლესა და თანამედროვე ტექნოლოგიებით მომსახურებას სთავაზობს. ცენტრის ყველა ფილიალში მსოფლიოს წამყვანი ბრენდების თითქმის ყველა აპარატია წარმოდგენილი, რასაც ესთეტიკური მედიცინის სფეროს მოვლის სფეროში გვთავაზობს. „ლოტუსში“ შეხვედებით ვაკუიტსა და ლიპოლაზერს, რომლით სარგებლობა მთელ ამიერკავკასიაში მხოლოდ აქ არის შესაძლებელი. ესთეტიკის ცენტრში გასახდომი პროგრამები ყოველთვის წარმატებით იწერებოდა. ყველა პროგრამა ინდივიდუალურია და თითოეულ კლიენტზე პერსონალურად მორგებული. ასე რომ, თუ ზამთარში მოგროვილმა კილოგრამებმა შეგანუხათ და გინდათ, ზაფხულში იდეალური სხეული გქონდეთ, თანაც ისე, რომ დიეტებით იდეალურ მანსს გაძლევთ, თქვენი სურვილები უმოკლეს ვადებში შეისრულოთ!

თვე-ნახევარში მიღწეულ შედეგებზე პროგრამის მონაწილე გოგონები თავადაც საუბრობენ.

ნინიკო დიდუბაშვილი: „რომ არა „ლოტუსი“, არ ვიცი, რა მეშველებოდა. 18 კილოს დაკლება ჩემთვის მართლა ძალიან დიდი მიღწევაა. ჩემი მეგობრები მხვდებიან და ვერ მცნობენ. კიდევ იმიტომ

ვარ ძალიან კმაყოფილი, რომ არანაირი კანის ჩამოკიდება და ასეთი პრობლემები არ მქონია. თავიდან ძალიან მონადინებული არ ვიყავი, უბრალოდ, ჩემზე ბევრი ადამიანი იყო დამოკიდებული და თითოეული დამეხმარა, ვისაც ყოველდღე ვხვდავდი. მართლა ძალიან კარგი გარემოა, ეს 90%-ით გეხმარება, რომ მარტივად გადალახო ყველაფერი. თვიდან ცოტა სექსუალურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ იმხელა შედეგი მივიღე, რომ, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ბევრს შემეძლია ვურჩიო. ახლა ისევე დავდევარ ფიტნესს და სწორ კვებას ვაგრძელებ. კიდევ 15 კილოს დაკლება მინდა და ამ შედეგსაც უნდა მივაღწიო“.

თიკო კარდენი: „ეს თვენახევრიანი პროცედურები და დიეტა საერთოდ არ გამჭირვებია, პირიქით, უფრო მეტი მოტივაცია და დიდი სტიმული მქონდა. მიხაროდა ყოველდღე იქ მისვლა და ამ პროცედურების ჩატარება. ფორმები ხომ საგრძნობლად შემეცვალა და წონაშიც დავიკელი. ცილოვანი დიეტა მქონდა დანიშნული, სადაც იმდენი რაღაც შედიოდა, რომ ვერ ვჭამდი და რაღაცებს ვტოვებდი ხოლმე. ახლაც ისევე ვცდილობ, რომ ცხიმოვანი საკვები არ ვჭამო და „ლოტუსში“ ფიტნესზე სიარულიც უნდა გავაგრძელო“.

სკრინინგ ცენტრით უკავაყოფილო პაციენტების რაოდენობა გაიზარდა

სალომე გოგოხია

ყოველწლიურად საქართველოში ავთვისებიანი სიმსივნის 8 000 ახალი შემთხვევის გამოვლენა ხდება. 2008 წლიდან ქვეყანაში უფასო სკრინინგ ცენტრი ფუნქციონირებს, სადაც შესაძლებელია საშვილოსნოს, ძუძუს, მსხვილი ნაწლავის და პროსტატის სიმსივნის ადრეულ სტადიაზე გამოვლენა. ცხადია, სოციალურად შეჭირვებული ჩვენი მოსახლეობისთვის უფასო გამოკვლევები ნამდვილად დიდი შედეგია. თუმცა, პრეტენზიები და ბრალდებები სკრინინგ ცენტრის მიმართ სულ უფრო ხშირად გაისმის.

სკრინინგ ცენტრში მისულ 63 წლის ელისოს (პაციენტის ვინაობას ოჯახის თხოვნით გამოვლინა არ ვაკონკრეტებთ) სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. მოგვიანებით ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში ხელახალი გამოკვლევები ჩაიტარა, სადაც ცენტრის დიაგნოზი არ დადასტურდა.

როგორც პაციენტის შვილი გვიამბო, დედას მარჯვენა მკერდში სიმარგრე აღმოაჩნდა. ამიტომ, წერეთლის გამზირზე მდებარე სკრინინგ ცენტრს მიმართა, სადაც უთხრეს, რომ სიმსივნე აქვს.

„დაახლოებით სამი კვირის წინ, დედა სკრინინგ ცენტრში მივიდა. მკერდზე რაღაც სიმარგრე აღმოაჩინა; ოჯახის წევრებს არც გვითხრა, ისე წავიდა. ექიმის ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ (პირად საუბარში მისი ვინაობა გვითხრა). ექიმამ ოგრაფია გადაუღეს, თან ნელ-ნელა თრფუნავს, არ არის კარგი ამბავი. საოპერაციოა, მართალია საწყისი ფუნქცია, მაგრამ მოსაკვითია. პუნქცია გავაკეთეთ, დავთმეთ და შეიძლება მთლიანი მკერდის მოკვეთა საჭირო არ გახდეს და მხოლოდ ის ადგილი ამოგვეკეთოთ. უშველებელი „შპრიკით“ აუღეს პუნქცია, ეს მოხდა 14 მაისს და უთხრეს, პასუხი 24 მაისს იქნება. სკრინინგ ცენტრის პასუხი არ დავიჯერე, რადგან ახლობლებმა მითხრეს, მათი მთელი არ შეიძლება, სერიოზული ბიზნესი კეთდება. დედა ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში წავიყვანე, სადაც ჩაუტარეს ყველაფერი სახის გამოკვლევა. მაშინვე მაცხადეს, გვითხრა, პუნქციის მეორე ისეთი დიდი ჩაქცევია, სანამ ეს არ განიოვება მანამ ვერაფერი ვიტყვი და უსტეხბითო. სიმარგრე შეიძლება გამოწვეული იყოს ცინტრალით, სითხის გროვით, შეგუბებული სისხლითო. მთავარია, მორფოლოგიური ანალიზი რას გეტყვისო. ამის შემდეგ, სკრინინგ ცენტრში გამოსაკვლევე მასალის ნაშთსადაც მივიღე. თავიდან არ მატანდნენ. ხან მუუბნებდნენ ლაბორატორიაში გავგზავნეთო, იქ ვრეკავდი და არ მიგვიღიაო, მასსუბობდნენ. შემეჩნა შთაბეჭდილება, რომ თავიდან მიცილებდნენ. ვუსხნი, რომ ძალიან ვნერვიულობ. ეს არ არის კოლიტი ან გასტრიტის დიაგნოზი, ეს არის განაჩენი! როგორც იქნა გამომატანეს. გამოკვლევის შედეგად სიმსივნე არ დადასტურდა“ - ამბობს პაციენტის შვილი, მირანდა.

მისივე თქმით, არაპროფესიონალიზმის გარდა სკრინინგ ცენტრში მისული პაციენტების მიმართ ადგილი აქვს გულგრილობას და ზერელე დამოკიდებულებას.

„დამაინტერესებს მიმართ სრული ყასბური დამოკიდებულება აქვთ. იქ ყოფნისას ერთი ახალგაზრდა გოგო იყო, რომელსაც მკერდი უკვე მოჭრილი ჰქონდა, მეორეს ამისთვის ამზადებდნენ. პრაქტიკულად, ცენტრში ჯანმრთელი მიდიხარ და იქიდან მონხანვე ავადყოფილ ბრუნდები. პაციენტის მიმართ ადგილობრივი დამოკიდებულება აქვთ. ერთი ქალბატონი მოვიდა, შეშინებული სახით იცქირება, ეტყობა რომ პასუხის მოლოდინში ნერვიულობს. რეგისტრატორში ვინც იჯდა ეკითხება, რისთვის მოხვედრი? პასუხისთვისო. ადგილობრივი ტონით ეუბნება, ხომ გითხარი, რომ ათზე მოდიო, რისთვის გავქვს ის ფურცელი, ჩაიხდევსო. ეს არის არაადამიანური, არაპროფესიონალური დამოკიდებულება და მით უმეტეს მათი დიაგნოზი სანდო არ უნდა იყოს. მე მესმის, რომ ამხელა



რნალში გვაქვს კლინიკების ჩამონათვალი, პაციენტი თავად ირჩევს და ხელს აწერს, რომ საკუთარი ნებით მიდის იქ, -აცხადებს რემა ლვამიჩავა.

მისივე თქმით, სკრინინგ ცენტრში მომართვიანობა არც ისე მაალაია.

ჩვენ ვისურვებდით, რომ უფრო მეტი იყოს. იდეა არის, რომ სკრინინგის ეფექტურობა სახელმწიფო დონეზე რეალურად გამოვლინდეს. მიზნობრივი, ასაკობრივი ჯგუფის დაფარვა 60%-ზე მეტი უნდა იყოს. ამ შედეგს ქვეყნები ათწლეულების შემდეგ აღწევენ. ჩვენთან მომართვიანობა დაახლოებით 15%-მდეა. დაავადება უდავოდ გაახალგაზრდავდა. მთელ მსოფლიოში მატებაა. საქართველოში ყოველწლიურად 8 000 ახალი შემთხვევა ავთვისებიანი სიმსივნის. საბოლოო ციფრზე მაშინ გავალოთ. რაც გვექნება კანცერ რეგისტრირება. ავთვისებიანი კიბოს აღრიცხვის სისტემა, რომელიც ქვეყანაში მოშლილი იყო. ჯანდაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლის ცენტრის სახელმწიფო პროექტია. პირველი ეტაპი შემუშავებულია. არსებობს ეფროპული პროგრამა, რომელიც ადაპტირებულია ქართულთან. დაინყება მისი დანერგვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა სიმსივნის შემთხვევა ერთიან ბაზაში იქნება. ვფიქრობთ, რომ მომავალი

„სკრინინგ ცენტრში უთხრეს, რომ სიმსივნე აქვს, სხვა კლინიკაში გადავამოწმეთ და სიმსივნე არ დადასტურდა“

სისტემას ვერ შეეცვლიდა; ერთი მხრივ, ეს ცენტრი კარგია, რადგან არის ხელმოკლე ადამიანები, რომლებიც ძვირადღირებულ გამოკვლევას ვერ ჩაიტარებენ, მაგრამ პერსონალის დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. ცენტრი კლინიკებთან არის შეკრული, რომ რაც შეიძლება ბევრი პაციენტი გაუზზავნონ. შემოსავლის პროცენტებს იყოფენ. მე რა დამოკიდებულებაც ვნახე იქ, მაძლევს იმის საფუძველს, რომ განგაში ავტებო. დედაჩემს ლამის გარდაცვალების თარიღი დაუდგინეს. არადა, სიმსივნე არ აღმოაჩნდა“ - ამბობს პაციენტის შვილი.

ჩვენი მეორე რესპონდენტის ისტორიაც სკრინინგ ცენტრს უკავშირდება. 27 წლის ნინოს თითქმის ნახევარი წელი ტრინომინას დიაგნოზზე მკურნალობდნენ. შემდეგ ახლობლის რჩევით სხვა კლინიკას მიმართა, გამოკვლევის შედეგად სიმსივნის მეორე სტადია დაუდგინეს.

„მკურნალობის შედეგი არ ჩანდა. ამიტომ, სხვა კლინიკას მივმართე. საკმაოდ ცნობილი ექიმა, მის ვინაობას არ დავასახელებ. გამოკვლევების შედეგად სიმსივნის მეორე სტადია დაუდგინეს. ჩემმა ექიმმა ონკოლოგიურში გამიშვა, სამწუხაროდ, საშვილოსნოს ამოჭრა გახდა საჭირო. სკრინინგში სხვა დიაგნოზი დამისვეს, რაც მთავარია, არასწორი და მკურნალობაც არასწორად მიმდინარეობდა. დროული და სწორი დიაგნოსტიკის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს შედეგი თავიდან ამერიდებინა. ახლა ვერაფერი ვიზამ. ადამიანის ბედით თამაში არ შეიძლება“ - გვითხრა ნინომ.

„პრაიმტიმში“ ესაუბრა იმ ექიმებს, რომლებსაც სკრინინგ ცენტრით უკავაყოფილო პაციენტები მიმართავენ. პირად საუბრებში მათ დადასტურეს, რომ ცენტრის მიერ სიმსივნის დიაგნოზი დასმული მათთან ხშირად მოდიან, თუმცა, ხელახალი გამოკვლევების შემდეგ უმრავლესობას სიმსივნე არ დადასტურდება.

სამწუხაროდ, მედიკოსები ამ თემაზე ლიდ საუბარს ერიდებიან. როგორც ამბობენ, ეს მათი მხრიდან არაკოლეგიალურია.

„მე პირადად, ასამდე შემთხვევა ვიცი, როცა ცენტრში პაციენტს არასწორი დიაგნოზი დაუსვეს. პაციენტების მხრიდან პრეტენზიები გაიზარდა. თუმცა, უმრავლესობა საჩივარს მაინც არ წერს. არ ვიცი რატომ. სკრინინგ ცენტრში სხედან პატარა გოგონები, რომლებსაც შეცდომები ნამდვილად მოსდით. თანაც, ენ. „პაპ-ტესტით“ სიმსივნის დადგენა 60%-ში მცდარია. ჩემთან მოვიდა რამდენიმე პაციენტი, არიან ერთ ამბავში, გამოტყობილი აქვთ საკუთარი სიცოცხლე, გავუყუეთო ანალიზი და სიმსივნე არ აქვს. მანდ სერიოზული ბიზნესი ტრიალებს. ახალგაზრდა გოგონებს საშვილოსნოს ისე აჭრიან, როგორც არაფერი.

ერთი სიტყვით, საყასბოა“ - გვითხრა ერთ-ერთმა ცნობილმა პროფესორმა, რომლის ვინაობას მისივე თხოვნით არ ვწერთ.

თბილისში სკრინინგ ცენტრი 2008 წელს გაიხსნა. ცენტრის დაარსება საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვის სახელს უკავშირდება. სწორედ ის კურირებდა ცენტრის წლების მანძილზე შემდეგ ცენტრმა ფილიალები რეგიონებშიც გახსნა. დღეისთვის თბილისში 14, ხოლო რეგიონებში 32 სკრინინგ ცენტრის ფილიალია გახსნილი.

სკრინინგ ცენტრის მიერ მონოდეტული სტატისტიკის თანახმად, 2008 წლიდან დღემდე კიბოს გამოვლენის შემთხვევები საგრძობად გაიზარდა.

თვალსაჩინოებისთვის, თბილისის სტატისტიკა:

| | |
|--------------------------------------|--------------------------------|
| 2008 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 9 743 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 9 110 | |
| 2009 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 17 242 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 17 949 | |
| 2010 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 17 154 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 18 178 | |
| 2011 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 14 258 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 14 679 | |
| 2012 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 14 275 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 15 953 | |
| 2013 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 17 545 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 16 836 | |
| 2014 იანვარი-აპრილი (4 თვე) | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 4 597 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 4 202 | |

რეგიონები - 2011 - მაისიდან

| | |
|--------------------------------------|--------------------------------------|
| ქუთუს კიბოს სკრინინგი - 9 795 | საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 19 316 |
| 2012 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 17 618 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 26 975 | |
| 2013 | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 20 050 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 25 906 | |
| 2014 - I კვარტალი (3 თვე) | ქუთუს კიბოს სკრინინგი - 5 663 |
| საშვილოსნოს კიბოს სკრინინგი - 5 975 | |

„პრაიმტიმთან“ საუბარში სკრინინგ ცენტრის დირექტორი რემა ლვამიჩავა პაციენტების პრეტენზიებს და ბრალდებებს უარყოფს. ამბობს, რომ მსგავსი პრეტენზიები არც ცენტრისთვის მოუმართავს ვინმეს და არც ჯანდაცვის სამინისტროსთვის.

ჩვენთან საუბარში მხოლოდ ერთ შემთხვევას იხსენებს, როცა სკრინინგ ცენტრის ერთ-ერთმა ექიმმა დიაგნოსტიკური შეცდომა დაუშვა და პაციენტს მცდარი დიაგნოზი დაუსვა. ამას მოჰყვა ის, რომ ექიმს ერთი თვის ლიცენზია ჩამოართვეს.

„პაციენტი ქალბატონი იყო, რომელსაც მკერდის ექოსკოპია გადაუღეს და ექიმმა

„ცენტრი კლინიკებთან არის შეკრული, რომ რაც შეიძლება ბევრი პაციენტი გაუზზავნონ. შემოსავლის პროცენტებს იყოფენ. მე რა დამოკიდებულებაც ვნახე იქ, მაძლევს იმის საფუძველს, რომ განგაში ავტებო. დედაჩემს ლამის გარდაცვალების თარიღი დაუდგინეს. არადა, სიმსივნე არ აღმოაჩნდა“

უთხრა, რომ სიმსივნე იყო. ექიმი შეცდა. კეთილთვისებიანი იყო. ეს შემდეგ ჩვენ აუთხსენით, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენი ახსნა-განმარტება საკმარისი არ აღმოჩნდა და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართა. სამინისტრომ კომისია გამოყო, დოკუმენტაცია შეისწავლეს და ამ ექიმს, ვინც ექოსკოპია გადაუღო, ერთი თვით ექიმის ლიცენზია შეუზღუდა. მინდა გითხრათ, რომ მანამდე ამ ქალბატონს მეორე ტუტეზე სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს ჩვენთან, ჩაუტარდა მკურნალობა და განიკურნა.

„ბატონო რემა, ეს ექიმი მუშაობს აგრძელებს, როგორ ფიქრობთ, არსებობს გარანტია, რომ მსგავსს შეცდომას მომავალშიც არ დაუშვებს სხვა პაციენტთან მიმართებაში?“

„ვერ გეტყვით. ჩვენ ვალდებული ვიყავით და დავემორჩილეთ კანონს.“

ცენტრის დირექტორის თქმით, სკრინინგ საბოლოო დიაგნოზი არ არის. სიმსივნის ლოკალიზაციის აღმოჩენის შემდეგ, მიმდინარეობს სიმსივნის სტადიის დადგენა.

„ეს არის სტაციონარის დონე, რომელიც სკრინინგის ფუნქცია არ არის. სკრინინგი გულისხმობს გამოხშირებას. მაალი რისკის ჯგუფებში მასობრივი პოპულაციიდან გამოყოფას. თუმცა, სკრინინგს აქვს ძალიან ბევრი დადებითი მხარე. რაოდენობრივად, ქუთუს და საშვილოსნოს ყელის კვლევებს საქართველოში ყველაზე მეტს ჩვენს ვაკეთებთ. პროგრამას ვეულისხმობ. შესაბამისად, სკრინინგის პროგრამა არ შეიძლება იყოს პანაცეა. სკრინინგის პროგრამას აქვს თავისი ნიშა, თავისი ფუნქცია. თუ ქუთუს სკრინინგზე საუბარი, ქალბატონს უდგინდება რენტგენოლოგიურად. სიმსივნის ნიშნების ან მასზე საჭირო ნიმუშების შემთხვევაში, პაციენტს უტარდება ბიოფსია. თუ დადასტურდა სიმსივნე, მაშინ პაციენტს ვთავაზობთ მიმართოს ნებისმიერ სპეციალიზებულ კლინიკას, სადაც მას სურს. უუ-

წლიდან ძალაში შევა“, - ამბობს ლვამიჩავა.

„პრაიმტიმთან“ საუბარში ჯანდაცვის სამინისტროს მოადგილე მარიამ ჯაში აცხადებს, რომ მას მსგავსი პრეტენზიების შესახებ არ სმენია და აღნიშნული თემით აუცილებლად დაინტერესდება.



„პაციენტის უკავაყოფილების შემთხვევაში ინდივიდუალური განცხადებები რეგულაციების სააგენტოში უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება დიაგნოსტიკის ხარისხს, ნებისმიერ ტესტს ახასიათებს სპეციფიურობა და სენსიტიურობის მაჩვენებლები. მსოფლიოს მასშტაბით არც ერთი ტესტი 100%-ით ზუსტი არ არის. უკეთესი რჩება მინიმალური რისკი, რომ იყოს ცრუ დადებითი ან ცრუ უარყოფითი შემთხვევები. რაც შეეხება ხარისხის კონტროლს, ეს არის თემა, რომელსაც ჩვენ სულ ვაფერეხებთ. სამწუხაროდ, საქართველოში ხარისხის კონტროლის და მისი გაუმჯობესების კუთხით სისტემური რეფორმა არ განხორციელებულა. რამდენიმე კვირის წინ, პარფარდის უნივერსიტეტთან ერთად ჩავატარეთ პირველი გაფართოებული სემინარი, როგორც ჯანდაცვის უწყების, ასევე კლინიკების წარმომადგენლებთან ერთად. შეიქმნა ჯანდაცვის სისტემაში სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური ატომპონენტური სისტემა. ეს პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის და იუესაიდის ხელშეწყობით. ეს ნამდვილად მიმდინარეობს თემა. კონკრეტულ შემთხვევებში თუ არის უკმაყოფილება, მედიაციის სამსახური დაეუბნება მოგვარების ალტერნატიული მექანიზმი“, - განაცხადა მარიამ ჯაშიამ.

თუმცა, მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული საჩივარი მედიაციის სამსახურში არ შესულა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ჩვენთან საუბარში სკრინინგის ცენტრის დირექტორმა დაასახლა.



„საქართველოში ყოველწლიურად 8 000 ახალი შემთხვევა ავთვისებიანი სიმსივნის. საბოლოო ციფრზე მაშინ გავალოთ, რაც ვეეექნება კანცერ რეგისტრირება. ავთვისებიანი კიბოს აღრიცხვის სისტემა, რომელიც ქვეყანაში მოშლილი იყო“

პრესის რეიტინგი წელიწადში

„ახალი მონაცემები რომ გვქონდეს, მაშინ“



my View
ნათუნა მგალობლიშვილი

„თუკი რომელიმე ორგანიზაცია ახალ მედიაკვლევებს და ახალ მონაცემებს დაადგენს, ჩვენც მივყვებით ამ ახალ მონაცემებს“, თუ არ დაადგენს, მაშინ „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ ისარგებლებს სამ ან ოთხნობიანი დაძველების მონაცემებით და რაც ყველაზე მთავარია, ამაში პრობლემას თავად ვერ ხედავენ. ერთადერთი, რასაც აკეთებენ, ეს IPM-ისკენ თითის გაშვებაა. ანუ ბრალულობის გადასამართლებას, რა ვქნათ გონა ცქიციშვილის 2012 წლის შემდეგ კვლევები აღარ ჩაუტარებია... გამოდის, ცქიციშვილის ორგანიზაციამ საერთოდ რომ შეწყვიტოს არსებობა, ათი წლის შემდეგაც მისი 2012 წლის მედიამონაცემები იქნება მოხმარებაში მარტო იმიტომ, რომ სხვა მონაცემებს, უბრალოდ, ვერ მიაგნეს.

პრობლემატიკა უფრო პირველი რგოლი სწორედ IPM-ისგან იკვრება. მის მიერ ჩატარებულ მედიამონიტორინგში გაზეთი „პრაიმტაიმი“ ორჯერ ვერ მოხვდა. მიზეზი ორჯერ ახსენს და ორივეჯერ ბოდიშის მოხდა მოუხდათ. ამჯერად უხერხულ მდგომარეობაში „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ აღმოჩნდა. სწორედ მათი ხელმძღვანელობით დაიწყო 2014 წლის 15 აპრილიდან დაგეგმილი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგი. 3 არასამთავრობო ორგანიზაცია 39 მედიასაშუალებას აკვირდება, მათ შორის არის 8 ტელეარხი, 12 რადიოსადგური, 7 გაზეთი და 12 ონლაინგამოცემა. პროექტი როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება. თავად ორგანიზატორები აცხადებენ, რომ დამფინანსებლებს დეტალური ინფორმაციას ახვებიან, ასევე ადასტურებენ, რომ დონორები საქმის კურსში არიან, რომ კვლევა მოძველებულ მონაცემებზე დაყრდნობით ხორციელდება. თანაც იმდენად მოძველებულზე, რომ მასში გაზეთი „24 საათი“ ვერ კიდევ „ცოცხალია“. ამიტომ კვლევითი ორგანიზაცია იძულებული გახდა, საკვლევი სიიდან დახურული გაზეთი საკუთარი ინიციატივით ამოეღო. სამაგიეროდ აზრად არ მოსვლიათ 2012 წლის შემდეგ

გახსნილი გაზეთები და პორტალები, ან IPM-ის მიღმა დარჩენილი რეიტინგული გამოცემები შეეტანათ საკუთარ კვლევაში. კვლევითი ორგანიზაციების პრობლემა საქართველოში დიდი ხანია განხილვის თემაა, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტის გზებზე არაფერს საუბრობს. მედიაექსპერტები დეტალურად ფლობენ ინფორმაციებს, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საზოგადოებას კვლევის შედეგებთან დაკავშირებით კითხვები არ გაუჩნდეს და თან მრავალნობიანი გამოცდილებიდან საინტერესო ისტორიებსაც ასაჯაროებენ.

ზვიად ქორიძე, მედიაექსპერტი:
– ზოგიერთი კვლევა ძალიან უცნაურ დამოკიდებულებას იჩენს არაერთი გამოცემის მიმართ. არის შემთხვევები, როდესაც ნამყვანი მედიასაშუალებები საერთოდ არ მონაწილეობს გამოკითხვებში, ამიტომ სრულიად გაურკვეველი ხდება, რა დამოკიდებულებას ავლენს რეალურად მყურებელი, მკითხველი, მსმენელი კონკრეტული გადაცემის ან გაზეთის მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს სტანდარტი და ფორმა, რომლის ფარგლებშიც ხდება გარკვევა, როგორ უნდა ხდებოდეს თანამონაწილეობა მსგავს გამოკითხვებში. ხშირ შემთხვევაში თანამონაწილეობა ხდება კვლევითი ორგანიზაციის პირადი მოსაზრების, ან მათი თანამშრომლების, ან საკუთარი სპეციალისტების მიერ შერჩეული მედიასაშუალებების დასახელებების საფუძველზე. სწორედ ამიტომაც ჩნდება კითხვები. რადგან კითხვა ბევრია, ეს იმას ნიშნავს, რომ კვლევითი ორგანიზაციები ბევრად გამჭვირვალები უნდა იყვნენ. მით უმეტეს, რომ ამ საკითხს მიმბმული აქვს მედიასაშუალებების იმიჯი. იმიჯს კი, თავის მხრივ, მიმბმული აქვს რეკლამები, რომელიც ასე მნიშვნელოვანია თითოეული მედიასაშუალებებისთვის. როგორც ხესი, ყოველთვის უცნობია, რის საფუძველზე ხდება კონკრეტული კვლევითი სუბიექტების შერჩევა, ასევე მუდმივად უცნობია მეთოდოლოგიის ტიპი, მაშინ როდესაც კვლევას სწორედ პრეამბულაში უნდა ჰქონდეს მითითებული დეტალური ინფორმაცია, სად ჩატარდა გამოკითხვა, რა რაოდენობის ადამიანი გამოკითხა, რა მეთოდით მოხდა მათი შერჩევა, როგორი იყო კითხვარი... სის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

ამჯერად კითხვების სია კიდევ უფრო გაიზარდა „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ არაბის ინსტიტუტის“ მისამართით, მედიამკვლევარი გი-

| [1] | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | ... | ბოლო |
|-----|------|------------------------------|--|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|
| # | +/- | საიტი | საიტის აღწერა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | MyVideo.GE - ვიდეო პორტალი | პირველი ქართული ვიდეოპორტალი. ვიდეო, ტელევიზია, ლაივ სტრიმინგი, ფილმები, რადიო. | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | Ambebi.ge (ამბები.ge) | საინფორმაციო პორტალი - ექსკლუზივი, პოლიტიკა, ეკონომიკა, ზოო-ბუნების, მედიცინა, კრიმინალი, სპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ▲+16 | primetimenews.ge | საინფორმაციო სააგენტო | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ▲+1 | newposts | საინფორმაციო სააგენტო | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ▼-1 | Palitra TV - Radio | ლაპარაკობს და ატყუებს პალიტრა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | intermedia.ge ინტერმედია | ტელევიზია, ვიდეო, სტატიები და ფოტო მასალები - საინფორმაციო შემცველებითი გასართობი პორტალი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | ▲+3 | ITV.ge | დამოუკიდებელი ქართული ინტერნეტ ტელევიზია | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | ▼-5 | news agency 'InterpressNews' | საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსი" | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | ▼-1 | დრონი.ჯი | საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | ▲+3 | REPORTIORI | საინფორმაციო-სამაუწყებლო სისტემა რეპორტიორი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | ▲+7 | skandal.ge | სკანდალური საინფორმაციო ვებ გვერდი | | | | | | | | | | | | | | | | | | |

ით წელიწად-ნახევრის წინ IPM-მა რომ ჩატარა გაზეთების რეიტინგების კვლევა, მას შემდეგ მონაცემები აღარ განახლებულა. ჩვენ გავიკითხეთ, დავინტერესდით და არ ყოფილა არაფერი ჩატარებული. თუმცა ვიცით, რომ არის შემთხვევები, როცა თავად გაზეთები ატარებენ კვლევებს.

– მოიძიეთ კონკრეტული გაზეთი, რომელიც თავად ატარებს ასეთ კვლევებს?

– აღარ დავინტერესებულვარ, რადგან ასეთი ტიპის კვლევების შედეგებს ჩვენ ვერ მივიღებდით. რაც მთავარია, გაზეთების რეიტინგების კვლევა IPM-ისგან გვაქვს შეძენილი. ეს არის დოკუმენტი, გული მწყდება რომ ეს არის ძველი კვლევა, ახალი რომ იყოს, ბუნებრივია, ახალ მონაცემებს გამოვიყენებდი.

– თუმცა IPM ამბობს, რომ მსგავსი კვლევები ყოველწლიურად ტარდება...

– ნამდვილად არ არის ასე, პირადად ვესაუბრე IPM-ის ხელმძღვანელობას, ფული გადავიხადეთ ამ კვლევებში, თავად მიიხრეს, რომ 2012 წლის შემდეგ გაზეთების კვლევა არ ჩატარებულა. ჩვენ სულ შვიდი გაზეთის მონიტორინგს ვახორციელებთ და მათ სიაში არ არის „პრაიმტაიმი“, რადგან IPM-ის კვლევებში არ იყო მოხვედრილი. ეს არის ერთდერთი მიზეზი რატომაც არ მოხვდა ჩვენ კვლევაში „პრაიმტაიმი“, ჩვენთვის აბსოლუტურად სულერთია, რომელი გაზეთი ან რომელი საიტები მოხვდება ჩვენს კვლევაში. ბუნებრივია, თუ ყველაზე რეიტინგულები არ მოხვდება, ეს, პირველ რიგში, ჩვენს კვლევას დაზარალებს.

– გამოდის, ბრმად ენდობით IPM-ს?

– IPM არის სანდო ორგანიზაცია, ბრმად არ ვენდობით.

– არ გაეჩინდათ კითხვა, რატომ არ იყო „პრაიმტაიმი“ კვლევებში?

– კითხვები გაგვიჩნდა, ეს ჩემს ინტერესებშიც შედიოდა, ბუნებრივია, მაგრამ საქმე ისაა, მე რომ დავინახე ჩემი გამოკითხვის ან ინტერესის მიხედვით გაზეთების შერჩევა, მთელი კვლევა ჩაიყრება წყალში. ამას მოჰყვებიოდა ის, რომ სხვადასხვა გაზეთების ხელმძღვანელები მოვიდოდნენ და მკითხავდნენ, რის მიხედვით გადაწყვიტე, რომ ის კონკრეტული გაზეთი უნდა ყოფილიყო კვლევაში და მე არა... კვლევის ჩატარებისას შერჩევა უნდა ხდებოდეს ავტომატურად. სწორედ ამიტომ მე მაქვს ამობეჭდილი დოკუმენტი, სადაც წერია, რის საფუძველზე შეირჩა გაზეთები და პორტალები.

– მაგრამ აქ თქვენს გამოკვლევაზე არ არის საუბარი...

– გასაგებია, მაგრამ რაღაც დოკუმენტი ხომ უნდა მქონდეს ხელში, რომ მას დავეყრდნო?

– თქვენი კვლევის მიზანია ის, რომ მას ჰქონდეს სანდოობა და იყოს ობიექტური. როდესაც ერთ-ერთი რეიტინგული გაზეთი არ ხვდება ამ კვლევაში, როგორ ფიქრობთ, ის ავტომატურად კითხვის ნიშნებს არ აჩენს?

– კითხვის ნიშნებზე რა მოგახსენებთ, მაგრამ გავიმეორებ და ისევ ვიტყვი, რომ ცუდია, როდესაც წელიწად-ნახევრის წინანდელ მონაცემებზე დაყრდნობა გვინდევს. სხვა საშუალება არ არის. პრობლემა ის, რომ ქვეყანაში კვლევები არ ტარდება. რომელიმე ორგანიზაციას რომ ჩაეტარებინა და მე მქონოდა სამი თვის წინანდელი კვლევები, ბუნებრივია, მე მას გამოვიყენებდი.

– ბუნებრივია, თქვენი შედეგები უკვე არასწორი იქნება, რადგან ის კვლევები, რომელსაც ეყრდნობით, რეალობას არ ასახავს...

– წელიწად-ნახევარში ცვლილებები შეიძლება მოხდეს, თუმცა ჩვენი კვლევის ჩატარებას ის აზრი აქვს, რომ შედეგები დაიდება. უბრალოდ, ახალი მონაცემები რომ გექონდეს, მაშინ ჩვენი კვლევაც შეიძლება უკეთესი იყოს. მაგრამ რა ვქნათ, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს კვლევები?

– 2012 წლის შემდეგ ბევრი ახალი გაზეთი გამოვიდა, ზოგი დაიხურა, საერთოდაც...

– იმ არსებული სიიდან ერთადერთი, რაც შეიცვალა, იყო ის, რომ „24 საათი“ ამოვიღეთ, რადგან მან გამოსვლა შეწყვიტა.

– გასაგებია, ფაქტია, რომ „24 საათი“ დაიხურა, მაგრამ იგივენაირად ფაქტია, რომ „პრაიმტაიმი“ არის რეიტინგული და მაშინ რატომ არ მოხდა მისი შეყვანა კვლევებში?

– რის საფუძველზე უნდა დამედასტურებინა, რომ რეიტინგულია და ტოპ-თეულში ხვდება თქვენი გაზეთი? იგივენაირად შეიძლება დამიკავშირდეს ნებისმიერი გაზეთის ხელმძღვანელობა, ყურნალისტი და მოითხოვს პასუხი ჩემგან: რის საფუძველზე შევიდა შვიდ ყველაზე რეიტინგულ გაზეთში „პრაიმტაიმი“. რა

„ამჯერად ვერ მოხვდება „პრაიმტაიმი“, რადგან აღნიშნული მეთოდოლოგია უკვე შეეუბრალებული იყო და მას შუა კვლევაში ვერაფრით ვერ შეცვლიდნენ“

ია ანთაძე:
„მედიამონიტორინგი სუსტა მათემატიკური სიზუსტით დგინდება, თუკი ის პატიოსნად არის ნარმოებული“

| [1] | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | ... | ბოლო |
|-----|------|------------------------------|--|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|
| # | +/- | საიტი | საიტის აღწერა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | MyVideo.GE - ვიდეო პორტალი | პირველი ქართული ვიდეოპორტალი. ვიდეო, ტელევიზია, ლაივ სტრიმინგი, ფილმები, რადიო. | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | Ambebi.ge (ამბები.ge) | საინფორმაციო პორტალი - ექსკლუზივი, პოლიტიკა, ეკონომიკა, ზოო-ბუნების, მედიცინა, კრიმინალი, სპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ▲+16 | primetimenews.ge | საინფორმაციო სააგენტო | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ▲+1 | newposts | საინფორმაციო სააგენტო | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ▼-1 | Palitra TV - Radio | ლაპარაკობს და ატყუებს პალიტრა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | intermedia.ge ინტერმედია | ტელევიზია, ვიდეო, სტატიები და ფოტო მასალები - საინფორმაციო შემცველებითი გასართობი პორტალი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | ▲+3 | ITV.ge | დამოუკიდებელი ქართული ინტერნეტ ტელევიზია | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | ▼-5 | news agency 'InterpressNews' | საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსი" | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | ▼-1 | დრონი.ჯი | საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | ▲+3 | REPORTIORI | საინფორმაციო-სამაუწყებლო სისტემა რეპორტიორი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | ▲+7 | skandal.ge | სკანდალური საინფორმაციო ვებ გვერდი | | | | | | | | | | | | | | | | | | |

ორგი ვოლოგუა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს პორტალების კვლევებს, აცხადებს, რომ მათი მიზანი ყველაზე რეიტინგული საინფორმაციო პორტალების სის შედგენაა. საკვლევი სია ორგანიზაციამ „TOP.GE“-დან აიღო. მიუხედავად იმისა, რომ „პრაიმტაიმის“ პორტალი რეიტინგებში ერთ-ერთ მონიშნულ ადგილს იკავებს ვოლოგუას მიერ ჩატარებულ კვლევებში მანაც ვერ მოხვდა. ვოლოგუა, უბრალოდ, ფაქტის გამო წუხს და შეცდომის გამოსწორებას მარტივი მიზეზით არ აპირებს, კვლევა უკვე პროცესშია და პორტალებიც დონორებთან შეთანხმებულია. აქ ერთადერთი კითხვა ჩნდება: რა აზრი აქვს კვლევის ჩატარებას, თუ მისი შედეგი ახლოსაც არ მივა არსებულ რეალობასთან? თუ „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ სანდოს ეტაპზე არასწორ მონაცემებს იღებს, ლოგიკურია, რომ მისი შედეგები აბსოლუტურად აცდენილი იქნება სინამდვილეს. ამაზე ვოლოგუას თავისი პასუხი აქვს – ახალი მონაცემები თუ განჩნდება და ჩვენი ორგანიზაცია იარსებებს, შემდეგ კვლევებში ჩავსვამთ ამ ეტაპზე გამოტოვებულ გამოცემებსა და საიტებს.

გიორგი ვოლოგუა, „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ მედიამკვლევართა:

– ჩვენი ორგანიზაცია წელს ჩაერთო პირველად გაზეთების მონიტორინგში. 2012 წლიდან ვახორციელებთ ონლაინ მედიამონიტორინგს, ახუ ინტერნეტპორტალებს. გაზეთებზე კვლევა პირველად წელს ჩატარეთ და აღმოვაჩინეთ, რომ დაახლოებ-

დნაქეპრიანი ცდომილებით

ჩვენი კვლევა უკეთესი იყო

ელისო კილაძე: „გუნებრივია, ჩნდება კითხვები, რატომ არ ხვდება კვლევები ეს თუ ის გაზეთი. ამ შეკითხვის დასმის უფლება მაქვს და ამ უფლებას ვერავინ წამართმევს“

| რანგი | სახელი | საიტის აღწერა | სტატუსი | მომხმარებელი | მომხმარებელი | მომხმარებელი | მომხმარებელი |
|-------|----------------------------|--|---------|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1 | MyVideo.GE - ვიდეო პორტალი | პირველი ქართული ვიდეოპორტალი. ვიდეო, ტელევიზია, ჟურნალი, მუსიკა, ფოტო, რეკლამა. | | 374589 | 55512 | 160198 | 6.7 |
| 2 | Ameba.ge (ამბეა.გე) | საინფორმაციო პორტალი - ენციკლოპედია, პოლიტიკა, კინო, მუსიკა, ჟურნალი, სპორტი. | | 109668 | 24702 | 75906 | 4.4 |
| 3 | ტელეკომპანია "იმედი" | ტელეკომპანია იმედის ვებ-საიტი | | 32618 | 17662 | 27304 | 1.8 |
| 4 | news agency "ImpressMedia" | საინფორმაციო სააგენტო "იმპრესმედია" | | 31720 | 11982 | 41629 | 2.6 |
| 6 | Paltra TV - Rastio | ტელევიზიის და აქტივების სააგენტო | | 28204 | 11522 | 42460 | 2.6 |
| 6 | ვირიტი.ჯი | საინფორმაციო-მულტიმედია პორტალი | | 23667 | 10084 | 33055 | 2.2 |
| 7 | news.ge | საინფორმაციო სააგენტო | | 20438 | 10067 | 34901 | 2.9 |
| 8 | intermedia.ge ინტერმედია | ტელევიზია, ვიდეო, სტრინგის და ფოტო მასალები - საინფორმაციო მედიის სექტორის პორტალი | | 42320 | 9418 | 39907 | 4.5 |
| 9 | CP.GE | საპოლიტიკო პორტალი | | 18372 | 8988 | 26739 | 2.1 |
| 10 | პალტრა.ჯი | საინფორმაციო-მულტიმედია პორტალი | | 16675 | 8444 | 24348 | 1.9 |
| 11 | primemedia.ge | საინფორმაციო სააგენტო | | 18066 | 7413 | 15101 | 2.5 |
| 12 | ვირიტი.ჯი | ვიდეო-კონტენტის გასაშუქებელი პორტალი "ვირიტი.ჯი" | | 22484 | 7061 | 20280 | 2.8 |
| 13 | News.GE | საინფორმაციო პორტალი | | 20749 | 7356 | 23120 | 4.1 |
| 14 | "საქართველო და მსოფლიო" | საინფორმაციო-მულტიმედია პორტალი - "საქართველო და მსოფლიო" | | 10666 | 6827 | 21839 | 1.6 |
| 15 | PEOPLE.GE | საინფორმაციო პორტალი | | 8493 | 6366 | 9258 | 1.3 |
| 16 | "საქართველო და მსოფლიო" | საინფორმაციო-მულტიმედია პორტალი - "საქართველო და მსოფლიო" | | 13455 | 6111 | 19227 | 2.2 |
| 17 | skandis.ge | საინფორმაციო პორტალი | | 16974 | 6122 | 16884 | 2.6 |
| 18 | ვირიტი.ჯი | ვიდეო-კონტენტის გასაშუქებელი პორტალი "ვირიტი.ჯი" | | 9099 | 6404 | 16730 | 1.8 |



გიორგი ჯოლობუა:
„ჩვენ სულ უკიდრი გაზეთის მონიტორინგს ვახორციელებთ და ამათ სიაში არ არის „პრაიმტაიმი“, რადგან IPM-ის კვლევებში არ ფიგურირებდა. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რატომაც არ მოხვდა ჩვენს კვლევებში „პრაიმტაიმი“

პასუხი გავცე?
 - არსებობს შესაბამისი კვლევა...
 - მე არ ვიცი, მაჩვენეთ ეს მონაცემები, სადაც „პრაიმტაიმი“ ტოპათეულშია. ჩვენ ასეთი ინფორმაციის მოსაძიებლად დრო და ენერჯია არ დაგვიშურებია ნამდვილად.
 - IPM-თან მიმართებაში არ გაგიჩნდათ კითხვა?
 - რა თქმა უნდა, კითხვები იყო, მე მათ რჩევას სახით ისიც ვუთხარი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ვებგვერდებზე ჩატარდებოდა კვლევები. მაგრამ მოგესხებოდათ, ყველაფერი სახსრებთან და რესურსებთანაა დაკავშირებული. ძალიან გამიხარდება, ვინმემ რომ ჩაატაროს მსგავსი კვლევა.
 - გამოდის, ორი ან თუნდაც ხუთი წლის შემდეგ რომ ჩატარდეს კვლევა, ისევე IPM-ის 2012 წლის მონაცემებს უნდა დაეყრდნობა, მართალი იმეტომ, რომ სხვა არჩევანი არ არსებობს?
 - იმედი მაქვს, რომ არ მოგვიწევს. ორი წელი არჩევნები აღარ გვექნება, თუ ორი წლის შემდეგ ჩვენი პროექტი კიდევ იმუშავებს, 5 წლის წინანდელ მონაცემებს ხომ არ გამოვიყენებთ ისევე? თუ არჩევანი არ იქნება, პრინციპში, სხვა გზა არც დაგვიჩნდება, ან ერთადერთი გამოსავალი ის იქნება, რომ ჩვენს დონორებს ვთხოვით, გამოყონ დამატებითი თანხა აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად. ახლა ამაზე ძალიან ზოგადად შემიძლია საუბარი. ძალიან მიხარია, რომ ინტერესი გაქვთ, თქვენი კვლევის ჩასატარებლად. უბრალოდ, თქვენც უნდა გაიგოთ, რასაც გიხსნით, კვლევის ჩატარებისას არ არის ისე, რომ მე ასე ვთვლი და მორჩა, ყველაფერი დადასტურებულად და დასაბუთებულად ხდება.
 - როდესაც დონორისგან იღებთ დაფინანსებას, სანაცვლოდ არ გიყენებენ მოთხოვნებს, მაგალითად, კვლევები უნდა ჩატარდეს მინიმუმ სამი ან ექვსი თვის წინ განახლებული მონაცემების გამოყენებით?
 - არა, ასეთი მოთხოვნები არ არსებობს. ერთადერთი, როგორც სხვა ნებისმიერ კვლევას, ამავე სტრატეგია დასაბუთება. მაგალითად, როდესაც ხდება მედიასამუშაოების შერჩევა კვლევისთვის, ოფიციალურად უნდა მოხდეს დასაბუთება, რის საფუძველზე მოხდა მათი შერჩევა. თუ არ არსებობს იმაზე უკეთესი მონაცემები, რომელსაც ვეყრდნობით, მაშინ რა უნდა ვქნათ? არა მგონია, წელიწადნახევარში რეალობა კატასტროფულად განსხვავებული იყოს. ასეც რომ ვიფიქრო, მე ვერაფერს შევცვლი.
 - რაც შეეხება ვებგვერდებს...
 - ზუსტად იგივე პრობლემა აქაც. არ მინდა „TOP.GE“-ზე რამე ცუდი ვთქვა, ეს არის საიტი, რომელიც მუშაობს, მე მათ მუშაობაში ვერ ჩავერევი, არ ვიცი, კარგად მუშაობს თუ ცუდად, მაგრამ ფაქტია, რომ საჭიროა „TOP.GE“-ზე უფრო სანდო ვებგვერდების რეიტინგული მონაცემები არსებობდეს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ საიტზე სანდო მონაცემები არ არსებობს. თუ თქვენ გაქვთ რაიმე მონაცემები, პირიქით, შეგვიჩვენებთ, რომ მომცეთ ისინი. ცოტა ხნის წინ „IPM“-თანაც გვეკონდა საუბარი, მათ გვითხრეს, რომ მსგავსი კვლევის ჩატარებას აპირებდნენ, მაგრამ ჯერ დაწყებული არ არის. ამიტომ როცა საჭირო კვლევები არ არსებობს, რაც არის, იმის საფუძველზე გვიწევს კვლევების ჩატარება. აბსოლუტურად მესმის „პრაიმტაიმის“, თქვენი გაზეთიც მუშაობს, პროტალიც და არც ერთი არ მოხვდა კვლევებში, მესმის, რომ გიჩნდებათ კითხვები...
 - თქვენ არ გაგიჩნდებოდათ?
 - გული დამწყდებოდა. თქვენ ვებგვერდს ახერხებთ საინფორმაციო სააგენტო, მე დავრეკე და ვესაუბრე თქვენს საინფორმაციოს, რომელმაც ასევე დამიდასტურა, რომ ნამდვილად საინფორმაციო სააგენტოა. სააგენტოები კი ჩვენი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მონიტორინგდება. მხოლოდ საინფორმაციო პორტალს ვიკვლევთ.
 - ეს იგივე პორტალია, რომელიც თქვენი ინტერნეტის სფეროში შედის...
 - როცა თქვენი ვებგვერდი შევამოწმეთ, მას ენერჯია საინფორმაციო სააგენტო. კიდევ რამე თუ გეხსენება, არ ვიცი. მე ძემხვდა თქვენი სააგენტო „TOP.GE“-ზე, ის იყო ათეულში, ამიტომაც დაინტერესდი და დავრეკე. თქვენი პორტალი არ იყო ტოპათეულში, შესაბამისად, რომც გვეცოდნოდა მისი არსებობის შესახებ, კვლევებში მაინც ვერ მოხვდებოდა.
 - თქვენ ეს მონაცემები „TOP.GE“-ზე ერთი ნახვით აარჩიეთ, თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აკვირდებოდით მონაცემებს?
 - არა, ვადამოწმებდა ხდება კვლევის დაწყების წინ, დაახლოებით ერთი კვირით ადრე. ჩვენ ეს მონაცემები ამოღებული გვაქვს დოკუმენტებად. ამას იმეტომ ვ-

კეთებთ, რომ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ბევრს უჩნდება კითხვები. გარდა ამისა, ყველა საიტს, რომელიც იღონა მარცხი საკამათო იყო, საინფორმაციო სააგენტოს წარმოადგენდა თუ პორტალს, საითიად დაფურკეთ და ვიკითხეთ.
 - რომელი იყო საკამათო?
 - მუშაობის სტილის მიხედვით იყო საკამათო ზოგიერთი შემთხვევაში. ზოგიერთი ვებგვერდი სააგენტოს სტილში მუშაობს, ბევრსაც მოკლე და ინფორმაციულ სტატუსებს და ნაკლები ანალიზი გვხვდება.
 - რადგან ჩვენთან დარეკეთ, ანუ ჩვენც საკამათო იყო?
 - არა, თქვენთან იმეტომ დავრეკეთ, რომ ის „TOP.GE“-ს ათეულში მოხვდა. ერთი თვით ადრე ჩვენ, საერთაშორისო პორტალების სია გამოვქვეყნეთ და ერთი კვირით ადრე კიდევ ერთხელ მოხდა მათი გადამოწმება. პირველ რიგში ჩემთვის არის მნიშვნელოვანი, კვლევებში მოხვდეს ათი ყველაზე რეიტინგული პორტალი. მერნ-მუხეთ, ისე არ ხდება, რომ მე „TOP.GE“-ს გადავხედო და ამის შემდეგ შევადგინე სია. საითიად ვხსნი სიატს, ვაკვირდებით და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მიღება. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ აბსოლუტურად მესმის თქვენი პოზიცია, თუმცა ამ ეტაპზე ასე მოხდა და ეს არის ობიექტური და ავტომატური შერჩევა.
 - დონორებს რამდენად დეტალურად მიეწოდებთ ინფორმაციები?
 - როგორ დეტალურად ახლა თქვენთან ვსაუბრობ, ზუსტად ასეთივე დეტალურად ვანვით ინფორმაციას დონორებსაც.
 - მათ ექნებათ ინფორმაცია რომ ერთ-ერთი რეიტინგული გაზეთი და მისი პროტალი კვლევებში არ მოხვდა?
 - სიტყვა რეიტინგული მე ვერ ვიხმარ, რადგან რაღაცაზე დაფუძნებული ხომ უნდა იყოს ეს ინფორმაცია? ისინი ერთადერთი იმას ნახავენ, რომ ამ სიაში „პრაიმტაიმი“ ვერ მოხვდა და ასევე, ეცოდინებათ, რომ მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც კვლევა ჩატარდა, არის წელიწადნახევრის წინ გაკეთებული.
 - მედიავიკტორის, ან ანთაძის მოსაზრება აბსოლუტურად იდენტურია არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ანთაძე მედიაკვლევებს პოლიტიკურ კვლევებს ადარებს და აცხადებს, რომ, მაგალითად, NDI-ს ან IRI-ს კვლევები ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა პოლიტიკურ რეალობას და ეს დადასტურებულად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ვნახეთ. თუმცა არა მგონია, ეს ამართლებდეს მედიამონიტორინგის აბსოლუტურ ცდომილებებს.
 - ია ანთაძე, მედიავიკტორი:
 - გააჩნია რომელ კვლევებს გულისხმობთ, რადგან შეიძლება ზოგი კვლევა კომენტარისთვის გამოიყენო, ზოგიერთი კი - ყველაფრისთვის. „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ არის ჩვენი ორგანიზაცია, პირადად მე ამ პროექტში არ ვმონაწილეობ, ჩემთვის ძნელია ჩვენი პროექტის შესახებ საუბარი. რამდენიმე

ორგანიზაცია მუშაობს პროექტზე, ზოგი ტელევიზიებს იკვლევს, ზოგი გაზეთებს და ზოგი პორტალებს. მეთოდოლოგია გაეროს ვეგით არის შემუშავებული. ეს ერთ-ერთი ყველაზე სანდო მეთოდოლოგიაა, თუ კითხვა ეხება, რამდენად კვალიფიციური ადამიანები აკეთებენ ამ კვლევას, მე შემიძლია, დადასტურებულად გითხრა, რომ, თუკი საქართველოში ვინმეს აქვს მედიამონიტორინგის გამოცდილება, მათ მორის ერთ-ერთი ჩვენი ორგანიზაციაა. პირველივე დღიდან ჩართულები ვართ ამ მიმართულების განვითარებაში. ზოგადად თუ ვისაუბრებთ კვლევებზე, მაგალითად, NDI-ს კვლევებზე, მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ამ სფეროში, საქართველოში მათი კვლევის შედეგები და არჩევნების შედეგები საერთოდ არ ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ, ბუნებრივია, საზოგადოების ერთ ნაწილს მინც უჩნდება კითხვები კვლევის სანდობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მედიამონიტორინგს, შედეგების შემოწმების საშუალება, სამწუხაროდ, არ არსებობს. მედიამონიტორინგი სუფთა მათემატიკური სიზუსტით დგინდება, თუკი ის პატიოსნად არის წარმოდებული. თუმცა არ არის საშუალება, რაც კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს შევამოწმებინებ რეალურ მონაცემებთან. მე როგორც ვიცი, კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელმა „პრაიმტაიმს“ შემოგთავაზათ, გვეჩვენებინათ ის მონაცემები, რომელიც თქვენ გაქვთ.
 - თუმცა ისიც გვითხრა, რომ ამით არაფერი შეიცვლება და „პრაიმტაიმი“ სიაში მაინც ვერ მოხვდება...
 - ამჯერად ვერ მოხვდება „პრაიმტაიმი“, რადგან აღნიშნული მეთოდოლოგია უკვე შემუშავებული იყო და მას შუა კვლევაში ვერაფრით ვერ შეცვლიდნენ. ამ ეტაპზე მუტი გზა არ არის, ახლა უნდა დავამთავროთ ისე, როგორც დავინყეთ, თუმცა ახალი კვლევის შედეგები, თუკი ასეთი არსებობს, უნდა ენახა ჩვენს ორგანიზაციას, რომ სამომავლოდ მინც გაეთვალისწინებინა.
 - თვის დროზე იგივე ორგანიზაციის კვლევებში ვერ მოხვდა გაზეთი „ქრონიკა“-ც. გაზეთის რედაქტორს, ელისო კილაძეს მიაჩნია, რომ მსგავსი კვლევების მიმართ კითხვები, როგორც ესეი, მუდმივად არსებობს და არავინ ცდილობს მათ მოხსნას... შესაბამისად, საკუთარი რეიტინგის დასადგენად ის უფრო პირად დაკვირვებებს ეყრდნობა, მიაჩნია, რომ ეს გზა გაცილებით ახლოს იქნება რეალობასთან, ვიდრე ვეროკავშირისა და გაეროს მიერ დაფინანსებული კვლევები...
 - ელისო კილაძე, „ქრონიკა“-ის მთავარი რედაქტორი:
 - ზოგადად, როდესაც მედიავიკტორის კვლევა მიმდინარეობს, თავისთავად ცხადია, რომ ჩამონათვალში უნდა იყოს ყველა ის გაზეთი, რომელიც გამოდის. თუ კვლევაში კონკრეტული გაზეთები შეტანილი არ არის, ადამიანებმა პასუხები რაზე უნდა გასცენ? ბუნებრივია, ჩნდება კითხვები, რატომ არ ხდება ამა თუ იმ გაზეთის შეტანა. მე შეკითხვის დასმის უფლება მაქვს და ამ უფლებას ვერავინ წამართმევს. ჩემთვის, საერთოდ, განმსაზღვრელია ჩემი მკითხველის ხედვის ხარისხი, ჩემი ტირაჟი, გაზეთის რეალიზაცია. სიმართლე გითხრა, მე სხვა კრიტერიუმს სანდობის შესამოწმებლად არ მჭირდება. თქვენ თუ გგონიათ, თუ ასეთი კვლევებში ვერ მოხვდება, ჩემს გაზეთს უცხოელები არ ნაიკითხავენ, დიპლომატიური კორპუსის რეაქცია და რეაგირება არ მოხდება გამოქვეყნებულ მასალებზე, შეკითხვები არ იქნება, ასე ნამდვილად არ არის. ჩვენ ვართ ერთი ხლის გაზეთი, ვფიქრობ, ამ ერთი ხლის განმავლობაში მოვახერხებთ კონკურენციის პირობებში საკუთარი ადგილისა და პოპულარობის მოპოვებას. ჩემთვის პრობლემა უფრო გაზეთის რეალიზაციის მონაპოლიური სამსახურებია, რომლებიც ჩვენ ძალიან კაპალურ პირობებს ვითარებთ. მე ეს უფრო მანუხებს, სიმართლე გითხრა.
 - ანუ თქვენ მსგავს კვლევებს არ აღიარებთ და დიდ ყურადღებას არ უთმობთ?
 - ჩემთვის ეს გადამწყვეტი არ არის, თუმცა ყველა კვლევა აქვს მნიშვნელოვანი სემანტიკა. ძალიან მნიშვნელოვანია, რა კატეგორიის ადამიანები არიან გამოკითხული, მოცულობა როგორია, როდესაც, მაგალითად, ქვეყანაში სამი მილიონი ადამიანი და კვლევითი ორგანიზაცია ათას ადამიანს გამოკითხავს, ბუნებრივია, ასეთი კვლევა რეალური სურათის ამსახველი არ იქნება. მეორე საკითხიც არის: გაზეთების მკითხველი სხვა თაობაა, შედარებით ახალი თაობა უფრო ინტერნეტის მომხმარებელია. კვლევებში ეს სემანტიკებიც განსაზღვრული უნდა იყოს.



GEORGIAN airways

დაგეგმვა და შესყიდვა

ინფორმაცია და მომსახურება

შემოთავაზებები

ჩვენ შესახებ

მოსკოვი

€195-დან

ბილეთის ყიდვა რთული მარშრუტი

გაფრენა

Tbilisi International

ჩაფრენა

Moscow, Vnukovo

- ორი გზა
- ერთი გზა

გაფრენის თარიღი

დეკემბერი 2013

| ორ | სამ | ოთ | ხუთ | პარ | შაბ | კვი |
|----|-----|----|-----|-----|-----|-----|
| | | | | | 1 | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | 31 | | | | | |

ზდასრ. (12+ წ)

1

შავშვი (2-11 წ)

0

ჩვილი (<2 წ)

0

ძიება

ამსტერდამი
€ 299-დან

მოსკოვი
€ 195-დან

ბათუმი
€ 56-დან

თელ-ავივი
€ 300-დან

ბერლინი
€ 299-დან

იერუსალიმი
€ 295-დან

პრაღისი
€ 47-დან

ლუბლიანა
€ 328-დან

დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM



20 წელი თქვენს გვერდით

როგორ უნდა უპოვოთ პოლიტიკური ძალები დატოვებენ კოალიციას



my View
ნათია გვიანი
მხატვარი-პოეტი

კოალიციურ დაპირისპირებასა და დამლაშე იმდენჯერ და ისეთი განსხვავებული ვერსიები გავრცელდა, რომ პოლიტიკური ფანტაზიები მაშინვე ამოწურულად გამოცხადდა. თუმცა ფაქტია, კულუარებში „მეორე სუნთქვა“ გაიხსნა და ახალი ვერსიით, ერთობას ერთმანეთის მიყოლებით დატოვებენ „ეროვნული ფორუმი“ და „თავისუფალი დემოკრატები“. ამაზე მინიშნებები დამოუკიდებლად გააკეთეს სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა.

საუბარი რომ „ფორუმს“ საკუთარ გუნდთან ურთიერთობები დაეძაბა, უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. ამას ისიც ადასტურებს, რომ პარტიის ლიდერი, კახა შარტავა „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისა და ცნობილი მასტერკლასის ჩატარების შემდეგ ლიად აღარც გამოჩენილა. როგორც მაშინ ამბობდნენ, შარტავას საკუთარი პოზიციების დაფიქსირება გუნდმა აუკრძალა. ლიდერს მალევე მიჰყვა „ფორუმის“ საპარლამენტო გუნდი. ჯერ გუბაზ სანიკიძე დადუმდა, მოგვიანებით კი ყველა მათი წარმომადგენელი. სანიკიძე პოლიტიკურ შეფასებებს მხოლოდ დახურულ სხდომებზე ან შიდაპარტიულ შეხვედრებზე აკეთებს. სანიკიძე პირად საუბრებშიც კი ერიდება პოლიტიკური თემების განხილვას. ერთადერთი, რის პირობასაც დებს, ეს ალაპარაკებაა, ოღონდ რამდენიმე თვეში. ეს დაპირება კი თვითონ თვემდე გაურკვეველი დროით ვადდება. შესაბამისად, რა გეგმები აქვს „ფორუმს“, ამაზე საუბარი რთულია, თუმცა, როგორც მათი წევრი, ანი მიროტაძე აცხადებს, პარტია არსად გასვლა არ აპირებს და არც დამოუკიდებელ მოღვაწეობას განიხილავს. ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში. გავრცელებული ინფორმაციით, კოალიციას სწორედ შარტავასა და ალასანიას გუნდი დატოვებს. ამაზე საუბარი მტკიცებით ფორუმში ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა დაიწყო. მაშინ კახა კუჭავა ირწმუნებოდა, რომ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია.

კახა კუჭავა:
- სანიკიძესთან და ალასანიასთან დაკავშირებით მაქვს ინფორმაცია, რომ ისინი კოალიციას თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დატოვებენ. გარდა ამისა, ძნელი აღსაქმელი არ არის ვიზუალურადაც, რომ ეს პარტიები კოალიციის არც ერთ აქტივობაში არ არიან წარმოდგენილები. ისინი, უბრალოდ, შესაფერის მომენტს ელოდებიან, თუ ადგილობრივ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ ნაიფორხილა, რა თქმა

ანი მიროტაძე: „თუკი წასვლას გადაწყვეტთ, ეს ჩვენი მხრიდან გაუღიარება და არავის დასჭირდება მკითხაობა, შეესაბამება თუ არა აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს“



უნდა, ამას კოალიციის დაშლა მოჰყვება. ეს ორი პარტია, კოალიციიდან გასასვლელად შესაფერის დროს, ადგილობრივ არჩევნებს, ელოდება.

მოგვიანებით იგივე თემაზე აქტიურად დაიწყო საუბარი პარლამენტის ყოფილი წევრმა, ვალერი გელბახიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ ძალიან მალე გარდაუვალი იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ვადამდელ არჩევნებს პოლიტიკოსები სწორედ შიდაკოალიციური დაპირისპირების დამაგვირგვინებელ ეტაპად განიხილავენ. მეტიც, გელბახიანის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხზე კულუარული მოლაპარაკებებიც კი მიმდინარეობს, რომელშიც ჩართულები არ არიან არც ალასანიას გუნდის წევრები და არც სანიკიძის პარტია.

ადარ მონანილოვს. დიდი ალბათობით კოალიციიდან პირველები სწორედ „ეროვნული ფორუმი“ და ალასანიას გუნდები გაველენ.

ბუნებრივია, კატეგორიულად უარყოფენ ინფორმაციას ისტორიის მთავარი გმირები. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ანი მიროტაძის განცხადებით, „ეროვნული ფორუმი“ არსად წასვლას არ

შე. ასეთ ჭორებზე პარტიაში რეაქციები არ გვაქვს ხოლმე, რადგან ძალიან ხშირად გვესმის ჩვენი პარტიის ლიდერების შესახებ სხვადასხვა ჭორები. მათ შორის ბევრჯერ გავრცელდა ინფორმაციები გუბაზზეც, კახაზეც, ჩემზეც... როგორც ხედავთ, აქამდე არც ერთი მსგავსი ინფორმაცია არ გამართლდა.

აქამდე არ გამართლდა, თუმცა

ებრძვიან მხოლოდ ძლიერს. პოლიტიკური გეგმების გაცოცხლება შეუძლებელია. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“, ძლიერები ვართ, ირაკლი ძლიერია და მე ამით უზომოდ ამაყი ვარ. ჩვენ მიერ გამოვლილმა ქართველებმა უფრო გაგვამყარა. სწორედ ამიტომაც გვებრძვიან. ეს სულ ასე იქნება და ჩვენ ამას უნდა შევგეუოთ. როდ-

ვალერი გელბახიანი:
- ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე კულუარული მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. კოალიციის შიგნით ერთიანობა არ არის და ისინი ცალ-ცალკე კონსულტაციებს გადიან სხვადასხვა მიმართულებით, ორი სუბიექტია - „ეროვნული ფორუმი“ და ალასანიას გუნდი, პრაქტიკულად, უკვე ჩამოცილებულია კოალიციის და ისინი არანაირ შიდა კონსულტაციებში



გიორგი ცაგარეიშვილი:
„როდესაც ჩვენზე არავინ აღარ დაწერს, როცა ალასანიას ჯორჯბუაჩიძე დასრულდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება“

აპირებს, მანამ სანამ ყველა ერთობლივი დაპირება არ შესრულდება.

ანი მიროტაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:
- რა თქმა უნდა, არ არის სწორი აღნიშნული ინფორმაცია. კოალიციის დატოვებაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. ეს ინფორმაცია პირველად არ გავრცელებულა. ბუნებრივია, პირველად არ მესმის ეს ჭორი, აქამდეც მსმენია. ორ თვეში ან ოთხ თვეში ერთხელ ვაპირებთ ით არის ხოლმე ამაზე ლაპარაკი. სიმართლეს გეტყვით, არსად წასვლას არ ვაპირებთ და მეტაც გეტყვით, თუკი წასვლას გადავწყვეტთ, ეს ჩვენი მხრიდან გაუღიარება და არავის დასჭირდება მკითხაობა, შეესაბამება თუ არა აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს. ამ ეტაპზე არანაირი საფუძველი ჭორს არ აქვს, ჩვენ ვრჩებით კოალიცია-

ეს არ ნიშნავს იმას, რომ არც ანი გამართლდება. „ეროვნული ფორუმისგან“ განსხვავებით, „თავისუფალი დემოკრატები“ გაცილებით გაბედულნი არიან საკუთარ კომენტარებში. ისინი ამ ეტაპზე უარყოფენ კოალიციიდან გასვლას, თუმცა აცხადებენ, რომ წინასწარ არ ღირს საუბარი იმაზე, როგორ გადანაწილდება კოალიციური შემადგენლობა მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის...

ცაგარეიშვილს მიაჩნია, რომ ირაკლი ალასანიას ოპოზიცია მიზანმიმართულად უფრცხვებს დეზინფორმაციას და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ერთ-ერთი ძლიერი ლიდერია კოალიციაში.

გიორგი ცაგარეიშვილი, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:
- სუსტს არასოდეს ებრძვიან,

საც ჩვენზე არავინ აღარ დაწერს, როცა ალასანიას ჯორჯბუაჩიძე ელემენტარულად დასრულდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება. უამრავი პარტია შემოძლია დაგისახელოთ, რომლებიც უბრალოდ არსებობენ, ძლიერს სუნთქავენ, მათზე არავინ ფორაობს, არავინ წერს, ჟურნალისტებს ისინი არც კი ახსენებდნენ. ჩვენზე გამუდმებით წერენ. ასე ხდება საზღვარგარეთაც. ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, არც აპოკალიფსური სურათი არ უნდა დავხატოთ.

ცაგარეიშვილის განცხადებით, ალასანია კოალიციაში მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩება, 2016 წლისთვის კი როგორ იქნება პოლიტიკური ძალების განლაგება, ამაზე საუბარს მოგვიანებით გვეპირდებიან...

მერობის კანდიდატების პირველი დებატების კანდიდატების შეეცადნენ, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ ეჩვენებინათ საკუთარი უპირატესობები. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკური ისტებლიშმენტი მზად ელექტორატზე ნადირობის ძველ, ტრადიციულ ჩვევებზე უარი თქვას. ამიტომაც აქაც უხვად იყო ერთმანეთისთვის წარსულის შესვენება, კომპრომატების დადება, მწვავე შეკითხვები...



my View
ნათუნა მგალოშვილი

მთავარი ინტრიგა, ნესით, მმართველი კოალიციისა და მთავარი ოპოზიციური პარტიის კანდიდატების დაპირისპირება უნდა გამხდარიყო. დათო ნარმანიასა და ნიკა მელიას შორის შედგა კიდევ აღნიშნული მთავარი დაპირისპირება. მელია ცდილობდა, გაეგო, რატომ ვერ დახარჯა ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნარმანიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული 200 მილიონი. ნარმანია კი მელიას თბილისში არსებულ ყველა უკანონოზე სთხოვდა პასუხს. ეს მოსალოდნელი დღეელი იყო.

თუმცა მოულოდნელ ინტრიგად დებატების მსვლელობისას ბურჯანაძის კოალიციის კანდიდატი, დიმიტრი ლორთქიფანიძე იქცა. თავად კახა კუკავაც კი სახტად დარჩა, როცა მას ნინო ბურჯანაძის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე ომბიანი ტონით დაუპირისპირდა. კუკავას გაოცების მიზეზი ნამდვილად ჰქონდა, რადგან მანამ სანამ ლორთქიფანიძეს ბურჯანაძე „იყიდა“, ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. კახა შეეცადა კიდევ, დიმიტრისთვის ახლო წარსული გაეხსენებინა. ანუ ეს ერთადერთი ტკბილი და დადებითი მოგონება იყო, რომელიც დებატების დროს წარსულის სახით კანდიდატებმა გაიხსენეს.

დანარჩენი მხოლოდ კომპრომატებზე აენყო თავისთავად, მიუხედავად იმისა, რომ დებატების დასაწყისში ნამყვანებიც და მთავარი გმირებიც სწორედ მომავალზე სასაუბროდ მოემზადნენ. ბუნებრივია, საინტერესოა, რა გაგრძელება ექნება პოლიტიკური დებატებს. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მომდევნო რაუნდში, „ტვ 3“-ის შემდეგ, „რუსთავი 2“-ში შედგება.

მთავარი ინტრიგა, როგორც უკვე ვთქვით, ძველი მეგობრების დუეტი გახდა და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჯოჯოხეთის პოლიტიკაც ანათებს. ქართულ პოლიტიკაში პოლიტიკურ უთანხმოებებს, ზოგადად, ბევრი სხვა მეგობრული დუეტიც შეეწირა. მათ შორის, ნათელშიორნობაც კი ვერ გახდა შემაკავებელი ფაქტორი. მაგალითისთვის კობა დავითაშვილი და მიხეილ სააკაშვილი შეგვიძლია გავისხენოთ... ჩამონათვალის გაგრძელება შორს წავიყვანს.

ამავე დებატებში გაიკვია, რომ მესამე-მეოთხე ადგილზე მყოფ ოპოზიციას შორის წინასწარჩვენოდ შიდა მორატორიუმიც კი გამოცხადებულა, რომელიც, როგორც ყოველთვის, ისე ბურჯანაძის მხარე დაარღვია. სიტყვიერი შეთანხმება კი კუკავამ გააჟღერა, როდესაც დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურა შეირჩა, ნინო ბურჯანაძემ დამირეკა და შეეთანხმდა, ერთმანეთისთვის წარსული არ წამოგვეცახებინა და მეგონა, ამ პირობით მივიღოთ არჩევნებამდე... კუკავას მოლოდინი დიმიტრი ლორთქიფანიძემ სწორედ წარსულის გახსენებითა და პასუხის მოთხოვნით დაარღვია.



რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს დიმიტრი ლორთქიფანიძე და კახა კუკავა

დიმიტრი ლორთქიფანიძე, ნინო ბურჯანაძის კოალიციის მერობის კანდიდატი:

– კითხვა მაქვს კახა კუკავასთან, მაშინ როდესაც ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე გვაყენებს დღევანდელი საარჩევნო სიები, მაინტერესებს, აცნობიერებთ თუ არა იმას, რომ მამუკა კაციტაძის მიერ დადგენილი სიები რეალობას არ შეესაბამება და იღებს თუ არა პასუხისმგებლობას თქვენი კოალიცია ამ სიებზე? რადგან საარჩევნო სიების დაზუსტების საკითხზე სწორედ შენი პარტიორი, მამუკა კაციტაძე მუშაობდა, სწორედ კაციტაძის კომისია ცდილობდა ხარვეზების გამოსწორებას. ამ ორგანიზაციამ ძალიან მნიშვნელოვანი დაფინანსებაც კი მიიღო, 5 მილიონის ოდენობით. დღესაც ამ სიებით ვხელმძღვანელობთ და დღესაც უამრავ ოჯახშია მინერული ადამიანები, მკვდარი სულელები... დღესაც ეჭვქვეშ დგება სიების სისწორე და ყველა იცის, რომ

რეალურად არ არის მოსახლეობის რაოდენობა 3 მილიონ-ნახევარი, რადგან უამრავი ადამიანი გაედინება ქვეყნიდან.

მაშინ როდესაც კუკავას მთავარი სამიზნე მმართველი გუნდი ან თუნდაც მთავარი ოპოზიციური პარტიის კანდიდატი უნდა გამხდარიყო, მას თავის მართლება მოუწინა და თანაც ნინო ბურჯანაძის კანდიდატის წინაშე...

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– ცოტა მიკვირს კრიტიკა დიმიტრი ლორთქიფანიძის მხრიდან, რადგან, როცა დებატებისთვის ვემზადებოდი, ვიცოდი, რომ ჩემი მთავარი ოპონენტები ნარმანია და მელია იქნებოდნენ. მე ლორთქიფანიძეს ოპონენტად არ აღიქვამდი. რაც შეეხება სიების გადამოწმების კომისიას, მაშინვე მქონდა ჩემი პოზიცია ამ სიებთან დაკავშირებით. მაგრამ ლორთქიფანიძის მხრიდან კაციტაძის ასე არაკორექტულად მოხსენიება, უსამართლო სატყეილია, მით უფრო მაშინ, როდესაც თავად ლორთქიფანიძე დავითაიასთან და „პადოშასთან“ ერთად შევიდა პარლამენტში, მაშინ როდესაც მამუკა კაციტაძე, ფიქრია ჩიხრაძე და მანანა ნაჭყებია მაკრატლებით

ჭრიდნენ საკუთარ სადებუტატო მანდატებს. ძალიან ცუდი თემა გახსნა ლორთქიფანიძემ. მე ჩემი საარჩევნო კამპანია ბოლომდე ისე მივიყვანე, რომ ჩემსა და მას შორის კონკურენცია არ უნდა ყოფილიყო. მეგონა, ისიც ასევე მოიქცეოდა. ლორთქიფა-

ორთაბძოლა სწორედ ამ ორ კანდიდატს შორის გაიმართა და ნაგებული იქვე გამოვლინდა. დიმიტრი ლორთქიფანიძის მინუსების მოგროვებაზე მისივე ლიდერმა იზრუნა. კუკავა ოპონენტს „წამოძახებების ომში“ ბოლომდე მიჰყვება და ბურჯანაძეს 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზეც კი გაუხსენა...

კახა კუკავა:

– დღეს თქვენი ლიდერი, ნინო ბურჯანაძე კლიპში ამბობს, ჩვენ არასდროს შევეგუებით უსამართლობას... როდესაც სანდრო გირგვლიანი მოკლეს, პარლამენტში საგამოძიებო კომისიის საკითხი გამოვიტანე და ზუსტად ორი საათი ვეხვეწებოდი ქალბატონ ნინოს, სხდომათა დარბაზში რომ გამოსულიყო. ერთი განცხადებაც კი არ გააკეთა მაშინ. 7 ნოემბერს, როდესაც მე და შენ ერთად ვიდევით რუსთაველის გამზირზე, ზუსტად ორი დღის შემდეგ იგივე ნინო ბურჯანაძე სიტყვით გამოვიდა პარლამენტში და განაცხადა, რომ ჩვენ ყველა რუსეთის ჯაშუშები ვიყავით. კიდევ უფრო მოგვიანებით, 5 იანვრის არჩევნებზე, როდესაც მოყინულ იპოდრომზე ვიდევით ყველა, ბურჯანაძემ თქვა, რომ ეს იყო ყველაზე დემოკრატიული არჩევნები საქართველოს ისტორიაში და დღეს ეს ადამიანი საუბრობს სამართლიანობის აღდგენაზე...

„როცა დებატებისთვის ვემზადებოდი, ვიცოდი, რომ ჩემი მთავარი ოპონენტები ნარმანია და მელია იქნებოდნენ“

ნიძის ადგილას, თავს უხერხულად ვიგრძნობდი. ლორთქიფანიძე პასუხებს დაუჩინებოდა ითხოვდა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მთავარი

ოთარ ქაჯაია - პროფესორის 90 წლის იუბილე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

my View თამარ ზონდაია

„მადლობის სიგელით ვილოდოვებ პროფესორი ოთარ ქაჯაია, ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ - დიპლომი 90 წლის პროფესორის საიუბილეო საღამოზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, 29 მაისს გადასცეს. საიუბილეო საღამო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ქართველოლოგების ინიციატივით ჩატარდა.

ბატონი ოთარი მეგრულ-ქართული ლექსიკონის ოთხტომეულის ავტორია. ლექსიკონის მომზადება უმაღლური საქმეა. ლექსიკონს ვიყენებთ, მისი ავტორი ნაკლებად გვახსოვს ხოლმე. ბატონი ოთარი ზუსტად ვიცი, არასდროს დამავინწყდება. ერთადერთი ლექსიკონის შემდგენელია, ვისაც ასე პირისპირ შევხვდი.

როგორც პროფესორმა ქალბატონმა, ნინო დობოჯგინიძემ გვამცნო, ამ საღამოს ჩატარებაზე ბატონი ოთარისგან მტკიცე უარი მიუღია. „ეს მხოლოდ თქვენთვის კი არაა, ჩვენთვის, საქმისთვის და უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირის მესხიერებისთვის არის საჭირო, რომლის გარეშე სამეცნიერო საზოგადოება ვერ იარსებებს-მეთქი, ვუთხარი“.

საღამო შედგა. ბატონი ოთარი ბედნიერი ჩანდა. პროფესორების მოხსენებებს გულიწყურით უსმენდა და ჩუმი სისარული დასთანამუბნდა ხმელ სახეზე. მილოცვები იქნის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტიდან და კანადის მონრეალის უნივერსიტეტიდან მოვიდა. ბატონმა ოთარმა მიიღო ნერვილი ვინფრიდ ბოუდერისგანაც, გერმანელი მეცნიერისგან: „საიუბილეო თარიღს გილოცავთ. თავს უფლებას ვაძლევ მრავალი ქართველოლოგიის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ სამსახურისთვის, რომელიც ჩვენ გავგინიეთ. ასეთი ხარისხის ლექსიკონი ის სიმდიდრეა, რომლითაც მრავალმა თაობამ უნდა ისარგებლოს. გისურვებთ მიბაძოთ დიდი ხნის კოლეგას, ლეო კვაჭაძეს და კიდევ დიდხანს უხელმძღვანელოთ ახალი თაობის მეცნიერებს“.

ბევრი რამ გავიგე ამ საღამოზე. თურმე ბატონი ოთარი თავისი მასწავლებლის, აკაკი შანიძის რჩევით ცდილობდა ისეთი სალექსიკონო მასალა შეეგროვებინა, რომელთაც დაინტერესებული პირი ი. ყიფშიძის ლექსიკონში ვერ იპოვებდა. ოთხივე ტომი სექტემბრისთვის. 2001 წელს პირველი ტომი გამოვიდა, 2002 წელს მეორე და მესამე, 2009 წელს კი მეოთხე ტომაც იხილა დღის სინათლე.

„ვინაიდან ჩემი შვილები და შვილიშვილები ფილოლოგები არ არიან, ოთხტომეულის ამ ბოლო ეგზემპლარს გწუქნი ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას“, - თქვა ოთარ ქაჯაიამ.

გამოაცა იმან, რაც პროფესორზე მოხსენებებიდან შევიტყვე. მას დღემდე არ შეუცვლია მუშაობის სტილი. ის აქტიური მონაწილეა ყველა იმ ღონისძიების, რომლებიც ქართველოლოგიურ პრობლემებს ეძღვნება ბოლო წლებში. რაც შეეხება ლექსიკონზე მუშაობას, ბატონი ოთარი ასე იხსენებს.

„1967 წლის ივლისი იდგა. აპოლონ ცანავას ინიციატივით მე, ტოგო გუდგვა და გურამ კარტოზია შევიკრიბეთ. აპოლონმა ილია ვეკუას ნათქვამი გადმოგვცა, მეგრულს უნდა მივხედოთო. ბატონი ილია მაშინ თსუ-ს რექტორი იყო. მას უთქვამს, თქვენ იმუშავეთ და მე ჩემს თავზე ავიღებ დაბეჭდვასო. ეს მაშინ დიდი გაბედულება გახლდათ. დავინანოთ სამუშაო: უნდა გამოსულიყო ქართულ-ხალხური ზემოისიტივების ორი ტომი, პირველი და მეორე - მეგრული პოეზია და პროზა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი და ლაზური ტექსტები. ამ შეკრებას მე „მეგრელების



EXCLUSIVE მეგრულ-ქართული ლექსიკონის ავტორის ისტორია

შეთქმულება“ დავარქვი. ზემოხსენებული კოლეგებიდან მხოლოდ მე დავარჩი. დანებებული სამუშაო შესრულდა, ნაწილი ადრე, ნაწილი მოგვიანებით, ვიმუშავეთ იმაზე მეტი, ვიდრე ვიტყვირთო“.

ასე ჩაეყარა საფუძველი მეგრულ-ქართული ლექსიკონის შექმნას, რომლის განხორციელებას ბატონმა ოთარმა მრავალი წელი მოანდომა. ეს ოთხტომეული დიდი ხნის ნაფიქრი ყოფილა. როგორც პროფესორი ბელა ქობალავა აღნიშნავს, ბატონი ოთარ ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონის ოთხტომეული საეტაპო მნიშვნელობის სამაგიდო წიგნია ყველა სპეციალისტისთვის, თითოეული დაინტერესებული მკითხველისთვის. ბევრი სიტყვა-ფორმა დროთა განმავლობაში შეიძლება დაიკარგოს, ლექსიკონი კი მას ინახავს.

ლექსიკონის გამოცემის საქმეში ავტორ-შემდგენელი არა ერთ ქართველ კოლეგას ემადლიერება, მათ შორის გამოჩენილად სამივე ტომის რედაქტორს, პროფესორ ზურაბ სარჯველაძეს.

იმის შესახებ, თუ რა ტიპისაა ეს მეგრულ-ქართული ლექსიკონი პირველი ტომის შესავალ ნაწილში წერია. ლექსიკონი არის თარგმნითი, მეგრული სიტყვა თარგმნილია ქართულად. ლექსიკონი ტერმინოლოგიურიც არის. მასში შეტანილია მეურნეობის სხვადასხვა დარგის ტერმინები.

ასევე არის დოკუმენტირებული: სახსნელი სიტყვა წარმოდგენილია გამოთქმაში, წინადადებაში. მეოთხე ტომი სამტომეულის შევსება-დახვეწასა და სრულყოფას ემსახურება. თავის დროზე ზუ-

რაბ სარჯველაძეს სამტომეულის გამოცემისთვის „ოთარ ქაჯაიას კაპიტალური ნაშრომის პუბლიკაცია“ უწოდებია.

ლექსიკონი დიდ სამსახურს უწევს პუბლიკისთვის დარგის სპეციალისტებს - ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ზოგადად ქართული კულტურით დაინტერესებულ პირებს.

2013 წელს მოსკოვში გიორგი კლიმოვისა და ოთარ ქაჯაიას ავტორობით გამოიცა მეგრულ-რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი.

გამოაცა 90 წლის პროფესორის მახსოვრობამ. ბიოგრაფიის ბევრი სურათი ისეთი დეტალებით გააცოცხლა, აუდიტორია გაოცებაში მოგვიყვანა. ერთი მუხედით უნიშვნელო დეტალებიც ახსოვდა.

„1923 წლის 29 ივლისს დავიბადე მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. ბანძა დიდი კულტურის მქონე სოფელი, არ იყო ხელნაწმოსარკავი. შექსპირი პირველად საქართველოში ბანძაში დაიდგა. როლებს ძმები ფალავები თამაშობდნენ. დედასგან ვიცი, სანამ ილია ჭავჭავაძე სახე-პეტერბურგში წავიდოდა, მანამ ბანძაში სამი დღით იყო, მეტი ფალავს თავკაცობით 30 ცხენოსანი დახვდა. სკოლა წარჩინებით შეიძლება მოწაფემ დავამთავრეთ, აქედან წუთი ებრაელი იყო. საბჭოთა კავშირის წებისმიერ სასწავლებელში უგამოცდოდ შეგველო ჩარიცხვა. მეც თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევედი. არ ვიცი ვინ იყო დეკანი. ფსიქოლოგიის ლექტორი დიმიტრი უზნაძე შემოვიდა. ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი მიხეილ ზანდუკელი ვნახე. მერე, 1942 წელს, ჯარიდან დაბრუნებულს მითხრეს, გაუსახლებიათო. ევსწერბოდი შალვა ნუცუბიძის ლექციებს,

„ვინაიდან ჩემი შვილები და შვილიშვილები ფილოლოგები არ არიან, ოთხტომეულის ამ ბოლო ეგზემპლარს ვწუქნი ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას“

როგორც მცხოვანი პროფესორი ყვება, მშობლიურ უნივერსიტეტს 1945 წლის ოქტომბერში დაბრუნებია და სამ წელში დაუმთავრებია. შემდეგ იყო ასპირანტურის სამი წელი, ძველი ქართული ენის სპეციალობით. ხელმძღვანელი აკადემიკოსი აკაკი შანიძე გახლდათ.

„უნივერსიტეტში ლექციებს ვისმენდი, საქვეყნოდ ცნობილი ისეთი ქართველი მეცნიერებისა, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები - გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, კორნელი კეკელიძე, ილია აბულაძე...“

აკაკი შანიძემ ნაგვიკითხა ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა. სვანეთში გაგვიმეც სვანურის შესასწავლად. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 1954 წელს დისერტაცია დავიცავი. 1959 წლიდან 1971 წლამდე სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ვხელმძღვანელობდი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. 1971 წლიდან 2002 წლამდე ვემუშაობდი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელად, პროფესორი) სულხან საბა ორბელიანის (ადრე პუშკინის) სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. უფრო კონკრეტულად: ვიყავი ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ცხრა

წელი პრორექტორი სასწავლო დარგში, ხოლო ერთი წელი პრორექტორი სამეცნიერო დარგში. 1995-2002 წლებში ვასრულებდი სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის გამგის მოვალეობას. დაჯილდოებული გახლავართ სამამულო ომის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენებით, ცხრა მედლით“.

ბატონ ოთარს აკაკი შანიძის შერჩევით უმუშავია საკანდიდატო დისერტაციის თემაზე „ქართული ენის მოხუც დიალექტზე“.

- ბატონო ოთარ, რა ასაკია 90 წელი, სიბრძნის ასაკია?
- განაწი ვისთვის?!
- თქვენთვის.
- მე მგონი, კი.
- მალე გავიდა ეს დრო?
- მალე არ გასულა, ბევრი რამ გადავიტანე, რთული ცხოვრებით ვიცხოვრე.
- მაინც საინტერესოა ცხოვრება?
- ძალიან. წებისმიერ მომენტში შემიძლო მოწინავე საზე ყყოფილიყავი.
- გული ბერდება?
- გული ბერდება, სურვილი კი - არა. ადამიანი ფიზიოლოგიურად ბერდება, სურვილი არ ნელდება.
- შინაგანი განწყობა როგორი გაქვთ?
- ოპტიმისტური.
- კიდევ რისი მოსწრება გინდათ?
- ბევრი რამის, ვნახოთ...

ოთარ ქაჯაია:
„აპოლონ ცანავამ ილია ვეკუას ნათქვამი გადმოგვცა, მეგრულს უნდა მივხედოთო. ეს მაშინ დიდი გაბედულება გახლდათ. ამ შეკრებას მე „მეგრელების შეთქმულება“ დავარქვი. ვიმუშავეთ იმაზე მეტი, ვიდრე ვიტყვირთო“



ქართული ფილოსოფიის ისტორიაში ატარებდა, ზღაპრულად. 1941 წელს მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. მასხოვს, მაშინდა შემოვიდა (თბილისში მასთან ცვხოვრობდი) და თქვა, ოთარ შვილო, ომი დაიწყო. 3 აგვისტოს უკვე ჯარში ვიყავი, მობოლიზაციით გამიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ოთხ თვე-ნახევარი ვიცხოვრე. 557 კაცი შეტევაზე წავიდით, საღამოს 13 კაცი გადავრჩით. ბევრჯერ გადავრჩი. მაშინ თავს ვუთხარი, ოთარ, შენ არ მოკვდები-მეთქი. დავამთავრე თბილისის ახალგაზსნელი სამხედრო სასწავლებელი, მომეწიქა ლიტენანტის სამხედრო წოდება და ვორონეჟის ფრონტზე გამგზავნეს. ვიბრძოდი კალინინისა და ბალტიისპირეთის ფრონტებზე“.



რომა რცხილაძე - 60 წელი მინორული მაჟორით



my View თაყაიშვილი

28 მაისს დიდ საკონცერტო დარბაზში რომა რცხილაძის საიუბილეო კონცერტი ჩატარდა. საიუბილეო იმიტომ, რომ მუსიკოსი ამ დღეს 60 წლის გახდა. ყოველთვის ასეთი მახსოვს, ღია ფერის სრული პიჯაკით, თეთრი შლაპით, თავისუფალი სიარულის მანერითა და კლავიშებთან გალაღებული გამორჩეული მუსიკოსია, მართალი, ლალი და თავისუფალი. ეს თვისებები ყველა მუსიკოსს უნდა ჰქონდეს, მაგრამ იშვიათად შემიმჩნევია მუსიკოსში ასეთი სილაღე. რომას მუსიკა დღესაც ისევე ჟღერს, როგორც თავის დროზე. მან ყველა თავისი პიტი შეასრულა, ანსამბლი „75“-დან და „ნატურის სიდან“ მოყოლებული დღემდე. სამი თვე დასჭირდათ 22 სიმღერის ახლებურ არანჟირებებზე, რეპეტიციებმა თვე-ნახევარი წაიღო. „სპეილოზენდთან“, ინსტრუმენტალისტთან, კონსერვატორიის კამელასთან ერთად შეასრულა პიტიები. კონცერტის სახელი იყო „მინორული მაჟორი“. მუსიკოსი გარდაცვლილ მუსიკოს მეგობრებს იხსენებდა და უძღვნიდა კომპოზიციებს. რომას სიმღერებს მღეროდნენ თემო რცხილაძე, ანრი ბასილია, ბესიკ კალანდაძე, მია ბარათაშვილი, თემურ ყვითელაშვილი, მაკა ზამბახიძე... დასარტყამ ინსტრუმენტზე დასაკრავად რომამ სცენაზე გამოიყვანა „ნიჭურის“ ერთ-ერთი ფავორიტი გიორგი კაპანაძე. 13 წლის ბიჭმა საოცრად დაუკრა. რომა მასზე ხუმრობდა, გიორგი ჩემზე უფროსია, ჩვენ მეგობრები ვართო. სცენაზე დიდი ნატურის ხე იდგა, ხე, რომელიც ქართულ ესტრადაზე, რომა რცხილაძესთან ასოცირდება. კონცერტი, რომელიც ერთ ამოსუნთქვაში ჩატარდა, მაინც დიდი ნოსტალგია იყო, ტკბილი, კეთილი დროის. მუსიკოსი ამბობს, რომ მის მუსიკას დრო არ აქვს. მისი სიტყვებით, ეს ნამდვილი და ფაიზალი მუსიკაა.

რომა რცხილაძე: - ორ საათნახევარმა ისე გაიბრინა, თითქოს, კონცერტი 20-წუთიანი იყო.

- ასეა, და მაინტერესებს, რა ემოციით შეასრულეთ ძველი პიტიები ახლებური ემოციითა და არანჟირებით?

- ემოცია აბსოლუტურად არ შეცვლილა, ჩემს სიმღერებში უნილობაა და მართალია, ასე წლის მერვეც რომ შესრულდეს, იგივე ემოცია მექნება. ჩემს მუსიკას ასაკი არ გააჩნია. დრო არ ეხება.

- ფაიზალი მუსიკა ბევრჯერ ახსენეთ. - ეგ არის. სადაც ფაიზლობაა, ვერაფერი ვერ მოერევა, არამხოლოდ მუსიკაში, ყველაფერში.

- ბევრი მეგობარი გაიხსენეთ და სცენაზე გამოიყვანეთ, არც მეგობრობას გასდის ყავლი და ვადა.

- ვერაფერი ერევა. სცენაზე ყველაზე უფროსი იყო 13 წლის გიორგი კაპანაძე, ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. ძალიან მაგარი ადამიანია გიორგი. იმდენად მასშტაბურია ეს ბავშვი, რომ აუცილებლად ბექა გორიაშვილთან ერთად უნდა იხსნავოს. ბერკლიში მიიღებენ ულაპარაკოდ. გიორგი ძალიან დიდ სცენაზე უნდა ვიხილოთ.

- რა ასაკია 60 წელი?

- აქამდე იყო უფერტიურა, აქამდე იყო ის დრო, მივხვედრილიყავი, ვინ არის მისი უდიდებულესობა - მუსიკა. მიყვარს სიტყვა მეცადინეობა. აქამდე ვმეცადინებოდი. ეს გემოვნებიანი მუსიკა უნდა ვაჩვენოთ მსოფლიოს. აუცილებლად ხუთივე კონტინენტზე უნდა წავიღოთ და მოვასმენინოთ. ვაჩვენებთ ჩვენ სიყვარულს.

- მაღლობა ასეთი კონცერტისთვის.

- მიყვარხართ, ზღვა სიყვარული „პრაიმტიმის“ მთელ გუნდს.

„ჩემს სიმღერებში უნილობაა და მართალია, ასე წლის მერვეც რომ შესრულდეს, იგივე ემოცია მექნება. ჩემს მუსიკას ასაკი არ გააჩნია. დრო არ ეხება“



„აქამდე იყო უფერტიურა, აქამდე იყო ის დრო, მივხვედრილიყავი, ვინ არის მისი უდიდებულესობა - მუსიკა“



„კამერტონის“ მორიგი წარმატება

my View თაყაიშვილი

26 აპრილიდან 6 მაისამდე საერთაშორისო პროექტ „კამერტონის“ საქართველოს წარმომადგენლობის ახალგაზრდა მუსიკოსებმა გერმანიის ქალაქებში 6 საგასტროლო კონცერტი გამართეს. წლეულს „კამერტონის“ წარმომადგენლებმა პროექტის დამფუძნებლის, ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწის ქალბატონ ლიუდვილა ფონ ბერგის მიერ შექმნილი მოზარდები - ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ალსაზრდელები თათა მახარაძე (ფორტეპიანო), გიორგი ოიკაშვილი (კლარინეტი), ნატა რიხიშვილი (ვიოლინო), ლევან უგულავა (ფორტეპიანო), სპეციალური სტუმრის სტატუსით საგასტროლო კონცერტებში მონაწილეობდა ახალგაზრდა პიანისტი ირაკლი ოიკაშვილი. გერმანიაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციის Eurocom-ის ეგიდით შექმნილი ნელსადა, რაც მოზარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“ ფუნქციონირებს. პროექტის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით ახალგაზრდების მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოცდების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. საქართველო 2011 წლიდან შეუერთდა პროექტ „კამერტონის“, იმ წელს „კამერტონი-საქართველოს“ წარმომადგენელი იყო პიანისტი ირმა რუსაძე, 2012 წლიდან პროექტის საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელია კირა ლელაშვილი. პროექტის მხარდამჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერლინის სენატი. წლეულს „კამერტონის“ მხარდამჭერთა, პარტნიორთა რიგს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა

დაცვის სამინისტროც შეემატა. ქართველ ახალგაზრდებს წლეულსაც ძალზე მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა შექონდათ მომზადებული გერმანელი მსმენელებისთვის - როგორც სოლო ნომრები, ასევე ანსამბლები. ცხადია, დასავლეთ ევროპელი, რუსი და ამერიკელი კომპოზიტორების ქმნილებებთან ერთად, პროგრამაში შეტანილი იყო ქართული მუსიკაც - რევაზ ლალიძის „მერცხალი“, გელა ჩარკვიანის საფორტეპიანო ციკლი „ირაკლიანა“. „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტიურნის“ საკმაოდ უჩვეულო საანსამბლო შემადგენლობისთვის განკუთვნილი რედაქცია, ამავე შემადგენლობისთვის ასევე ირაკლი ცინცაძემ გადააკეთა სულხან ცინცაძის ორი საკვარტეტო მინიატურა „სიმღერა“ და „ლალი“. საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორის თენგიზ ნოზაძის გერმანული სახელწოდებით „სარკაზმი“. საგულსხმობა, რომ გერმანიაში გამგზავრებამდე, „კამერტონი“ 4 კონცერტით წარსდგა თბილისის სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში, მათ შორის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და გოეთეს ინსტიტუტში გერმანული დღეების „სამი ქვეყანა - ერთი ენა; გერმანია, ავსტრია, შვეიცარია“ ოფიციალურ გახსნაში. „კამერტონი-საქართველოს“ კონცერტებს წლეულსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. გულთბილ გამოხმაურებებთან ერთად, გაჩნდა ახალი საინტერესო შემოქმედებითი შეთავაზებებიც - გაისად „კამერტონის“ მუსიკოსები მიხვედნენ არიან ქალაქ ბად-ჰერსფელდში იოჰან სებასტიან ბახის სახელობის საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე ორი კონცერტის გასამართად. ასევე წარმოებს მოლაპარაკება ნიდერლანდების ერთ-ერთ შემოქმედებით ორგანიზაციას-

მაში შეტანილი იყო ქართული მუსიკაც - რევაზ ლალიძის „მერცხალი“, ირაკლი გელაჩიანის საფორტეპიანო ციკლი „ირაკლიანა“. „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტიურნის“ საკმაოდ უჩვეულო საანსამბლო შემადგენლობისთვის განკუთვნილი რედაქცია, ამავე შემადგენლობისთვის ასევე ირაკლი ცინცაძემ გადააკეთა სულხან ცინცაძის ორი საკვარტეტო მინიატურა „სიმღერა“ და „ლალი“. საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორის თენგიზ ნოზაძის გერმანული სახელწოდებით „სარკაზმი“. საგულსხმობა, რომ გერმანიაში გამგზავრებამდე, „კამერტონი“ 4 კონცერტით წარსდგა თბილისის სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში, მათ შორის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და გოეთეს ინსტიტუტში გერმანული დღეების „სამი ქვეყანა - ერთი ენა; გერმანია, ავსტრია, შვეიცარია“ ოფიციალურ გახსნაში. „კამერტონი-საქართველოს“ კონცერტებს წლეულსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. გულთბილ გამოხმაურებებთან ერთად, გაჩნდა ახალი საინტერესო შემოქმედებითი შეთავაზებებიც - გაისად „კამერტონის“ მუსიკოსები მიხვედნენ არიან ქალაქ ბად-ჰერსფელდში იოჰან სებასტიან ბახის სახელობის საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე ორი კონცერტის გასამართად. ასევე წარმოებს მოლაპარაკება ნიდერლანდების ერთ-ერთ შემოქმედებით ორგანიზაციას-

ვანგენის საზოგადოების წევრებთან ერთად

თან „კამერტონის“ მიწვევის თაობაზე ტექსტის კუნძულზე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 70 წლისთავსადმი მიძღვნილი კონცერტების ციკლში მონაწილეობისთვის. მნიშვნელოვანი გამოდგა რიხარდ ვანგენის საზოგადოებაში გამართული კონცერტი, რომლის წარმატებამაც განაპირობა გაისად „კამერტონის“ კვლავ მიწვევა საკონცერტოდ. ასევე, ამ საზოგადოების გამგებობის გადამწყვეტილებით გიორგი ოიკაშვილი გახდა რიხარდ ვანგენის სახელობის სტიპენდიანტი. ცხადია, პროექტ „კამერტონის“ ეგიდითაც დაიგეგმა 2015 წლის შემოქმედებითი პროექტი და შესაბამისად, „კამერტონი-საქართველო“ გაისადაც გამართავს გასტროლს გერმანიის ქალაქებში.



KAMMERTON

Junge Musiker aus Georgien im Konzert

Levan Ugušava (Klavier), Tata Mkhazaridze (Klavier), Irakli Oikashvili (Klavier), Nata Rishishvili (Violine) und Giorgi Oikashvili (Klarinette)

mit Werken von Wagner, Beethoven, Rachmaninow, Chopin, Cavallini, Rimsky-Korsakov, Schubert, Schtschedrin und Azaravili

Montag, 5. Mai, 18.00 Uhr

TERTIANUM

Passauer Straße 5 | Berlin

www.kammerton.eu




საქართველოს ელჩთან ლადო ჭანტურასთან ერთად

„ტაქსი“ - კალიან სასაცილო ფილმი რეალურ ამბებზე

my View
თამარ გომეზაძე

ამ ფილმზე ბევრს იცინებთ, თავსაც ამოიცნობთ, თბილისურ რეალობებს და ყოველდღიურობას გვერდიდან შეხედავთ, „ნიპა“ ტრანსტიონა (კომპლემენტი მიმა მშვილდაძეს, ფილმის სცენარის ავტორსა და რეჟისორს). საიდან დავიწყო, რა მოგიყვებით, უნდა ნახოთ, საუკეთესო რჩევაა, ოქროსი. მარინუანას თემა, ჯაზმენისადმი სწოები თბილისელების „ტრფიალი“, „პრადვინუტი“ და სტერეოტიპულად მოაზროვნე ადამიანები, ტაქსისტების ცხოვრება, მათზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპი და პროფესიული სოლიდარობა გვერდიდან, შეყვარებულობა ქართულად, მოსმენების თემა, ჩვენი მილიარდერის ზვიგენის და პინგვინის კერძო საკუთრებაში ყოლის ამბავზე „შუტკაობა“, საზოგადოებისგან გარიყული გეების მინორული განწყობა და იმიტით პროგნოზი, ათეული წლების შემდეგ როგორ მოვლდება გეების პარაპაზი ბოლო. ფილმის მთავარი ხაზი გარემოების გამო გატაცისტიკული ვანიკო თარხნიშვილის გმირის გარშემო ვითარდება. შეყვარებული აღდგომას ჯო ზავინულის კონცერტზე დასასრებ 400-ლარიანი ბილეთის ყიდვას სთხოვს. საიდან მოიტანოს მსახიობმა, რომელიც ჯერ სერიოზულად არ დაუკავებიათ და წლებია მხოლოდ ზურკელას მურადას როლით შემოიფარგლება, 800 ლარი? ამ დროს კასტინგზე იბარებენ და ტაქსისტის როლის შესრულებას ავალბებენ. დამწყები მსახიობი კასტინგს უიღბლოდ გადის, სამაგიეროდ, დღემდე რამდენიმე ათეული ლარის გაკეთების იდეას ეჭიდება და უღვაშის მასკიროვით ცოტა ხნით ტაქსისტად ხდება. აქ იწყება სათავგადასავლო ისტორიების კასკადი, რომელიც მანქანის სალონში სხვადასხვა ტიპის ადამიანებს შემოაქვთ და ვანიკოს გმირის ცხოვრებაში იჭრებიან. მთელი ფილმის მსვლელობისას ხორხოცება დარბაზი, შესვენებებით და გემრიელად განსაუბრებით იმ სცენების დროს, როდესაც ტაქსი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი კაბუსა და კოტე თოლორდავას გმირები სხდებიან და ტელეფონზე ძმაკაცს ესაუბრებიან. დიდ აუიოტაყს იხვევს პლანის კოლოფების უკან დასაბრუნებლად ტაქსისტთან მორაზბორვე პერსონაჟების სცენა. სიკვდილის შიშის ქვეშ მყოფი ვანიკოს პერსონაჟი აღიარებს - შიშისგან ჩაჯგმის არსს ჩავენდო. სიტუაციიდან ტაქსისტებს გამოჰყავთ, რომლებიც სოლიდარობის მიზნით განსაცდელში მყოფ დროებით ტაქსისტს თბილისის ზღვაზე გატაცებული მერსედესებით მიაკითხავენ. პიკი იყო ფინალში გახსნილი კვანძი, ჯაზმენის კონცერტის ბილეთის საყიდლად გატაცისტიკული ვანიკოს გმირი ახალ ამბებში იგებს, რომ ჯო ზავინული, რომლის კონცერტის ორგანიზატორმა ფული აიღო და თურქეთის საბაჟოზე დააკავეს, 2007 წელს გარდაიცვალა. ჯაზმენისტივალზე მოსიარულე სწოები თბილისელები მშვილდაძემ ასე გაამიშვლა.

ფილმში თამაშობენ: ვანიკო თარხნიშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, კოტე თოლორდავა, კაბუ, გიორგი ბახუტაშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი, ტრისტან სარალიძე, ლევან ყოჩიაშვილი, გაი ცინაძე, მარი ჯანაშია...
პრემიერის მერე შემოქმედებითი ჯგუფი კმაყოფილი ჩანდა.
ვანიკო თარხნიშვილი: - პირველად ვნახე მთლიანად და მე თვითონაც მომეწონა. საკუთარ ნაშუქმეარს ვერ შევფარებ, მაგრამ მასზე ვიტყვი, რომ ძალი იყო.
შეგეცვალა ტაქსის მძღოლებზე წარმოდგენა?
- არც მანამდე მქონია რაიმე განსხვავებული წარმოდგენა. მთავარია, მაყურებელს შეეცვალოს არა მხოლოდ ტაქსისტებზე, არამედ ყველაფერზე, რისი თქმაც ვცადეთ ამ კინოში.
გიორგი ბახუტაშვილი: - სცენარი რომ ნავიკითხე, მიგხვდა, რომ კარგი გამოვიდოდა. სცენარზე ვიცინე. ნიჭიერი ხალხია და დარწმუნებული ვიყავი, კარგ ფილმს გადაიღებდნენ, მაგრამ მთლად ასეთ მაგარსაც არ მოველოდი. სადღო. პირველი ფილმი მიმასთვის, მაგარი სტარტია და დარწმუნებული ვარ, მაგარ



ირაკლი სალინაძე:
„ფორმულა კრეატივი“
აგრძელებს თავის
ხაზს და ცდილობს
საზოგადოებას დაანახოს
როგორები ვართ
გვერდიდან“

მიმა მშვილდაძე: „ე ხალხის ხეა. რა გამოხეაურება უნდა ჰქონდეს? იმედი მაქვს, ხალხს კინოს გამო არ იჭერენ“

ფილმებს გადაიღებს. იმედი მაქვს კიდევ დაეჭვირდები.
იცნობ ისეთ მსახიობ ბიჭებს რომლის გამო შეფუბთან აბავენ რომანებს?
- არ ვიცნობ, თუმცა გამიგია, რომ არსებობენ.
თაკო მოშაშვილი: - ფილმი მომეწონა, როგორც ოპერატორს და მაყურებელს. ბევრი ვიცინე და ვიხალისე. კარგ განწყობაზე დავდექი. ჩემი ქმარი ლეონი როლიმ ცოტენს არ ჰგავს, განსხვავებული პერსონაჟია.
გიორგი ბოჭორიშვილი: - მშენიერ ხასიათზე გამოვიდი. ყველაზე მეტი ვიცინე კაბუსს და კოტეს მანქანის სცენაზე. ვერ ვჩერდებოდი. ერთსადამიგვეზე რომ იტრიალებს, მსახიობების თამაში იყო მაგარი. ბევრ კომედიური ჟანრის ფილმზე არ მიცინია ამდენი. იმედია, სწორად გაიგებენ, კარგად მიიღებენ და გაიყიდება.
ია ფარულავა: - ძალიან საინტერესო და სახალისო იყო ამ ჯგუფთან მუშაობა. ყველაზე ძალიან მომეწონა ის, რომ ყველაფერი რაც ვნახე, იყო ქართული რეალობიდან.
მერსი სულხანიშვილი: - პირველად მივიღე მონაწილეობა ფილმში, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ძალიან გამიხარდა, რომ ისეთ გუნდთან ერთად მომიწია მუშაობა, როგორიცაა „ფორმულა კრეატივი“. დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებელი მოიხიბლება. ძალიან დიდი ბედნიერებაა, როდესაც საკუთარ თავს ტიტრებში ასეთ ადამიანებთან ერთად ხედავ. კრიტიკის არ მქონია. ეს არის ფილმი და მე მგონი გასაკრიტიკებელიც არაფერი არ არის.



როგორ შეიძლება რომ არ მომეწონოს. მაგარია მიმა! აქტუალურია, მხიარულია და მსუბუქად არის მიწოდებული მძიმე პრობლემები.
ირაკლი სალინაძე: - ძალიან კეთილი და ადამიანების კარგ ხასიათზე დამაყენებელი ფილმია. სასაცილო და საინტერესო ისტორიაა. „ფორმულა კრეატივი“ აგრძელებს თავის ხაზს და ცდილობს საზოგადოებას დაანახოს როგორები ვართ გვერდიდან. ტრეგიკული არაფერი არ ხდება, ფაქტებზე, სასაცილოები ვართ და უკეთესებიც შეგვიძლია ვიყოთ. დებუტტმა მოლოდინს გადააჭარბა.
კრიტიკას ელით?
- რეალურად, რომელიმე ვცხოვრობთ, თუ მას კრიტიკულად არ ვუყურეთ, შეუძლებელია ის რეალობა განვითარებას დაეკავშირდებოდეს. მე გგონია, რომ ქვეყანაში დემოკრატიაა.
მიმა მშვილდაძე: - სცენარს ორი კვირა ვერდი, კარგი გამოდისო მითხრეს და მერე ფილმს 25 დღე ვიღებდი. არის რეალური ისტორიები, რაც ნამდვილად მოხდა, ჩემს მეგობრებს გადახდენიათ.
დავცინე ხო ყველას?!
- რატომ დავცინეთ?
მკვდარი ზავინულის ბილეთები რომ აყიდინე თბილისს.
- ეგ ხომ მომხდარა :))?!
გვისმენენ და მაგათი დედაო, მთავრობას აგინებთ, გამოხმაურებას ელით?
- ეგ ხალხის ხმაა. რა გამოხმაურება უნდა ჰქონდეს? იმედი მაქვს, ხალხს კინოს გამო არ იჭერენ. რასაც ამ კინოში მოსმენენ, ნებისმერ ადგილას შეუძლიათ ამის მოსმენა, სადაც ხალხი იკრიბება და მათზე საუბრობენ. ყველანაირმა კრიტიკამ უნდა გააძლიეროს, კი არ უნდა დაგბოლოვოს.
რა კუთხით ელოდები კრიტიკას?
- ბევრი კუთხით, დამწყები, ისაო... შეაფასონ, განმსაჯონ. მთავარია ამ კინოს გამო კანონი არავინ დაარღვიოს.
სალაროს ფილმი?
- იმედი მაქვს. შემოსავალი არასდროს არ არის ცუდი. რა რეაქციაც ჰქონდა მაყურებელს, წესით, უნდა გაიყიდოს. ვუსმენდი რეაქციებს. თავიდან ვნერვიულობდი და მაინტერესებდა. რეაქციებით კმაყოფილი ვარ.




რეზო შატაკიშვილი

მას ყოველთვის ანებივრებდა განგება - ცხოვრების გზაზე ახვედრებდა ადამიანებს, ვინც განსაზღვრავდა მის პრაიმტიმებს. იქნებოდა ეს მოსიყვარული, მზრუნველი მშობლები თუ შემდეგ ცოცხალი ლეგენდები - ვახტანგ ჭაბუკიანი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, რომელიც მას დიდ ბალერინობას უწინასწარმეტყველებდა, თუ რობერტ სტურუა - თეატრალურ ინსტიტუტში - პედაგოგად, რომელმაც მეოთხე კურსელს მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა და განსაზღვრა კიდევ მისი მომავალი თეატრში, თუ - გია მატარაძე, რომელმაც ჩაანაცვლა ლონდონში სპექტაკლის დასადგმელად წასული რობერტ სტურუა და რომელიც იქცა მარინა კახიანის მრავალწლიანი ბედნიერების უცვლელ გარანტიად. ბედნიერების, რომელიც მარინა კახიანს აიქმევიანებს: „ეს იყო უდიდესი სიყვარული, როგორც არც თუ ისე ბევრია გარშემო. მართლაც, ბედნიერი ვარ, რომ ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაში და ბედისწერამ შემამხვედრა გია მატარაძეს. 12 წელი ვიყავი უბედნიერესი ქალი. დღესაც მივიკრს ხოლმე, ნუთუ შეიძლება ორი ადამიანი ერთად ცხოვრობდეს ამდენ ხანს ასე ბედნიერად?“

დაიბ, ბედი მას ანებივრებდა, მაგრამ ბედნიერებისას თან სდევდა უბედურება, ტრაგედიები... არ აკლდა როლები - კორდელია, ევა ბრაუნი, ბერნარდა ალბა, მარია სტიუარტი, კოლბი მედია და მაინც, ის გეტყვით, რომ პირველ რიგში დედა და შემდეგ ყველაფერი სხვა...

მარინა კახიანი: - დავწყვიტე იქიდან, მე იმედი მაქვს, რომ საუკეთესო დრო ვერ კიდევ წინ მაქვს, ვერ კიდევ წინ მაქვს პრაიმტიმში. არ ვიცი რამდენად კარგია ასე რომ ვფიქრობ, მაგრამ ასე ვფიქრობ... ადამიანები, ყოველ შემთხვევაში ქართველები, ძირითადად წარსულს მივტრით, იმედით შევყურებთ მომავალს და ანშუო სადღაც გვეკარგება ხოლმე... ალბათ, ყველაფერი დრო სჭირდება, რომ სწორად აღიქვას, გაიაზროს არათუ ცხოვრების ესა თუ ის პერიოდები, საერთოდ შენი არსებობა ამ სამყაროში. არც თუ ისე ცოტა ხანია რაც მე ვარსებობ, ვცხოვრობ, თუმცა ამას დიდად ვერ ვგრძობ... აი, გუშინაც, ჩემთვის რაღაცას ვფიქრობდი, რომ გავიანზრე ჩემი ასაკი... ვერ გეტყვით რომ შემეშინდა, მაგრამ ეს ცოფრები, რომელიც ასაკს აღნიშნავს,



„შესაქლოა, ქალიან ცუდად გამოიღის, მამრამ ეს ჩემი აზრია - ყველა ნორმალური ქალისთვის პირველი მოვალეობა, მისია, არის დედობა!“

თითქოს რაღაც შორს არის ჩემგან, ალბათ, ყველა ადამიანი ასეა და მე არ ვარ გამონაკლისი, მაგრამ მე ვერ ვაკავშირებ ჩემს თავს იმ ციფრებთან, რამდენი წლისაც ვარ... იმას არ ვგულისხმობ, რომ ახალგაზრდულად გამოვიყურები, არ ვიცი, ეს ეტყობა ჩემი შინაგანი მდგომარეობა, თან ახალგაზრდის არა, პატარა გოგოსი. თითქოს ეს კარგია, მაგრამ მე არ ვიცი, კარგია თუ არა ეს... როდესაც თვალს ვავლებთ ჩვენ წარსულს, განვლილ ცხოვრებას, რაღაც სევდა გვეუარება თითქოს

და წარსულში მომხდარი ცუდიც კი რაღაც ტკბილი სევდით გვახსენდება, თითქოს რაღაცით გვხიზლავს ხოლმე ის, რაც თავის დროზე გვაღელვებდა, გეტკოდა, ნერვებს გვიძლიდა, რაღაცა საოცრებაა...

- მაგ დროს ჩვენ ჩვენს ასაკზე ხომ არ გვაქვს ნოსტალგია?

- არ ვიცი, შეიძლება ასეცაა, თუმცა ვერ გეტყვით, რომ მე რაღაც ასაკზე მაქვს ნოსტალგია, მართლა გულწრფელად ვამბობ, ნამდვილად არ მინდა, რომ ვიყო 20 წლის, 25 წლის, არანაირი სურვილი არ მაქვს, ყოველ შემთხვევაში ვერჯერობით... რაც არ უნდა გეჩვენებოდეთ, რომ მე ვიპრანჭები, ვპოზირებ, ეს ასეა... ყველა ასაკს აქვს ხიბლი, რაღაცებს იძენს, რაც გიოილებს ნაბიჯების გადადგმას, რაღაცების გააზრებასაც, ასე რომ, მომწონს მე, როდესაც თვალს ვაღებთ ასაკის მატებას, როცა წარსულში ვიხსენებ ამბებს... ძალიან კარგად მახსენდება ბავშვობა, მართლა კარგი ბავშვობა მქონდა, ძალიან კარგ ოჯახში ვიზრდებოდი, ძალიან საინტერესო ადამიანების გვერდით, მე არ ვგულისხმობ მარტო მშობლებს, ბებია, ბაბუა, ბიძები, მამიდები, მშობლების მეგობრები, ძალიან საინტერესო და კარგი ადამიანები იყვნენ... საბედნიეროდ ქართველებს გარს გვახვევია არა მარტო მშობლები, მათი ნათესავებიც, მეგობრებიც და მათ მაგალითზე ვიზრდებით. არ არის აუცილებელი, რომ ვიღაცამ რაღაცა გასწავლოს, თავისთავად სწავლობ, გააჩნია, რა გარემოში, რა საზოგადოებაში გინვს ცხოვრება... ჩემი მშობლებიდან გამომდინარე შემოქმედებით ატმოსფეროში ვიზრდებოდი, მერე მე თვითონ ვიზრდებოდი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, მუსიკალურ სასწავლებელში და ჩემი ბავშვობის ყოველი დღე იყო საინტერესო...

- მე მგონი ბავშვობა მაინც ყველასთვის პრაიმტიმია, რაღაც სამოთხესავითაა, საიდანაც „გვაძვევენ“ შემდეგ...

- ალბათ, ძირითადად ასეა, თუმცა, არიან, რა თქმა უნდა, ადამიანები, ვისაც ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ჩემი თაობა კი საბჭოთა კავშირში ვიზრდებოდით, მაგრამ ბავშვობა ბედნიერი გვექონდა.

- ეგ გასაგებია, გვიანდელი საბჭოთა კავშირია, როცა უკან იყო მოტოვებული რეპრესიები, დახვრეტები და უბედურებები, თუმცა ისინიც, ვინც იმ შავბნელ წლებში გაატარა ბავშვობა, მაინც თბილად იხსენებენ ბავშვობას, ცხადია, არ ავიწყდებათ არც ის ტერორი, მაგრამ არ ავიწყდებათ არც სიკეთე, ურთიერთგატანა...

- მე, ცხადია მაგ პერიოდს არ მოვსწრებივარ, მაგრამ გადმოცემით ვიცი, ჩემმა მშობლებმა გამოიარეს ეგ ყველაფერი. მაჩემი ძლიერ ოჯახში იზრდებოდა, შემდეგ სწავლობდა მაშინდელი ლენინგრადის კონსერვატორიაში, სრულად ახალგაზრდა ომში წავიდა, ტყვედ ჩავარდა, შემდეგ ისევ ტყვედ ჩავარდა, საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ძალიან მძიმე ცხოვრება გამოიარა, წარმოიდგინეთ, დასახვრეტად რომ ორჯერ გაგიყვანენ, ერთხელ ისინი და მეორედ ესენი... მიუხედავად ამისა, ამ ყველაფერს, მაინც რაღაც ნოსტალგიით იხსენებდა, თან ტკივილით, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მის მონაცემში ტკობა...

- სხვაგვარად მგონი შეუძლებელიცაა, ჭკნობდეს, უძღურდებოდეს სხეული და არ გენატრებოდეს ის დრო, როცა ჯანლიონი იყავი სავეს, გულიც გეროდა, მუხლიც, როცა იყავი ჯანმრთელი და შემართული...

- თუმცა მამაჩემი ბოლომდე შემართული და ჯანმრთელი იყო, ცურავდა და დედა ეზუმეროდა კიდევ, თურქეთამდე ხომ არ გადასცურეო, თვითონ ხუმრობდა კიდევ, რომ გული არ იცოდა საით იყო... გარდაცვალების წინა დღეს იდრიოკრა კიდევ და უცებ დაიღუპა... გულით... ჩვენ ახლა ისეთ თემებს ვეხებით, ფსიქოლოგებიც ვერ ხსნიან...

შემდეგ ინსტიტუტის პერიოდი მახსენდება. ფანტასტიკური პერიოდი იყო. ეს ის ეტაპია, როდესაც საკუთარი თავის აღქმას იწყებ, უკვე ეგუები ან არ ეგუები შენსავე თვისებებს, ხან მოგწონს შენი თავი - ხან არ მოგწონს და წლების შემდეგ თვითონვე გიკვირს, რატომ არ მოგწონდა შენი თავი... თუნდაც გარეგნული თვალსაზრისით... ლექციები, რეპეტიციები სალამობით გვექო-

ნდა, თეატრალური ინსტიტუტი რუსთაველზეა, მოგესვენებთ და წინ პატარა აივნები აქვს, სალამობით იმ აივანზე ვიჯექი, გავყურებდი ჰორიზონტს და ვფიქრობდი მომავალზე, გეგმებზე, მსოფლიოს დაპყრობაზე და ეს იყო ყველაზე სასიამოვნო და ტკბილი... მაშინ თეატრალური ინსტიტუტი საკმაოდ ძლიერი ინსტიტუტი იყო, ვდგამდით სპექტაკლებს, ვცხოვრობდით სისხლსავსე შემოქმედებით ცხოვრებით, გარდა ამისა, როცა 17-18 წლის გოგონა ხარ, თავყვანისმცემლების ჯარი გაყვს და გიჭირს არჩევა... ცხადია, ესეც სასიამოვნოდ მახსენდება... შემდეგ დაიწყო სიყვარული ჩემს ცხოვრებაში... უბედნიერესი წლები, თუმცა, რაღაც პერიოდს შემდეგ ქვეყანაში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რაც მე ვერ ვხედავ და ნაწილად ჩემს პირად ბედნიერებას. რაც არ უნდა თავს ბედნიერად გრძნობდე შინ, როცა გარეთ ომი მიდის, თან პირდაპირ შენი სახლის წინ... (მარინა კახიანი რუსთაველზე ცხოვრობს - რ.შ.) ჩემ ბენიერ სამყაროში ტყვიების, ქემეხების ხმა ისმოდა, პირდაპირ გაგებით და იყო ნერვიულობა, როცა შიშით უშეზერ შენ მომავალს, შენი ოჯახის წევრების მომავალს. ასე რომ, ყოველთვის არსებობს რაღაც, რაც გიშლის ხელს იყო ბოლომდე ბედნიერი. შემდეგ ტრაგედია დამატყდა თავს, გარდამეცვალა შეუღლე, რომლის გარეშე ვერ წარმომდგინა ცხოვრება...

- თუმცა, თქვენს ცხოვრებაში, სწორედ მაგ პერიოდში, შეუღლის გარდაცვალების შემდეგ იწყება შემოქმედების საინტერესო ეტაპი.

- ნამდვილად, მაგრამ მე, საბედნიეროდ, მანამდეც მქონდა საინტერესო ეტაპები შემოქმედებაში. თან ეს დაიწყო ძალიან ადრე. ხანდახან ძალიან ნიჭიერ ადამიანებსაც კი, წლები სჭირდებათ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გააკეთონ, მე კი, მეოთხე კურსზე ვიყავი, როდესაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი როლი მარგუნა ადამიანმა და ბედმა, რა თქმა უნდა, რობერტ სტურუას ვგულისხმობ, მან მოინდომა ასე. შემდეგ იყო არანაკლებ მნიშვნელოვანი როლები... მაგრამ ისე მოხდა, რომ მაშინ, როდესაც მე წინ საერთოდ ვერ ვიყურებდი და ვერ წარმომდგინა როგორ უნდა გამეგრძობებინა ცხოვრება, ჩემთვის ძვირფასი ადამიანის გარეშე, გოჩა კაპანაძემ შემომთავაზა დღეს უკვე



ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი როლი - ბერნარდა ალბა. რამაც მე, ნაწილობრივ გამომიყვანა იმ მდგომარეობიდან. ახლა რომ ვფიქრობ, როგორ მომანდო საერთოდ?... 34 წლის ვიყავი მაშინ. ლორკას



„ეს რომ ნაიკითხოს რომელიმე რეჟისორმა, შეიძლება ძალიან არ მოეწონოს...“

„და მე მაშინ, მთელი ფილტვებით, ნამდვილად შევიგრძენი ბედნიერება, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი წელიწადში მთელი ეს ბედნიერება დაიშრება, როცა ვგრძნობ იგივეს, მაშინია არა თუ თქმა ამის, გოლომდე გააზრებაც კი...“



ქვეს პრადიქტაიზი...“



მარინა ჭახიანიის პრადიქტაიზი EXCLUSIVE

უნერია, რომ 60 წლისაა ბერნარდა, ასაკის გარდაც, სხვა ოსტატობა სჭირდება ამ როლის თამაშს, სხვა ოსტატობა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება. მე უცბად, რამდენიმე თვეში მივიღე ისეთი გამოცდილება, როგორც შეიძლება მთელი ცხოვრება ვერ მიიღო. ალბათ, ეს დამეხმარა, არ ვიცი რამდენად სწორად გამოვიყენე ეს გამოცდილება, მე არ მაქვს პრეტენზია რომ სრულყოფილად ვითამაშე, მაგრამ სწორედ იმ გამოცდ-

სთვის პროფესია, ზოგისთვის სიყვარული, ზოგისთვის დიდება, ზოგისთვის ფული და ვიცით ეს ჩვენ... თუმცა, ალბათ, ყველა ნორმალური ქალისთვის, შესაძლოა ძალიან ცუდად გამოიძის, მაგრამ ეს ჩემი აზრია - ყველა ნორმალური ქალისთვის პირველი მოვალეობა, მისია, არის დედობა! არ ვიცი, შეიძლება ჩემი პროფესიის გამო მე რაღაცებს ვაკლებდი ჩემს შვილს და ალბათ, ეს-ეც იყო, მაგრამ, არა მგონია, რომ რაღაც მნიშვნელოვანი დამეკლოს... უბრალოდ, მე

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირველი, რა თქმა უნდა, ეს იყო. არ ვიცი ეს რამდენად სწორია, იმიტომ რომ არიან ქალები, რომლებიც მშვენივრად ახერხებენ და არანაირი ეჭვი არ შემაქვს მათ დედობაში, ძალიან კარგი დედები არიან, მაგრამ მე, რატომღაც, ასე მიმაჩნდა, რომ ამით შეიძლება ჩემს შვილს რაღაც დაკლებოდა, ან ფსიქოლოგიურად, ან ფიზიკურად... არ ვიცი, ასე მიმაჩნდა ყოველ შემთხვევაში...

- როდესაც პერსონაჟს ქმნით, როდის არის თქვენთვის საუკეთესო პერიოდი, პრაიმიტივი? როდესაც სპექტაკლს თამაშობთ, უკვე თუ ის პირველი წამები, როდესაც პერსონაჟი თქვენში გადმოზარგებას იწყებს ან პირიქით, თქვენ იწყებთ მის ტყავში გადასვლას?

- ყველა ეტაპს, მთელ ამ პროცესს თავისი ხიბლი აქვს. ფანტასტიკურია იქიდანვე, როდესაც თეატრში როლების განხილვება ეკრება და მერ თავს აღმოაჩენ იქ, მით უმეტეს თუ ეს როლი შენთვის არის საინტერესო, მნიშვნელოვანი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თეატრში ვნაბათაღელვება იწყება მანამდე, როგორც კი გახმაურდება, რომ ესა თუ ის რეჟისორი აცოცხლებს ამა თუ იმ პიესას... ყველა ეტაპი საინტერესოა, რეპეტიციები, როდესაც ხან მუშაობ მთელი თავდავიწყებით და ხან ექვები გიპყრობს - ეჭვით უყურებ შენ თავს თეატრში, ხელოვნებაში, აღარ გინდა არაფერი... ასეც ხდება... ჩემთვის როლზე მუშაობა რეპეტიციებზე არ სრულდება. ხშირად მითქვამს, მე ძალიან ცუდად ვთამაშობ პრემიერებს, ცუდაა ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ძალიან დიდი ნაწილი მაყურებლისა, რომლის აზრი ჩემთვის საინტერესოა, მოდის პრემიერაზე და მე ვთვლი, რომ ისინი ვერ ნახულობენ იმ მხატვრულ სახეს, რომელსაც მე ვქმნი, რომელიც შემდეგაა. აღმოჩნდა, რომ მე მაინც ბოლომდე ვერ ვმუშაობ რეპეტიციებზე, მე ვაგრძელებ როლზე მუშაობას მაყურებლის თანდასწრებით და ეს ძალიან საინტერესო პროცესია ჩემთვის.

- ანუ თქვენ, როგორ საბოლოოდ ქმნით უშუალოდ მაყურებელთან კონტაქტში.

- კი, და ეს რომ ნაიკითხოს რომელიმე რეჟისორმა, შეიძლება ძალიან არ მოეწონოს... რეჟისორებს უყვართ, როდესაც შენ როგორც ჯარისკაცი ასრულებ იმას, რასაც გთავაზობს და შემდეგაც აგრძელებ ზუსტად ისე, მაგრამ არ გამოიძის მე ასე და რა ვქნა? თუმცა, მე სპექტაკლზე შეიძლება გავაკეთო ის, რასაც მთავაზობდა რეჟისორი და ვერ გავაკეთე რეპეტიციებზე... სამწუხაროდ ასეა და რა ვქნა? მე ვაგრძელებ როლზე მუშაობას სცენაზე და ჩემთვის ეს არის ძალიან საინტერესო, არასდროს ერთი და იგივე არაა ჩემთვის სპექტაკლი, ყოველთვის განსხვავებულია. ცხადია, ამას ვერ იგრძნობს მაყურებელი, იგრძნობს მხოლოდ ის, ვინც ხშირად დადის ჩემს სპექტაკლებზე...

- ნელან ახსენეთ, როგორ იმოქმედა თქვენ ბედნიერ წლებზე ქვეყანაში შექმნილმა სიტუაციამ, სხვა როდის შეგიძლიათ გარემომ ხელი, ანუ როდის ჩაგაშაამათ ბედნიერება?

- ეს ხშირად ხდება, არ გამოიძის ხოლმე სხვანაირად. რაც არ უნდა ბედნიერი იყო პროფესიით თუ კონკრეტულ ადამიანთან ურთიერთობით, ყოველთვის არის რაღაც,

რაც ხელს გიშლის სრულყოფილ ბედნიერებაში. ჩემს ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში, სულ ასე იყო. წუ, ალბათ, იყო რაღაც მოკლე-მოკლე პერიოდები, როდესაც სრული ჰარმონია იყო, მაგრამ აღარც მინდა ამაზე ფიქრი, მეშინია...

- რატომ?
- მასსოვს, გადაღებები გეკონდა შატელში, ჩემი მეუღლე იღებდა ვაჟს „მოკეთილს“, რამდენიმე თვე გავატარეთ შატელში, ჩემი შვილიც იქ იყო, დედაჩემიც, რამდენიმე ჩემი მეგობარიც, გია - თავისთავად და რაღაც მომენტში მე შევიგრძენი აბსოლუტური ბედნიერება, მასსოვს, ჩემს მეგობრებს ვუთხარი კიდევც, თუ გრძ-

ობთ რა ბედნიერები ვართ მეთქი. არ ვიცი ისინიც ბოლომდე გრძნობდნენ ამას, თუ შენ, ადამიანი, როდესაც თავს ბედნიერად შეიგრძნობ მთელი ფილტვებით, გგონია, რომ გარშემო ყველა ბედნიერია... თუმცა იქ მართლაც იყო ყველა პირობა საამისოდ, საოცარი ბუნება, განწყობა, ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა... და მე მაშინ ნამდვილად შევიგრძენი ბედნიერება, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ წელიწადში მთელი ეს ბედნიერება დაიშხვრა მთლიანად და მას შემდეგ, როცა ვგრძნობ იგივეს, მეშინია არა თუ თქმა ამის, ბოლომდე გააზრებაც კი... შეიძლება ეს რაღაც ცრურწმენაა, არ ვიცი...



ილებაზე დაყრდნობით იყო ის როლი, რაღაცით საინტერესო...


- როდესაც პრაიმიტივებზე ვსაუბრობთ, გარდა შემოქმედებისა, პირადი ცხოვრებისა, არის დედობაც...

- „ც“ არა, დედობა პირველია. ვიცი, რომ ყველა დედა ასე არაა, ვიცი, რომ ძალიან ბევრ დედას შესაძლოა ძალიანაც უყვარს თავისი შვილები, მაგრამ დედობას, შეიძლება, არ აყენებს პირველ ადგილზე, თვლიან, რომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სხვა რაღაცები, ზოგი-

ყოველი დღის ნაწილს ვატარებდი არა ჩემს შვილთან, არამედ თეატრში ან გადასაღებ მოედანზე. მე მაინც მგონია, რომ პირველ რიგში ვარ დედა და შემდეგ ყველაფერი დანარჩენი. და შეიძლება ბევრი რაღაცეებიც გადავნიე მეორე და მესამე პლანზე, სწორედ იმის გამო, რომ მე ვიყავი და ვარ დედა.

- გაქვთ კიდევ ნათქვამი ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ სწორედ ვათას გამო არც იფიქრებთ მეორედ გათხოვება.

- დღეს, უკვე ამდენი წლის შემდეგ, მე



თვა ხომერკი

თითქმის ყველა ადამიანი გულის სიღრმეში მუსიკოსია. ქუჩის მუსიკოსები დღითი დღე უფრო და უფრო მიმზიდველნი და საინტერესონი ხდებიან მთელ მსოფლიოში. ისინი უკრავენ ქუჩაში იმისთვის, რომ გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, გამოხატონ შეხედულებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხელი შეუწყონ ამ საინტერესო მუსიკალური იდეის განვითარებას და ამასთანავე, დაუკავშირდნენ სხვადასხვა სუბკულტურის წარმომადგენლებს.

საქართველო მსოფლიო ქუჩის მუსიკის გულისცემას უკვე მესამე წელია, უერთდება და ის დღითი დღე მეტად პოპულარული ხდება ჩვენს ქვეყანაში. თბილისა ქუჩის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს წელსაც უმასპინძლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 31 მაისს თბილისი აულერებული და სასიამოვნოდ ხმაურიანი იყო. რუსთაველის გამზირზე მთელი დღის განმავლობაში ისმოდა სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, რომლებსაც როგორც ქართველი, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული უცხოელი მუსიკოსები ასრულებდნენ. საქართველოში ამ ფესტივალის დაწესებულება არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონის“ ეკუთვნის, რომელიც თბილისის მერიის დიდი მხარდაჭერით უკვე მესამე წელია სათავეში უდგას ფესტივალს. ფესტივალის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონის“ პრეზიდენტი გიორგი კიკალაშვილი გვესაუბრება.

- რა არის ქუჩის მუსიკა და ვინ არიან ამ ფესტივალის მონაწილენი?

- ეს არის ფესტივალი მუსიკოს-



იბრძენი ქუჩის ბულისცემა!

ბისთვის, მათთვის, ვინც უკრავს, მღერის, ქმნის ნებისმიერი ჟანრის კომპოზიციას. ეს არის, უბრალოდ, სასიამოვნო დღე მუსიკის მოყვარულთათვის, რომელიც ყოველწლიურად იმართება მაისის ერთ თბილ დღეს.

ქუჩის მუსიკის დღე საქართველოში პირველად 2012 წელს გაიმართა. მთელ რუსთაველის გამზირზე, რუსთაველის ძეგლიდან დაწყებული პუშკინის სკვერამდე, მუსიკის ხმა ჟღერდა. სხვადასხვა სახის მუსიკა, სხვადასხვა ინსტრუმენტებით, მუსიკოსების განსხვავებული ასაკით, მუსიკა ყველა გემოვნებისთვის. თბილისის სტუმრობდა ლიტვის დელეგაცია, ფესტივალის დამაარსებელთან, ანდრეუსთან ერთად. დღე იმდენად წარმატებული იყო, რომ სურვილი ყოველწლიური ფესტივალის განხორციელებისა უფრო გაღრმავდა. წელს უფრო მეტი მუსიკოსით, მეტი

ორგანიზებით, ენერჯითა და შემართებით გავერთიანებთ მთელ საქართველოს. ეს არის გარემო, სადაც მუსიკოსები თავიანთ იდეებს ახორციელებენ, ავლენენ გრძობებს. ეს კარგი საშუალებაა, ამაღლდეს მუსიკის კულტურა საქართველოში.

წელს ფესტივალში 600-ზე მეტმა ქართველმა და უცხოელმა მუსიკოსმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 90-მდე ქართული მუსიკალური ჯგუფი, 50-მდე სოლო შემსრულებელი და მუსიკალური ორკესტრი იყო ჩართული. უცხოელი მუსიკოსები ფესტივალში ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამის „ახალგაზრდები მოქმედებაში“ (Youth in Action) ევროკომისიის დაფინანსებითა და „დრონის“ ორგანიზებით მონაწილეობდნენ.

მინდა აღვნიშნო, რომ ფესტივალის მხარდაჭერი კომპანიების დახმარების

გარეშე ფესტივალის გამართვა გაგვიჭირდებოდა. ეს კომპანიებია: „ლიკანი“, „ნატასტარ“ და Shell Lubricants Macro Distributor. ასევე, „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“ და საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო თქვენს გაზეთს „პრაიმტაიმს“, რომელიც ყოველწლიურად გვერდში გვიდგას და საინფორმაციო პარტნიორობას გვინეებს: ასევე, ახალი ამბების სააგენტოებს: „პირველს“, „ფრონტიუსს“ და „სმო ნიუსს“. ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელს ფესტივალს სხვა კომპანიებიც შემოუერთდებიან და ამ დღესასწაულში ჩაერთვებიან.

- რატომ გადაწყვიტეთ ამ პროექტის საქართველოში განხორციელება?

- ეს პროექტი აერთიანებს ყველა ადამიანს, ვინც მსოფლიოში ყველაზე უნივერ-

სალურ, მუსიკის ენაზე საუბრობს. სხვადასხვა ასაკის მუსიკოსები მუსიკალური ინსტრუმენტებით გამოდიან ქუჩებში და უკრავენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას: როკს, ჯაზს, ფოლკლორს, აფრიკულ მუსიკას და ა.შ. გაგვიჩნდა იდეა და გეგმურად, რომ მსოფლიოს მუსიკალურ გულისცემაში საქართველოც ჩართულიყო და ვფიქრობ, ჩვენმა მომდებებმა გაამართლეს. წლიდან წლამდე ქუჩის მუსიკა საქართველოში უფრო და უფრო პოპულარული ხდება. გვსურს, ფესტივალმა მოიცილას არა მხოლოდ თბილისი, არამედ საქართველოს ყველა რეგიონი და ის სახალხო ზეიმიად ვაქციოთ.


- რა არის ამ ფესტივალის მიზანი?

- ფესტივალის მიზანია ქუჩის მუსიკის პოპულარიზაცია, საერთო ინტერესის მქონე ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება, განსხვავებული სუბკულტურების მიმართ ტოლერანტობის გაზრდა, მუსიკალური სფეროს ჟანრობრივი მრავალფეროვნების ხელშეწყობა, კრეატივის ნახაზისება და, ასევე, შესანიშნავი საერთაშორისო კავშირ-ერთობის ჩამოყალიბება და ქართული კულტურის მსოფლიოსთვის გაცნობა. ჩვენი მიზანია, შევქმნათ სივრცე, სადაც მუსიკოსები, მომწოდებლები შეძლებენ შეკრებას, იმპროვიზებას და ალტერნატიული, მხოლოდ თბილისის ქუჩებისთვის დამახასიათებელი მუსიკის შექმნას. გვინდა ნიჭიერი მუსიკოსებისთვის იმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რომ მათ თავიანთი უნარები გამოავლინონ.

- რამდენადაა ჩართული ქართველი ახალგაზრდობა ამ ფესტივალში?

- წლიდან წლამდე ეს ფესტივალი თბილისის განუყოფელი ნაწილი ხდება. იმედს გვაქვს, რომ ეს ფესტივალი ტრადიციად იქცევა და მომავალშიც ჩატარდება გაზრდილი მასშტაბებითა და მონაწილეების რაოდენობით. მასში ჩართვებიან მუსიკოსები არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ მთელი საქართველოდან და ფესტივალი სრულიად სახალხო ზეიმიად იქცევა.

თანამედროვე მეცნიერება



სალი კიპაროიძე


ქართველებს რატომაც ფილოსოფიურ-მეცნიერული წიგნები ბევრი არ გვაქვს და დღესდღეობით კი მათი საჭიროება დღითიდღე მატულობს. არც ერთი ადამიანისათვის არაა საკმარისი, რომ აქა-იქ ყური მოკრას რამეს მეცნიერება-ფილოსოფიაზე. იმისთვის, რომ ადამიანს გარკვეული მსოფლმხედველობა ჰქონდეს აუცილებლად საჭიროა თავდაც იშრომოს, იკითხოს, იფიქროს. ის კი ყველაზე ვიციტი, რომ სამყაროში ყველაფერი, მიკროორგანიზმებით დაწყებული და უზარმაზარი ციურის სხეულებითა თუ მაკროკოსმოსით დამთავრებული, იბადება, ვითარდება და კვდება.

ყველაფერ ამას დასაბამიდან დღემდე მეცნიერები იკვლევენ. იყო დრო, როცა დედამიწა არ არსებობდა. მეცნიერები ამბობენ, რომ იგი დაახლოებით 4,5 მილიარდი წლის წინ მზესთან და მზის სისტემასთან ერთად ვარსკვლავური მტვრისგან წარმოიშვა. დღევანდელ დღემდე მან ცვალებადობის დიდი გზა განვლო. მოსალოდნელი კატაკლიზმების გამო, დღეს დედამიწა საფრთხეშია. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში თანამედროვე მეცნიერები ამ საფრთხეებს იკვლევენ და კვლევის პროცესში მთელი მსოფლიოსთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩენებს აკეთებენ. ისინი იკვლევენ გლობალურ დათბობას, ასტეროიდების შემოჭრას, ცოცხალი

ორგანიზმებისათვის სახიფათო მილიონობით მიკრობის ზრდას, ბირთვული რეაქტორების აფეთქებას და ისეთივე შორეულ, მაგრამ გარდაუვალ საკითხებსაც, როგორცაა, მაგალითად, მილიონობით წლის კამკამა ნათების შემდეგ მზის სანაგვის ამონურა და არსებობის შეწყვეტა. თუმცა მანამდე ვერაულოებენ, რომ მზე ნითელ გიგანტად გადაიქცევა და ის, რაც აქამდე სიცოცხლის საფუძველი იყო, მისი მოსობის მიზეზად გადაიქცევა. მანამდე კი სანამ მზე გაგვანადგურებს ან თავის სხივებს დაგვაკლებს, გავისწავლოთ ბოლო ათწლეულების საინტერესო მეცნიერული აღმოჩენები.

ლოში უკვე ბინადრობდა აფრიკული ჰომინიდის მსგავსი ადამიანი. უფრო მეტიც, არა მხოლოდ ბინადრობდა, არამედ მან შთამომავლობაც კი შექმნა. 2005 წლის არქეოლოგიური გათხრებისას 1,8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი თავის ქალა მ წლის განმავლობაში ლაბორატორიული პირობების სრული დაცვით მუშავდებოდა.

როგორც ვიციტი, კოლუმბი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ახალი მიწები აღმოაჩინა, ფეხი დადგა ამერიკის ტერიტორიაზე და მსოფლიოს უბილავ მეცნიერება და ცხოველთა სამყარო სწორედ მან აჩვენა. თუმცა მეცნიერებმა ახლანდელ საკმაოდ საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს. არსებობს პატარა უზუსტობა, დღემდე ითვლება თამბაქოს, კოკაინის და კანაფის ამერიკის მშვენიერებით გაცნობი მთელი მსოფლიო, თუმცა რამდენიმე წლის წინ გამოკვლეული ეგვიპტური მუმების სხეულში აღმოაჩინეს კანაფის, თამბაქოს და კოკაინის კვალი. მუმებზე და ზოგიერთი ფარაონის სხეულშიც აღმოჩენილი იქნა ნიკოტინის კვალი. თუმცა ამ ფაქტის შესახებ დღემდე მიმდინარეობს დავა მეცნიერებს შორის.



უკანასკნელი წლების მანძილზე ყურადღება Science-მა დამნიხის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას რამდენჯერმე მიუძღვნა ვრცელი სტატია სახელწოდებით „სრული თავის ქალა დამნიხიდან და ადრეული ჰომოს ევოლუციური ბიოლოგია“. მეცნიერებს მიანდათ, რომ აფრიკაში მცხოვრები ადამიანები, მილიონ ნახევარი წლის წინ იმ ტერიტორიაზე ვითარდებოდნენ და ზუსტად ნახევარი მილიონი წლის წინ გადავიდნენ ევრაზიაში. დამნიხის არქეოლოგიური გათხრების შედეგად კი აღმოჩნდა, რომ დაახლოებით მილიონ 800 ათასი წლის წინ, საქართვე-

ლოში უკვე ბინადრობდა აფრიკული ჰომინიდის მსგავსი ადამიანი. უფრო მეტიც, არა მხოლოდ ბინადრობდა, არამედ მან შთამომავლობაც კი შექმნა. 2005 წლის არქეოლოგიური გათხრებისას 1,8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი თავის ქალა მ წლის განმავლობაში ლაბორატორიული პირობების სრული დაცვით მუშავდებოდა.

როგორც ვიციტი, კოლუმბი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ახალი მიწები აღმოაჩინა, ფეხი დადგა ამერიკის ტერიტორიაზე და მსოფლიოს უბილავ მეცნიერება და ცხოველთა სამყარო სწორედ მან აჩვენა. თუმცა მეცნიერებმა ახლანდელ საკმაოდ საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს. არსებობს პატარა უზუსტობა, დღემდე ითვლება თამბაქოს, კოკაინის და კანაფის ამერიკის მშვენიერებით გაცნობი მთელი მსოფლიო, თუმცა რამდენიმე წლის წინ გამოკვლეული ეგვიპტური მუმების სხეულში აღმოაჩინეს კანაფის, თამბაქოს და კოკაინის კვალი. მუმებზე და ზოგიერთი ფარაონის სხეულშიც აღმოჩენილი იქნა ნიკოტინის კვალი. თუმცა ამ ფაქტის შესახებ დღემდე მიმდინარეობს დავა მეცნიერებს შორის.

ეკასა და ოთოს კოსტიუმირებული შოუ კორნელი

my View
თამარ გომეზაძე

ასეთ ქორწილში ხშირად ვერ მოხვდებით. ეს იყო კოსტიუმირებული, თეატრალიზებული შოუ-ქორწილი თავისი ნომრებითა და შოუპროგრამით. როგორ ეტყობოდა ოთო კოვზირიძეს მსახიობი რომ არის, ქორწინების სახლში მეფის მანტიითა და გვირგვინით შემოსილი ფაეტონით მოვიდა. ეტილიდან ქაობისფერი რომაული სტილის კაბიანი ლამაზი დედოფალი გადმოიყვანა და ქორწინების სახლის წინ და მხედურ ამაღლას მეფური მისალმებით შეუერთდა. ატყდა ხორხოცი - „შენ რა გითხარი“, „რა ლადაობა“, მხოლოდ მშობლები ჩანდნენ შეცბუნებულნი, ესენი ქორწილშიც ამ ფორმაში უნდა იყვნენ, ნეტაო? სამშობლოზე მოფიქრალი რომელიღაცა ბაგრატიონ მეფის „ობრაზში“ დროებით შესულ ოთოს ჭაღარაზე ზრუნვაც არ დავიწყებია და პუდრას მსუბუქი მიყრით ნვერიც შევერცხლა და საფეთქლებიც. სიმამრის სახე არ მავიწყდება, შენ ქორწილშიც ასე უნდა იყო? - ჩაულაპარაკა მსახიობ სიძეს. კაცს ნათესავებისთვის უნდა გაცნო, რა წარმოსადეგი სიძე ყავას, ქორწინების სახლში მისულს კი ხელში გაჭაღარავებული მეფე შერჩა. „მამაჩემს ბოლომდე ეგონა, რომ ვსუმრობდით, მაგრამ ასეთ ფორმაში რომ დაგვიჩაბა, გადარია“ - იცინის ეკა. წყვილმა გამოიცვალა, ასე რომ კლასიკური ნეფე-პატარძალიც ვიხილეთ. თუმცა მანამდე არანაყოფიერ დაბანის ხელის მოწერის ორგანიზატორი ქალბატონიც.

ეკა ჩიკვაძე: - დახეპირებული ტექსტი გაუწყდა და აპარად დაიბნა. თან ახალი გახსნილია ეს საქორწინო სახლი. ერთ-ერთი პირველები ვიყავით. ხელის მოწერის დროს ოთომ სამეფოს გადმოფორმება აღმთქვა. ასე ჩავიგდე ხელში კოვზირიძეების სამეფო.

წყვილმა ჯვარი 23 თებერვალს დაინერა, მეორე დღეს მარხვა დაიწყო. შემდეგ კი ოთოს მეგობრების ინიციატივითა და ორგანიზებით ხელის მოწერის და საქორწილო დღე 24 მაისს დაინიშნა. მომლერალმა ნეფემ ორგანიზება ორ კვირაში გააკეთა. სცენარის ავტორიც თავად იყო და ქორწილის ორგანიზატორიც. თურმე მეგობრების ქორწილების ორგანიზების გამოცდილება ჰქონია.

ოთო კოვზირიძე: - ჩემი მეგობრების შვილების ქორწილების ორგანიზება გამიკეთებია. სხვისი ქორწილი უფრო კარგი გამოდგება.

ეკა ჩიკვაძე: - ეს იყო შემთხვევა, როდესაც გოგონა მეტად ბიჭს უნდოდა ქორწილი. როგორც ხედავთ, პირქით არის. სხვების ქორწილები უკეთებია და უნდოდა თავისიც კარგად გაეკეთებინა. არავინ დახმარებია, ყველაფერი თავისით მოაგვარა, ყველას უარი უთხრა დახმარებაზე - მეგობრებსაც, ოჯახის ნევრებსაც. ტრადიციული ქორწილი არ უნდოდა, არც იჯდა, სულ მოძრაობდა.

სანამ ამაღლა ნეფე-პატარძალს ელოდა, მანამ წყვილმა თბილისის ქუჩები ფაეტონით მოიარა და სამახსოვრო ფოტოსესიებზე იზრუნა. ბავშვები ურთამულით მოსდევდნენ, უცხოელები ფოტოებს იღებდნენ. ძველ თბილისში ბავშვებს ოთო ლეთისმსახური ეგონათ და გაეკიდნენ, მამაო, დაგვეხმარეო. ესეც ესურმა, ჩემს ნაზირ-ვეზირებს სთხოვეთ დახმარებაო.

ოთო: - ფაეტონში თავს ვინროდ ვგრძნობდი, ეკას სიმსუქნის გამო.

ეკა: - ბოლოს დედოფლობა ისე შევიფერე, მისალმებლად ხელს ფაეტონიდან

EXCLUSIVE

„ქველ თბილისში გავხვებო ოთო ღვთისმსახური ეგონათ და გაეკიდნენ, მამაო, დაგვეხმარეო. ესეც ესურმა, ჩემს ნაზირ- ვეზირებს სთხოვეთ დახმარებაო“

უბრალოდ ვიქნევი. ქორწილი ნამდვილი შოუ იყო. ოთომ ქვერებისთვის ქართული ტექსტები დაწერა, ომორისტული, გასართობი. სამი სიმღერა „ანდლოს სტუდიაში“ სამი დღით ადრე ჩანერგა. ფრენკ სინატრას - „My Way“, ელვის პრესლის - „blue suede shoes color“ და „we are the world“, რომლისთვისაც ტექსტი ნანა ცინცაძემ დაწერა. ეს უკანასკნელი სიმღერა ნეფე-პატარძალიან ერთად იმღერეს „თეატრალურმა კვარტეტმა“, „ფორტემ“, გიორგი კობახიძემ, ნუკრი კახანაძემ, სოფო ბედიამ, ლელუკა თელიამ და მაგდა ნიკოლეიძემ.

ეკა: - სტუდიაში პირველად ვიყავი, სიმღერის ჩასანერად და არა ინტერვიუზე. ოთო არ შემოსულა, მე ამის თავი არ მაქვსო და კვარტეტის ირაკლიმ და ლამამ ჩამანერინეს. ქორწილის წინა დღეს ამბობდა, ცოტა ნომრები გააქვს და კიდევ ჩაგწეროთ სიმღერებიო.

- სიმღერების ტექსტები რასაც შენზე მღერის მართალია?

- ერთ სიმღერაში ტყუილს მღერის, მთვრალს სახლში არ მიშვებო და თუ გინდა შეგიშვას, შოკოლადი და ნაყინი უნდა მოუტანო. ეგეთი ტირანი ცოლი არ ვარ. რაჭველია ჩემი ცოლი და მძიმე, კაპასიო, რომ მღერის, გარშემო ყველა რაჭველი შვავს და თუ არ მოსწონდა, რას მოვყავდი ცოლად? სიმღერებს სახლში წერდა და საოცარი ტექსტების გამგონე მეზობლები გაგიჟებულნი იყვნენ.

ოთო: - მუხა რომ მომანვეებოდა, დილა იყო თუ შუალამე, ვმღეროდი, ტექსტს და სიმღერას ვამუშავებდი.



ოთო:
„დავლაგდი, დავმშვიდდი, დაოჯახება საქმიანობაშიც დამეხმარა, უფრო გააზრებულად ვაკეთებ ყველაფერს“



მღერლისა და შურნალისტი წყვილი მხოლოდ ერთ რეპეტიციას დაჯერდა, იღუბები ვიდუოთი ისწავლეს.

ოთო: - ავირეთ, ეკას ბრალი იყო. ეკას ქართულის თავისი სტილი აქვს, რაც ვისწავლეთ არ აკმაყოფილებდა. ეს იყო ქართული (ეკვის დედანი.)

ქორწილში თამადა „ფორტეს“ ზურა მანჯავიძე იყო. ძალიან ლაღი, ოუმორისტული და თავისუფალი თამადა.

ოთო: - არ მიყვარს როცა ქორწილში თამადა ტვინს ბურღავს და არ აცეკვებს ხალხს. ვიცოდი, ზურა ისე წაიყვანდა ქორწილს, როგორც მინდოდა. კმაყოფილი დავრჩი.

ბევრი ვიცეკვეთ და მოუღიხინეთ. მე შენ გეტყვი, მომღერლები გვაკლდა თუ უმუსიკოა იქნებოდა. მოსახყენად საკუთარ თავთან არავინ დაგტოვებდა. გვაცეკვა მესტრო მორისმაც. (ეკვის კონკურსი მოახსო. დაერიგდა სიმბოლური პრიზები. იყო თაიგულის გადაგდებაც. პატარძალს არც

სიძე ჩამორჩა და „ბაბოჩკა“ მოიწინა. იყო ტორტი, ისიც ორიგინალური - წყვილი მიწილით დამშვენებული, იყო ფოიერვერკი, ბევრი პოზიტიური ემოცია და არ დამლის სურვილი...

- თქვენი სამეფოს მემკვიდრე ადენი ცეკვის მერე მუცელში არ გადარია?

ეკა: - ბევრი ვიცეკვე, მაგრამ დიდად არ უხვანცალა. მიჩვეულია მამამისის და კვარტეტის სიმღერებს. დაეაკვირდი, რამდენიც ამათმა სიმღერა დაიწყეს, ჩემი პატარა მუცელში მოძრაობას ნწყებს, შოკში ვარდება მამის ხმის გაგონებაზე, ტრიალებს. ოთო უმღერის და ხელს რომ ადებს ან ელაპარაკება, ჩერდება.

ოთო: - ლამები არ მძინავს, ისე მაინტერესებს როგორი იქნება. ეკას ცხვირი ექნება თუ ჩემი თვლები!

წყვილი სამეფოს გვარის გამგრძელებელს ივლისის ბოლოს ელოდება. მემკვიდრის სახელზე ფიქრობენ. ალბათ, ნეფე გაიმარჯვებს.

- როგორი ქმარია ოთო?

- ყურადღებიანი. ვიცოდი, რომ ასეთი ქმარი იქნებოდა. იმედები არ გამცრუებია.

ოთო: - დავლაგდი, დავმშვიდდი, დაოჯახება საქმიანობაშიც დამეხმარა, უფრო გააზრებულად ვაკეთებ ყველაფერს.

ეკა ჩიკვაძე: „ასე ჩავიგდე ხელში კოვზირიძეების სამეფო“

- აქცენტი ოუმორზე გაქვს გაკეთებული.
- და ეკას „გაპარტახებზე“ :)).
- სამაგიეროდ სამეფო გაქვს გადაფორმებული.
- სამეფოს ნახევარს მიცემ.
- არ გაგიჭირდა თან ნეფეობა, თან ნამყვანობა, თან სიმღერები?
- თეორიულად ეს ყველაფერი ადვილად შეჩვენებოდა, მაგრამ პრაქტიკაში რთული აღმოჩნდა. თავიდანვე დავილაღე და შემემინდა, ვერ გაუმკლავდები-მეთქი. მაგრამ ძალები მოვიკრიბე და ბოლომდე გაექაჩე. არ მინდოდა საშუალო რომ გამოსულიყო. მცირე დროში მომიწია ორგანიზება და მე თვითონ ძალიან კმაყოფილი არ ვარ. რაღაცები ვერ მოვასწარი. მინდოდა რეი ჩარლზის სიმღერის გაკეთებაც. თუმცა მგონი არასტანდარტული იყო, ხალხი გაერთო.
- რომელი ნომრით ხარ კმაყოფილი?
- შარვლის უბე რომ არ გამხვოდა, ელვის პრესლის ნომრით ვარ კმაყოფილი. სიმღერის დროს არ ვიცოდი, მერე ვიდუოთი ვნახე... ელვისი გასუქდა, 15 კილოთი მეტია, ვიდრე იყო. პრესლი ჩემი კუმირია, ეკას მერე ის მიყვარს.

ცეკვა „ქართულის“ შესასწავლად მო-



„ყურადღებიანი. ვიცოდი, რომ ასეთი ქმარი იქნებოდა. იმედები არ გამცრუებია“



როგორ ამოვიღებდა „X ფაქტორს“ გაემო



my View

თავარ მოხაზვა

გიორგი ბერიძის ასე აღრიხნა „X ფაქტორს“ გამოთიშვა ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც წლების წინ „ჯეოსტარში“ მისი ძმის, ნიკოსი. გულწრფელად არ ველოდი, გიორგის უფრო დიდხანს ვხედავდი პროექტში. მაგრამ „X ფაქტორს“, თავისი წესებით, ცხოვრებას ვამსგავსებ, ზოგჯერ დამცინავს, დაუნდობელს, თავისი მკაცრი წესებით მოთამაშეს. გათვალს ვერ გააკეთებ. როგორც ცხოვრების დაგეგმვა გვერდიდან ზოგჯერ სასაცილო, ისევეა ეს მეგამოუც - მოულოდნელობით სასე და სასტიკი.

„არ მწყდება გული, რომ გავუშვიო“

21 წლის გიორგისთვის „X ფაქტორი“ კარგი გამოცდილებაა. თუმცა ის თავისი გამოცდილებით მოვიდა ამ შოუში. რეალური შოუ „მაგთიფანის“ გამარჯვებულაა. გიორგი გაბუნია მისი პროექტიდან გაშვება ამით ახსნა კიდევ - „მაგთიფანის“ გამარჯვებულაა და ამიტომაც არ მწყდება გული, რომ გავუშვიო. როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ გიორგი უკვე შემდგარი მომღერალია, პროფესიონალია და ახალბედა ელიავს დაუთმო ასპარეზი. თვითონ კონკურსანტი ძალიან გულდანყვეტილია-მეთქი, ვერ ვიტყვი, თუმცა დამეთანხმა, რომ თავს ისიც გაცილებით მეტხანს ხედავდა „X ფაქტორში“. იქით დაუნყარებია გარშემო ყველა, ატირებული შეყვარებული დაწყებული იმედგაცრუებული გულშემატკივრებით დამთავრებული. იმ დამით შეყვარებულთან და მეგობრებთან ერთად ბარში ლუდი დალია, დამშვიდება და დაიძინა. მისი ძმა, ნიკო კი, იმ დროს, როდესაც გიორგი აუტსაიდერში იდგა და მისი დარჩენა-ნასვლის ბუდი წყდებოდა, „იმედზე“ „ორი ვარსკვლავის“ კონცერტზე მღეროდა. მერე კი „ფეისბუქზე“ დაპოსტა.

„იმითმე მე ვეცადე, რომ მიუხედავად როკმენული სიგიჟისა, მაგარი დასტიონი ხარ!! დღევანდელ უმეტესად უნიჭი ვითომ ვარსკვლავების არამგავსად!! ამ საზარელ, პატარა, ლამაზ და ნაშა ქვეყანაში! მაგრამ შენ რის შენ ხარ, ან მე ან კიდევ ყველა ნორმალური ადამიანი, მაგათზე თუ არ ვილადავთ და გავერთეთ ბოლომდე!!!“

- ნიკო, როგორ ფიქრობ, რაზე გააკეთა გათვლა მენტორმა?

ნიკო ბერიძე: - ვერ ვხვდები მიშო ელიავს დატოვებით გიორგი გაბუნია რაზე გააკეთა გათვლა. ალბათ, მაინც მრავალფეროვნებაზე. მიშო კარგი ტიპია, ზოგადად ვიცნობ მის მუსიკალურ შემოქმედებას. მამამისს კონსერვატორიდან ვიცნობ. როგორც ჩანს, ნიკა კიკნაძე რაზან ჰყავს - როკერი, გიორგი გაუშვა. თუმცა სხვადასხვა ტიპის როკერები არიან.

„აკვირებული მქონდა - გავარდები-მეთქი“

გიორგიმ პროექტს გამოთიშვის მეორე დღეს „ფეისბუქზე“ პოსტი დადო. „ხშირად მწერენ, რატომ გავარდი? იცით, არ ვიცი. ერთი ის ვიცი, სანამ პროექტში მივიდოდი, ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ეს არ არის კატასტროფული.



მედი და გიორგი

რაღაც იწყება, რაღაც მთავრდება. და კიდევ იწყება, სამყარო ხომ ჯაჭვია. არ ვფილოსოფოსობ :) მე ვაგრძელებ ჩემს საქმეს, ჩემი მუსიკის კეთებას. მიყვარს ყველა ის მხარდამჭერი და გულშემატკივარი, რომელიც არ ეუთვნის ბრბოს და მოსაზრებით მყარად არის. და ამას მე გამწნევ ყველას, ვინც მწერს - ვინ გულახდილია და ვინ არა. არამხოლოდ აქ, ლაივშიც. აი, ეგეთებს მაღლობა, ბრბოს - არა“.)

- გიორგი, ბრბოში ვის გულისხმობ?

- 17 წლის ასაკიდან ვიცი ბრბოს არსებობა და ამას შეგუებული ვარ. ბრბომ თავი ოთხი სკამის ტურზე კარგად გამოამუშავა. კონკურსანტს ტაშს რომ უკრავდნენ და „ძალიან გულშემატკივრობდნენ“, მერე იმაზე მენტორს თითებთ მოუთითებდნენ - გაუშვიო, ვისზეც ემოციებს ანთხებდნენ. ეს ბრბოა, თვალში საცემად და სახის გამოვლენით. სიტყვით ამბობენ, გიორგი მე ვეცადე და

მერე ბრბოში გავრევა და გაგანირა ვს. ბევრია ასეთი არამყარი ადამიანი.

- კმაყოფილი ხარ შენი გამოსვლით?

- მაქსიმუმ გავაკეთე, მეტს ვერაფერს გავაკეთებდი. თუმცა კმაყოფილი არ ვარ. თითქოს ფეხებზე მეკიდა. გამოსვლამდე, სცენის უკან, მონიტორზე დარბაზს ვაკვირდებოდი. დარბაზიდან ნამოსული მუხტი არ მომენონა, ცუდი პუბლიკა და-ვინაზე, ბრბო ვიგრძენი. ჩემი გამოსვლაც ამიტომ იყო ასეთი. საერთოდ ემოციური და მგრძობიარე ვარ.

- რას ფიქრობდი აუტსაიდერში დგომის დროს?

- აუტსაიდერში დგომის დროს ვფიქრობდი გიორგი მე დატოვებდა. იმასაც

ვუშვებდი, რომ გავვარდებოდი. ბევრი კარგი კონკურსანტი გავარდა. თუმცა იმ დღეს წინათგრძობაც იყო, მთელი დღე აკვირებული მქონდა - გავვარდები-მეთქი, სახლშიც ვაბობდი. რომ დამასახელა, მაშინვე გავხედე ნიკა კიკნაძეს. ალბათ, იმ მომენტში გამოვავლინე - ვინ მიყვარდა გუნდში ყველაზე ძალიან. ნიკა „დაიგრუნა“. ჯერ მე ჩამეხუტა და მერე მოულოცა მიშოს დარჩენა. ამ უესტით ვამოხატა ის, რომ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

- შენი აზრით, მენტორები რაზე აკეთებენ გათვლას?

- ვერ ვხვდები, მენტორები რაზე აკეთებენ გათვლას. ამაზე არ მაქვს პასუხი. თვითონ არ აქვთ ამაზე პასუხი. გიორგი გაბუნია მითხრა, ყველამ იცის ყველაზე ძლიერი კონკურსანტი რომ ხარ ყველაფრით, ვოკალით, ენერჯით და ვერ ვიტყვი, რატომ გავიშვიო. ინტერნეტ ოთახში თქვა, „მაგთი ფანში“ გაიმარჯვა და ამიტომ არ მწყდება გული, რომ გავუშვიო.

- ანუ რაზან შედარებით ცნობილი და შემდგარი მომღერალი ხარ?

- ალბათ, ამიტომ. გული მწყდება იმაზე, რომ ჩემი თავი სხვა ამპლუაში არ გამოიმუშავებ. დარბევებით მივედი და შემდეგ ლაივზე ბალადის შესრულებას ვაპირებდი.

- გიორგის როკი უყვარს და გამიკვირდა შენ რომ არ დაგტოვა პროექტში.

- შეიძლება მეზოს უანრის როკი უყვარს. ჩემი გრანჯი და პროტესტია, რასაც გრძობ იმის თქმა მიყვარს.

- როკერი მართალია ყოველთვის?

- უნდა იყოს მართალი. როცა როკს მღერი, უნდა იცოდეს საიდან წამოვიდა. როკი ცარიელი პროტესტია.

- ვისი ფრაზა ან რეაქცია დაგამახსოვრდა?

- სოფო ტოროშელიძე ჩემი შესრულების დროს უსტვენდა და სტეფანემ იკვლა. მაგრები ხართ, შენ და შენი ძმა სჭირდებით საქართველოსო - გვეუბნებოდნენ.

- რომელიმე სხვა მენტორის გუნდში რომ ყოფილიყავი, ახლა პროექტში იქნებოდი?

- სოფოს გუნდში რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ვიქნებოდი პროექტში. მას შედარებით მძიმე როკთან აქვს შეხება. ამიტომ ვფიქრობ, დატოვებდა ისეთ კონკურსანტს, ვინც ამ სტილის შემსრულებელია და არა პოპროკის.

- სტრესი მიიღე?

- არა, ვცდილობ ცხოვრებაში კიდევ უფრო დიდი რაღაცებისთვის ვიყო მზად. სამ დღეში გაივლის, პროექტია, არ ღირს ნერვოზობად. იქით ვანუნარები ატირებულ შეყვარებულს და გულშემატკივრებს. ახლა უფრო „განსწორებულში“ დავტოვე პროექტი, ვიდრე „მაგთი ფანში“ გამარჯვებულმა. იქ ჯგუფის შექმნა მოვიგე, მაგრამ არ მიხდოდა ბარში და ოზურგეთში კონცერტის კეთება. ვცდილობ, ყოველთვის მართალი ვიყო. როგორცაა მე ვიხარავები, ისე მინდა უკან დამიბრუნდეს. „X ფაქტორის“ პლუსის ის, რომ „რუსთავი 2“-ზე გადის. აქ ხალხს უყვარდები ისეთი, როგორც ხარ. გულშემატკივრობენ და გიცნობენ.

თავისუფლება

- ბათუმელს რა მაგარი ვოკალი გაქვთ - შენ, ნიკა კიკნაძეს, აკე და ანას, და არამარტო ამ პროექტის კონკურსანტებს, კლიმატის ბრალია?

- შო, არ ვიცი. ოიდი განაპირობებს, ალბათ, ჯადოსნურია. ბათუმი ძალიან მაგარი ქალაქია. თავისუფლებასთან ასოცირდება ჩემთვის. თბილისში მისი დეფიციტი მაქვს, სიმშრალეში ვარ თითქოს, გამზმარი. ზღვა სივრცეს გაძლევს. მთელი ბათუმი ერთი დიდი ეზოა. მოკლედ, მე ნიკა კიკნაძეს ვუგულშემატკივრებ. მას ის ვოკალი აქვს, რაც საქართველოს სჭირდება.

- შინაგანი თავისუფლება რამ მოგცა?

- კლასიკურმა მუსიკამ. პატარა ბავშვი ძალიან დიდ სცენაზე რომ დგახარ და მღერი, ეს უკვე თავისუფლებაა. მე და ჩემს ძმას 7-8 წლის ასაკში გვიმღერია დიდ სცენებზე, კრემლიც კი. ბათუმის ბავშვთა ოპერით იტალიაში ვიყავით ნა-




დედასთან ერთად

სული, წითელ წიგნში შეგვიყვანეს, როგორც პირველი ბავშვთა ოპერა. პარალელურად როკს ვუსმენდი და მივხვდი, რომ ეს მუსიკა მეტ თავისუფლებას და სითამამეს მაძლევდა. ყოველთვის დიდებთან ვმეგობრობდი. დედა 40 წლისა, მამა 44 წლის. ისინიც ჩემი და ჩემი ძმის მეგობრები არიან.

„თბილისმა მიმიღო“

- ბათუმელი თბილისმა როგორ მიგიღო?

- თბილისმა მიმიღო. თბილისელმა ძმაკაცებმაც მაგრად შემაყვარეს ეს ქალაქი და ბათუმელმა ძმაკაცებმაც. ამ ქალაქის ქუჩაში ღამეც დამთენებია თავზე. ბევრი თბილისელი არ იქნება ფეხით დილიდან ნახალოვკაში ჩასული. მინისქვეშა გადასასვლელში დაბადების დღე გადამიხდია. ციოდა, იყინებოდა ყველაფერი. ფული არ გვექონდა, პატარა არყის ბოთლებით ჩავედით მინისქვეშა გადასასვლელში, სადაც ბაბუა ძალიან ძველ გიტარაზე უკრავდა. ხმებში გავმალეთ ვისოცკი, ციო, როკსიმღერები... არასდროს დამავინწყდება.



მანია ჯანგულაშვილი:
„არ ველოდი. გული დამწყდა და ცრემლებიც ანან გამოიწვია. გიორგის დიდი დინამიკა და დიდი შესაქვებლობები აქვს. გული დამწყდა, რომ ამ ყველაფრის გამოვლენის საშუალება არ მიეცა. გიორგის კარიერა არც „X ფაქტორით“ დანახულა და არც მისით დანახულა“

ტიპული გიორგი ბერიძე შეყვარებულს?

„კმაყოფილი არ ვარ. თითქოს ვახეზზე მიკიდა. გამოსვლაზე, სცენის უკან, მონიტორზე დარბაზს ვაკვირდებოდი. დარბაზიდან წამოსული მუსტი არ მომეწონა, ცუდი ვიზუალია დავინახე, ბრბო ვიბრძენი. ჩემი გამოსვლაზე ამიტომ იყო ასეთი“

EXCLUSIVE

- რას აპირებ?

- ჩემი საქმის კეთების მულამი არ დამიკარგავს. მინდა საკუთარი სიმღერების ჩანერა. ჩემეული ვერსიით ქავერების გაკეთებაც მაქვს გეგმაში.

სიყვარულის ისტორია

უკვე რამდენიმე თვეა გიორგი ბერიძის გული დაკავებულია და ის მია ჯანგულაშვილს ეკუთვნის. მომღერალი შეყვარებულს მარიას ეძახის. ერთმანეთი „ფეისბუქზე“ გაიცნეს. მაიკო „იმედზე“

ანონსების რედაქტორია. უყვარს პოეზიის მხატვრულად კითხვა. ლექსების გამოფენებზე პოეტები თავიანთ პოეზიას აკითხებენ. მია თავადაც წერს.

გიორგი ბერიძე: - მე მყავს გოგო, რომელთანაც თავს ძალიან კარგად და მშვიდად ვგრძნობ. არ ვფიქრობ წარსულზე და მომავალზე, აწმყოზე ფიქრი რომ არ დამავინყდეს.

- რითი შეგცვალა გრძნობამ?

- დამაფიქრა, გრძნობა ადვილი არ ყოფილა. ასე არ მყვარებია. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ცოტა ანარქიული ურთიერთობა გვაქვს, ეიფორიებით, ხმა-აურით. ამ ხმაურს ჩვენი „მეები“ იწვევს. თან ჩემზე დიდია ცოტა. 29 წლისაა. ეს არაფერია, ჩვენ ერთნაირები ვართ. არ მიყვარს პირველი ნაბიჯის გადადგმა. არ შემოიძლია. ესეც გვიშლის ხელს. ნამდვილი გრძნობა ბევრ ცუდს კლავს. მაგალითად, არაჯანსაღ პრინციპებს, ეჭვიანობას, ეგოისტობას. ეგოისტობას და ეჭვს სიყვარულთან არაფერი ესაქმება. შენ არ უნდა გჭირდებოდეს ის, შენ უნდა ჭირდებოდეს მას. ჯერ ამ კრისტალამდე არ მივსულვარ.


მია ჯანგულაშვილი: - რომ გავიგე ჩემზე უმცროსია, თავიდან არ ვფიქრობდი ურთიერთობის დაწყებას. სერიოზულად ვერ აღვიქვი. ვეუბნებოდი კიდევ, არაფერი გამოვა, გიო, მე შენზე უფროსი ვარ-მეთქი. ცხოვრებაში არასდროს მიფიქრია, რომ ასე უმცროსთან მექნებოდა ურთიერთობა. მაგრამ გიორგიმ ყველაფერი გადაატრიალა. ახლა უკვე ვერც ერთი ვერ ვგრძნობთ ასაკობრივ სხვაობას. მენტალობით არ არის ჩვენს შორის სხვაობა. ის, თავის ასაკთან შედარებით, დიდია. გიორგიმ რაც მომეწონა და რატომაც ვართ ერთად მისი გულწრფელობა და სიმართლეა. აღმოჩნდა, რომ მასაც იგივე მოეწონა ჩემი.

- ძალიან სიმპათიურია და პატარა გოგონების გამოხატობებზე არ ეჭვიანობ?

- თავიდან ცოტა ეჭვიანობის მომენტები მქონდა, უმნიშვნელოდ. უკვე დარწმუნებული ვარ მის სიყვარულში, გიო ერთგული ადამიანია.

- გიორგიმ მითხრა, პროექტიდან რომ გამიშვებს, მაიკომ იტირაო. რამ გამოიწვია ეს ემოცია თქვენში?

- არ ველოდი. გული დამწყდა და ცრემლებიც ამან გამოიწვია. ბევრი გულშემოატკივარი ჰყავს. ბევრის მხარდაჭერა ჰქ-



მია ჯანგულაშვილი: „რომ გავიგე ჩემზე უმცროსია, თავიდან არ ვფიქრობდი ურთიერთობის დაწყებას. სერიოზულად ვერ აღვიქვი. ვეუბნებოდი კიდევ, არაფერი გამოვა, გიო, მე შენზე უფროსი ვარ-მეთქი. ცხოვრებაში არასდროს მიფიქრია, რომ ასე უმცროსთან მექნებოდა ურთიერთობა. მაგრამ გიორგიმ ყველაფერი გადაატრიალა. ახლა უკვე ვერც ერთი ვერ ვგრძნობთ ასაკობრივ სხვაობას. მენტალობით არ არის ჩვენს შორის სხვაობა. ის, თავის ასაკთან შედარებით, დიდია. გიორგიმ რაც მომეწონა და რატომაც ვართ ერთად მისი გულწრფელობა და სიმართლეა. აღმოჩნდა, რომ მასაც იგივე მოეწონა ჩემი.“

ონდა. მაგრამ ასე მოხდა. გიორგის დიდი დიპაზონი და დიდი შესაძლებლობები აქვს. მე მოსმენილი მაქვს საოპერო არიებს როგორ მღერის, როგორ დადებს და ქართულ სიმღერებს როგორ მღერის. გული დამწყდა, რომ ამ ყველაფრის გამოვლენის საშუალება არ მიეცა. გიორგის კარიერა არც „X ფაქტორით“ დაწყებულია და არც მისით დასრულდება. ერთი კარი რომ იხურება, ყოველთვის იხსნება მეორე. იმ ღამეს არ იმწინედა, ნანწყენი რომ იყო, ძალიან ოპტიმისტური განწყობა ჰქონდა, ყველაფერი ახლა იწყებოდა და მეც იგივეს ვეუბნებოდი.

- სახელი შეგიცვალათ?

- მარიას მეძახის, მის გარდა სხვა არაფერს მომმართავს ასე. ნათლობის სახე-

ლი მართლა მარიამია. პირველად რომ მარიამი მომმართა, გამოვშტერდი. რატომ დამიძახე მარიამ-მეთქი, ვკითხე. გიორგიმ და მინდა ჩემთვის მარიამ იყო. ბათუმშიც ვიყავი, ლექსების გამოფენაზე, ძმებს კონცერტი ჰქონდათ. დავესწარი და ძალიან ამაყი გახლდით. თავის ქალაქში გიოს ყველა აჩერებდა, ეფერებოდა, სიყვარულს უხსნიდა.

- თავს კარგად გრძნობთ და ხვალეზე არ ფიქრობთ?

- ორივე ბედნიერები ვართ. სამოკავლოდ რა იქნება, არავინ იცის, დღევანდელი დღით ვცხოვრობთ. ბედნიერები და ერთმანეთზე შეყვარებულები ვართ. მისარია, რომ ღმერთმა ეს ადამიანი შემახვედრა.

გიორგი ბერიძე: „მე მყავს გოგო, რომელთანაც თავს ძალიან კარგად და მშვიდად ვგრძნობ. ცოტა ანარქიული ურთიერთობა გვაქვს, ეიფორიებით, ხმაურით. ამ ხმაურს ჩვენი „მეები“ იწვევს. თან ჩემზე დიდია ცოტა. 29 წლისაა. ეს არაფერია, ჩვენ ერთნაირები ვართ“



„ახალი ღვინის ფესტივალი 2014“

სალი კიპარიძე

ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და მისი ცნობადობის გაზრდას ხელს უწყობს „ახალი ღვინის ფესტივალი“, რომელიც წელს უკვე მეხუთედ ჩატარდა. ფესტივალს 24 მაისს თბილისის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა უმასპინძლა. ესაა ერთდერითი ღვინისტივობა სადაც ღვინის დიდ მწარმოებლებთან ერთად, ჩვეულებრივ გლეხებსაც აქვთ საშუალება ხელი შეუწყონ ქართული ღვინის ცნობადობისა კულტურის გაზრდას და ხარისხიანი ღვინის წარმოების სტიმულირებას. წელს ეთნოგრაფიულ მუზეუმში „ღვინის კლუბმა“ 25 ათასამდე სტუმარს უმასპინძლა. აუტანელი სიცხის მიუხედავად ხალხის ნაკადი არ წყდებოდა და დილის საათებიდან მოყოლებული, კუს ტბის ასახევე უწყვეტ და უძრავ საცობს ქმნიდა ფესტივალზე მიმავალი ათასობით ადამიანი.

სტუმრების დიდ ნაწილს ღვინით დაინტერესებული პირები და ის მომხმარებლები წარმოადგენდნენ, რომლებიც ცდილობდნენ უფრო კარგად გარკვეულიყვნენ ქართულ ღვინის სპეციფიკაში. წელს ფესტივალის ტურისტების რაოდენობითაც გამოირჩეოდა, უცხოეული სტუმრები აღფრთოვანებულნი ვერ მალავდნენ ქართული ღვინის, ზოგადად ჩვენი ქვეყნის მწვანის მიმართ, რომელიც ფესტივალზე მათ თვალნათლიანად უჩვენებდა.

მარტინი (ამერიკელი ტურისტი - 40 წლის):

- პირველად ვარ საქართველოში, ძალიან მომეწონა. 1 წლის წინ ქართველი ცოლი მოვიყვანე და წელს პირველად ჩამოვეყვი თავის ქვეყანაში. არ მეგონა ასეთი ლამაზი თუ იყო, რამდენი სიმწვანეა, რამდენი ღვინოა და რა კარგი აურაა. ძალიან კარგ ღვინო ვატარებ. სხვადასხვა-ნაირი ღვინო გავცინა, ძალიან კარგ ხასიათზე ვარ და კიდევ ვაპირებ დავაგემოვნო რამდენიმე სახეობა. თქვენთან შემწვარი მწვადი სტიკს ჰგავს, თუმცა უფრო გემრიელია. წელიწადის ამ დროს აქ სმირად ჩამოვალ, არაჩვეულებრივი ფესტივალაა. მაღლობა ამ სიამოვნებისთვის.

ფესტივალთან დაკავშირებული დეტალებზე კი ეთნოგრაფიული მუზეუმის გიდი, ზედამხედველი, მაკა ყიფშიძე მესაუბრა.

მაკა ყიფშიძე (ეთნოგრაფიული მუზეუმის გიდი):

- ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღვინის ფესტივალის ყოველი წლის გაზაფხულზე იმართება ხოლმე. აი, წელს უკვე მეხუთედ, აქ წარმოდგენილი იყო, საქართველოში წარმოებული ყველა სახის ღვინო, რომლის შექმნაც და დაგემოვნებაც ადგილზევე ხოლმე შესაძლებელია. წელს ფესტივალზე ღვინო სხვადასხვა ღვინის 30-მდე კომპანიამ წარმოადგინა. მაგალითად, „თელიანი ველი“, „ქინძმარაულის მარანი“, „ასკანელი ძმები“, „ბაბანელის მარანი“ და ა.შ. მათთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ოჯახურ ბიზნესში ჩართული მეღვინეებიც, რომელიც საკმაოდ აქტიურად ჩაებნენ ღვინის ფესტივალში.



ფესტივალზე განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ტურისტები იყვნენ

- რითი გამოირჩეოდა წლევანდელი ფესტივალის წინა წლებში გამართული ფესტივალისგან?

- ეთნოგრაფიულ მუზეუმში ხშირად იმართება ხოლმე სხვადასხვა ღვინისტივობები. სულ ახლახან, მაგალითად, ჩატარდა ევროპის დღისადმი მიძღვნილი საღამო, იმართება ხოლმე ასევე ყველის ფესტივალი, სადაც, ღვინის ფესტივალის მსგავსად, ხდება ყველა სახის ყველის დაგემოვნება, ზაფხულობით ასევე იმართება არტ გენი, ყველა ფესტივალის თავისებურად გამოირჩეულია, თუმცა, ალბათ, ყველაზე თვალში-

ყურადღებითა და პატივისცემით უმასპინძლეთ, როგორც ჩანს, გულდაწყვეტილი არავინ დარჩენილია. ყველა კარგ ხასიათზე იყო, ამდენი ბედნიერი და გაღიზიებული სახე ერთად, კარგა ხანია საქართველოში არ მინახავს.

ფესტივალზე ქართული ღვინის დაგემოვნება ფოლკლორული ანსამბლებისა და ჯაზმუსრულებლების გამოსვლის ფონზე იყო შესაძლებელი. საუკეთესო ოჯახური ღვინოები ღვინის კლუბმა, დეგუსტაციის წესით, სპეციალურად შეარჩია. ასე რომ, მსხვილ კომპანიებთან ერთად, მცირე მა-

„ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღვინის ფესტივალის ყოველი წლის გაზაფხულზე იმართება ხოლმე. აი, წელს უკვე მეხუთედ, აქ წარმოდგენილი იყო, საქართველოში წარმოებული ყველა სახის ღვინო, რომლის შექმნაც და დაგემოვნებაც ადგილზევე ხოლმე შესაძლებელი“



საცემი და შესამჩნევი წლევანდელი ღვინის ფესტივალის იყო, არსაწინააღმდეგავი განსაკუთრებული ხალხმრავლობა და ალბათ, ისიც, რომ ფესტივალზე განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ტურისტები იყვნენ. თითოეულ მათგანს ქართული ღვინით ხელდასმევენებულებმა განსაკუთრებული

რწმუნება და ოჯახებმა ფესტივალზე ცნობილი და იშვიათი ქართული ვაზის ჯიშის ყურძნისგან დანერგულ ღვინოები წარმოადგინეს: რქაწითელი, საფერავი, მწვანე კახური, ციცქა, ცოლიკოური, ჩინური, შავკაბიტო, თავკვერი, კრახუნა, ალექსანდრეული, ჩხავერი, უსახელოური, ხიხვი, ქი-

სი, ალადასტური, ოცხანური საფერე, ძე-ლმავი, მუჯურეთული, ოჯალეში, კუნა, გრძელმტევანა, ჭუმუტა, ჩიტისკვერცხა – ამ და სხვა მრავალი დასახელების ახალ ღვინოებს ერთად, ფაქტია, რომ სხვაგან ვერსად ნახავდით. ჯიშური მრავალფეროვნების გარდა წლევანდელი ფესტივალის ქვეყრის ღვინის და იშვიათი ჯიშებიდან

დაყენებული ღვინოების სიუხვით იყო გამოირჩეული. ფესტივალის შემეცნებით-გასართობი სანახაობა ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთ ეზოში ტურისტების მოხდა და ღვინის ჭაშნიკი გახლდათ. წელს საკმაოდ დიდი აქტივობით გამოირჩეოდნენ სტუდენტებიც, ხშირად შენიშნავდით, რომ მათი დიდი ნაწილი ტურისტებისთვის ქართულ ღვინოს უფრო ახლოს გაცნობით აქტიურად იყო დაკავებული. შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს ახალგაზრდებმა უკვე საკმაოდ აქტიურ როლი ითამაშეს ქართული ღვინის პოპულარიზაციის საქმეში. უკვე მომავალი წლისთვის ფესტივალის გაფართოებას და მის სხვა ადგილას გადატანას გეგმავენ, რადგან ორგანიზატორების თქმით ეთნოგრაფიულ მუზეუმს უკვე სტუმრების დატევა უჭირს. ახალი ღვინის ფესტივალის ტრადიცია მეღვინეობით სახელგანთქმულ თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. საქართველოში კი, ღვინის კლუბის ინიციატივით, ფესტივალის პირველად 2010 წელს ჩატარდა და აქედან მოყოლებული, ყოველ წელს, ათასობით ღვინის გურმანს მასპინძლობს.



მოდური დიეტების სავალალო შედეგები

სალომე გოგოხია

მოხდენილი, უნაკლო სხეული თავის მოწონება ყველას სურს. თუმცა, სასურველ შედეგს ყველა ვერ აღწევს. მეგობრების, ახლობლების ნაცად-ნაქები დიეტების გამოყენება ხშირად არასახარბიელო შედეგებით სრულდება. ბოლო დროს, თბილისში, განსაკუთრებით პოპულარული გახდა ენდოკრინოლოგი-დიეტოლოგების მიერ დანიშნული დიეტები. ასევე, ინტერნეტის საშუალებით ვნახულობთ უამრავ დიეტას მაცდური სათაურებით - „მინუს 10 კილოგრამი ერთ კვირაში“ და ა.შ.

როგორ ვიკვებოთ სწორად, გექონდეს მოხდენილი სხეული, თანაც საკუთარი ჯანმრთელობა არ დავიზიანოთ? ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ ექიმ გასტრო-ენდოკრინოლოგს მანანა კვარცხავას ესაუბრა.

- ქალბატონო მანანა, ნათქვამია, ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენივე თვემიდან იწყება ანუ რა საკვებს ვიღებთ. როგორ ვიკვებოთ, რომ ვიყოთ ჯანმრთელები?

- ნორმალური პირველი ამოცანაა, რომ კვება იყოს ჯანმრთელი. ადამიანი საკვებით ლეტულობს ორგანიზმისთვის ყველა საჭირო ნივთიერებას. რაც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლისთვის, ორგანიზმის არსებობისთვის. საკვების შემადგენლობაში შედის ცილები, ნახშირწყლები, ცხიმები ანუ სამი ძირითადი საშენი მასალა, რომლის საშუალებით ორგანიზმში ყველა საჭირო პროცესი მიმდინარეობს. ზოგადად, ქართველები ჯანმრთელობის მიმართ ზერეულ დამოკიდებულებით გამოიყოფილი. როცა დაავადება მორს წასულია და მდგომარეობა დამძიმდება, მხოლოდ მაშინ მივმართავთ ექიმს და მივხედავთ ხოლმე საკუთარ ჯანმრთელობას. ჩვენი, ექიმების პირდაპირი მოვალეობაა, რომ ადამიანებს აუფხვანთ რას ნიშნავს ჯანმრთელი კვების რეჟიმი. ეს მოიცავს რამდენიმე პუნქტს. დღეს ძალიან დიდი ბუმია დიეტების და გახდომის. საერთოდ, ცივილიზაციის ყოველ საუკუნეში სილამაზის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები არსებობდა. დრო იყო, როცა ფერხორციანი ქალები მოსწონდათ; მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, რაც უფრო განვითარდა მოდის კულტურა, უფრო პოპულარული გახდა გამხდარი ქალი. მართალია, პოდუმზე ასეთი ქალი შესახებ დაძლიან ლამაზია, უნაკლო სხეულით გამოირჩევა, თუმცა, ასეთი სიამაზედრე, რომელიც საზოგადოებაში აიტაცა, აღმოჩნდა, რომ ორგანიზმისთვის ძალიან დამანგრეველია. ამ მოდამ გამოიწვია ის, რომ გოგონები, განსაკუთრებით თინეიჯერები, იწყებენ გაუთავებელ დიეტებს, მიმნილობენ. სხვადასხვა სახის დიეტებს მიმართავენ - ცილოვანი, ნახშირწყლების და ა.შ.

- რა მოსდის ორგანიზმს მკაცრი დიეტის დროს?

- ორგანიზმი ვარდება საშინელ სტრესულ სიტუაციაში. როდესაც ადამიანი ნოლოვან იღებს 3 000 კალორიას და ერთ დღესაც გადწყვეტს, რომ უნდა გახდეს და კალორიას კატასტროფულად დაქვეითებას იწყებს, დაუფიქრებელია. ადამიანის ორგანიზმის 90% წყლისგან შედგება. ამიტომ, წონის კლება დიეტის პირველი ხუთი დღის განმავლობაში სითხის გამოდენის ხარჯზე ხდება. თუმცა, ამ დროს ორგანიზმში არის განგაში, რადგან საკვებ ნივთიერებას, რომელიც ორგანიზმისთვის აუცილებელია, ვერ იღებს. ორგანიზმი იწყებს მობილიზებას. როცა ეს დიეტა დასრულდება, რადგან ნორმალური ადამიანი 500 კალორიაზე ერთ კვირაზე მეტს ვერ გაძლებს, შემდგომ მიღებული საკვები ორგანიზმში გილოკოგენად ანუ ცხიმოვან ქსოვილად გარდაიქმნება. ორგანიზმს თუ დაუდგება ასეთი „საშიში“ მდგომარეობა, მას „მარაგი“ ექნება. ეს არის მიზეზი, რომ მსგავსი დიეტების დროს გახდომის ნაცვლად წონამ ორმაგად იმატება. გახდომას ეტაპობრივი მომზადება სჭირდება. არ შეიძლება მკაცრი დიეტურ რეჟიმზე გადასვლა. ცხადია, ყველას უნდა მოხდენილად გამოიყურებოდეს. როცა სალამოს კაბაში ვერ ეტყვი, დასაშვებია, რომ 2-3 დღე მკაცრი დიეტა დაიკვებო. მაგალითად, მხოლოდ კიტრი და სითხე, ან ვაშლი... გახდომის პირველი ეტაპი ფსიქოლოგიური მომზადებაა. უნდა განსაზღვროს, რომ მისი წონაში დაკლება იქნება მრავალ-



EXCLUSIVE

ჯერადი, ხანგრძლივი. ასეთ კვების რეჟიმზე გადასვლა 2-3 დღით კი არ მოუწევს, არამედ ხანგრძლივად. შესაძლოა, მთელი ცხოვრებაც კი. ამიტომ, მიზნულს ვაჩვენებთ ფსიქოლოგიურად მომზადებას, რომ ბევრ რამზე მოუწევს უარის თქმა. როცა დარწმუნდება, რომ მზად არის, მაშინ შეუძლია ნაბიჯ-ნაბიჯ ლამაზი სხეულისკენ სწრაფვა დაიწყოს.

- ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა ენდოკრინოლოგი-დიეტოლოგების მიერ დანიშნული დიეტები. შემდეგ ბევრი მიმართავს მეგობრის ნაცად დიეტას. რამდენად გამართლებულია კონკრეტულ ადამიანზე „მორგებული“ დიეტის გამოყენება?

- ეს კატეგორიულად დაუშვებელია. დიეტის დანყებადმდე საჭიროა გამოკვლევა. რადგან ხშირია კუჭის სხვადასხვა პათოლოგიები, კუჭის ნეკროზი დაავადებები, შეიძლება ნალექში კენჭები არ იყოს, მაგრამ დისკინეზია ჰქონდეს. ამ დროს საჭიროა აბსოლუტურად სხვა მიდგომა. ხდება პრეპარატების ჩართვა. დიეტა კომპლექსური მექანიზმია. 3-4 კილოს დაკლება თვითნებურად შეიძლება, ანუ შევზღუდავთ საკვებს. თუმცა, ჭარბი წონის შემთხვევაში, როცა ადამიანი თავად ვერ უშკლავდება, საჭიროა არა მხოლოდ გასტრო-ენდოკრინოლოგი და დიეტოლოგი, არამედ, პირველ რიგში, ენდოკრინოლოგი. ამ ყველაფერს ენდოკრინოლოგი შეაჯამებს და გამოიყვანს შესაბამის ფორმულას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება პაციენტი დიეტას.

- დიეტის შედეგად ჯანმრთელობა შერყეულია თუ გაკითხვანი?

- კი, რა თქმა უნდა. არის პაციენტების კატეგორია, რომლებიც პერიოდულად იცვადენენ მკაცრ დიეტებს - ორ, სამ კვირას ან ერთ თვიანს. რაც გამოიხატება კალორაციის მკაცრ შეზღუდვაში. მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამენ, არიან მხოლოდ სითხეზე, მანონზე. რა თქმა უნდა, ეს იწვევს კუჭ-ნაწლავის დაზიანებას. როცა საკვები გარკვეული პერიოდით კუჭში არ ჩადის, ამ დროს კუჭის წვენი გამოყოფა არ ხდება, არც ნალვის ბუშტის და ხდება დაგუბება. ასეთ პაციენტებს ხშირად ემართებათ ნალვის ბუშტის ანთება, ნალვლ-კენჭოვანი დაავადება. ახალგაზრდა პაციენტები, რომლებიც ნოლოვან იმყოფებიან თვითნებურ დიეტებზე, დაავადებულები არიან ნალვლ-კენჭოვანი დაავადებით. ამ დაავადების მკურნალობა მხოლოდ ქირურგიული გზით არის შესაძლებელი.

- ერთ-ერთი პრობლემა ე.წ. „ფასტ ფუდებია“, ყოველ ნაბიჯზე გახსნილი სახაჭაპურე მაცდურად გამოიყურება...

- ცომეული, ტკბილეული, „ფასტ-ფუდები“ ჭარბი წონის გარანტიაა. უმეტესობას მინიდან კონტინერით საკვების ნაწილები ეზარება. ქუჩაში, პირველი რაც შეგხვდება, ცომეულია, ფენოვანი ხაჭაპური და ა.შ. ასევე, გაზიარებული, გამაგრებული სასმელი. სხვათა შორის, გაზიანი სასმელი



ზედმეტ 300-400 კალორიას მატებს ადამიანს. ჯანმრთელი კვების დანყების დროს პირველი რაზეც უარი უნდა ვთქვათ, არის სწრაფი კვება, ცომეული და გაზიანი სასმელი. ზაფხულში შეგვიძლია მივიღოთ მინიმალური ლიმონათი. ტოლნაში ჩაყაროთ ხილი, ოდნავ დავერისოთ და დავასხათ ვიღებთ. თან სასაიზოგო დასალევია. სითხის მიღების გარეშე წონაში კლება გამოიციხვება. აგრეთვე, ჭამის წინ მიღებული ერთი ჭიქა წყალი კუჭს ავსებს და ნაკლებ საკვებს მიიღებთ. სასურველია, წყლის გარდა დღის განმავლობაში ერთ ლიტრამდე მწვანე ჩაი მიიღოთ. ოღონდ დაყენებული და არა ერთჯერადი პაკეტი. ყოველდღიურად ერთი ლიტრი მწვანე ჩაის მიღებით თვეში დამატებით 2 კილოს დაიკლებთ.

- როგორ ვიკვებოთ, რომ საკუთარ ჯანმრთელობას არ ვაზიანოთ?

- ვების რეჟიმის მოწესრიგება იმის საწინდარია, რომ ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემები არ შეექმნება. კვების რეჟიმის მოწესრიგება გულისხმობს გარკვეულ დროში ულუფებად კვებას მომიჯნა. მიმზიდის დროს თავს ვეღარ აკონტროლებს და საკვებს დიდი რაოდენობით იღებს. დღეში მინიმუმ ოთხჯერადი კვება ყველაზე ნორმალური და ფიზიოლოგიურია. აუცილებელია, რომ კვება სრულფასოვანი იყოს. მხოლოდ ნახშირწყლებით ან ცილებით კვება დაუშვებელია. ცილაში შედის ხორცი, კვერცხი, რძის პროდუქტი, ნახშირწყლები - ბოსტნეული, ხილი, მარცხენი, თაფლი და ცხიმები. მცდარია მოსაზრება, თითქოს

ცხიმები ასუქებს და არ უნდა მივიღოთ. ეს ყველაფერი საჭიროა ორგანიზმის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის. სტატისტიკურად მსოფლიოში ადამიანი საშუალოდ 3 000 კალორიას იღებს, მაგრამ სასიცოცხლო არსებობისთვის 2 000 კალორია სრულიად საკმარისია. ზედმეტი კალორიის დახარჯვა ხდება სიარულით, ვარჯიშით, ცურვით. თუმცა, დღევანდელი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, ადამიანების უმრავლესობა ენერჯის ვერ ხარჯავს. შედეგად ხდება ჭარბი წონის მატება. განსაკუთრებით ქალები, რომლებიც შედიან პრეკლიმაქსურ ასაკში. ესტროგენ ჰორმონის დეფიციტის დროს იწყება წონაში მატება. უმეტესად თემობსა და მუცლის არეში. თუმცა, ბალანსირებული კვებითა და ვარჯიშით შესაძლებელია წონის კორექცია. თუმცა, 50 წლის ასაკის შემდეგ ქალბატონებს ვურჩევ, ნუ მონდომებენ ამ ასაკში წონით ისევე გამოიყურებოდნენ, როგორც 18-20 წლის ასაკის კონი. ის ცხიმი, რომელიც ორგანიზმში გროვდება, საჭიროა, რადგან მის ხარჯზე ხდება ესტროგენის გამოთქმვა, რაც ხელს უწყობს კალციუმის შენარჩუნებას.

- შესაძლებელია თუ არა სასურველი წონის შენარჩუნება ტკბილეულზე და ცომეულზე უარის თქმის გარეშე?

- ეს აუცილებელია. წარმოდგენილია ადამიანს არ მიიღოს პური, მასში ისეთი აზინოჰაფები შედის, რაც სხვა ნივთიერებაში არ არის. დღეში 150 გრამი პური არათუ დასაშვებია, არამედ აუცილებელია. თუმცა, გასათვალისწინებელია, როცა კარტოფლის, წინწკლის, ჭურჭლის მიწვით, იმ დღეს პურის მიღება უნდა შევზღუდოთ. როცა წონის დაკლება და სასურველი ეფექტის მიღება გვინდა, მაშინ მცირე მნიშვნელოვანი თაფლი უნდა შევიკავოთ ტკბილეულის და ცომეულის მიღებისგან. სასურველია წონის მიღწევის შემდეგ შეიძლება ტკბილეულის მიღება. ხაჭაპური უნდა მივირთვათ, მაგრამ ერთი ნაჭერი და არა ნახევარი. ასევე, ტორტიც. სვობს ერთი ნაჭერი მიირთვათ, ვიდრე თავი სტრესულ მდგომარეობაში ჩაიგდოთ.

- დაბოლოს, გავრცელებული მოსაზრება, რომ წონის დაკლების მსურველმა სალამოს ექვს საათის შემდეგ საკვები არ უნდა მიიღოს, მართალია?

- მსოფლიოში ჩატარებულმა მრავალმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ ეს არის მცდარი მოსაზრება. არის მთელი რიგი დაავადებები, რომელიც გამოწვეულია მაღალი მენოპაუზით. ასეთ პაციენტებს სალამოს ექვს საათს მერე ჭამა რომ აუკრძალო, დაუშვებელია. ოქროს სტანდარტია, რომ ბოლო კვება ძლიერად 3-4 საათით ადრე უნდა იყოს. ვახშამი უნდა იყოს მსუბუქი. მაგალითად, მანონი, ჩაი და არა ჩაქაფული ან მწვადი.

**რომა
რცხილაძე
- 60 წელი
მინორული
მაჟორით
EXCLUSIVE**



**ოთარ ქაჯანია -
პროფესორის 90
წლის იუბილე
ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი**



**მეგრულ-ქართული
ლექსიკონის ავტორის
ისტორია**

EXCLUSIVE

**„კამერტონის“
მორიგი წარმატება**



EXCLUSIVE

**მოდური დიეტების
სავალალო შედეგები**



EXCLUSIVE

ISSN 1987-7404



9 771987 740005

48 | Time ორშაბათი, 2 ივნისი, 2014



**„ტაქსი“ - ქალიან
სასატილო ფილმი
რეალურ ამბებზე**

EXCLUSIVE

**„ჯერ კიდევ
წინ მაქვს
პრემიები...“**



**მარინა კახიანის
პრემიები**



exclusive

**ოთო კოვზირიძისა
და აკა ჩიკვაძის
კოსტიუმირებული
შოუ-ქორეოლი**